

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მ ა ს ც ნ ე

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

2 · 1976

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ

ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი

ТБИЛИСИ

2 · 1976

ევრხალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გეახარია (რედაქტორი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахарია А. А. (секретарь), Дзидзигури Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метрели Е. П., Цайшвили С. С.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი
Ответственный секретарь Г. А. Глonti

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.5.1976; შეკვ. 579; ანაწყოების ზომა 7×11¹/₂;
ქაღალდის ზომა 7×108⁷/₁₆; ნაბეჭდი თაბახი 16,98; საარჩევნო-საგამომცემლო
თაბახი 15; უე 00758; ტირაჟი 1700.
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ზ ი ნ ა ა რ ს ი

წიგნები

დ. ლაშქარაძე, ევროპელ განმანათლებელთა იდეების პირველი ქართული პროპაგანდისტები	5
ნ. სულავე, „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხები	19
კ. ჩობანიანი, შენიშვნები სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ	35
ლ. შორაშორიანი, შააქის ამბავი ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“	44
ო. მებრალიძე, ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები	58
უ. ცინდელიანი, ქართული ბიბლიის ერმიოპინის ფრაგმენტის იდენტიფიკაციისათვის	74
ბ. ჩხაიძე, შართვა თუ წინასწარკარნახი?	79
ნ. დარსაძე, რამდენიმე შენიშვნა „ყვისაჲ ამირ ქაშხას“ ქართული ევრსიის აღმოსავლური ლექსიკის შესახებ	88
ო. ნასარიძე, გაზეთ „დროების“ ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ	101
ზ. სარჯველაძე, XI—XV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტთა ძირითადი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი	109
ნ. ბურბანიძე, ნასესხებ სახელების ფუძეთაგან ზმნის წარმოქმნა ქართულის მესხურ დიალექტში	121
ბ. ბურბულიძე, გრძელი ხმოვნები ლაკურში	125
ა. პაპულიანი, აფრიკატების ფონეტიკური ბუნების შესახებ	134

ცნობები და შენიშვნები

თ. ნატროშვილი, „ესე სულთანი უარშიობს“	149
მ. მრღებაძე, ჰინდი ენის ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის	153
ნ. ბაროზაშვილი, ეკლიდეს „საწყისების“ არაბული თარგმანები	166

მეცნიერთა იუბილე

ო. ნოდია, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი 80 წლისაა	174
---	-----

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ლ. მენაბდე, საყურადღებო ნაშრომები თეიმურაზ ბაგრატიონზე	180
ბ. საბაშვილი, Kita Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch	186

პრონიკა და ინფორმაცია

ა. გვახარია, სამი დაუვიწყარი დღე	191
----------------------------------	-----

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Д. ЛАШКАРАДЗЕ, Первые грузинские пропагандисты идей европейских просветителей	5
Н. СУЛАВА, Вопросы мировоззрения Руставели	19
П. ЧОБАНИЯ, Относительно «Путешествия в Европу» Сулхан-Саба Орбелиани	35
Л. ЖОРЖОЛИАНИ, Сказание о Зохаке в «Шах-наме» Фирдоуси	44
И. МЕГРЕЛИДЗЕ, Надписи и другие древности Лиахвского ущелья	58
У. ЦИНДЕЛИАНИ, К идентификации Эчмиадзинского фрагмента грузинской Библии	74
М. ЧХАИДЗЕ, Управление или предсказывание?	79
Н. ДАРСАВЕЛИДЗЕ, Несколько замечаний о восточной лексике грузинской версии «Кисане Амир Хамзы»	88
И. НАСАРИДЗЕ, О некоторых особенностях языка газеты «Дроеба»	101
З. САРДЖВЕЛАДЗЕ, Основные орфографическо-фонетические особенности грузинских исторических документов XI—XV вв.	109
Н. ГУРГЕНИДЗЕ, Образование глаголов от корней заимствованных слов в месхетском диалекте грузинского языка	121
Г. БУРЧУЛАДЗЕ, Долгие гласные в лакском языке	125
А. ПАВЛОВА, Фонетическая природа аффрикат	134

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Т. НАТРОШВИЛИ, «Сей султан непокорен»	149
М. МОДЕБАДЗЕ, К истории лексикографии хинди	153
Н. БЕРОЗАШВИЛИ, Арабские переводы «Начал» Евклида	166

ЮБИЛЕИ УЧЕНЫХ

И. НОДИЯ, К 80-летию академика С. Г. Каухчишвили	174
--	-----

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Л. МЕНАБДЕ, Очерки о Теймуразе Багратовичи	180
Б. САБАШВИЛИ, Kita Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch	186

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

А. ГВАХАРИЯ, Три незабвенных дня	191
----------------------------------	-----

შ მ რ ი ლ ე ბ ი

დავით ლაშქარაძე

წერსა და მხატვრობის იდეების პირველი ქართული პროკაბანდისტები

„აღორძინების ხანის“ ქართული მწერლობის განვითარების ისტორია რომელიც აღმოსავლური პოეზიის გავლენის დაძლევის გზით ვითარდებოდა, აშკარად გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდის ქართული ლიტერატურის ევროპეიზმის გამოძევება „ღვთის ძეძუს“ თვით მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე არსებითად მარტოოდენ ჩვენი კლასიკური მწერლობა წარმოადგენდა, რომელსაც სწორედ „აღორძინების ხანის“ მწიგნობრებმა მოაცილეს „დაცემის ხანის წყვილიდან“¹ წაყრილი ფერფლი.

ცხადია, მომდევნო ხანაშიც კლასიკური მწერლობის მდიდარი ტრადიცია დარჩა ჩვენი ლიტერატურის ევროპეიზმის უმთავრეს წყაროდ, მყარ და უმტკიცეს საფუძვლად მაღალი მხატვრული გამოსახველობის თვითმყოფადი ქართული ლიტერატურისა. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსულ-ევროპული ორიენტაციის გაძლიერებასთან ერთად, შესამჩნევად გაცხოველებული პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის შესატყვისად, ამ ქვეყნების კულტურისა და ლიტერატურის უფრო ახლო გაცნობით, რასაც მანამდე მხოლოდ სპორადული ხასიათი ჰქონდა, — ზემოთ აღნიშნულ წყაროს ახალი ნაკადიც შეემატა. ქვეყნის საზოგადოებრივ ყოფაში დაწეხებული ძვრების შესაბამისად, ევროპული ცხოვრების წესით, ევროპული მეცნიერებითა და კულტურით დაინტერესებული ქართველი მოღვაწენი თავიანთი ორიგინალური შრომებითა და რუსული და (უმთავრესად რუსულიდან) ევროპული ლიტერატურის ძეგლების ინტენსიური თარგმანით დასავლეთის პროგრესულ მოაზროვნეთა შეხედულებების გავრცელებასთან ერთად ევროპული ლიტერატურული გემოვნების დანერგვასაც უწყობდნენ ხელს. ხოლო ამ ლიტერატურული გემოვნების მიხედვით, ქართულ მწერლობაში „ვარდებულბულიანობისა“ და ზღაპრულ-ფანტასტიკურ ამბავთა გადმოცემის წილ, თანდათან მკვიდრდებოდა კონკრეტულ-ისტორიულ მოვლენათა თუ ცხოვრების საქირბორტო საკითხთა პოეზიის საგნად ქვეყნის მანამდე წამოყენებული მოთხოვნა და აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი „ფიგურალური გამოთქმისა“ და „ყვავილოვანობისაგან“ თავისუფალი მხატვრული ქსოვილით გამოსახვის ტენდენცია.

მაგრამ ისევე, როგორც საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში, ქართულ ლიტერატურაშიც ევროპეიზმს ფართოდ გავლენა კარები მხოლოდ ჩვენი ქვეყნის რუსეთთან შეერთების შემდეგ, როცა საქართველომ თავისი ბედი განუყრელად დაუკავშირა ერთმორწმუნე ჩრდი-

¹ ქართული ლიტერატურის ისტორია, ევს ტომად, ტომი I, თბილისი, 1960, გვ. 70.

ლოეთს და ცხადი გახდა „ქართველი ხალხის განვითარების გეზი — რუსეთის გზით ევროპასთან“². მართალია, მეფის რუსეთი, რომლის „მმართველობის სისტემა ყველგან“ იგივე იყო, „რაც სამხედრო ოკუპაცია“, სადაც „სამხედრო საწყისებზე ორგანიზებული სამოქალაქო ხელისუფლება და იურიდიული იერარქია“³ მძიმე უღალად აწვა ხალხს კისერზე, — არც საქართველოს მოვლენია მზრუნველ მამად. მან შეერთებისთანავე უხეშად დაარღვია ხელშეკრულება, წაართვა საქართველოს დამოუკიდებლობა და ტლანქ მოხელეთა თავაშვებულები პარპაშის არენად აქცია ქვეყანა, რომელიც აგრესიული აღმოსავლეთის სახელმწიფოების ხელყოფისაგან უნდა დაეფარა მას. სამოქალაქო და სამხედრო ბიუროკრატის თავგასულობა და თვითნებობა, ქვეყნის ზნე-ჩვეულებათა უხაპსი შეგინება და ქართული ენის უგულვებელყოფა, ფართოდ გაერცელებული მეჭრთამეობა და მოსახლეობის უსინდისო ძარცვა-გლეჯა, რაც შეერთების, ფაქტიურად კი „პოლიტიკური დაპყრობის“, პირველ დღეებშივე აშკარა გახდა, იყო მიზეზი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის აჯანყებებისა, რომელთა შორის აღსანიშნავია მთიულეთის (1804), იმერეთის (1810 და 1819) და კახეთის (1812) აჯანყებანი.

მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთთან შეერთება წარმოადგენდა გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლებში სისხლდაწრეტილი ქართველი ერის ფიზიკური განადგურებიდან ხსნის ერთადერთ გზას. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ, ი. ჭავჭავაძის აღნიშვნისამებრ, „საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა“ და „დაშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დასცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ქლერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვადა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემამძრწუნებელ სახსოვრად-ლა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის. უშიშარის ცხოვრებისა, სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისათვის ჯვარცმულ საქართველოს... ის დღეა და ეს დღე, ვეღარავინ გადმოლახა იგი საზღვარი ცეცხლითა და მახვილით ხელში“⁴.

გარდა ამისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ განსაზღვრა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების ახალი, კაპიტალისტური გზაც, ხელი შეუწყო ეროვნულ კონსოლიდაციას და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებას. რომანოვებისა და პურიშკევიჩების გვერდით არსებული რილევისა და ბესტუევის, პუშკინის, გრიბოედოვის და ლერმონტოვის რუსეთის გზით ფართოდ გაეღო კარი ევროპის ცივილიზაციას და კულტურას, რომელიც არცთუ უმტკივნეულოდ, მაგრამ ძლევამოსილად იკაფავდა გზას ჩვენს ქვეყანაში და განაპირობა ის, რომ „შემდგომად ექვსის ბნელის საუკუნისა“ „წესრიგისა და კეთილდღეობის შუქი საგრძნობლად შემოიჭრა საქართველოში“ და „ძველი კოლხეთის ჰორიზონტი გააიციკრონა“⁵.

² ნ. ბერძენიშვილი, ი. ჭავჭავაძის შვილი, ს. ჭანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1950, გვ. 410.

³ К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. I, т. X, гл. 387.

⁴ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 216—217.

⁵ ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961, გვ. 223.

სწორედ ამიტომ, თუმცა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მოღვაწენი აქტიურად ებრძოდნენ მეფის რუსეთის თვითმპყრობელურ-შოვინისტურ პოლიტიკას და არა მარტო თანაუგრძობდნენ, არამედ ბევრი მათგანი თაოსნობდა კიდეც ცარიზმის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულება-აჯანყებას, მაგრამ სრულიადაც არ უარყოფდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების დიდ მნიშვნელობას, როგორც „აზიური ქვეყნის ევროპული განათლების საფეხურზე“ აყვანისა და „საზრდოს მაძიებელი“ „კავკასიის ჭაბუკ შვილთა აზრისა და გონებისათვის“⁶, გზის გამხსნელ საშუალებას.

საქართველოს რუსეთთან შეერთებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ჩვენი ქვეყნის კულტურული ცხოვრების ნაწიციემის გაუმჯობესება და საგანგებო ინტერესი ევროპისადმი, თუმცა, როგორც ანტონ ბაგრატიონის შემოქმედების განხილვასთან⁷ დაკავშირებით ითქვა, ევროპული ცხოვრების წესისადმი, მისი მეცნიერებისა და კულტურისადმი ეს ინტერესი არც მანამდე იყო უცხო ქართველი ხალხისათვის, რომლის წარმომადგენლები ნებისთივე უნებლიეთ რუსეთში ყოფნისას ეცნობოდნენ იმ დროის რუსული საზოგადოების პროგრესულ ნაწილში ფესვგადგმულ „ეპოქის ბაღელებელ იდეებს“⁸, უმთავრესად ფრანგ განმანათლებლებიდან რომ მომდინარეობდა, და საშობლოში დაბრუნებულნი თავიანთი ლიტერატურული და პრაქტიკული მოღვაწეობით ამ იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. ცხადია, იმ პირველ პროპაგანდისტთა უკან, ლევან ასათიანის შენიშვნისამებრ, იღვა „მასსა მკითხველებისა და თანამგრძობელებისა, რომლებიც თავისი დაინტერესებით, ლიტერატურული ატმოსფეროს შექმნითა და თანდგომით ძლიერ იმპულსს და მასთან ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენდნენ საქართველოში ეპოქის განმანათლებელ იდეათა გადმოსანერგავად“⁹. ზედმეტი არ იქნება აქვე აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი მოღვაწენი ევროპელ განმანათლებელთა, განსაკუთრებით მონტესკიეს, ვოლტერისა და რუსოს შეხედულებებს რომ ავრცელებდნენ და მათ თხზულებებსაც გულმოდგინედ რომ თარგმნიდნენ, სრულიად უყურადღებოდ ტოვებდნენ განმანათლებლური მოძრაობის ისეთ მნიშვნელოვან წარმომადგენელს, როგორც იყო დენი დიდრო, რაც უწინარეს ყოვლისა იმით უნდა აიხსნას, რომ ენციკლოპედიის სულის ჩამდგმელის მატერიალისტური მსოფლმხედველობა მიუღებელი იყო მათთვის.

პირველი ნაწარმოები, რომელშიც გატარებული იყო „ის განათლებული აზრები და იდეები, რომელნიც ადევლებდნენ და ასულდგმულვებდნენ დასაველეთ ევროპას მეთრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში“ და რომელსაც „ნამეტნავად ემჩნევა... ზეგავლენა მონტესკიეს თხზულებისა „გულის ხმის ყოფისათვის სკულტასა“ (Дух законов)¹⁰ იყო ალექსანდრე ამილახვარის (1750—1802) „ბრძენი აღმოსავლეთისა ანუ განზრახვაი მისი სახელმწიფოსა მმართველობისა“.

⁶ იქვე, გვ. 41.

⁷ დ. ლაშქარაძე, ვეროპიზმი ანტონ ბაგრატიონის შემოქმედებაში, ტისკარი, 1975, № 11.

⁸ ლევან ასათიანი, რჩელი ნაწერები, ტ. I, თბილისი, 1958, გვ. 74.

⁹ იქვე, გვ. 74—75.

¹⁰ ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური ძიებანი და შენიშვნები, „მოამბე“, 1902, № 2, გვ. 18.

გარდა ამ პოლიტიკური ტრაქტატისა, ალ. ამილახვარს ეკუთვნის ორი ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოები: „გეორგიანული ისტორია“, რომელიც იმავდროულად მემკათიანის ცნობებზე დაყრდნობით შედგენილ საქართველოს მოკლე ისტორიას წარმოადგენს, და „მოქმედება ასტრახანში“ — დიალოგის ფორმით შეთხზული მწვავე პამფლეტი. ორივე ნაწარმოებში ავტორის მიეკრძაბებულ დამოკიდებულებასთან ერთად ერეკლე მეორისადმი (რომელიც გამოყვანილია უზურპატორად და დესპოტად, ვინც თითქოს საკუთარი მამა თეიმურაზ მეორეც არ დაანდო და რუსეთს იმ მიზნით გაამგზავრა, რომ გზიდან ჩამოეცილებინა) აშკარად ჩანს ა. ამილახვარის საფუძვლიანი და ფართო ევროპული განათლება. მაგრამ ამ თვალსაზრისით საგანგებო ყურადღების ღირსია ზემოთ დასახელებული „ბრძენი აღმოსავლეთისა“, სადაც გატარებულია ავტორის მიერ ღრმად გადამუშავებული „ეპოქის მღელვებელი იდეები“, ნოწინავე შეხედულებანი იმ „დიდი ადამიანებისა, რომელთაც საფრანკეთში აღამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის“¹¹.

ევროპელ განმანათლებელთა კვალდაკვალ ა. ამილახვარი მომხრეა განათლებული მონარქიისა, რომელსაც სათავეში უდგას ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის მზრუნველი მეფე, „მგრძნობელი თავსა შორის თვისისა ვალდებულებისა თვისისა და მტვირთელი ღირსად სიმძიმისა გვირგვინთა საქმფოთასა, რომელსა არა უჩანს ჰსუბუქად უღელი მისი და რომელმან იცის ჰყრობა სკიპტრისა, რომელსა არა მისცემიეს ხელთა ყრმებრივად სამღერლად, არა თუ დამამშვიდებლად შინაგანთა აღშფოთებათა და მომგერებლად გარეშე მტერთა, და რომელმან იცის უფლებათა თვისისა არა უსამძღვროდ, და რომელი მიიჩნევს მათაცა თანა ჰსწორად თავისა კაცთა, რომელთა მისცემს მას უფლებათა თავსა ხელდა თვისისა და იქცევის მათთანა უმეტეს მსხვავსად უხუცესისა. ძმისა. ვიდრე თავ-მოყვარისა მეფისა, და რომელსაცა არა შურს უკანასკნელიცა სიცოცხლე თვისა მათისა მშვიდობისათვის, რომელი ყოველსა ეამსა გინა წამსა სიცოცხლისა მისისა განატარებს ფიქრსა შინა მოპოვნებად გზისა მათისა დღეკეთილობისათვის“¹² (ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.).

ამ ვრცელ ამონაწერში გადმოცემული მოსაზრებანი მეფის მოვალეობათა თაობაზე ქართულ მწერლობაშიც, მაგ. სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნესიცრუისაში“, სრულყოფილად არის წარმოდგენილი და ამ მიმართებით ა. ამილახვარის ციტირებულ შეხედულებაში არსებითად არაფერია ისეთი, რაც მაინც და მაინც ევროპელ განმანათლებელთა გავლენაზე მიგვანიშნებდეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩემ მიერ ხაზგასმულ ფრაზაში გატარებულ მოსაზრებას. რომელიც საქმფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის უარყოფისა და სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე შექმნის იმ დროს ღრმად პროგრესულ მოძღვრებას უყრდნობა.

პოლიტიკური აზროვნების ისტორიის სპეციალისტთა აღიარებით, ჭერ კიდევ ანტიკურ სამყაროში ჩამოყალიბებულმა სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე შექმნის მოძღვრებამ, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნის ცნო-

¹¹ ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, თბილისი, 1952, გვ. 20.

¹² ალ. ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა და განზრახვაი მისი სახელმწიფოსათვის მმართველობისა, „მოამბე“, 1902, № 2, გვ. 18. შემდეგში ადგილები დამოწმებული იქნება ამ პუბლიკაციის მიხედვით, რომელიც ე. თაყაიშვილს ეკუთვნის, ფრჩხილებში აღნიშნული იქნება გვერდი.

ბილმა მოაზროვნეებმა: ჰუგო გროციუსმა, თომას ჰობსმა, ჟან ლოკმა და ბარუხ სპინოზამ გაიზიარეს, მახვილი პოლიტიკური და მეტ-ნაკლებად რევოლუციური შინაარსი ფრანგი განმანათლებლების, კერძოდ შარლ მონტესკიეს, მეტადრე კი ეან-ჟაკ რუსოს, ნააზრევში მიიღო.

მონტესკიეც და რუსოც, ისევე როგორც განმანათლებელთა დიდი უმრავლესობა, ადამიანთა თანასწორუფლებიანობას რომ აღიარებდნენ („ადამიანები თანასწორნი იბადებიანო“¹³, — აცხადებდა მონტესკიე, „ამ ქვეყნად ადამიანი თავისუფალი იბადებაო“¹⁴ — ამტკიცებდა რუსო), სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე შექმნას „ბუნებრივი სამართლით“ ასაბუთებდნენ და ადამიანთა მხრივ თავდაცვის, საკვების მოპოვების, საზოგადოებაში ცხოვრების სურვილით ხსნიდნენ. მათი აზრით, ეს იყო პირველმიზეზი თავისუფლად დაბადებული ადამიანების გაერთიანებისა სახელმწიფოში, რომელსაც უნდა დაეცვა თავისი ნებით დამორჩილებული, მაგრამ არსებითად დამოუკიდებელი და თავისუფალი ინდივიდის პირადი ხელშეუვალობა და საკუთრება. და თუ ხელმწიფე, რომლის ძალაუფლება, ამრიგად, სულაც არ არის ღვთისაგან ბოძებული და განუსაზღვრელი, არამედ ადამიანებისაგან არის მინიჭებული და განსაზღვრულია მოვალეობით — იზრუნოს ქვეშევრდომთა კეთილდღეობისათვის, დაიცვას ქვეყანა „შინაგანთა აღმფოთებათა“ და „გარეშე მტერთა“ შემოტევისაგან, — ვერ შეასრულებს ამ მოვალეობას, ბოროტად გამოიყენებს თავის უფლებას და, ა. ამილახვარის სიტყვებით რომ ვთქვათ, არ „მიიჩნევს მათა თანასწორად თავისა კაცთა, რომელთა მოჰსცეს მას უფლებაი თავსა ზედა თვისსა“, ხალხს უფლება აქვს აღარ დაემორჩილოს მას.

ამილახვარის მიერ გაზიარებული ეს შეხედულება, რომელიც ესადაგება „კანონების სულსა“ და „სპარსულ წერილებში“ გამოთქმულ მონტესკიეს მოსაზრებას („სპარსულ წერილებში“ მთავარი პერსონაჟი უზბეკი სწერს თავის აღრესატს: „თუ ხელმწიფე იმის ნაცვლად, რომ უზრუნველყოს ქვეშევრდომთა ბედნიერება, მოინდომებს მათ დაჩაგვრას ან განადგურებას, დამორჩილების საბაზი წყდება, ქვეშევრდომთ აღარაფერი აკავშირებთ მეფესთან... და ისინი უბრუნდებიან თავიანთ ბუნებრივ თავისუფლებას“¹⁵), გაცილებით უფრო რადიკალურად აქვს ჩამოყალიბებული ეან-ჟაკ რუსოს ტრაქტატში „საზოგადოებრივი ხელშეკრულების შესახებ“. რუსოს მიხედვით „ადამიანი იბადება თავისუფალი, მაგრამ იგი ყველგან ბოროტობაშია. ვიდრე ხალხი იძულებულია იყოს მორჩილი და მორჩილია, იგი კარგად იქცევა, მაგრამ თუ ხალხი, როგორც კი საშუალება ექნება მოიცილოს უღელი, გადაადგდეს მას, იგი უკეთესად იქცევა, რადგან იმავე უფლებით რომ იბრუნებს თავისუფლებას რა უფლებითაც წაართვის, მას ან ყველა საფუძველი აქვს დაიბრუნოს იგი, ანდა არ იყო არავითარი საფუძველი წაერთმიათ მისთვის თავისუფლება“¹⁶.

ციტირებულ დებულებაში გატარებულ მოსაზრებას ადამიანთა თანასწორუფლებიანობისა და თავისუფლების შესახებ რუსოსებური ძალით და არანაკლები ექსპრესიით ამტკიცებს ა. ამილახვარიც. მაგრამ „ზომიერ“ მონტესკიესთან უფრო ახლო მდგომი ქართლის უძლიერესი ფეოდალის — დიმიტრი ამი-

¹³ Ш. Монтескье. Избранные произведения. М., 1955. гл. 215.

¹⁴ Жан-Жак Руссо. Трактаты. 1969. гл. 152.

¹⁵ Ш. Монтескье. Персидские письма. 1956, гл. 242.

¹⁶ Жан-Жак Руссо. Трактаты. гл. 152.

ლახვარის ვაჟის მიერ აქედან გამოტანილი დასკვნა, სულაც არ ატარებს ენეველი მესაათის შეილის დასკვნის რადიკალურ ხასიათს. ა. ამილახვარი ბეჭითად რომ ამტკიცებს: „არცა ჭერ არს ვისმე შეურაცხებაი, ვინაითგან ერთი მეორისა დამპყრობი არს; უკანასკნელი პირველისა და პირველი უკანასკნელისა დამოკიდებულ არს, და არცა ვის ძალუქს თქვადად თვისსა უმჯობესობისაი, ვინაითგან ერთი მეორისა სახმარად ვინებებით და ერთი ერთისაგან ეგამოვიზრდებით ცხოვრებასა ჩვენსა, და ყოველნი ერთად და თანასწორად გარდაეშენდებით უცნაურსა მას ჩვენგან საუკუნესა; ხოლო ოდესაც ეგავეჰსინჯავთ, აქაცა თანაჰსწორად ვმოზილვართ, და არავინ არს უმჯობესი ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა, გარნა ყოველივე ერთისა გვამისა საერთოსა ასოთი“ (30—31, ხაზგასმა ჩემია. — დ. ლ.), — თავის მსჯელობას რუსოსებური მგზნებარე მოწოდების ნაცვლად ერთგვარი სენტიმენტალური ოცნებით ამთავრებს: „ნეტარ არს ერი და უმეტეს ბედნიერ, სადაც ბუნებითი ესე გაჰსინჯულები დაივანებს საერთოსა შინა კეთილოვნებისა მათისა სავანესა“ (გვ. 31).

ა. ამილახვარს ციტირებული მსჯელობა გამოთქმული აქვს ტრაქტატის „ბრძენი აღმოსავლეთისა“ მეექვსე, თავში („თავი ე. გლუხთათვის გინა მიწის-მოქმედთა კაცთა“), სადაც მეთვრამეტე საუკუნის ფრანგ ფიზიოკრატთა კვალდაკვალ იგი მართოდენ გლუხობას მიიჩნევს მატერიალური დრეკლათის მწარმოებელ ძალად და ამიტომაც სახელმწიფოს საგანგებო მზრუნველობისა და დაცვის საზოგადოებრივ ფენად. ამილახვარის მიხედვით, „ხარისხი მათი (გლუხობისა. — დ. ლ.), თუმცა უკანასკნელად შერაცხულ არს სახელმწიფოს შინა. გარნა მოქმედებაი მათი მოიღების პირველობასა, რომელნი შეირაცხვიან მზრდელად ყოვლისა საერთობოსა“ (გვ. 30). მართებულად რომ ამტკიცებს, „ყოვლისა ნაკულღოვანებაა მოთმენად შემძლებელ არს კაცი და არა უსაზრდოებისა, რომელთა ბუნებაი ჩვენი უწინარეს ყოვლისა მას ითხოვს, და არცა რისა ჰსცალს სხვისა განზრახვად, პირველ განმტკიცებისა თვისისა და რა სრულ უყოფს აგებულობასა თვისსა, მაშინ გონებაი მისი განერცელდების და მიჰსწვდენისა ცა კიდემდე ყოვლისა სოფლისა მრავალთა გვართა განზრახვითა თვისთა“ (სწორი მოსაზრებაა, რომლიდანაც ერთი ნაბიჯიღა რჩება დებულე-ბამდე „მდგომარეობა განსაზღვრავს შეგნებას“), დაბუჯითებით აჰბობს: „აწ ამგვართა დამპყრობთა ნიეთთა მოჰპოვებულთა და მუშაკთა მისითა, რა გვარ ჰმართებს დაცვაი და შეწყენაი განსამხნობლად საქმეთა შინა მათთა, ესე ყოვლისა კეთილ-გონიერისა კაცისა უწყებელ არს“ (გვ. 30).

ქართულ მწერლობაში გლუხკაცის დაცვის მოტივი ადრეც შეინიშნებოდა. იგი არჩილის პოეზიაშიც გვხვდება. მეფე-პოეტი, როგორც არჩილის შემოქმედების განხილვასთან¹⁷ დაკავშირებით არის აღნიშნული, თანამედროვე საზოგადოებას აფრთხილებდა — „თუ ამოწყდა გლუხიკაცი, საქართველო დაჰაბუნდაო“ და მოუწოდებდა — „გლუხს ძალი მოაშორეთაო“. მაგრამ სახელმწიფოში გლუხობის როლისა და ადგილის გაგებისა და მისი დაცვის აუცილებლობის არგუმენტაციის თვალსაზრისით არჩილსა და ამილახვარს შორის არსებითი განსხვავებაა, ამილახვარის ნააზრევს აშკარად ამჩნევია უეროველ განმანათლებელთა ღრმა-იდუერი გავლენა.

¹⁷ დ. ლაშქარაძე, ევროპეიზმის პრობლემა „აღორძინების პერიოდის“ ქართულ მწერლობაში, „მაცნე“, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1974, 3.

„ეპოქის მადლელებელ იდეებს“ საფუძვლიანად დაუფლებული და მათი კეთილმოქმედი გავლენის ქვეშ მყოფი ქართველი მოაზროვნე, რომელიც ზოგჯერ თითქმის სიტყვასიტყვით გადმოგვცემს განმანათლებლების შეხედულებებს (მაგ., მისი მსჯელობა მუშიდე თაეში — „სამოქალაქო სჯულთა დადებისათვის“ — ყოველმა კანონმდებელმა ქვეყნის კანონებს საფუძვლად უნდა დაუდოს „პირველად მდგომარეობაი ეამისა. ჩვეულებაი ერისა და მესამედ გაჰსჩულებაი, ურომელთაოდ შემზადებული ჰსჯული მორჩილებისა ნაცვლად, მოიყვანსა ერსა ურჩობასა და აღშფოთებასა, გინა უმჯობეს ყოვლისა ჰსჯულისა იყოს იგი, ვინათგან ჩვეულებასა მათსა და ზნესა ეუცხოების, და რადგან ყოველი კაცი ვითა სხვასა და სხვასა სახისაა, ეგრეთვე სხვა და სხვა გაჰსჩულებისა და ზნისა; ვითა ყოველი ქვეყანაი სხვასა და სხვასა ჰაერისა, ესრეთვე მას შინა მცხოვრებნი, სხვა და სხვა ჩვეულებისა, და აჰისთვის არა უგების ერთისა ქვეყნისა ჰსჯულისა მეორესა შინა დადებად“ (გვ. 31), — ზუსტად ემთხვევა მონტესკიეს „კანონების სჯულში“ გამოთქმულ შეხედულებებს საერთოდ და კერძოდ დებულებას — „თუ მართებულია, რომ გონების ხასიათი და გულის ნება სხვადასხვა კლიმატის პირობებში უაღრესად განსხვავებულია, მაშინ კანონებიც უნდა შეესატყვისებოდნენ განსხვავებას ამ ენებებისა და განსხვავებას ამ ხასიათებისა“¹⁹. განმანათლებლების კვალდაკვალ სინდისის თავისუფლებას ქადაგებს, ქვეყნის ეკონომიური ძლიერების, მისი გაზდიდრების საშუალებად, ეპკრობა-ხელოსნობის განვითარებას მიიჩნევს, მაგრამ სამშობლოს საერთო კეთილდღეობის საქმეში საგანგებო მნიშვნელობას სწავლა-განათლებას და მეცნიერებას ანიჭებს.

ტრაქტატში ა. ამილახვარი მკაცრად კიცხავდა სასულიერო პირებს, რომლებმაც „წესი სამღვდლოი დასაბამთაგან თვისთა დადგინებულ კეთილისა განზრახვით, ხოლო უმეტეს მამშვიდებლად და აღვირჰსხმად ბოროტებასა კაცთასა..., ნაცვლად მშვიდობისა (აქციეს. — დ. ლ.) აღმამფოთებლად, არა თუ მარტო მამულთა თვისთა, თუ ითქმის, ყოვლისა სოფლისა“ (28) და იმით გულგამწყრალი, რომ უელესითა ურთიერთშუღლის გამო „დაპყრობილ არს სოფელი უფროს ბოროტებათა, ვიდრე სახარბლისა მშვიდობითა“, აცხადებდა „ეპკონებ უმჯობეს იყოს რჩევითა მათითა არა ვშევაიწროებდეთ სხვათა მესარწმუნეთა და ნებას ეპსცემდეთ სჯულისამებრ თვისისა აღსარებისა“ (28—29).

სამშობლოს კეთილდღეობისათვის მზრუნველი მოღვაწე მალალ შეფასებას აძლევდა ეპკრებს და მათ საქმიანობას, რადგან მისი მტკიცებით, — რაც ესადაგება მონტესკიესვე შეხედულებებს, — „არა რაი არს ესრეთ განმადიდრებელი, განმადლიერებელი სახელმწიფოსისა, ვითარ სიმრაველი ეპკართა და ეპკრობაი მათი“ (29). ამილახვარი სულაც არ ხუჭკავს თვალებს ეპკართა ნაკლოვანებების მიმართ, მაგრამ ფუტკარს რომ ადარებს მათ — „ეპკართა მიუღიესთ თავსა შორის თვისსა მსგავსებაი ბუნებით კეთილ-გონიერისა ფუტკრისა (რომელი მოვინელი მზისა ქვეშე ყოვლისა სიტკობებისა, შემოპკრებს ბუღესა თვისსა და ადაესებს თავსა თვისსა და პატრონსა სიტკობებითა)“, რჩევას აძლევს: „ხოლო თუშცა ეპკონებდეთ რასამე ნაკლოვანებასა ეპკართა შინა, ჰხამს ესრეთ მომთმენელ ვიყვნეთ, ვითარ იგი პატრონი ფუტკარსთა ისარსსა მისსა“ (გვ. 30).

¹⁹ Ш. Монтескье, Избранные произведения. М., 1955. гл. 350.

ქვეყნის გამდიდრების თვალსაზრისით, ა. ამილახვარი ეაქრობის გვერდით აყენებდა ხელოსნობას. იგი შეაგონებდა თანამემამულეებს, ხელი შეეწყობა ხელოსნობის განვითარებისათვის და, უფრო ძვირიც რომ იყოს, უპირატესობა მიენიჭებინათ სამამულო ნაწარმისათვის, იმიტომ, რომ „ფასი იგი ქვეყანასავე შენსა დაქმთების და ვერივე შენი ისარგებლების, და არცა შეიარაცხვის შენთვის წარგებად, რადგან ყოველი მათი შენი არის და შენი ყოველი მათი“ (33). ა. ამილახვარის ეს შეხედულებანი გამომდინარეობდა „ევროპეიზმიდან“, რომლის დანერგვას ერთგულად ემსახურებოდა იგი, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპულ წესს რაცხდა გზად თავისი ქვეყნის ქეშმარიტი წარმატებისა, რის უპირველეს და უკეთეს წყაროდ და საფუძვლად სწავლა-განათლებასა და მეცნიერებას მიიჩნევდა. „ქსწავლაი მეცნიერებისა, — წერდა იგი, — არს განმანათლებელ თვალთა და გონებათა კაცთასა და მომპოვებელი გზისა ოდესმე უზრდელობით შეცთომილისა. ქსწავლაი არს მსგავსი ნათლისა დღისისა, რომლისა შინა დაჰქირნო არს ბრწყინვალეზაი სანთელთა, ღამითა სიბნელეთა შემწისა, და რომელსა შინა ვვალს კაცი ყოვლისა დაუბრკოლებლად, სადაც ენებოს, რომლისთვისაცა ჰხავს შეუფეთა ცლად განმრავლებისა ქვეყანასა შინა თვისსა მეცნიერთა კაცთასა“ (გვ. 32). ამილახვარის აზრით, უწინარეს ყოვლისა თავად მონარქი უნდა იყოს განათლებული, რადგან „არცა ჯერ არს უმეცართა კაცთა მთავრობაი ვისიმე, ვითარ იგი ბრმაი ბრმისა წინამძღომელად“ (32).

უაღრესად საყურადღებოა ტრაქტატის მეცხრე თავი, რომელიც მიმართულია სისხლისმღვრელი ომების წინააღმდეგ და რომელშიც თანაბრად დაგმობილია მასობრივი ქლეტვის იარაღის გამომგონებელიც და მომხმარებელიც. „არა თუ შემომღებელი, მისი მხმარებლთურთ ვაქო, თუ ხელნიცა მისივე განზრახვით ჩვენდა მოცემულ იყოს ღმრთისაგან, განზრახვასაცა მისსა შევზარდები, და უძვირეს კბილთა მტაცებელთა ვჰშევრაცხ მას, ვიდრე ურჩეულესად ასოდ კაცთათვისო“ (გვ. 33), — აღშფოთებით წერს ამილახვარი, რომელსაც საქურველიც და ხელიც „დასაცველად სიცოცხლისა“ მიუჩნევია და „არა თუ ოდენ უბრალოდ სისხლთა ღერად ერთასა ოდენ სახლისათვის“ (გვ. 34). ა. ამილახვარის მთელი ამ მსჯელობის პათოსს გამოხატავს მისივე სიტყვები: „უკეთესა ქეშმარიტისა სახელოვნებისა მაძიებელ არს ვინმე, რაი არს უსახელოვნეს მშვიდობისა?“ (გვ. 33), რაც შეესატყვისება ყველა დროისა და ქვეყნის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა სულისკვეთებას და კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთა ზრუნვის საგანია დღესაც.

ევროპელ განმანათლებელთა, კერძოდ მონტესკიეს, ვოლტერისა და რუსოს, იდეების გავლენის ღრმა კვალი ემჩნევა ლიტერატურულ მემკვიდრეობასაც ვახტანგ ირაკლის ძე ბაგრატიონისა (1762—1814), რომელიც თავისი მამის — ერეკლე მეორის მსგავსად საქართველოს კეთილდღეობას სამშობლოს ევროპულად განვითარებასთან აკავშირებდა, ერეკლეს დიდ ღვაწლად ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლას და ეაქრობა-მრეწველობის დანერგვისათვის ზრუნვას მიიჩნევდა და სოლომონ პირველის განსაკუთრებულ დამსახურებადაც ფეოდალთა უფლებების შეზღუდვას რაცხდა.

ეს შეხედულებანი ისევე, როგორც განმანათლებელთა მიერ საყოველთაოდ აღიარებული ღებულება — ადამიანი უნდა ფასდებოდეს არა გვარიშვილობის, არამედ პირადი ღირსებისა და დამსახურების მიხედვით, „განათლე-

ბული აბსოლუტიზმის“ მომხრე ვახტანგ ბატონიშვილს გამოთქმული აქვს ნაშრომში „ისტორიები აღწერა ღირსთა ხსომისა შემთხვეულობათა საქართველოსა შინა“, რომელიც პირველად რუსულ ენაზე გამოქვეყნდა 1814 წელს¹⁹ სათაურით „Обозрение истории грузинского народа“. მაგრამ განმანათლებელთა იდეების თვალსაზრისით საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „ეპისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“²⁰, განსაკუთრებით ამ ტრაქტატის რუსული თარგმანი, რომელიც 1812 წელს არის გამოქვეყნებული.

საქმე ისაა, რომ ქართული ტექსტი, რომელიც ვახტანგს საქართველოში შეუთხოვავს („მე დავსთხოვნ ებისტოლენი ესე ეამსა მყოფობისა ჩემისასა საქართველოსა შინა“²¹. წერს ვახტანგი წინასიტყვაობაში), მეტისმეტად განსხვავდება რუსული ტექსტისაგან, რომელიც არსებითად ახალ ნაშრომს წარმოადგენს. ჭერ ერთი, რუსულ ტექსტში გვხვდება საკითხები, რომლებზეც ქართულში საერთოდ არ არის მსჯელობა; მეორეც, ქართულ ტექსტში ყრულ წარმოდგენილი „ეპოქის მალეღვებელი იდეები“ რუსულ ტექსტში ზედმიწევნით ნათლად არის გადმოცემული და ამასთანავე არგუმენტაციაც უფრო სრულყოფილია და დამაჯერებელი. ასე მაგ., ქართულ ტექსტში მოცემული მსჯელობა (სახელმწიფოში ყველას აქვს თავისი მოვალეობა ანუ, როგორც ვახტანგი ამბობს. „თანამდებობა“: „არ იქნების სოფელსა შინა მყოფ ვინმე მციარისადა თანამდებობისა რასმე არ იყოს მქონებელ“, აღამიანი ფასდება თავის „თანამდებობისადმი“ კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით, „ვინაიღგან თანამდებობისა თვისისა სრულყოფით იქმნების კაცთა ბედნიერება“²²) და შეგონება („ყოველნი ესე კაცთა ბედნიერ მყოფნი საქმენი გამოდიან პირუთვნელსავე მისისა, ესე იგი მსგავსად თვისისა თავისისა შეყვარებისაგან მოყვასთასა“²³) — რუსულ ტექსტში წარმოდგენილია მოწოდებად: შესაბამისად „ბუნების ხმისა ყოველ ჩვენს მოქმედებაში უნდა ვიყოთ სამართლიანი, არავინ შეურაცხყოთ, არავის მივაყენოთ ზიანი. აუცილებლობის შემთხვევაში რაც შეიძლება ნაკლები ბოროტება ჩავიდინოთ, ხელი შევეწყუოთ მოყვასის კეთილდღეობას საკუთარი ბედნიერების დაურღვევლად“²⁴, რაც მთავრდება მტკიცებით: „ბუნებამ თავის ნამოქმედარზე ყველას ერთნაირი უფლება მიანიჭა და არ უეარაუდნია მათ შორის რაიმე განსხვავება“²⁵.

ამ მტკიცებას, ასე რომ უსადაგება მონტესკიესა და რუსოს შეხედულებებს აღამიანთა თანასწორუფლებიანობაზე, ისევე როგორც შეგონებას „ბუნების ხმის“ შესაბამისად მოქმედებაზე, რაც ზედმიწევნით გამოხატავს განმანათლებლების, კერძოდ რუსოს შეხედულებას (ტრაქტატში „უთანასწორობას წარმოშობის შესახებ“ ენეველი მოაზროვნე — „ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი აღამიანისათვის თანალობას“ მიიჩნევს „კანონის, ზნეობრიობისა და

19 ქართული ტექსტი მხოლოდ ასი წლის შემდეგ — 1914 წელს გამოსცა სარჯის კაკაბაძემ.

20 კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 5—1113.

21 იქვე, ფურც. 3.

22 იქვე, ფურც. 11.

23 იქვე, ფურც. 12.

24 Письма грузинского царевича Вахтанга Ираклиевича перевел с грузинского Егор Чилаев, Санкт-Петербург, 1812, гл. 10—11.

25 იქვე, გვ. 11.

ქველმოქმედების“ შემცველ „ბუნებრივ გრძნობად“ და ასაბუთებს ამ გრძნობიდან გამომდინარეობსო „ბუნებრივი ადამიანის“ მიერ აღიარებული ღვაწიშნულება — „იზრუნე შენი კეთილდღეობისათვის იმიტომ, რომ ნაკლები ბოროტება მიაყენო სხვას“²⁶) საფუძვლად უდევს „ბუნებრივი სამართალი“, — ევროპელ განმანათლებელთა მიერ საყოველთაოდ გაზიარებული და დამკვიდრებული მოძღვრება, რომელიც წარმოადგენდა „მეთვარამეტე საუკუნეში სოციალურ-პოლიტიკური კრიტიკისა და ახალი სოციალურ-პოლიტიკური იდეების ყველაზე დამახასიათებელ ფორმას“²⁷.

საყურადღებოა, რომ საერთოდ ვახტანგის ამ ტრაქტატში (რომელიც ფორმის მხრივ მონტესკიეს „სპარსული წერილების“ ასოციაციას იწვევს, აქაც მეგობრისადმი მიწერილ წერილებშია გადმოცემული ავტორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი) განსაკუთრებით იგრძნობა რუსოს იდეური გავლენა. მსგავსად ენეველი მესაათის შვილისა, რომელიც აცხადებდა „ყველაფერი რასაც შემოქმედი ქმნის სუფთაა, ყველაფერი ფუჭდება ადამიანის ხელში“, ირაკლი მეფის ძეც მანკიერებათა არსებობას რომ აღიარებს, ამბობს: „ამ მანკიერებებს ბუნებას მიაწერენ, მაგრამ „კეთილსინდისიერი გამოკვლევების ადამიანი დაინახავს, რომ ბუნება არ წარმოქმნის მათ და მართოდენ ჩვენი დაუკვირვებლობით მივაწერთ მას ბუნებასო“²⁸. რუსოს იდეური გავლენა კიდევ უფრო აშკარად ჩანს „წერილებში“ კერძო საკუთრებაზე გამოთქმულ თვალსაზრისში. ანალოგიურად „უთანასწორობის წარმოშობის შესახებ“ ტრაქტატის ავტორისა, რომელიც საკუთრებას თვლიდა პირველშიზღვად „უაზრავ დანაშაულთა, ომთა, მკვლელობათა, უბედურებათა და საშინელებათა“²⁹, ვახტანგის შეხედულებითაც „საკუთრებამ მოუსპო ადამიანებს სიმშვიდე, თავს დაატეხა ათასგვარი უბედურება, იგი იქცა მძიმე ტვირთად“³⁰. მაგრამ ერეკლე მეფის ძე სულაც არ იყო საკუთრების წინააღმდეგი საერთოდ და საზოგადოებაზე საკუთრების ასეთ ზემოქმედებას მისი თვისებიდან გამომდინარე გარდაუვალ მოკვლენად კი არ თვლიდა, არამედ იმის შედეგად მიიჩნევდა, რომ „ადამიანებმა, რომლებიც უმეცრებიდან ჭერ კიდევ მთლიანად ვერ გამოსულან, არ იციან ქეშმარიტი გზა, დაიკმაყოფილან... საზოგადოებათა წარმოშობასა და გამრავლებასთან“ ერთად „შობილი ახალი საქირიობანი და ახალი ვნებანი“ და ამიტომაც „თავიანთ ცინსაყოლილებმა მიმართეს მრავალნაირ უსამართლობას“ და „მყუდროება მიიმალა საზოგადოებრივი ცხოვრების წი-ალში“³¹.

ციტირებული მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ „წერილების“ ავტორი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერებათა და იქ გაბატონებულ მრავალნაირ უსამართლობათა მიზღვად საკუთრებას კი არ აცხადებდა, ანდა მათგან თავდაღწევის საიმედო საშუალებად პირველყოფილი ველური მდგომარეობისაკენ დაბრუნებას კი არ რაცხდა (რასაც მიაწერდნენ რუსოს მისი მოძღვრების უმართებულო გაგების საფუძვალზე და ბევრი მისი მიმდე-

²⁶ Жан-Жак Руссо. Трактаты. გვ. 67.

²⁷ В. П. Волгин. Историческое значение Вольтера. Статьи и материалы. под редакцией академика В. П. Волгина. М.-Л., 1878. გვ. 31.

²⁸ ვ. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 38.

²⁹ Жан-Жак Руссо. Трактаты, გვ. 72.

³⁰ ვ. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 23.

³¹ იქვე, გვ. 22.

ვარი ქადაგებდა კიდეცა), არამედ ადამიანთა განათლების უკმარობას აღიარებდა და ცოდნას სახავდა მოვლენად, რომელიც უჩვენებდა ადამიანებს მოთხოვნათა დაკმაყოფილების კემპარიტ გზას, ასწავლიდა, როგორ დაემორჩილებინათ გონებისათვის „უეიკობით“ გამოწვეული ზღვარდაუდებელი ვნებანი და ეინი.

იმ საკითხთაგან, რომლებზეც ქართულ ტექსტში საერთოდ არაფერია ნათქვამი, ყურადღებას იპყრობს რუსულ ტექსტში წარმოდგენილი შეხედულება სარწმუნოებაზე. ვახტანგი მკაცრად აკრიტიკებს იმ ფილოსოფოსებს. რომლებსაც „საკმარისი გულმოდგინებით“ არ გაურკვევიათ მიზეზი სარწმუნოების სახელით ჩადენილ ბოროტებათა და „კაცობრიობის კეთილდღეობის ერთი წყაროთაგანი“³² არსებულ „უწესრიგობათა და უბედურებათა“ სათავედ მიუჩნევიან. ამ ფილოსოფოსთა შორის, უნდა ვფიქროთ, უწინარეს ყოვლისა, ნაგულსხმევი ვოლტერი, ვინც (იმის გამო რომ მრისხანედ ებრძოდა ფანატიზმს, მკაცრად აკრიტიკებდა ქრისტიანულ რელიგიას, რომელსაც, — ვოლტერის განცხადებით, — თავისი შეუწყნარებლობით ჩვიდმეტი საუკუნის განმავლობაში ჩვიდმეტი მილიონი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, — და კათოლიციზმის წინააღმდეგ ამხედრებულმა საფრანგეთის ეროვნული გმირი ეჟანა დ'არკიც კი არ დაინდო, ეკლესიის მიერ წმინდანად გამოცხადებული მწყემსი ქალი „ორღანელ ქალწულში“ ცინიზმის საგნად აქცია) სარწმუნოების უარყოფელად, ათვისტად იყო აღიარებული. ამავე დროს ვოლტერისათვის ათეიზმიც ისევე მიუღებელი იყო, როგორც ფანატიზმი: „ათეიზმი და ფანატიზმი ორი ურჩხულია, რომლებიც გლეჯენ და ყლაპავენ კაცობრიობას“³³, — აცხადებდა ვოლტერი; და თუ ფანატიზმის წინაშე ათეიზმი ერთგვარ უპირატესობას ანიჭებდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ათეიზმი „თავის ცთომილებაში ინარჩუნებს გონებას, რომელიც კვეცს მას (ურჩხულს. — დ. ლ.) ბრჭყალებს“³⁴. ვოლტერი იმ აზრის იყო, რომ შორალის თვალსაზრისით „მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის“, ვაცილებით უკეთესია „ირწმუნო ღმერთი, ვიდრე არ აღიარო იგი... ადამიანებისათვის აუცილებელია არსებობა ღმერთისა, რომელიც სჯის მას, რაც არ შეუძლია ალკვეტოს ადამიანთა მართლმსაჯულებამ“³⁵ და დაბეჯითებით ამბობდა „თუ სარწმუნოება თავიდან აგვაცილებს ათიოდე მკვლელობას, ცილისწამების ათიოდე შემთხვევას, ათიოდე უსამართლო განაჩენს დედამიწაზე, ვფიქრობ, ასეთი სარწმუნოება უნდა მიიღოს ქვეყანამ“³³. ასე რომ, ვოლტერი, უარყოფდა არა სარწმუნოებას, არამედ ეკლესიურ დოგმას, სარწმუნოებრივ შეუწყნარებლობას, ფანატიზმს, რომელიც შულსა და მტრობას თესავდა მორწმუნეთა შორის. ამ თვალსაზრისით „წერილებში“, ვახტანგი, რომელიც დაუსახელებლად აკრიტიკებს ვოლტერს, არსებითად „ფერენეს პატრიარქის“ მიმდევრად გვევლინება. ვახტანგიც ზნეობრივი თვალსაზრისით განიხილავდა სარწმუნოებას და ზემოკითხიერებულ შეხედულებას („სარწმუნოება არის ერთი წყაროთაგანი კაცობრიობის კეთილდღეობისა...“) ასე აკრძელებს: „... მაგრამ უეიკობაში ჩაძირულმა და დაუოკებელ ვნებებს აყოლილმა ადამიანებმა იგი ოდესღაც ბოროტების იარაღად აქციეს. დროთა ის-

32 იქვე, გვ. 7.

33 Вольтер, Бог и Люди. статьи, памфлеты, письма в двух томах, т. II. гл. 91.

34 იქვე, გვ. 91.

35 იქვე, გვ. 90.

36 იქვე, გვ. 100.

ტორიაში ჩვენ ვხედავთ, რომ პატრიმონიარული ცივილიზაციის და სისხლმწყურვალნი თავიანთ ბილწ წამოწყებებს რელიგიისათვის თავგამოდების საბურველით ფარავდნენ და კაცობრიობის მოდგმას სასიკვდილოდ თავს რომ ესხმოდნენ, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, ღვთის ხმას ვემორჩილებითო“³⁷. ციტირებულა მსჯელობა, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს. იგი ზედმიწევნით გამოხატავს რელიგიის საკითხებზე ეან კლასის დამცველის თეორიულ მოძღვრებასა და მხატვრულ პრაქტიკაში გატარებულ შეხედულებათა პათოსს.

ვახტანგ ბაგრატიონის ტრაქტატის ქართული და რუსული ტექსტების არსებითი განსხვავება (რის გამოც ისინი, მიუხედავად „ეპისტოლეის“ წინასიტყვაობაში ვახტანგის განცხადებისა, — „... შემდგომად აქა (პეტერბურგს. — დ. ლ.) მოსელისა ჩემისა, მე ვაჩვენე იგი („ეპისტოლენი“. — დ. ლ.) აქ მყოფთა ძმათა და სხვათა მცნობთა ქართულთა, რომელთაც მიძღულეს მე, რათა მიმეცა იგი სათარგმნელად და დასაბუქდავდაცა“³⁸, მართებულად არიან მიჩნეულნი ერთისა და იმავე შინაარსის სხვადასხვა ნაშრომად), პროფ. ივანე სურგულაძის შეხედულებით³⁹, გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ერთმანეთისაგან ათი წელი აშორებდა და ამ ხნის განმავლობაში რუსულ ენას დაუფლებულ ვახტანგს, რომელიც, როგორც ცნობილია, ტრიალებდა იმ წრეში, სადაც საქმაოდ პოპულარული იყო ევროპელ განმანათლებელთა იდეები, შეეძლო გაცნობოდა თარგმანთა საშუალებით ამ იდეებს. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ რომ ქართულ ტექსტში ყრუდ გამოთქმული შეხედულებების „უპოქის მალელებელ იდეებად“ მკაფიოდ ჩამოყალიბებისა და გამოხატვის საქმეში საგანგებო როლი მიუძღოდა „ეპისტოლეის“ მთარგმნელს იაგორ კილაშვილს, რომლის 1812 წელსვე, ვახტანგის ტრაქტატის იმავდროულად გამოქვეყნებული ორიგინალური ნაშრომის „ბუნებითი სამართლის მონახაზის“ ზოგიერთი ადგილი, ი. სურგულაძის მართებული შენიშვნისამებრ, სიტყვასიტყვით ემთხვევა „წერილების“ შესატყვის ადგილებს.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის რუსეთში „ბუნებრივი სამართლის თეორიის დემოკრატიული მიმართულების“ თვალსაჩინო წარმომადგენელი და „დეკაბრისტების ერთ-ერთ იდეურ წინაპრად“⁴⁰ აღიარებული იაგორ კილაშვილი (1792—1838), უწინარეს ყოვლისა, განმანათლებელთა მემარცხენე ფრთის ყველაზე რადიკალური შეხედულებების გამოხატველის, ეან-ეაკ რუსოს მიმდევარია. განმანათლებელთა ანალოგიურად იაგორ კილაშვილი სახელმწიფოს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობას რომ აღიარებდა, თავის შეხედულებას ადამიანთა თანასწორუფლებიანობაზე არსებითად რუსოს დებულების პერიფრაზით გამოხატავდა და ამტკიცებდა: „ყველა ადამიანი თავისუფალია, ყველა ადამიანი თანასწორია პირადი თავისუფლებისა და თანასწორობის მიხედვით და, მაშასადამე, არც არავინ არის მოვალე სხვისა, ანდა ერთ-

37 ე. ბატონიშვილის დასახ. „წერილები“, გვ. 7—8.

38 კ. კეიკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. 1113, ფურც. 3.

39 პროფ. ი. სურგულაძემ ნება დამართო ჩერ კიდეე საბუქდ მანქანაზე გაღებუქდავ ხელნაწერში გაცნობილი მის ნაშრომს ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიის საკითხებზე და მომწაწოდა იაგორ კილაშვილის ნაშრომის „Начертание право природного“ ფოტო-ასლი, რისთვისაც გულითად მადლობას მოვასხენებ.

40 БСЭ. т. 47. გვ. 377—378.

საც იმდენი მართებს მეორესი, რამდენიც მეორეს — პირველის⁴¹. როგორც ცნობილია, განმანათლებელთა მიერ წამოყენებული ეს პრინციპი საფუძვლად დაედო საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციის დასაწყისში დამფუძნებელი კრების მიერ მიღებულ „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციას“. რომლის პირველი პარაგრაფის მიხედვით — „ადამიანები იბადებიან თანასწორნი და თანაბარი უფლებები აქვთ“. ხოლო ბოლო პარაგრაფის თანხმად — „საკუთრება არის ხელშეუხებელი და წმიდა უფლება“.

ი. კილაშვილი თავისი ნაშრომის მესამე თავში სიტყვასიტყვით რომ იმეორებდა დეკლარაციის პარაგრაფს საკუთრებაზე — „ყოველი ადამიანის პირადი საკუთრება და თავისუფლება წმიდა და ხელშეუხებელი უნდა იყოს“, დაბეჭდვით აცხადებდა: „მას (ადამიანს — დ. ლ.) ერთადერთს აქვს უფლება — საკუთარი ნებისამებრ მოეპყრას მათ (პირად საკუთრებას და თავისუფლებას)“ და მან ძალით უნდა მოიგერიოს ყოველგვარი თავდასხმა, რომელიც ემუქრება მის პირად საკუთრებას და თავისუფლებასო⁴².

განმანათლებელთა რადიკალური ფრთიდან მომდინარე ამ დებულებას, (რომელიც დღესაც აქტუალურია და მანამდე არ დაკარგავს მნიშვნელობას, ვიდრე იარსებებს საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც უშვებს სხვათა თავისუფლების უკანონო მიტაცებას) განსაკუთრებით ღრმა პროგრესულ-რევოლუციური აზრი ჰქონდა იმ პერიოდში, როცა მსოფლიოს დიდ ნაწილში ადამიანი მონად, ნივთად იყო მიჩნეული, როცა რუსეთის იმპერიასა და სხვა ფეოდალურ-აბსოლუტისტურ სახელმწიფოებში მილიონობით ყმა-გლეხები იყვნენ, ხოლო ბურჟუაზიულ-არისტოკრატიულ ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატების კოლონიებში მონებზე ვაჭრობა იყო გაცხოველებული⁴³.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს „მონახაზში“ მსჯელობა შრომაზე, როგორც პროცესზე ადამიანისა და ბუნებას შორის და ადამიანის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ერთადერთ საშუალებაზე. კილაშვილის მტკიცებით, „ადამიანი ყველა თავის საჭიროებას „იკმაყოფილებს მიწის ნაწარმოებით“, რომელიც მან უნდა „მოიპოვოს, ესე იგი თავის ძალაუფლებას დაუმორჩილოს“, რაც „სხვანაირად არ შეიძლება, თუ არა შრომით“⁴⁴; ამიტომაც იგი მარტოდენ საკუთარი შრომით მოპოვებულ პირად საკუთრებას მიიჩნევს უფლებამოსილად. ადამიანის თანასწორუფლებიანობის აღიარებიდან გამომდინარე ეს ღრმად პროგრესული დებულება უდავოდ წინასაფხურია პრინციპისა — „ეინც არ შრომობს ის არც ჯამს“, რომლის საყოველთაო განხორციელება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

არანაკლებ საყურადღებოა ი. კილაშვილის მსჯელობა განათლებაზე, რომელსაც ტრაქტატში ცალკე თავი ეძღვნება. საპირისპიროდ მოძღვრებისა სამყაროს შეუცნობადობაზე, რომელსაც ისეთი დიდი მოაზროვნე იზიარებდა, როგორც იყო იმანუელ კანტი, ი. კილაშვილი ამტკიცებდა, ადამიანს შესწევს უნარი გარე სამყარო შეიმეცნოსო და განათლების უპირველეს მნიშვნელობად იმას თვლიდა, რომ იგი ავითარებს სწორედ ამ უნარს და საშუალებას გვაძლევს ჩაუუკვირდეთ „ნივთთა ურთიერთკავშირს, შევიმეცნოთ ნივთთა ბუნება

⁴¹ Начертание истории, т. I—IV, М., 1959, гл. 22.

⁴² Там же, гл. 37.

⁴³ Всемирная история, т. I—IV, М., 1959, гл. 22.

⁴⁴ ი. კილაშვილის დასახელებული ტრაქტატები, გვ. 38.

და ადამიანის მყოფობასთან მათი შეფარდება“, ჩაეწვდეთ ჩვენზე ზემოქმედების მქონე „მოვლენათა მიზეზშედევლობობას და ამით დაეუმორჩილოთ ბუნება ჩვენს ძალაუფლებას“⁴⁵.

განმანათლებელთა მოძღვრების პირველ ქართველ პროპაგანდისტთა შეხედულებების ამ ზოგადი განხილვიდანაც აშკარად ჩანს, რომ ეს ქართველი მოღვაწენი რუსეთსა და ევროპაში გავრცელებულ ახალ პროგრესულ იდეებს საქართველოში არსებულ პირობებს რომ უფარდებდნენ, მათ ქართველი ხალხისთვისაც ცხოველმყოფელობას ანიჭებდნენ, რითაც მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ევროპული გზით განვითარებას, მის ყოფა-ცხოვრებასა და კულტურაში ევროპეიზმის დანერგვას.

⁴⁵ იქვე, გვ. 28.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტმა)

ენსტან სულავა

„ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობის საკითხები

(„ვეფხისტყაოსნისა“ და სასულიერო პოეზიის ზოგიერთი პარალელი)

რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროების კვლევის დროს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ღმერთის, როგორც შემოქმედისა და უზენაესი არსების, სახე სასულიერო პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანში“.

ამ შემთხვევაში კვლევის საგანია შემდეგი: რამდენად არის დამოკიდებული რუსთაველის პოემის შემოქმედი ღმერთი ჰიმნოგრაფთა შემოქმედებაში ასახულ ღმერთზე, რა ნიშნებით ემსგავსებიან ისინი ერთმანეთს და რაში მდგომარეობს მათ შორის განსხვავება.

რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში გაზიარებულია ის აზრი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პირველ სტროფში გამოთქმულია ბიბლიურ-კრეაციონისტული შეხედულება სამყაროს შექმნის შესახებ. რუსთაველის ღმერთი არის სამყაროს, არსის, ქვეყნის, „სახის ყოვლისა ტანისა“, კეთილის შემოქმედი, მიწნურობისა და მზის დამბადებელი.

ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში ერთ-ერთი ძირითადია ბიბლიური დებულება ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის შესახებ. „ფსალმუნის“ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „რომელმან ქმნა ცანი გულისკმის-ყოფით, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი; რომელმან დაამტკიცა ქუეყანაჲ წყალთა ზედა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი; რომელმან ქმნა ნათელნი დიდ-დიდნი მხოლომან, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი; მზე მტლობელად დღისა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი; მთოვარე და ვარსკულავები ქელმწიფებად ღამისა, რამეთუ უკუნისამდე არს წყალობაჲ მისი“¹; „რომელმან ქმნა ცანი და ქუეყანაჲ, ზღუაჲ და ყოველი, რაჲ არს მას შინა; რომელი იმარხავნ ქეშმარიტებასა უკუ“². ბიბლიური დავითის ღმერთი არის სამყაროს შემქმნელი, შემოქმედი. სამყაროში იგულისხმება, პირველ რიგში, ცა და ციური სხეულები -- მზე, მთოვარე და ვარსკულავები, შემდეგ კი დედამიწა ყოვლითურთ, „რაჲ არს მას შინა“, ე. ი. ზღვა, მთა, „წყარონი და მდინარენი“; შემოქმედი ღმერთისაგან არის დღე და ღამე, ნათელი და მზე; მხოლოდ ამის შემდეგ შექმნა „ცხოვრებაჲ შორის ქუეყანასა“, ე. ი. სიცოცხლე გააჩინა დედამიწაზე, შექმნა პირველი მაგალითები, პირველი ნიშნუები ადამიანისა, ბიბლიის მიხედვით, ადამი და ევა. მაშასადამე, „ფსალმუნის“ ღმერთი არის ხილული და უხილავი სამყაროს შემქმნელი, შემოქმედი. სამყაროში შედის უძრავი და მოძრავი არსნი, ე. ი. ციური სხეულები და ღვთისაგან მინიჭებული სიცოცხლის მატარებელნი.

¹ ფსალმუნი, მ. შანიძის რედ., თბილისი, 1960, 135, გვ. 375—376.

² იქვე, გვ. 400, 145.

სამყაროს შემოქმედად გაიხზრა აგრეთვე ქრისტიანულმა სასულიერო მწერლობამ ღმერთი. მაგრამ, როგორც ცნობილია, არის გარკვეული სხვაობაც ბიბლიურ და ქრისტიანულ ღმერთს შორის. ბიბლიური ღმერთის მიერ განხორციელებული შესაქმე არის ერთპიროვანი და ერთგვამოვანი ღმერთის შესაქმე, რადგან, ბიბლიის მიხედვით, სამყაროს ქმნის ღმერთი — ერთპიროვანი და ერთგვამოვანი, რომელსაც სხვა ჰიპოსტასები არა ჰყავს, მაგრამ ისინი მის პოტენციაში არსებობენ. ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სამყარო არის შემოქმედება ღმერთისა — წმიდა სამებისა, სამჰიპოსტასიანი, სამგვამოვანი ღმერთისა. სასულიერო პოეზიის მიხედვით, მზე და ცის ყველა მნათობი „არა ღმერთ არიან“, არამედ ღმერთის მიერ შექმნილი, რადგან სამყარო გული-სხმობს სწორედ იმას, რომ იგი შედგება ცისა და ციური მნათობებისაგან, ე. ი. უძრავი ცაა სამყარო. იოანე მტბევარის საგალობელი იწყება შემდეგი სიტყვებით: „რომელმან სიბრძნით დაჰბადნა ცანი მალაღნი ძალითურთ და შექმნა ქუეყანაჲ ყოველით თანა მკვდრითურთ; ძელსა ზედა უშუქლოთ მიერ ნეფსით დამოეკიდა და დაბადებულნი მისგან ზარგანკიდილნი შეძრწუნდეს და ზეცას უჭორცონი ძრწოლეს“³. მსგავსი აზრი ხშირად არის გამოთქმული ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, რომელთა ციტირება შორს წაგვიყვანდა.

მსგავსად ბიბლიისა, ძველი ქართული სასულიერო პოეზია სამყაროდ მიიჩნევს ცისა და ქვეყნის ერთიანობას, მათი გათიშვა არ შეიძლება.

რუსთაველის პოემის პირველი სტროფიც ასევე ღმერთს აღიარებს შემოქმედად:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქეს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოელი ხელმწიფე სახითა მის მერითა⁴.

„ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი ღმერთის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულება. ზოგი მას მიიჩნევს წარმართულ ღმერთად, ზოგი ნეოპლატონურად და კიდევ სხვა რელიგიისა თუ მიმართულების ღმერთად. ზოგიც არისტოტელეს ფილოსოფიის გამოძახილს პოულობს მასში. არისტოტელეს ფილოსოფიისა და მისი სახესხვაობის — არაბული არისტოტელიზმის — დანახვა პოემაში, ჩვენი აზრით, არ არის გამართლებული თუნდაც იმიტომ, რომ არისტოტელეს ფილოსოფია არ იცნობს შესაქმნის პროცესს, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში სწორედ შესაქმეზეა საუბარი, ასევე, ნეოპლატონიზმიც გამოირიცხავს შესაქმნის, არ აღიარებს ღმერთს შემოქმედად, სამყარო მას ღმერთის შემოქმედების ნაყოფად კი არ მიაჩნია, არამედ ემანაციად, ე. ი. ღვთაებრივი საწყისიდან გამომდინარეობს სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონითაც სამყარო „ესე ცაჲ არს უძრავი და მყარი გარეგან სხვათა ცათა. სამყარო ცა არს უძრავი და განუზომელი, რომელსა ზედა არს სასუფეველი და მკედრობა ცათა (ძალნი ცათანი)“⁵.

სამყარო, თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებით, არის „ყოველთა ცათა გარეგან მყოფი, უზენაესი, მტკიცე და უფრცელესი ყოველთა ცათა ზედა. მყარი, სამყარო ქართული ლექსია. სამყაროსა უძრავად ცად რაცხენ, ესე არს

3 მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებული, S—425, გვ. 365.

4 „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი მოგვყავს 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

5 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ქართული ლექსიკონი, 11, თბილისი, 1966, გვ. 44.

ცაჲ უძრავთა ვარსკჳლავთა; მყარი — უმტყიცესი და უმაგრესი ყოველთა ნიეთთა ზედა“⁶.

სასულიერო პოეზიისა და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის მიხედვით, სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი, რომელმაც ყოველივე შექმნა „არარაჲსაგან“, ე. ი. არაფრისაგან. იგი იწოდება სიბრძნედ, სიტყუად, რაც ახალ აღთქმაშიც დასტურდება (იოანე, 1,1). ქართულ სასულიერო პოეზიაში ღმერთისა და სამყაროს შექმნის აზგვარი გაგება შემთხვევითი პოეტური გამოთქმა არ არის, ღმერთისადმი ასეთი მიმართვა გაქვეყნებული ფორმაა, მას ზნირად ვხედვით მთელ რიგ საგალობლებში. სასულიერო პოეზიაში გავრცელებულ ფორმულას სამყაროს კრეაციონისტული წარმოშობის შესახებ ცვლილება არ განუცდია რუსთაველის პოემაში, ოლონდ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი პოეტი უფრო ნათლად და პოეტურად აყალიბებს იმ გამოთქმებს, რომლითაც შესაქმნა ნაგულისხმები.

მაშასადამე, სასულიერო პოეზიისა და „ვეფხისტყაოსნის“ პირველი სტროფის მიხედვით. შემოქმედი ღმერთის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს სამყარო — ზეცა, უძრავი ცა და ვარსკვლავები, მნათობები.

სამყაროს შექმნის შემდეგ ღმერთმა „არსნი ყენა“. არსი, სასულიერო პოეზიისა და „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, გულისხმობს ამქვეყნიურ და ზენა არსებებს⁷. რუსთაველს ღმერთის შემოქმედების ნაყოფად მიაჩნია მიწიერი და ზეციური არსებანი და ეს აზრი სავევებით ეთანხმება ბიბლიურ-ქრისტიანულ მწერლობას შესაქმნის საკითხში.

(ღმერთმა მისცა ადამიანებს მრავალფეროვანი უთვალავი ქვეყანა, ე. ი. დედამიწა, რომელიც მხოლოდ ადამიანთათვისაა განკუთვნილი. ჭერ კიდევ სასულიერო პოეზიის პირველ ნიმუშში „ფსალმუნში“ ვხვდებით ამ აზრის დადასტურებას: „ცანი ცათანი უფლისანი არიან, ხოლო ქუეყანა მოჰსცა ძეთა კაცთასა“ (113,24).) სასულიერო პოეზიაში მრავალგზის ვხვდებით მსგავს ადგილებს. (შემოქმედი ღმერთისაგან არის შექმნილი „ყოვლი ხელმწიფე“ მისივე მსგავსი სახითა და ხატით) აქ გამოთქმული შეხედულება ადამიანის ღვთის სახისა და ხატის მსგავსად შექმნის შესახებ სავევებით ემთხვევა ბიბლიურ შეხედულებას ადამიანის შექმნის შესახებ, რაც შემდეგში ქრისტიანულმა პოეზიამ აითვისა და შეისისხლხორცა. ღმერთმა შექმნა ყოველი ხელმწიფე და მის მიერ შექმნილი (თითოეულ ხელმწიფეს აქვს ღმერთის სახე) მაშასადამე, ხელმწიფეში. როგორც ყოველ ჩვეულებრივ ადამიანში, არის ღმერთბრძივი ნიშნები: გონება, სასულიერო უკვდავება, მისი თავისუფალი ნება. ამით ემსგავსება ყოველი ადამიანი ღმერთს; ეს თვისებები, ეს ნიშნები არის თითოეულ ადამიანში და ამით არის იგი ღმერთბრძივი სახის მქონე. ღმერთის მიერ შექმნილი ხელმწიფე ამ ქვეყანაზე არის „ღმრთულებრ“ ძლიერი, რადგან ღმერთი ადგენს და აყენებს მეფეს ხალხისათვის; მეფობა ღმერთისაგან არის ნაბოძები, მეფე ღმერთის ხელისუფალი მოადგილე ცალკეულ სამეფოში; მას ანიჭებს ხელისუფლებას, ძალას, სახელს და დიდებას; თვით ღმერთი ხდის მეფეს მირონცხებულად და ამ მეფეთა მეშვეობით თავად განაგებს სამეფოებს. ამიტომაცაა, რომ ღმერთის მიერ დადგენილი ყოველი ხელმწიფე ღმერთის სახისა და ხატის მსგავსია, რაც, ბიბ-

⁶ თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გ. იმედაშვილის რედ., თბილისი, 1960, გვ. 3.

⁷ ნ. სულავა, ვეფხისტყაოსნის „არსთა მხელი“, „მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1975, № 3.

ლიის გარდა, დასტურდება ქრისტიანულ დოგმატიკასა და სასულიერო პოეზიაში. „ღმერთმან შექმნა კაცი ხატად და მსგავსად თვისად“ (მოსე); „უფალმან შექმნა კაცი... და ხატისაებრ თვისა ჰყო იგი“, ნათქვამია ბიბლიაში. შემოქმედმა ღმერთმა თავის ხატად და მსგავსად დაბადა ადამი, რომელიც სიცოცხლესა და სიკვდილს შორის შუამდგომია, რომლის განახლების მიზნით მოავლინა აპქეყხად ადამიანად ღმერთი — ძე თვისი — იესო ქრისტე. „განსაკრეული ხილვად იხილვა დღეს იორდანეს, დამბადებელი ეტყოდა დაბადებულსა თვისსა, ვითარმედ ჭერ არს ჩემდა აწ ნათლისღებაჲ კორცთა, რაჟთა სოფლისა მნებაჲს განწმედაჲ და მორწმუნეთა შემოსად უხრწნელებად, რაჟთა კუალად განეახლო, რომელი ხატად ჩემდა დაეპბადე პირველ და გალობით მადიდებენ“⁸. „სიბრძნე ღვთისაჲ მოვიდა ზეცით, სიტყუაჲ ძლიერი და კელმწიფე, და დიდისა ზრახვისა ანგელოზი გამოჩნდა ხატითა ჩუენითა, ხატი და თანაგანგებაჲ მამისაჲ, საუკუნეთა იგი მთავარი იქმოდა სასწაულთა ერსა შორის ჰურიათასა, რომელნი სხუამან არავინ ქმნა“⁹.

ჩაცხონა კაცი, ხატად თვსად შექმნილი,
ნათესავითურთ ნათლისღებისა შიერ!
ცათა მფლობელი, სიტყუა, დამბადებელი,
ხატი და ბრწყინვალება ღმრთისა მამისა
ადამიანთა განხრწნილთა განახლებს¹⁰, —

ვეითხულობთ გიორგი მთაწმიდლის იამბიკოში./

„ვეფხისტყაოსნის“ პოლიტიკური და იურიდიული მოძღვრება მეფობის ღვთაებრივ წარმოშობაზეა დამყარებული: ღმერთის ნებით არის მეფე დადგენილი და მისგან არის მეფე სვიანი და ბედნიერი, როგორც ეს როსტევეან მეფეზეა ნათქვამი: „იყო არაბეთს როსტევეან მეფე ღმრთისაგან სვიანი“. ხელმწიფეს ღმერთისაგან უნიჭება ძლიერება, რომელიც ღმერთის ძლიერების მსგავსია, რასაც მოწმობს ტარიელის სიტყვები: „მეფე ინდოთა არისმცა ღმრთულებრ ძლიერი!“ (380,2). მაშასადამე, ღმერთმა შექმნა ყოველი ხელმწიფე და დაადგინა იგი ქვეყნის მმართველად ღმრთისაგანვე გამომდინარე სახით. ყოველი ხელმწიფე ღვთისაგან არის დადგენილი, როგორც მისი ხატება და მსგავსება. ეს დებულება მომდინარეობს ბიბლიიდან, რაც არაერთხელ მეორდება სასულიერო მწერლობაში.

როგორც ცნობილია, რუსთაველის პოემის ზოგიერთი მხატვრული სახე გენეტიკურად ბიბლიას უკავშირდება, თუმცა შესაძლებელია, რომ პოეტმა ისინი სასულიერო მწერლობაში გაღიზიანებების შედეგად გამოიყენა. ამის გამოა, რომ ეს მხატვრული სახეები თუ ხატოვანი სიტყვა-თქმანი კარგავენ თავიანთი პირველწყაროს ელფერს და ნაწარმოების იდეურ-შინაარსობრივი მიზანდასახულობის გამომხატველ ორიგინალურ და ემოციურ სახეებად წარმოგვიდგებიან. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის ღმერთი არის შემოქმედის „სახის ყოვლისა ტანისა“:

ჲ ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა,
შენ დამიფარე, ძლევა მეც დორჯუნეად შე სატანისა,
ზემეც მიჩნურთა სურელი, სიკვდიდმღე გასატანისა,
კოდათა შესუბუქება, შენ თანა წასატანისა.

⁸ S—425, გვ. 190.

⁹ Sin—75, v—171.

¹⁰ ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, ს. ყუბანეიშვილის გამოც., 1946, გვ. 353.

აქ წარმოდგენილი ღმერთი შემქმნელია, შემოქმედია. ღმერთმა შექმნა მატერია და მისი სახე, შექმნა ყოველი ტანი და მასთან ერთად მისი სახე. მ. გოგიბერიძის შეხედულებით, ღმერთი, როგორც შემოქმედი ძალა, რუსთაველთან მოცემულია არაბული არისტოტელიზმის მიხედვით. „რუსთაველის ცნობილი გამოთქმა „ჰე ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“ ავიცენას ფილოსოფიური დოგმის მხატვრულ გადმოცემას წარმოადგენს. მონოთეიზმის აღიარების გვერდით აქ გამოთქმულია აზრი, რომ ღმერთმა შექმნა ფორმა (სახე). ყოველი მატერიისათვის მას მხოლოდ სახე, ანუ ფორმა, მიუცია. უნდა ვიგულისხმობთ, რომ შემოქმედების მასალა, ე. ი. მატერია, ყოველთვის იყო და იქნება. არ შეიძლება რუსთაველს ავიცენას სკოლიდან გამომდინარე არაბული ფილოსოფია არ სცოდნოდა და ეს ისე დაეწერა. დიდი ფილოსოფოსი ავიცენა არისტოტელეზე დაყრდნობით ასწავლიდა, რომ ღმერთი არის ძალა, რომელმაც „ტანი“, ანუ მატერია, გააფორმა. თვითონ ტანი კი არის პირველადი არსებობა. იგი არ შეუქმნია ღმერთს, იგი არც სულის ფუნქციაა. იგი არის ის, რაც ყოველთვის იყო და იქნება“¹¹. (მ. გოგიბერიძის ამ შეხედულებას ეყრდნობა და ავითარებს ე. ხინთიბიძე, როცა ასკვნის, რომ „ვეფხისტყაოსნის მეორე სტროფის პირველ ტაეპში რუსთაველი მიმართავს ღმერთს: ღმერთო, შენ ხარ ყოველი სხეულის ფორმის ანუ სულის შემქმნელი. და არძღენადაც ყოველი სული ღმერთის შექმნილია, პოეტი ევედრება უფალს, მისი სული შეინდოს, დაიფაროს, ბოროტი დაათრგუნინოს, ცოდვები შეუმსუბუქოს“¹², რუსთაველი სიტყუასიტყვით არ იმეორებს არისტოტელეს შეხედულებებს, იგი არისტოტელეს აზროვნებას ქრისტიანულ დოგმატიკასთან ათანხმებს. ე. ხინთიბიძის მსჯელობის თანახმად, პირველ სტროფში საუბარია სამყაროს შექმნაზე, მეორეში კი — პოეტის სულზე. პირველში ღმერთი სამყაროს შემქმნელადაა გამოცხადებული, მეორეში — სულის შემქმნელად. მკვლევრის აზრით, „სახე ყოვლისა ტანისა“ უთუოდ ცოცხალი სხეულის სულს გულისხმობს, რომელიც ღმერთის მიერაა შექმნილი.

ზოგიერთი მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფის განმარტებისას ეყრდნობა ბიბლიურ-კრეაციონისტულ შეხედულებას სამყაროსა და მის ბინადართა შექმნის შესახებ. ი. ლოლაშვილი აკრიტიკებს შ. ნუცუბიძის შეხედულებებს რუსთაველის პანთეისტობის შესახებ და ასკვნის, რომ „სახე ყოვლისა ტანისა“ ნიშნავს არა „სამყაროს ყველა სხეულის ფორმას“, არამედ „ყოველი ცოცხალი ორგანიზმის სახეს“, ხოლო ტაეპის შინაარსი ასე უნდა გაეიგოთ: „ჰეი შენ, ერთო ღმერთო, შენ შექმენ ყოველი ცხოველის ნიშუში“¹³. მკვლევარი იზიარებს „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ „შექმნა ყოვლისა ტანისა“ არის „ქრისტიანული ფილოსოფიური თეოლოგიის დებადი“. ა. გაწერელია მეორე სტროფის პირველი ტაეპის შესახებ ამბობს: „ღმერთმა რომ „ყოველი ტანის სახე“ შექმნა (თავისავე სახისამებრ) ეს კაცობრიობამ იცოდა ათასეულ წლების წინ“¹⁴. მკვლევარ-

¹¹ მ. გოგიბერიძე, უზენაესი არსების ცნება „ვეფხისტყაოსანში“, კრ. „რუსთაველი, პეტრიწი, პრეზიდენტი“, ი. მეგრელიძის რედ., თბილისი, 1961, გვ. 58—59.

¹² ე. ხინთიბიძე, „ვეფხისტყაოსნის“ „სახე ყოვლისა ტანისა“, „მაცნე“, ვენისა და ლიტერატურის სერია, 1970, № 4, გვ. 154.

¹³ ი. ლოლაშვილი, რუსთაველის მსოფლმხედველობის ისტორიული და ეროვნული საწყისები, საიუბ. კრ. „შოთა რუსთაველი“, 1966, გვ. 67.

¹⁴ ა. გაწერელია, რუსთაველის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნების ზოგიერთი საკითხი, „ცისკარი“, 1970, № 8, გვ. 117.

რი აქ ყურადღებას ამახვილებს „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის ტრინატარისტობის შესახებ და ნათლად ამბობს იმასაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „სახე ყოვლისა ტანისა“ ბიბლიურ გაგებას შეიცავს და პირველსხეულის, ზეციური ადამის — ადამიანის პირველი მაგალითის შექმნას გულისხმობს. ზ. გამსახურდია ასევე, რომ მეორე სტროფის „სახე“ შექმნილი სახეა. პროლოგის პირველი სტროფიდანვე თვალსაჩინოა პოეტის ქრისტიანული, ბიბლიურ-კრეაციონისტული თვალსაზრისი, პირველ სტროფში საუბარია ცისა და ქვეყნის შექმნაზე, ყველა არსის შექმნაზე, რომლებშიაც შედის აგრეთვე ადამიანი. ასე რომ, სულთა შექმნაზე საუბარი ავტორმა დაასრულა პირველ სტროფში. ბიბლიურ-ქრისტიანულ ღმერთს სული ცალკე არ შეუქმნია; იგი შექმნა ადამიანთან, ხორციელ არსებთან ერთად. ეს შეხედულება განსხვავდება პლატონისა და არისტოტელის შეხედულებებისაგან სულის წარმოშობისა და არსებობის შესახებ. ნეორე სტროფში რუსთაველი მსჯელობს პირველი ადამიანის სხეულის შექმნაზე, რომელიც არის „სახე ყოვლისა ტანისა“. იმის გამო, რომ „ყოველი ტანი“ ცოდვითდაცემის პროდუქტია, რაც უარყოფითმა ძალამ გამოიწვია, ხოლო „სახე“ — ამ ტანებისა, ანუ პირველსხეული, ღვთის წმინდა შემოქმედებაა, მასში არ ურევიან მოწინააღმდეგე ძალის ხელი. ამ ტაქსს მოსდევს თხოვნა, რომ სატანისაგან დაიფაროს და მასზე გაიმარჯვოს, რადგან სატანისმიერა ცდუნება სწორედ ცოდვითდაცემას უკავშირდება, რის შედეგადაც აქვთ ადამიანებს ამჟამინდელი „ტანები“, რომელნიც უაღრესად დაშორდნენ „სახეს“, ექშმარიტ იდეალს სხეულებრიობისას. ამიტომ არაა პირველ სტროფში სატანა ნახსენები, რადგან იქ ცოდვითდაცემასა და სხეულზე ჭეკაც არ არის საუბარი¹⁵. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სტროფში ღმერთი არის შემოქმედი, შემქმნელი ტანთა „სახისა“, ანუ პირველსხეულისა. პირველსხეულის შემოქმედი ღმერთი ბიბლიურ-ქრისტიანულია, რასაც ადასტურებს სტროფის მომდევნო ტაქებიც, სადაც პოეტი ღმერთს სატანის დათრგუნვასა და ცოდვათა შემსუბუქებას ვეადრება.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთის შემოქმედების ნაყოფია „სახე ყოვლისა ტანისა“, რაც გულისხმობს პირველსხეულს, პროტოტიპს, არქეტიპს, პირველ მაგალითს, პირველ ნიმუშს ადამიანისას — ადამს, რომლის შექმნა უკვე დასრულებულია.

მამასადამე, „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის შემოქმედი სამყაროსი, ამქვეყნიურ და ზეციურ არსთა, „უთვალავი ქვეყნისა“, პირველსახისა, ადამიანთა პროტოტიპისა, პირველსხეულისა, მისი ხატებისა და სახის მსგავსი ხელმწიფისა. შემოქმედი ღმერთი იფარავს პოეტს და ათრგუნვინებს სატანას, აძლევს „მიჯნურთა სურვილს“ და „მუნ თანა წასატან“ ცოდვებს უმსუბუქებს. „ვეფხისტყაოსანში“ მოცემული კრეაციონისტული შეხედულება შესაქმნის შესახებ ზუსტი თანამიმდევრობით ემთხვევა ბიბლიურ შესაქმნეს, რაც ასახავს პოელობს შემდგომი დროის სასულიერო მწერლობაში. ღმერთმა შექმნა ჭერ სამყარო — უხილავი და ხილული, შემდეგ სამყაროს არსნი — ხორციელი და უხორციო არსნი — ყენა ზეცით მონაბერი სულით, ამის შემდეგ რუსთაველი კონკრეტულად აღნიშნავს ქვეყნის — დედამიწის — შექმნას, რომელიც ადამიანთათვისაა („კაცთა“) განკუთვნილი; და, ბოლოს, აღნიშნავს ხორციელ არს-

¹⁵ ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე, „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 2, გვ. 48.

თა — ადამიანთა — ზოგადი სახისა და კონკრეტულად ხაზს უსვამს ხელმწიფის შექმნას.)

ღმერთის გარეშე არ იბადება ადამიანი, ადამიანის შესაძლებლობას აღემატება ადამიანის გაჩენა. „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი მზედ ბაღებს ადამიანს, მაგრამ მზედ დაბადებული და გაჩენილი ადამიანი განსხვავდება ჩვეულებრივ ნოკვდაეთაგან, რადგან იგი ღმერთის რჩეულია, რომელსაც განსაკუთრებული ბედიც არაგუნა. რჩეულ ადამიანებს — ტარიელს, ავთანდილსა და ფრიდონს — რუსთაველი ღვთის დანაბადად მიიჩნევს, რომელთა მსგავსს სხვას არავის დაბადებს და გააჩენს. „ვეფხისტყაოსანში“ ღმერთი ხშირად არის შემოქმედად დასახელებული. ნესტანის სილამაზით დატყვევებულ ტარიელი ავად გახდა. როდესაც ცნობა დაუბრუნდა, მაშინ შემოქმედს შეევედრა ტანჯვის გაძლების უნარი მიეცა: „თმობა ვსთხოვე შემოქმედსა, ვკაადრე სიტყვა სამუდარი“ (346.4).

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის მიჯნურობის დაპბადებელი; ავთანდილის ლოცვაში ნათქვამია:

ღმერთო, ღმერთო, გვაგები, რომელი ჰულომ ქვენათ ზესსა,
შენ დაპბადე მიჩნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
შე სოფელმან მოპამორვა უეფთესსა ჩემსა მზესა,
ნუ ამოფხერი სიყუარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა! (801).

ცნობილია, რომ მიჯნურობის დამბადებლად მხოლოდ ქრისტიანული ღმერთი არ არის მიჩნეული. მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება კონტექსტს უნდა მივაქციოთ, როგორი ლექსიკური ერთეულებითაა ღვთაება გამოხატული და ეს ეპიოტები რომელ ღვთაებას მიეკუთვნება. კონტექსტისაგან და საერთოდ პოემისაგან მოწყვეტით განხილვა იმ საკითხისა, რომელი ღმერთი იგულისხმება პოემაში მიჯნურობის დამბადებლად, მართებული არ იქნებოდა. არა მხოლოდ ავთანდილის ლოცვა, სადაც ღმერთი მიჯნურობის შემოქმედადაა მიჩნეული, არამედ მთელი პოემის შინაარსისა და თემატიკის გათვალისწინებაა საჭირო ამ საკითხის გასარკვევად. ზემოთ მოყვანილი სტროფი არის ავთანდილის ლოცვის ერთი ნაწილი, სადაც ავთანდილი „ქვენათ ზესს“ მფლობელ ღმერთს, რომელიც მიჯნურობის დამბადებელი და მისი წესის დაწესებელი ყოფილა, ევედრება, რომ მის მიერ (ე. ი. თინათინის მიერ) დათესილი სიყუარული არ აღმოფხერას ქალის გულში. ავთანდილი არაბია და მისი ლოცვა უნდა იყოს მაჰმადიანური, ავთანდილმა უნდა ილოცოს მიზგითაში მაჰმადიანურად, მაგრამ მაჰმადიანმა რომ ისე ილოცოს მიზგითაში, როგორც ავთანდილი ლოცულობს, მას გამოაძევებდნენ იქიდან, შეაჩვენებდნენ და ჩაქოლავდნენ კიდევ. ავთანდილის ლოცვა არის ქრისტიანის ლოცვა ქრისტიანულ გარემოსა და ქრისტიანულ ტემარში¹⁵.

...მალალო ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიუთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურელთა, მფლობელო გულისთქმათაო! (800)

ავთანდილის აზრით, ღმერთი უცნაურია, შეუცნობელია და, ცხადია, მის არსებას ადამიანი ვერ გამოთქვამს. ღმერთი ადამიანთათვის უცნობია და ადამიანთა გაგებისათვის მიუწევდომელი, ამიტომაც არ შეიძლება მისი გამოთქმა, ამიტომ არის იგი უთქმელი. ავთანდილმა ღმერთს გამოუთქმელი კიდევ უწოდა ფატმანთან ყოფნისას:

¹⁵ H. M a r p. об истоках творчества Руставели. 1964. გვ. 129.

... ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჰირთა მოპალხენელი,
 ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
 წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩვენი გარდომოფენელი! (1238)

უცნაური, უთქმელი და უფალი უფლებათა ხშირად იხმარება სასულიერო პოეზიაში ღმერთის ეპითეტებად. „რომელი ნისლსა შინა ეჩუენა მოსეს უცნაურად, ღმერთი მაღალი გამოჩნდა იორდანეს“, ნათქვამია იოანე ქონქოზისძის აბოს საგალობელში. „საკვირველ იქმნა ცნობაჲ შენი ჩემგან, განძლიერდა და ვერ შეუძლებდა მას“¹⁶. „უფალო, რაჲ არს კაცი, რამეთუ ეცნობე მას, ანუ ძე კაცისაჲ, რამეთუ შერაცხე იგი“¹⁷. მოცემულ ციტატებში ნათქვამია, რომ კაცს, მოკვდავ ადამიანს, ღმერთის შეცნობა არ ძალუძს. ღმერთი კაცისათვის არის „უცნაური“, ე. ი. შეუცნობელი, უცნობი, არცოდნისი. ადამიანს შეუძლია გაიგოს მხოლოდ ის, თუ რა არ არის ღმერთი. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ღმერთს მისივე ქმნილებების მიხედვით იცნობს, მისი არსების გაგება მაინც არ შეუძლია. წმიდა მამათა მოძღვრების მიხედვით, კაცის გონებას შეუძლია ქვეყნიერების ხილვით, რომელსაც თავისთავში არა აქვს თავისი არსებობის მიზეზი, არამედ ღმერთის მიერაა შექმნილი, შეიცნოს ღმერთის არსებობა, მაგრამ ადამიანის შესაძლებლობას აღმატება მიიღოს სრული ცნობა იმისა, თუ რა არის ღმერთი. ღმერთის უცნაურობა, ანუ ადამიანის მიერ ღმერთის არსების არცოდნა, გრიგოლ ნაზიანზელის მოძღვრების მიხედვით, მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს. ღმერთის შეუცნობლობის, ადამიანთა გონებისათვის მისი მიუწვდომლობის აზრი თავდაპირველად ძველ აღთქმაში გამოითქვა, რომელსაც ემყარებიან ეკლესიის წმიდა მამები. (მ. გიგინეიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მოძღვრება უცნაური და უთქმელი ღვთაების შესახებ. რომელიც ეპოქაში მოექცა და განსხეულდა, ბიბლიის ფარგლებს სცილდება. მას მოჰყავს სათანადო ადგილი „საქმე მოციქულთადან“ (XVII, 23—24), სადაც ნათქვამია, რომ „მოციქული წარმართ ათენელებს ახარებს იმავე ღმერთს (ცხადია, ქრისტეს), რომლის ბორონსაც ისინი ემსახურებიან, როგორც უცნაურ (შეუცნობელ) ღმერთს. ქრისტიანობისა და წარმართობის ბრძოლის მიუხედავად ახალ აღთქმაში ასეთ ფაქტს ვაწყდებით“¹⁸.)

სასულიერო პოეზიის უთქმელი და უფალი უფლებათა არის ქრისტე ღმერთი. ღმერთი არის გამოუთქმელი, ადამიანის გონება ვერ შესწვდება მას, ასმათის სიტყვით რომ ვთქვათ, იგი „არ ითქმის კაცთა ენითა“. ამ ეპითეტებით სასულიერო პოეზიაში ქრისტე ხასიათდება, რომელიც უხილავია და ხილულთა დამბადებელია; იგი განსხეულებამდე, განკაცებამდე იყო სიტყვა, დაუსაბამო ღმერთი, უხილავი და გამოუთქმელი, განსხეულების შემდეგ გახდა ქრისტე ხილული, როგორც კაცი, მხოლოდ სხვა თვისებები ღმერთისა შეინარჩუნა მან; ქრისტე — უფალი უფლებათა, უცნაური და გამოუთქმელი ღმერთი — ქალწულისაგან იშვა, რათა „აეხოვნოს კაცი“, რომელიც თავის ხატად და მსგავსად შექმნა. როგორც დასტურდება, შექმნის პროცესი ძე ღმერთსაც, ქრისტესაც, მიეწერება. უფალი უფლებათა, რომელიც არის „მფლობელი ცა-

¹⁶ ფსალმუნნი, 138,6; გვ. 100.

¹⁷ იქვე, 143,3; გვ. 101.

¹⁸ მ. გიგინეიშვილი, „ზოიანი ღამე“ ეფესიტყაოსნისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი, კრ. „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“, III, თბილისი, 1963, გვ. 31—32.

თაჲ, შემოქმედი ზღუთაჲ და მპყრობელი ქუეყანისაჲ“, ადამიანის სახით („მონათა მსგავსებითა“) მოგვევლინა, იორდანეში მოინათლა იოანე ნათლისმცემლისაგან, მისი მონისაგან, როგორც გვაუწყებს ახალი აღთქმა და სასულიერო მწერლობის ყველა დარგი. უქამო ღმერთი მოექცა ქაშში და თავისი ნებით ეცვა ქვარს; ეს ღმერთია უფალი უფლებათა, უცნაური და უთქმელი. ქვარცმული ღმერთი კი. ქრისტიანული ღმერთის გარდა, სხვა არ ყოფილა.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოთქმის — „უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“ — უშუალო წყარო ქართულ სასულიერო მწერლობაში დამუშავებული ფორმულაა და ხშირად ვხვდებით ორიგინალურ საგალობლებში სხვადასხვა ვარიაციით. იგი ღვთაებისადმი მიმართვის გაქვევებულ ეპითეტს წარმოადგენს, რომლის ქრისტიანული წარმოშობა და პოემაში მისი გამოყენების ქრისტიანული ხასიათი ექვს არ უნდა იწვევედეს. პოემის „უცნაური“, „უთქმელი“ და „უფალი უფლებათა“ ქრისტიანულ ღმერთს უნდა გულისხმობდეს.

801-ე სტროფში ავთანდილი სოფელს ემდურის, რადგან იგი „სოფელმან მოაშორვა უკეთესსა მისსა მზესა“, ხოლო ევედრება მოწყალე ღმერთს, რომ თინათინისაგან დათესილი სიყვარული არ აღმოფხვრას ქალის გულში. ამ მოწყალე ღმერთს დაუბადებია მიჯნურობა და დაუდგენია მისი წესი, იგი ფლობს ყოველივეს ქვესკნელიდან სამყაროს უზენაეს საფეხურამდე. როგორც ცნობილია, ბიბლიური ღმერთი მკაცრია, დამსჯელია, კაცთმოძულეა, ხოლო ქრისტიანული ღმერთი არის მოწყალე და კაცთმოყვარე, რომელიც ადამიანთა მოდგმას ყოველგვარი გასაჭირისაგან იხსნის. სწორედ ქრისტიანულ ღმერთს, რომელიც მიჯნურობის დამბადებელია, ეაჩება ავთანდილი სიყვარულის გახანგრძლივებას.

„ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი არის კეთილის შემოქმედი და ბოროტის არდამბადი. რუსთაველი ნესტან-დარეჯანის ქაჩთაგან განთავისუფლების შემდეგ ამბობს:

ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დიუნოს გააცხადებს:
 ღმერთი კარგსა მოველინებს და ბოროტსა არ დაბადებს,
 ავსა წამერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააქვლადებს,
 თავსა მისსა უკეთესსა უზადო-პოფს, არ ახადებს. (1478)

პოემაში არაერთხელ არის ხაზგასმული და გამოთქმული აზრი ბოროტის უარსობის შესახებ; სიყვითე განეკუთვნება ნამდვილი, მარადიული და სუბსტანციური არსებობის სფეროს, ხოლო ბოროტება შემთხვევითი, დროებითი და არასუბსტანციური არსებობის სფეროში შედის. ღმერთი მხოლოდ კეთილის შემოქმედი, რაც ძალიან კარგად ჩანს თინათინის სიტყვებში: „ბოროტიმცარად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ (112,4). კეთილის მარადიულობას გვიმოწმებს ავთანდილის ცნობილი გამოთქმა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“ ფატმანი კეთილს ღმერთის მიერ გახანგრძლივებულად მიიჩნევს: „ეცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია შენი გრძელი“, რუსთაველი განსაკუთრებით აღნიშნავს და ხაზს უსვამს ბოროტის უარსობას, უმყოფობას: „ბოროტსა უმყოფო, კეთილნია შენთვის მზანი!“

რუსთაველისათვის ღმერთი არის სიკეთის შემოქმედი და არდამბადი ბოროტებისა. პოემის ძირითადი მსოფლმხედველობრივი კონცეფცია — „ბოროტსა სძლია კეთილმან“ — ბოროტის უარსობის ფსევდო-დიონისე არეოპაგელიცულ კონცეფციას ემყარება. სამყარო თავის საფუძველშივე კეთილია, კეთილი ღმერთის შექმნილია, ბოროტება კი უარსოა, არასუბსტანციურია.

ქრისტიანულ თეოლოგიაში ბოროტების არსის პრობლემა მთელი სისრულით არის განხილული და შესწავლილი. ორიგენედან დაწყებული, ვინც კი შეხებია ამ საკითხს, ყველასთან ერთი აზრია გატარებული: ერთადერთი რეალობა სიკეთეა, ბოროტებას არ გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, იგი მხოლოდ სიკეთის უარყოფას წარმოადგენს.

ღმერთი, რომელიც ფსევდო-დიონისეს შრომაში „საღმრთოთა სახელთათვის“ განმარტებულია კატაქუტიკისა და აპოთაქიკის მიხედვით, კეთილის დასაბამად არის მიჩნეული, მისგან მომდინარეობს ყოველგვარი სიკეთე („სახიერება“) და ბოროტება კი არ არის არსის მქონე, იგი სიკეთის სუსტ ანარეკლს წარმოადგენს, დამახინჯებული სიკეთეა. ფსევდო-დიონისესთან ვკითხულობთ: „ბოროტი არა სახიერებისაგან არს; და უკუეთუ სახიერებისაგან არს, არა ბოროტ არს; რამეთუ არცაღა ყინვაჲ ცეცხლისაგან არნ, არცა სახიერსა თჳს ეყვის დაბადებაჲ უსახურისაჲ. და უკუეთუ არსნი ყოველნი სახიერებისაგან არიან (რამეთუ ბუნება სახიერისა არს დაბადებაჲ და ცხოვნებაჲ, ხოლო ბოროტისა განზრწნაჲ და წარწყმედაჲ), არარაჲ არსთაგანი არს ბოროტისაგან“¹⁹. „უკუეთუ ყოველნი არსნი სახიერებისაგან არიან და თჳთ სახიერებაჲ მიერ კერძო არს ყოველთა არსთა, არს უკუე სახიერებასა შინა არა არსიცა იგი არსი, ხოლო ბოროტი არცა არს არს“²⁰. „ხოლო ბოროტი არცა არსთა შორის არს, არცა არა არსთა, არამედ თჳთ მის არა არსისაჲ ფრიად რაჲმე უცხო არს იგი და განერღოვილ სახიერებისაგან და ფრიად უფროჲს მისსა უარსებო“²¹.

სიკეთე, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრების მიხედვით, ღმერთის ერთ-ერთი უპირველესი და უმაღლესი პრედიკატია, რომელიც ყველა განსაზღვრებაზე უკეთ გამოხატავს მის არსებას და ყველაზე მეტად უახლოვდება მის წვდომას. ღმერთი, ანუ სახიერება, ანუ კეთილობა ქმნის სიკეთეს, კეთილს. კეთილობაა საფუძველი ყოველი არსებისა. „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველებაში“ ნათქვამია, რომ ბოროტება თავისთავად არ არის არც არსება, არც კეთილობა, არც მწარმოებელი, არც შემძლე არსებათა და კეთილის შექმნისა. სახიერება კი, სადაც იგი სრულყოფილად ვამოდის, სრულ, შეურევენელ, უნაკლო სიკეთეს ქმნის. ყველა არსება მონაწილეობს კეთილობაში თავისი შეძლებისდაგვარად. რამდენადაც ყოველნი არსებანი არსებობუნ, არიან კარგნი, კეთილნი და წარმოდგებიან კეთილობისაგან, ღმერთისაგან.

ბოროტებას არა აქვს არსი, დასაბამი, რადგან დასაბამი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, ხოლო დასაბამი აქვს კეთილს, რომელიც ღმერთისაგან წარმოდგება. სიკეთემ, როგორც დასაბამმა, თავისი საპირისპირო არ შეიძლება დაბადოს.

შ. ხიდაშელი აღნიშნავს, «რამდენადაც სიკეთე სუბსტანციურია, ამდენად ბოროტების აღიარება, როგორც არსისა, შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ვაღიარებთ ორ დასაბამს, ე. ი. თუ მივიღებდით, რომ სიკეთე და ბოროტება „სხვისა და სხვისა დასაბამისა და მიზეზისაგან იყვნენ“. მაგრამ ორი დასაბამის აღიარება ეწინააღმდეგება დასაბამის, პირველმიზეზის სისრულეს, მის აბსოლუტურობას და „უვნებლობას“, ეწინააღმდეგება წესრიგსა და ჰარმონიას

¹⁹ პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ს. ვნუქაშვილის რედ., თბილისი, 1960, გვ. 44.

²⁰ იქვე, გვ. 44.

²¹ იქვე, გვ. 45.

სამყაროში. ორი დასაბამის პირობის ქვეშ სამყარო იქნებოდა „უწესო და მარადისმბრძოლ“, იქნებოდა უწესრიგობისა და მარადიული ბრძოლის სფერო სიკეთესა და ბოროტებას შორის. სიკეთისა და ბოროტების დუალიზმის პირობის ქვეშ, ორივე დასაბამი იქნებოდა „უვნებელი“, რაც გამორიცხავს ერთ-ერთი მათგანის მიერ მეორის, რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, „ძლევას“²².

ცნობილია, რომ რუსთაველის შეხედულების ამოსავალი ბოროტებისა და სიკეთის დასაბამის შესახებ არის არეოპაგიტული მოძღვრება. არეოპაგელის მიხედვით, როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ბოროტი უარსოა, დასაბამი არა აქვს, მას ემპირიული და არასუბსტანციური არსებობა აქვს, ხოლო სიკეთე არსის მქონეა, იგი უზენაესი არსებისაგან — ღმერთისაგან — წარმოდგება. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ბოროტის ძლევისაგან მიმართული მოქმედება, რასაც ასე დიდი ადგილი უჭირავს რუსთაველის პოემაში და რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გმირთა ცხოვრებასა და ბრძოლაში, უაზრობა იქნებოდა,

მართალია, ქრისტიანული მოძღვრება უარყოფს ბოროტის არსებობას, ბოროტების პრინციპს, მაგრამ მის უარყოფად ხასიათს მაინც გვიჩვენებს, მას მხოლოდ ნაკლად თვლის და შემთხვევითობის შედეგად აღიარებს. ბოროტის განსაზღვრა, არეოპაგიტული მოძღვრების მიხედვით, ანუ რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, „ღივნოსის“ მიხედვით, „შეიძლება მხოლოდ სიკეთესთან დაპირისპირებით და მხოლოდ უარყოფითი პრედიკატებით, როგორცაა, უარსობა, უკეთურობა, უმიზნობა, უგონობა და სხვა, სადაც ყოველი ამ განსაზღვრების საპირისპირო, დადებითი ფორმა სიკეთეს გამოხატავს“²³.

იოანე პეტრიწის მოძღვრების თანახმად, ბოროტი ჩნდება იქ, სადაც აბსოლუტური სიკეთისაგან წარმოიშვალი სინათლე სუსტდება. ბოროტება სიკეთის სუსტ, დამახინჯებულ ანარეკლს წარმოადგენს.

გონებრივად მოუწიფებელი ადამიანისათვის ძნელია სიკეთისაგან ბოროტის გამორჩევა, რადგანაც, თუ როგორია ბოროტის ბუნება, არ ჩანს; იგი გაშიშვლებული არ არის, არამედ დამალულია სიკეთეში, თვით კეთილი თავის თავში მოიკავს ბოროტსაც, როგორც ამბობს გრიგოლ ნოსელი.

ბოროტის არსის განსაზღვრა უნდა განეახლებოთ ხილულ სამყაროში ბოროტის დანახვისაგან. ბოროტის არსი ძირითადად თეოლოგიურ-დოგმატურ ტრაქტატებშია გარკვეული, ხოლო ბოროტების დანახვა ხილულ სამყაროში უპირატესად მხატვრული სიტყვის ოსტატების კუთვნილებას წარმოადგენს. ამ მხრივია განსაკუთრებით საინტერესო ქართული სასულიერო პოეზია და შემდეგ კი ქართული საერო ეპოსიც, კერძოდ, „ვეფხისტყაოსანი“.

საინტერესო გამოთქმებსა და მოსაზრებებს ვხვდებით ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშებში ბოროტისა და კეთილის საწყისის შესახებ, მათი ურთიერთბრძოლის შესახებ, მაგრამ ჯერ გავიხსენოთ თვით ამ პოეზიის უმუშალო წყაროები, კერძოდ კი ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანები.

„ფსალმუნში“ კითხულობთ: „რომელი არა ზაკუვიდეს უნითა თვისითა, არცა უყო მოყუასსა თვისსა ბოროტი, ყუედრებაჲ მახლობელთა მისთაჲ მან არა მოიღოს. შეურაცხ იყოს მის წინაშე უკეთური, ხოლო მოშიშნი უფლისანი იდიდნენ, რომელი ეფუცა მოყუასსა თვისსა და იგი არა ეტრუეა მას“ (14,

²² შ. ხი და შ. ე. ლი, რუსთაველის ფილოსოფიური წყაროს საკითხისათვის, „ციცკარი“, 1972, № 8, გვ. 147—148.

²³ იქვე, გვ. 148.

3—4)²⁴. „ეიდოდი ლათუ შორის აჩრდილთა სიკუდილისათა, არა შემეშინოს მე. ბოროტისაგან, რამეთუ შენ, უფალი, ჩემ თანა ხარ; კუერთხმან შენმან და არგანმან შენმან მათგან ნუგეშინის-მცეს მე“ (22,4)²⁵. „რომელთა გიყუარს უფალი, მოიძულეთ ბოროტი; დაიციენს უფალმან სულნი წმიდათა მისთანი და ქელთაგან ცოდვილისათა იქსნნეს იგინი“ (96,10)²⁶. „რომელმან აღაქსო კეთილთა ზიერ გულისთქუმაჲ შენი; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიკაბუტე შენი“ (102,5)²⁷. „კეთილ არს მოსავე-ყოფაჲ უფლისა მიმართ, ვიდრე მოსავე-ყოფაჲ კაცისა მიმართ; კეთილ არს სასოებაჲ უფლისა მიმართ, ვიდრე სასოებაჲ მთავართა მიმართ“ (117,8—9)²⁸. „უფალმან გიცივას შენ ყოვლისაგან ბოროტისა, დაიცივას სული შენი უფალმან“ (120,7)²⁹. „რამეთუ განიკითხოს უფალმან ერა თვისი და მონათა თვისთათვის ნუგეშინის-ცემულ იქმნას; რამეთუ იხილნა იგინი ნაკლულევანნი, ქუებულნი, ბოროტთა მიცემულნი და განკაფულნი“ (გალობა 2,36)³⁰. მოყვანილი ციტატებიდან აშკარად ჩანს, რომ ღმერთმა საწყისი, დასაბამი მხოლოდ კეთილს დაუდო, ბოროტი უარსოდ არის გამოცხადებული. ღმერთი სიკეთით აღაესებს ადამიანს, რომელსაც ბოროტის არ ეშინია, რადგან იცის, რომ იგი ღმერთისმიერი არ არის, ღმერთისაგან არ გამომდინარეობს, იგი მხოლოდ საწუთროს კუთვნილებას წარმოადგენს. უფალი ღმერთი მუდამ კაცთანაა; ამიტომაც არ ეშინია ადამიანს ბოროტის, ღმერთი იცავს ადამიანს ყოველნი. ბოროტისაგან და „ბოროტთა მიცემულ“ კაცთ ღმერთი განიკითხავს.

მეტი სისრულით გადმოგვეცემს „ეკლესიასტე“ ბოროტისა და კეთილის არსს, მათ ურთიერთდამოკიდებულებას. „და მოვიძულე ყოვლითურთ ცხოვრებაჲ. რაჲთა ბოროტ არს ჩემ ზედა ქმნული იგი. რომელი იქმნების მზესა ამას ქუეშე. რაჲ ყოველივე ამო და გამორჩევა სულისა“ (2,17)³¹. როგორც ვხედავთ, წუთისოფელი, რუსთაველის სიტყვით რომ ვთქვათ, საწუთრო, ქმნის ბოროტს და მოუვლენს მას ადამიანს, რის გამოც ეს უკანასკნელი იძულებს ცხოვრებას, სიცოცხლეს. „დაიციე ფერკი შენი ვიდრე ზვალ სახლსა შინა ლეთისასა და მიეახლე სმენად უფროსს საცემელისა უგუნურისა მსხუერპლისა. რაჲთა არა შეცინიერ არიან ყოფად კეთილისა, ვინაჲთგან არა უწყიან რამეთუ ჰყოფენ ბოროტსა“ (4,17)³². „არს სნეულებაჲ, რომელი ვიხილე მზესა ქუეშე, სიმდიდრე დამარხული მისგან განბოროტებასა შინა მისსა. და წარწყმდების სიმდიდრე იგი ზრუნვასა შინა ბოროტსა, და შუეა ძე, და არა არს კელსა შინა მისსა არარაჲ“ (5,12—13)³³. „არს ბოროტი რომელი ვიხილე მზესა ამას ქუეშე. და ფრიალ არს კაცთა შორის. კაცსა რომელსა მოსცეს მას ღმერთმან სიმდიდრე და ნაყოფი და დიდებაჲ და არარაჲ არს ნაკლულევანებაჲ სულსა მისსა ყოვლისა მისგან. რომელსა გული უთქუმიდა და არა კელმწიფე იყო იგი ღმერთმან ჰამად მისგანი. რაჲთა კაცმან სხუამან შეჰამოს იგი და ესე ამაოებაჲ და

24 ფსალმუნნი, გვ. 26.

25 იქვე, გვ. 52.

26 იქვე, გვ. 263.

27 იქვე, გვ. 275—6.

28 იქვე, გვ. 325.

29 იქვე, გვ. 355.

30 იქვე, გვ. 421.

31 ქ. ქაქელიძე, განმარტებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზემრნელ მიტროპოლიტისა, ტფილისი, 1920, გვ. 188.

32 იქვე, გვ. 200.

33 იქვე, გვ. 204.

სნეულუბაა ბოროტი არს“ (6,1—2)³⁴. „ესე არს ბოროტი ყოველთა შინა ქმნულთა მზესა ამას ქუეშე. რაჟთა შემთხუევაჲ ერთ არს ყოველთა და რაჟეთუ გული ძეთა კაცთაჲ აღივსო ბოროტითა და მიმოტაცებაჲ გულსა მათსა ცხოვრებასა შინა მათსა და შემდგომად მათსა მკუდართა თანა“ (9,3)³⁵. ბოროტება მუდმივი არ არის, წარმავალია, არასუბსტანციურია; იგი გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, კერძოდ, შერით, უგუნურებით, სნეულებით და სხვა. ბოროტება წაპირად, წუთისოფლისად არის მიჩნეული; იგი ადამიანთა ურთიერთობაში წარმოიშობა. მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში ვკითხულობთ: „სიბნელე ღამისაჲ და საცთური ცოდვისაჲ სოფლისა ამის ბოროტთაჲ ბრწყინვალედ განანათლე, ქრისტე“³⁶. „გამოეთქუმელი ღმერთი, ღმრთისა მამისა სიტყუაჲ დაუსაბამოჲ, ყოველთა არსთა არსებისა დაბადებულთა დაწყებისა დასაბამი, პირშმოჲ საუკუნეთაჲ. უპირატესი ყოველთა ყოფილთაჲ, დასრულებჲჲ კეთილთაჲ, არსებაჲ უქამოჲ, უხილავე უხილავთა ძალთა შემოქმედი“³⁷.

იგივე აზრებია გადმოცემული ძველი ქართული სასულიერო პოეზიის ნიმუშებშიც.

იოანე და ექვთიმე ათონელებისადმი მიძღვნილ საგალობელში ნათქვამია: „ძირჲმან კეთილმან ნაყოფი კეთილი აღმოაცენე, მამაო, ღირსი ეფთჲმე, რომელმან აღმოაცენნა ნაყოფად სულიერად წიგნთა სიმრავლენი ეკლესიასა შინა“³⁸.

ეფრემ მცირის „ასეულ იამბიკონში“ კეთილის დასაბამი ღმერთისაგან მოდის. სიკეთეს ღმერთში აქვს საწყისი, „ნიჩი ღმრთისა კეთილ არს უხუტებაჲ გულთაჲ“. ბოროტს მუდამ სძლევს კეთილი, რადგან იგი ღმერთისმიერია:

„ნუ მოსწრაფე ხარ ყოვლად ჰარადის ძლეად,
ვინათგან უწყი ძლეულუბაჲ კეთილი
უმჯობეს ყოფად ბოროტად მძლეობისა,
რამეთუ არა შემკადრებელსა ოდენ
მძლე ეწოდების, გარნა წარელტოვისაჲ“ (42)³⁹.

გრიგოლ ღვთისმეტყველის იამბიკოთა ქართულ თარგმანებში ეფრემი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ბოროტმან კაცმან არა გიყვის კეთილი, ვინათგან სწადინ პოვნა თანაზიართაჲ“. კეთილმა კაცმა კი უნდა შეძლოს გარჩევა კეთილისა და ბოროტისა. როგორ შეიძლება მიუზღოს კეთილისა და ბოროტის წილ? ეფრემი სულგრძელ პასუხს იძლევა:

„კეთილთა კაცთა მიაგებდი კეთილსა,
ხოლო ბოროტთა სულგრძელებით შეიძინდ,
რათა ამიერ ორკერძო შეიძინო,
რავამს ამათი ჭერისაებრ მიუზღო,
ხოლო მათ მიერ მოქცევა უემოზლო“ (54)⁴⁰.

საერთოდ, ბოროტისაგან შორს ყოფნას გვირჩევს ეფრემი.

ეფრემის იამბიკოები უფრო მეტად კონკრეტულ საკითხებს ეხება და კონკრეტულ დებულებებს იძლევა ბოროტებისა და სიკეთის ამა თუ იმ მხარის შე-

³⁴ ეკლესიასტე, გვ. 206.

³⁵ იქვე, გვ. 216.

³⁶ S—425, გვ. 37.

³⁷ იქვე, გვ. 474.

³⁸ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი კრებული ალაპეითურთ, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, ტფილისი, 1901, გვ. 199.

³⁹ ეფრემ მცირე, ასეულნი იამბიკონი, ქრისტე, I, გვ. 368.

⁴⁰ იქვე, გვ. 368.

სახებ. მისი ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კაცს, თუკი იგი საკმაო ნებისყოფასა და სულიერ სიმტკიცეს გამოიჩენს, შეუძლია მიაღწიოს მოვლენათა ობიექტური მდგომარეობის კეთილად წარმართვასა და თავისი სურვილისამებრ მოწყობას. მეთერთმეტე საუკუნეში, როდესაც ქართული საზოგადოებრივი აზროვნება ძირითადად ეკლესია-მონასტრებში იყო ჩაყვანილი და სურო ცხოვრება ის-ის იყო იწყებდა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლას. ქართველ ფილოსოფოსთა პოეტური ნაშრომებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, რადგან ისინი კრიტიკულ თვალთ უყურებდნენ თანამედროვე მდგომარეობას და ურთიერთობას. იოანე პეტრიწი „სათნობათა კიბეში“ სიკეთის არსების შესახებ იმეორებს წინა-ნორბედთა აზრებს:

„გონებისაგან სიტყუა იშობების და
ხოლო ამისი დასაბამი კეთილ არს,
ვინაჲთგან სხუათა ცხოველებრითა სულთა,
ძალთა ყოველთა ზედა-მდგომ არს და უძღვის,
კეთილისადმი მმართვეს და განაწყებს“ (105)⁴¹.

საინტერესოდ არის გამოთქმული მოყვანილ ნაწყვეტში ღმერთის არსი, გონებად მამა-ღმერთია დასახელებული, ქრისტე — ძე ღმერთი, როგორც სხვა თეოლოგიურ შრომებში, აქაც სიტყუად იწოდება, ხოლო მათგან იღებს სათავეს, დასაბამს სიკეთე, კეთილი, რომელიც ისევე მარადიულია, როგორც თვით ღმერთი. ბოროტებას არსი არა აქვს, იგი ამქვეყნიური ცხოვრებითაა გამოწვეული:

„ამად ბოროტ არს ეცხლისა იგი სენი,
რამეთუ სხუანი ენებანი ზედა ჰკიდავს:
შურნი, პარვანი, კაცის კლვანი და შუთონი;
ხოლო რომელნი საქმართა წარაგებდეს
და იჴმარებდეს კეთილად, კეთილედ არს“ (171)⁴².

მაშასადამე, ბოროტი საწყუთროულია, რომელსაც იწვევს ვერცხლის მოვარება, შური, ქურდობა, მკვლელობა და შფოთა. ბოროტი ისევე ბოროტს ქმნის, ანუ პეტრიწის გამოთქმით, „ბოროტი რტო არს ძირისა ბოროტისა“, რაც ერთგვარად ათვისებული აქვს რუსთაველს, როცა ამბობს: „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“. აღდგომის საგალობელში ნათქვამია: „ძეო ჩემო, ვითარ მკურნალსა ვნებულთასა გვენების, რაჲსა ნაცვლად კეთილისა მოგაგეს ბოროტი მტერთა უღმრთოთა“⁴³. გრიგოლ ღვთისმეტყველი გვასწავლის, რომ ბოროტი აღამიანი არასოდეს კეთილს არ გაგიკეთებს, რადგან სურს თანაზიარა პოვნა, ამიტომ „ბოროტსა კაცსა არ-სარწმუნოსა ნუმცა ოდეს სადა მოიგებ მეგობრად“⁴⁴.

ქართულ სასულიერო პოეზიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ კეთილისა და ბოროტის არსების შესახებ.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი სასულიერო პოეზიის ნიმუშები ასახვენ ხილულ სამყაროში ბოროტების წარმოშობის მიზეზებსა და მის სახეობებს.

41 ი. პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა და გამოკლევია დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 195.

42 იქვე, გვ. 211.

43 Q—662, R—7.

44 S—269, R—167.

მაგრამ საიდან დაედო საფუძველი ბოროტს, რამ შექმნა იგი თავისი ზოგადი არსებით? ამაზე პასუხობს დავით აღმაშენებლის მიერ „გალობანი სინანული-სანში“ გამოთქმული მოსაზრება „მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი“, რომლის მიხედვით, ბოროტის დასაბამი ადამ და ევას შეცდომიდან წარმოდგება. მეფე-პოეტი ამბობს, რომ ადამიანი (ამ შემთხვევაში — თვით ავტორი) უმადლო ექმნა ღმერთს, დასცილდა თავის პირველ ხატს და სათავე დაუდო ბოროტებას. ბოროტი ღმერთისმიერი არ არის; ადამიანმა იცემა კეთილისა და ბოროტის ცნობადი ხის ნაყოფი, რომელიც ღმერთმა აუკრძალა აღმაჩანებს და ბოროტება წარმოქმნა. პირველი ადამიანი, ღმერთის მიერ შექმნილი, ცნობადმა ხემ მოსწყვიტა თავის სუბსტანციას, რომელიც მხოლოდ კეთილის შემოქმედი იყო. რაკი მხოლოდ კეთილია ღმერთის მიერ დადგენილი, ამიტომ ბოროტი საწუთროს კუთვნილებად და მის მიერ წარმოქმნილად უნდა ჩავთვალოთ. ბოროტებად მიიჩნევს დავით აღმაშენებელი ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ბრძოლას და ამბობს: „ბოროტად გარდავედ საზღვართა და შეეპრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა, და უუძღურესთა მივჰხუევე ნაწილი მათი, და ვილწყიდ უმეზობლობასა, ვითარცა ჰარტოა ვმკვდრობდი ქუეყანასა ზედა. მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისა შენისათა და ქორწილთა მიერ ხენწმთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა მეფეთა მისთა ისრაჴლი“⁴⁵. ამქვეყნიურობისათვის ზრუნვა და ბრძოლა ბოროტებაა, ცოდვაა, რომლის მონაწილბასაც ევედრება ღმერთს მეფე-პოეტი. ბოროტებად მიიჩნევს სამეფოს საზღვართა გაფართოებას, სახელმწიფოს გამდიდრებას, სხვა სამეფოებზე გალაშქრებას, საეკუთარი სარეცლის „მძლავრობას“.

განსხვავებული შეხედულებაა გამოთქმული „ვეფხისტყაოსანში“. ხილულ სამყაროში ბოროტება აქ თავისებურად არის დანახული. რუსთაველი, როგორც აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, ბოროტის უარსობის შესახებ ემყარება ფსევდო-დიონისე არეოპაგელის მოძღვრებას, რომელიც გვეუბნება, რომ „ბოროტი არცა არს არს“; იმავეს ამბობს „ვეფხისტყაოსნის“ დივოსი: „ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს“. ბოროტების შესახებ გამოთქმული ეს მოსაზრებანი საეხებით იდენტურნი არიან. ასევე ჩანს ეს თინათინის პასუხშიც მამისადმი: „ბოროტიცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა?“ ღმერთი სახორია, კეთილი, იგი ყველასათვის ტკბილად მხედია და მას არ შეიძლება დავწამოთ რაიმე სიმწარე; კეთილის შემოქმედი ღმერთი ბოროტს რად შექმნიდა? მას არ შეიძლება ბოროტის შექმნა დაბრალდეს. ბოროტი თუ არსებობს ამქვეყნად, დროებითი და წარმავალია. ამის დადასტურებას წარმოადგენს მთელი პოემა, რომელშიც ასახულია კეთილის ბრძოლა ბოროტის წინააღმდეგ. კეთილი არსებაა, არსის მქონეა და იგი მუდმივია, გრძელია, ცხადია, არსის მქონე კეთილი უარსო ბოროტს დაამარცხებს და ამიტომაც დაიღუპა რუსთაველთან ბოროტი. მხოლოდ ბოროტის წინააღმდეგ ბრძოლაა საჭირო და ცხოვრებაც საინტერესო არ იქნებოდა, თუ მხოლოდ კეთილი იქნებოდა ამქვეყნად. ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს ადამიანმა და უსათუოდ გაიმარჯვებს. კარგში, კეთილში ყოველთვის არის ბოროტიც, რაც აშკარად ჩანს ავთანდილის სიტყვებში:

45 დ. აღმაშენებელი, გალობანი სინანულისანი, ჩვენი საუნჯე, I, 1960, გვ. 519.

მაშა ლხინსა ვინ მოიშკის პირველ ქირთა უმუშაყო?
 უბოროტო ვის ასშია რაცა კარგი საუშაყო,
 რად ემღერვი საწუთროსა? რა უქნია უარაყო?! (869, 2—4)

ღმერთი კეთილს უეჭველად გაუმარჯვებს, ბოროტი ხომ შემთხვევითია, დროებითი და აქედან გამოპდინარეობს ბოროტების მოსპობის სრული იმედი. ღმერთი ბოროტს კი არ ხდის ცხოვრებას, მხოლოდ ართულებს მას, რადგან ცხოვრება ბრძოლაა, ამიტომ უზენაესი არსება, ღმერთი ყოველთვის არ იძლევა კეთილს მზამზარეულად, არამედ მისთვის მოქმედებასაც მოითხოვს. ავთანდილის ლოცვაში ჩანს, რომ ღმერთი ზოგჯერ „პატიყთა“ მომცემია, „ზოგჯერ კეთილთა მზათა“.

რუსთაველის გმირები მოქმედებენ, თავიანთ ადამიანურ სინამდვილეს, ადამიანურ გრძნობა-გონებას ღვთაების მოწყალებას არ უტოვებენ, მაგრამ პოეტი მათ უღმერთოდ მიიხსენებს არ ტოვებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ადამიანი ღმერთის ყურმოპირილი მონა არ არის. მან იცის, რომ წუთისოფელი უფრო ტკბილია, ვიდრე იმქვეყნიური სამყარო, რომელშიც მარადიულად უნდა დარჩეს ადამიანი. პოემაში ამქვეყნიური სამყარო და საუკუნო სასუფეველიც ადამიანისათვის არსებობს, ზეცაც ადამიანის სამსახურშია მოქცეული. თვით ღმერთიც ადამიანისათვის არსებობს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ✠XII საუკუნის ეპიკურ ნაწარმოებში.

ამგვარად, ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს შემოქმედი ღმერთის სახეს, მის დახასიათებას. მასში ღვთის აღსანიშნავად გამოყენებული ეპითეტებით უხვად სარგებლობს საერო ლიტერატურა, კერძოდ „ვეფხისტყაოსანი“. რუსთაველის პოემის ღმერთი არის ხილული და უხილავი სამყაროსა და ქვეყნის შემოქმედი, ზეციურ და მიწიერ არსთა შემოქმედი და მათი შინაგანი მხილველი: მან შექმნა ღვთის სახისა და ხატის მსგავსი ადამიანი, ხელმწიფე, „სახე ყოელისა ტანისა“, რომელიც გულისხმობს პირველხატს, პროტოტიპს, პირველსახეს, პირველსხეულს, დედანს ადამიანებისას: იგი არის მიჯნურობის დამბადებელი, კეთილის შემოქმედი და ბოროტის არდამბადი. ყველა ამ ნიშნის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ შემოქმედი ღმერთი ქრისტიანულია. რუსთაველის შემოქმედი ღმერთი რომ არ არის არც ნეოპლატონური, არც წარპართული და არც სხვა რომელიმე რელიგიის ღმერთი, ამას მოწმობს ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომ მთელი პოემის მანძილზე იგრძნობა ღმერთის შემოქმედებისა და მოქმედების ძალა: რუსთაველი განსაკუთრებულ ხაზს უსვამს ღმერთის მიერ სამყაროსა და ქვეყნის არაფრისაგან შექმნას. ცნება „შემოქმედი“ ქრისტიანული რელიგიის კუთვნილებს, ნეოპლატონიზმში იგი არ გვხვდება, რადგან ამ მოძღვრების მიხედვით შესაქმნის ადგილი არ ჰქონია. ნეოპლატონიზმის მიხედვით სამყარო წარმოადგენს ღმერთის („ერთის“) საფეხურებრივი ემანაციის შედეგს, სამყაროს პირველწყაროს წარმოადგენს ღმერთი. ქრისტიანულ მოძღვრებაში ღმერთი სამყაროს ქმნის არაფრისაგან თავისუფალი ნების აქტით. რუსთაველსათვის, ცხადია, ამ შექმნევაშიც ამოსავალი ქრისტიანული დებულებებია, თუმცა. როგორც ეს ცხადყოფილია თანამედროვე მეცნიერულ შრომებში, იგი თავისებურად ამუშავებს მათ და მსოფლმხედველობრივად ახალ ეტაპს ქმნის.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
 ისტორიის ინსტიტუტმა)

აპლე ჩოხანიანი

შენიშვნები სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის შესახებ

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში ქართლის პოლიტიკური ვითარება რთული და მღელვარე იყო. 1709 წელს ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში გიორგი XI-ის, ხოლო 1711 წელს ქაიხოსრო მეფის დაღუპვის შემდეგ ქართლის სამეფო ტახტზე სპარსეთის შაჰმა ჰუსეინმა ვახტანგის დანიშვნა განიზრახა, რომელიც 1703--1711 წლებში ქართლის „ჩანიშინი“ იყო და თავის კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგად დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1712 წელს შაჰმა ვახტანგი ისპაანში გაიწვია და გამაჰმადიანება მოსთხოვა. ვახტანგმა სარწმუნოების შეცვლაზე უარი განაცხადა, რადგან სურდა ესარგებლა ირანში შექმნილი რთული მდგომარეობით და ავღანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქართველი ჯარის მხარდაჭერით დაინტერესებული შაჰი აეძულებინა დათმობაზე წასულიყო და სჯულის გამოცვლის გარეშე დემტკიცებინა ის საქართველოს მეფედ. მაგრამ იმის შემდეგ, რაც შაჰის ბრძანებით იგი ისპაანში იქნა დატოვებული, ვახტანგმა განიზრახა სამშობლოში დაბრუნების ახალი გზების ძიება დაეწყო, — ეგრძოდ, სპარსეთით დაინტერესებული საფრანგეთის პოლიტიკური და ფინანსური დახმარებითა და შუამდგომლობით განთავისუფლებულიყო¹. ამ მიზნით მან ევროპაში, საფრანგეთის მეფე ლუი XIV-თან და რომის პაპთან ვაგზავენა სულხან-საბა ორბელიანი.

სულხან-საბა ორბელიანი კათოლიკე მისიონერ ეან რიშართან ერთად კონსტანტინოპოლის გავლით ჩავიდა საფრანგეთში, პარიზში ორჯერ შეხვდა ლუი XIV-ს, ხოლო შემდეგ გაემგზავრა იტალიაში და რომში მოლაპარაკებას აწარმოებდა პაპთან. ქართველ ელჩს ევროპაში კონკრეტული დახმარება არ აღუთქვეს, მხოლოდ მისიონერების ვაგზავენას დაპირდნენ.

საფრანგეთის მთავრობისაგან დამატებითი განკარგულების მოლოდინში სულხან-საბა ორბელიანი 1715 წლის 19 იანვარს კვლავ ეწვია კონსტანტინოპოლს, სადაც წელიწადზე მეტი დაჰყო, ხოლო 1716 წლის ივლისში სამშობლოში დაბრუნდა „ტყბილი სიტყვებით, უნიადაგო დაპირებებით და რელიგიური რელიკვიებით დატვირთული“². იმედდაკარგული ვახტანგი იძულებული იყო რჩული გამოეცალა და ამ გზით მიეღო სამეფო ტახტი (1716 წ.).

მკვლევართა საერთო აღიარებით სულხან-საბა საქართველოდან „გაპარვით“ წავიდა. ეს შეხედულება, რა თქმა უნდა, საესებით სწორია. მისი გამგზავრების ამბავი არ უნდა სცოდნოდათ სპარსეთის და თურქეთის მთავრობებს, რადგან ამ დროს „... ვახტანგი იმყოფებოდა შაჰის ტყვეობაში, და მეფეც და

¹ ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1962, გვ. 476—477.

² ქართული ლიტერატურის ისტორია, ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1966, გვ. 470.

ორბელიანიც დიპლომატიურ სვლებს აწყობდნენ მხოლოდ საიდუმლოდ, მძივე სამოქმედო პირობებში³. მაგრამ, როგორც პროფ. ი. ტაბალუა აღნიშნავს, „პარიზსა და რომში სულხან-საბას ყოფნის პერიოდში ორჯერ გამოქვეყნდა ცნობა პრესაში მეფისა და პაპის მიერ მისი მიღების შესახებ. შესაძლებელია ირანში იცოდნენ ვახტანგის წერილობით კავშირის შესახებ პარიზთან და რომთან, სულხან-საბას ევროპაში გამგზავრების ამბავიც. არაა გამორიცხული, რომ ამიტომაც დაეჩქარებინათ ელჩის გაგზავნა საფრანგეთში“⁴.

სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის შესახებ, მართლაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იცოდნენ აღმოსავლეთში ფრანგმა მოხელემ ბორეგარმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ელია კარნელმა. ბორეგარისადმი გაგზავნილ ელიას ერთ-ერთ წერილში, რომელიც დაწერილია 1715 წ. 13 მარტს, ნახსენებია სულხან-საბას ელჩობა, მაგრამ არა როგორც ახალი ამბავი, არამედ როგორც ისეთი ფაქტი, რომელიც მანამდე იყო ცნობილი ორივესათვის. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ საბას ელჩობის შესახებ შეიძლება სკოდნოდათ აგრეთვე სხვებსაც, პირველ რიგში კი სპარსეთში მოღვაწე მისიონერებს.

ვინაიდან წერილის ჩვენთვის საინტერესო ნაწყვეტში რამდენიმე სხვა მნიშვნელოვანი ცნობაც მოიპოვება, ამიტომ მოგვყავს ეს ნაწყვეტი მთლიანად. „... შემდეგ სასიხარულოა შენდა და ჩვენდა, რომ მუსი რიშარი 12 კაპუჩინი პატრიოტურთ მისულა ისტამბოლში და იქიდან უნდა წამოვიდეს ისპაანში, რადგან ტფილელი საბა რომ წასული იყო პარიზში ვახტანგ ხანისათვის, მან აიძულა ეს ელჩი, რომ მოსულიყო (რიშარი. — პ. ჩ.) ისპაანში; იქნებ ღმერთმა ქნას და რაიმე მოახერხონ ვახტანგ ხანისათვის⁵, რადგან ურთი მონფრუერი (ჩვენი ძმა, მისიონერი. — პ. ჩ.) ჩამოვიდა (თბილისიდან) განჯაში, მან ცნობა მოგვიტანა, რომ თბილისის ხანი ძალიან თურქობს⁶, უნდა დიდი მეჩეთი ააშენოს; კათალიკოსი, რომელსაც უნდოდა გათათრება, ერისთავმა შეიპყრა, წაიყვანა, უნდოდათ თვალები დაეთხარათ; ამ ხანმა ის გაათავისუფლა და კვლავ ქართველთა კათალიკოსობა მისცა“⁷.

ზემოაღნიშნული წერილის დაწერის დროს ელია კარნელი (1695—1750?) იმყოფებოდა განჯაში, ხოლო ბორეგარი კი, წერილის შინაარსის მიხედვით, ისპაანში. ელია თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში დაკავშირებული იყო კათოლიკე მისიონერებთან (თვითონაც კათოლიკე იყო) და ამავე დროს მოღვაწეობდა საფრანგეთის ოსტ-ინდოეთის კომპანიაში; რამდენიმე წლის მანძილზე ამ კომპანიის მმართველის მოადგილე იყო თავრიზში, ხოლო 1723 წელს საფრანგეთის კონსული მეშპედში⁸. 1724 წელს იგი მეთაურობდა შაჰ თამაზის ელჩობას რუსეთში და ევროპის ქვეყნებშიც აპირებდა წასვლას. ამ წლებში, როგორც ამიერკავკასიის სხვა პოლიტიკური მოღვაწეებისათვის, ელიასთვისაც

³ ვ. დონდუა, გეოგრაფიკის მართალი სამართალი, „ცისკარი“, 1960, № 1, გვ. 118.

⁴ ი. ტაბალუა, ევროპაში სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები, „მაცნე“, 1966, № 6, გვ. 163; მისივე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII საუკუნის პირველი მეოთხედი), თბ., 1972, გვ. 299.

⁵ იველისებება ვახტანგის სპარსეთიდან ქართლში დაბრუნება.

⁶ ე. ი. შამაღლიანურ პოლიტიკის ატარებდა.

⁷ ბიქა წარწევი რქიანერ, მსაჯაფანერ ხ ბანირაყვილინიხნერი ყიფი. მ. ზ. მქ-რანაყიანი, სქსანი, 1968, გვ. 5. ელიას ამ ცნობას პირველად მიაქცია ყურადღება ე. მარტიროსიანი თავის რეცენზიაში ამ წიგნზე. იხ. ლსსკ ფს „სქაქერ“ (ჯასა. რქთ.), 1969, № 3, გვ. 97—98.

⁸ იქვე, გვ. XIV—XV.

ნათელი გახდა, რომ საფრანგეთიდან და საერთოდ ევროპის ქვეყნებიდან დახმარების მოლოდინი უიმედო იყო, ამიტომ მან ორიენტაცია რუსეთზე აიღო და აპირებდა ელჩობა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოუყენებინა. მისი პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის შესახებ იცოდნენ საფრანგეთის აგენტებმა, ისინი რუსეთის სამეფო კარზე პორტებს ავრცელებდნენ ელიას ელჩობის მიზნების შესახებ და ბოლოს ჩაშალეს ეს ელჩობა. ამ გარემოებამ განსაზღვრა ელიას შემდგომი მოქმედება: იგი აშკარად ჩამოშორდა კათოლიკე მისიონერებს და იბრძოდა კიდევ მათ წინააღმდეგ⁹.

საინტერესოა, რომ, აკად. კ. კეკელიძის აზრით, სულხან-საბაე „კათოლიკობას ბოლომდე არ შერჩენია. როდესაც ის დააწმუნდა, რომ კათოლიკობამ ვერ გაამართლა ის მისწრაფებანი და იდეალები, რომელთა გულისათვის მან რომის პრიმატობა აღიარა, უკანვე დაუბრუნდა ის მამაპაპეულ აღსარებას“¹⁰.

ელია კარნელი იმ დროს (1715 წ.) საფრანგეთიდან, საერთოდ ევროპიდან ელოდა პოლიტიკურ დახმარებას საშობლოს გასათავისუფლებლად. ელიას წერილიდან აშკარაა, რომ სომეხი პოლიტიკური მოღვაწეებიც იმედს ამყარებდნენ ვახტანგის დაბრუნებასა და სამეფო ტახტზე ასვლაზე. ამიტომ ისინი თვალყურს ადევნებდნენ სულხან-საბა ორბელიანის ელჩობის მიმდინარეობასა და შედეგებს და სიხარულით შეხვდნენ ცნობას რიშარისა და პატრების ისპანში გამგზავრების შესახებ, რასაც ელია კარნელი აცნობებს ფრანგ მოხელეს¹¹.

საინტერესოა და ჟურნალების ღირსია ელიას ცნობა რიშარის თორმეტ პატრიოტურ სტამბოლში ჩასვლის შესახებ. როგორც უკვე შევნიშნეთ, სულხან-საბა ორბელიანი 1715 წლის 19 იანვარს ჩავიდა სტამბოლში და ელოდებოდა მისიონერების მოსვლას და გარკვეულ პასუხს. მათი ჩამოსვლით დამთავრდებოდა სულხან-საბას ელჩობა. ეს იცოდნენ, როგორც ჩანს, ამიერკავკასიაშიც, ვინაიდან ელია წერს: „და იქიდან (სტამბოლიდან. — პ. ჩ.) უნდა წამოვიდეს (რიშარი. — პ. ჩ.) ისპანში..., იქნებ ღმერთმა ქნას, რომ რაიმე მოახერხონ ვახტანგ ხანისათვის“¹². ამიერკავკასიაში ელოდებოდნენ ს.ს. ორბელიანსა და პატრებს. აი, რას წერს თვით სულხან-საბა საფრანგეთის მინისტრისა და სახელმწიფო მდივან პონშარტრენისადმი გაგზავნილ წერილში: „... ჩემი ქვეყანა აშლილია, ყველა ს უნდა მალე მივიდე (ხაზი ჩენია. — პ. ჩ.). მაგრამ თუ მეფის წყალობა, და ან ეგ მოიქმულები არ მოვლენ, მე ვერ წავალ“¹³. ორბელიანის ეს წერილი გაგზავნილია 1715 წლის 18 თებერვალს. რაც შეეხება მისიონერებს, მართლაც სულხან-საბამ სთხოვა მეფეს,

⁹ იქვე, გვ. XXIV—XXIX.

¹⁰ ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ. 1966, გვ. 453.

¹¹ ბორჯაგი 1707 წლიდან იმყოფებოდა ამიერკავკასიასა და სპარსეთში. 1707 წელს იყო თბილისში, სადაც „ლუი მიშელმა მეფე ვახტანგ VI-თან სპეციალურად გაგზავნა“ (იხ. ი. ტაბაღაძე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 75). 1709 წ. ბორჯაგი ელია კარნელთან ერთად გაემგზავრა მოსკოვში ისრაელ ორის წერილების გადასაცემად. დიდი ხანი იმყოფებოდა შემახაში, მერე იყო საფრანგეთის ოსტინდელეთის კომპანიის მმართველი თაერში. იხ. „Армяно-русские отношения в первой трети XVIII века“ (сборник документов), т. II, ч. I, док. 123; სიქა ღარსნგილი, იქიანურ, გვ. 333.

¹² სიქა ღარსნგილი, იქიანურ, გვ. 5.

¹³ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902, გვ. 331; ი. ტაბაღაძე, სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობის ისტორიიდან (1715 წ. იანვარი—1716 წ. მაისი), „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. II, თბ., 1968, გვ. 155.

რომ მან „კეთილი ინებოს, გაგზავნოს 12 მისიონერი სამეგრელოსა და აბხაზეთში...“¹⁴. მაისში გაგზავნილ ერთ წერილში აღნიშნულია, რომ სულხან-საბა ჭერ კონსტანტინოპოლშია, სადაც საფრანგეთის „ელჩი იძულებულია უზრუნველყოს საზრდოთი ის, 12 მისიონერი და სხვები“¹⁵. ეს იმას ნიშნავს, რომ 12 მისიონერი ჩასულა კონსტანტინოპოლში. როდის? რადგან ელიას წერილი დაწერილი და გაგზავნილია განჯიდან მარტის 13-ში, ხოლო კონსტანტინოპოლიდან განჯამდე ცნობის მოტანას სჭირდებოდა დაახლოებით 15 დღე მაინც. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მისიონერები უკვე თებერვლის ბოლოს იყვნენ იქ. მაგრამ ეს მისიონერები, როგორც ელიას წერილშიცაა აღნიშნული, კაპუჩინები ყოფილან, ხოლო სულხან-საბა ორბელიანი კი „ყოვენებს გამგზავრებას საქართველოში მისიონერების ჩამოსვლამდე, რომლებსაც ელოდება საფრანგეთიდან“¹⁶.

რაც შეეხება ცნობას რიშარის კონსტანტინოპოლში ჩასვლის შესახებ, ელიასთან ეს გაუგებრობის ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო და სწორი არ არის, ვინაიდან ეან რიშარს საფრანგეთის მთავრობისაგან განკარგულება არ მიუღია წასვლაზე, თუმცა ის „მრავალ მისიონერთან ერთად“¹⁷ ელოდებოდა გამგზავრებას¹⁸. იგი არ გამგზავრებულა, რადგან, ჭერ ერთი, „ირანის ელჩი მოჰამედ რეზა ბეგი წინააღმდეგი ყოფილა მასზე ადრე ირანში ეან რიშარის გამგზავრებისა“¹⁹, და შემდეგ, იმავე 1715 წლის სექტემბერში ლუი XIV-ის სიკვდილმა საბოლოოდ ჩაშალა ეს გეგმები²⁰.

საინტერესოა ელიას ზემოთხსენებული ნაწყვეტის მეორე ნაწილიც. სადაც ღაპარაკია თბილისის ხანის მოქმედებაზე. აქ იგულისხმება 1714—1716 წწ. ქართლის მეფე იესე, რომელიც, როგორც მაჰმადიანი და სპარსოფილი, აღნიშნული იყო ვახტანგის მაგივრად სპარსეთის შაჰის მიერ. „მან ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში ირანელ მოხელეებსაც კი გადააჰარბა — თბილისის მეციხოვნეებთან პირი შეკრა და ქართველები დაასმინა, თითქოს ისინი ყურანს წვაედნენ და ყიზილბაშებს არ ინდობდნენ“²¹. ამიტომაც, რომ ელია შემდეგი სიტყვებით ახასიათებს მის მოქმედებას: „ძალიან თურქობსო“. რაც შეეხება მის მიერ „მეჩეთის აშენების“ სურვილს, რომელსაც მას მიაწერს ელია, ეს ცნობა სხვა წყაროებში არ იძებნება, ამიტომ შეიძლება სინამდვილეს არ შეეფერებოდეს. ქართლის კათალიკოსი, რომლის საქციელის შესახებაც წერს ელია, არის ვახტანგ VI-ის ძმა, დომენტი IV (1705—1741). სანამ ვახტანგი ისპაანში იმყოფებოდა, ის აპირებდა ცოლის შერთვას და რჯულის შეცვლის გზით სამეფო ტახტის დაკავებას, ელია წერს, რომ „კათალიკოსი, რომელსაც უნდოდა გაათავება, ერისთავმა შეიპყრა, წაიყვანა, უნდოდათ თვალები დაეთხარათ“. ხოლო ვახუშტის ცნობით: „შეიპყრა სვმონ კათალიკოზი დომენტი

¹⁴ ტ ა ბ ა ლ უ ა, ევროპაში ს.-ს. ორბელიანის დიპლომატიური მისიის შედეგები, „მაი-წყე“, 1955. № 6. გვ. 140.

¹⁵ ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, ს.-ს. ორბელიანის მოღვაწეობის ისტორიიდან..., „ქართული წყაროთმცოდნეობა“, ტ. 11. გვ. 161; მ ი ს ი ვ ე, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1972, გვ. 289. ამ უკანასკნელში „მაისის“ ნაცვლად „მარტი“ არის დაბეჭდილი.

¹⁶ ი. ტ ა ბ ა ლ უ ა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, გვ. 290. ხაზი ჩვენია. — პ. 5.

¹⁷ იქვე, გვ. 289.

¹⁸ იქვე, გვ. 286.

¹⁹ იქვე, გვ. 288.

²⁰ იქვე, გვ. 294.

²¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 405.

ზაკეთ და წარმოუვლინა ბაქარს, რათა აღმოქადოს თუაღნი“²². არსებობს კიდევ სხვა ვერსიები დომენტის შემპყრობის ვინაობის შესახებ, მაგრამ ყველაზე დამაჯერებელი ვახუშტის ცნობაა, რადგან ქვეყნის გამგებლის გარდა „სხვას არც შეეძლო ეკლესიის უზენაესი მესაქის შეპყრობა“²³.

სულხან-საბა ორბელიანმა თითქმის სამი წელი გაატარა ევროპაში და თუმცა „პოლიტიკურად უშედეგო, ლიტერატურულად ნაყოფიერი გამოდგა ეს მოგზაურობა. ამის შედეგად დაიწერა ქართული დოკუმენტური პროზის ცნობილი ნაწარმოები „მოგზაურობა ევროპაში“²⁴. სულხან-საბა ორბელიანის დღიურები მთლიანად არ შენახულა, აქლია პირველი ნაწილი, სადაც აღწერილი ყოფილა მისი მოგზაურობა საფრანგეთში²⁵. შემონახულ ნაწილში დაწერილებითაა აღწერილი მისი მოგზაურობა იტალიაში, კონსტანტინოპოლში ჩასვლის ამბები, საქართველოში წამოსვლა და მთავრდება სამშობლოში მისი დაბრუნებით. ს.-ს. ორბელიანის დღიურებში მრავალი ცნობა მოიპოვება იმდროინდელი ევროპის ცხოვრებისა და გეოგრაფიის შესახებ²⁶. „მოგზაურობის“ ცნობები გამოყენებულია მისი დიპლომატიური მისიის შესასწავლად²⁷.

სულხან-საბას ამ თხზულებას საინტერესო ცნობები დაუტავს აგრეთვე იმდროინდელ ევროპაში მცხოვრებ სომეხთა შესახებ²⁸. XVI—XVII საუკუნეებში და თვით სულხან-საბას დროსაც მრავალი სომეხი მიდიოდა ევროპაში სავაჭროდ ან მუდმივ საცხოვრებლად. ამას ხელს უწყობდა როგორც სამშობლოში მაჰმადიანი მეფეების ბატონობა, ასევე იტალიის რესპუბლიკებს შორის არსებული მეტოქეობა: „Соперничая друг с другом, каждая из республик старалась привлечь восточных купцов и тем самым выйти на первое место в левантийской торговле. Особенно острая борьба шла между

²² ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფო-საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 493.

²³ ვ. დონდუა. ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712—1745), „მიმოხილველი“, III, 1953, გვ. 37. იქვე, გვ. 469; მკელეაძე (გ. ლეონიძე, კ. კეკელიძე და სხვ.) ვარაუდი „მოგზაურობის“ დასაწყისის არსებობის შესახებ შეტიკლება პირდაპირი ცნობითაც. ხელნაწერთა ინსტიტუტში A ფონდის № 1448 ხელნაწერში, რომელიც ტარასი მესხიშვილისეული კრებული სახელითაა ცნობილი, შეტანილია წიგნების სია, სადაც ს.-ს. ორბელიანის „მოგზაურობაც“ არის დასახელებული: „საბა ორბელიანისაგან აღწერა ქრანციისა და რომისა, ვიდრე კონსტანტინოპოლამდე ორ წიგნად“ (60). ნუსხას თავში შემდეგი თარიღი უხის: „წელსა ქეს (ქრისტეს) აქეთ 1810. თთუშსა სეცემბერსა რიცხუსა 26“. უნდა ვიფიქროთ, რომ „მოგზაურობის“ ნაწილები ცალ-ცალკე იყო დაწერილი, პირველი ნაწილი არსებობდა ჯერ მე-19 საუკუნის დამდეგს, ხოლო მეორე ნაწილი კი მთლიანად არის შენახული, რადგან იწყება სწორედ „ფრანციის თემის ბოლოდამ“... იხ. ს.-ს. ორბელიანი, თხზულებანი, I, გვ. 153.

²⁴ ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1966, გვ. 470.

²⁵ იქვე, გვ. 469.

²⁶ დ. დონდუა, სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის გეოგრაფიული მნიშვნელობა, იხ. „სულხან-საბა ორბელიანი“, საიუბილეო კრებული, თბ., 1959, გვ. 77—106.

²⁷ ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა (XVIII ს. I მეოთხედი), თბ., 1972.

²⁸ ეს ცნობები სომეხურად თარგმნა პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა, იხ. „Կլայս սպբարհնքը հայերի և Հայաստանի մասին“ Բ, Երևան, გვ. 124—125.

Ливорно и Венецией... Ливорно полностью отменило ввозные таможенные пошлины на все восточные, в частности и иранские, товары...²⁹. იტალიაში გადასახლების შედეგად დიდ ქალაქებში, კერძოდ ლივორნოში, XVII საუკუნეში სომხები უკვე დიდი რაოდენობით ცხოვრობდნენ³⁰.

(XVIII) საუკუნის დამდეგს (1700—1714 წწ.) ლივორნოში აშენდა სომხური ეკლესია³¹. აი, ამ ეკლესიას გულისხმობს სულხან-საბა ორბელიანი, როცა წერს: „ოცდასამს იენისს ალიკორნას მოვედით... ოთხიოდ ქართველი მოქალაქე იყვნეს. ერთი ტერტერა, სამნი სხვანი. ერთი სომხის საყდარი მიქეს. ვერა ვნახე“³². სულხან-საბა მეორედ ყოფილა ლივორნოში 1714 წლის 11—24 სექტემბერს და ამ დროს უკვე: „სომხის საყდარს მივედით. დიად კაი ეკლესია იყო. კარგა აშენებული, შვენიერი. არას ადგილს სომხებს მისთანა შვენიერი ეკლესია არა აქვსთ“³³.

გამორიცხული არაა, რომ როცა ს.-ს. ორბელიანი „ტერტერას“ ახსენებს, ის ამ ეკლესიის წინამძღვარს გულისხმობს. ამას გვაფიქრებინებს ჭერ ერთი ის, რომ აქ სომეხთა საყდარზეა საუბარი და, მეორეც, ამ ეკლესიის წინამძღვარი, როგორც ეს წყაროებიდან ჩანს, თბილელი ყოფილა. ამიტომ სულხან-საბაე მას ქართველ „მოქალაქეს“ უწოდებს დანარჩენ ქართველებთან ერთად³⁴. ხოლო სხვა თბილელი ტერტერა ამ დროს ლივორნოში არ ჩანს. ეკლესიაში შენახულია მისი საფლავის ქვა, რომელზედაც წარწერაა გაკეთებული. მოგვეყვას მისი ქართული თარგმანი:

„ესე არს საფლავი განასვენებელი
თბილელ პატრიარქის ძისა,
ტერ იოანეს ხუცესისა, (რომელიც)
შემკული იყო ყოველივე სიკეთით.
იყო პირველი წინამძღვარი
ჟა მაკურთხეველი მამა ტაძრისა ამის.
რომელი-იგი გარდაიკვალა
წელსა სომხურსა 1175 (1727), იენისს 7.
ხოლო იყო წლისა სამოცდაათისა“³⁵.

ტერ იოანესი (*Ճեր Հովհաննես Մալքան*), როგორც წარწერიდან ჩანს, პირველი წინამძღვარი და ეკლესიის მაკურთხეველიც ყოფილა. ამიტომაც, რომ მას (იოანესს) პირველ ნახვითანავე უქია ს.-ს. ორბელიანისთვის ეს ეკლესია.

29 В. Байбуртрян, Армянская колония Новой Джульфы в XVII веке (Роль Гюташ Джульфы в Ирано-европейских политических и экономических связях). Ереван, 1969, გვ. 67.

30 ლივორნოში ტოსკანას პერციოვების კარზე სპარსეთის შაჰის წარმომადგენლები იყვნენ შირომანიანები, რომლებიც მთელი ოქაზით გადასული იყვნენ მუდმივ საცხოვრებლად ახალი ქვლიდან. იხ. Մ ხ ս ი ու Ու դ ու լ ի ս ა ն, Գյուտուրჩին հայոց զագրուսկանուքսան և խնուքսան ხեղեցույ նոցա և Լիվորնոյ քաղաքի. Վենետիկ, 1891, გვ. 202 (მ. უ ლ უ რ ლ ე ა - ნ ი, ისტორია სომეხთა გადასახლებისა და მათი ეკლესიის აშენებისა ქალაქ ლივორნოში, ვენეტი, 1891, გვ. 202).

31 იქვე, გვ. 100. Ղ. Ալիქան. Սիսական. Վենետիկ, 1893, ხვ. 452.

32 სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, თბ., 1959, გვ. 159—160.

33 იქვე, გვ. 222.

34 ამ მოვლენის შესახებ იხ.: გ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეებში, თბ., 1970, გვ. 177—184.

35 მ. უ ლ უ რ ლ ე ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100—101.

სულხან-საბა ორბელიანს უნახავს სომხები აგრეთვე რომში, კათოლიკე მისიონერების მოსამზადებელ სკოლაში, სადაც სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებთან ერთად ისინიც პაპის წყალობით იზრდებოდნენ. ამის თაობაზე ს.-ს. ორბელიანი წერს: „წმიდის ლავრენტის ღიაკენის დღეობა იყო. უწინ წაგვიყვანეს სანახავად და იმისი სახლები და საყდარი ვნახეთ. წირვა იქ მოვისმინეთ. იქ იზრდებოდნენ ბერძნისა და სომხის შვილები პაპის სამადლოდ, ვინც გაპარული მოვიდოდა, ან გაპირებული ყმაწვილი კაცები; ჩვენობას ორმოცნი იყვნენ“³⁶.

რომის პაპის ასეთი ყურადღება ბერძნებისა და სომხების მიმართ შემთხვევითი არ იყო. რომში კათოლიკე მისიონერებს აზხადებდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებში გაგზავნის მიზნით. ირანისა და თურქეთის ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობის გაკათოლიკება როგორც რომის პაპის, ისე საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობის ამოცანა იყო. ევროპის ქვეყნების, კერძოდ, ინგლისისა და შოტლანდიის, ნაწილობრივ გერმანიის განდგომამ კათოლიკური სარწმუნოებიდან დიდად დააზიანა პაპის ავტორიტეტი და შემოსავალიც. გაიზარდა აღმოსავლეთისადმი ყურადღება სარწმუნოების თვალსაზრისითაც. მაგრამ რომის პაპისა და ევროპის ქვეყნებიდან გაგზავნილი მისიონერების მთავარი ამოცანა მანაც აღმოსავლეთში ევროპისათვის დასაყრდენის შექმნა იყო. ისინი თავისი ქვეყნების პოლიტიკური და მოვაჭრე აგენტები იყვნენ: „...добившись привилегий во многих странах Востока, в частности в Иране, католическая церковь сыграла чрезвычайно важную роль в установлении западноевропейскими колонизаторами кабального режима капитуляции“³⁷.

სულხან-საბას ცნობით, გარდა წმ. ლავრენტის ეკლესიისა, კიდევ ორ მონასტერში სწავლობდნენ სომეხი ყმაწვილები. მონასტრებიდან ერთში, რომელიც მთავარი ყოფილა, „რომის დარბაისლის შვილებს ზრდიდნენ“³⁸. აქ სხვადასხვა ეროვნების მოწაფეთა წარმომადგენლები მათ სანახავად მოსულ კარდინალებსა და ეპისკოპოსებს თავის ენაზე ესაუბრებოდნენ: „ყველამ თვითოთვითო სხვადასხვა რიგისა ენა და ლექსი და სიტყუა იუბნეს“, მათ შორის სომეხნიც ყოფილან³⁹. მათ ასწავლიდნენ თავიანთ ენებზე და სპეციალურად მისიონერობისთვის ამზადებდნენ. ამას მოწმობს ისიც, რომ მათმა ეპისკოპოსმა ს.-ს. ორბელიანთან საუბარში იხუმრა კიდევ: „ქართული გვაცლია, ყმაწვილები გამოგზავნეთ, ასე ვასწავლიო და იქ ავ გამოვ გზავნიო“⁴⁰. მეორე მონასტრის შესახებ სულხან-საბა წერს: „თ მარიაშობისთვეს (9 აგვისტოს) წავედით. ერთს კარდინალს ერთი მონასტერი აეშენებინა. ეკლესია პატარა იყო, ორი მღვდელი იდგა. რაც ღარიბი და გამოვარდნილი ლოტრანი, თუ სომეხი, თუ ასური, რაც მწველებელი მოვიდეს, იქ შეინახავდნენ. ასმევიდიან, აჰმევიდიან, ჩაცმით, დახურვით, სჭული ასწავლიან და გაუშეიან. ორმოცდაერთი წელიწადი იყო რომ აშენებულ იყო. სამი ათას-ოთხას ოთხმოცდა თორმეტი

36 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, ტ. I, გვ. 187.

37 М. Г. Панахиин, О режиме капитуляции в Иране (1568—1715), Автореферат канд. диссертаций, М., 1962, გვ. 15.

38 ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, I, გვ. 195.

39 იქვე, გვ. 196—197.

40 იქვე, გვ. 197 (ზახი ჩვენია. — პ. ჩ.).

სული მოუქცევიათ და ქრისტესათვის შეეწირათ, ჩემობას სამოცამდი იყო, მაგრამ ყველა ვერ ვნახე. ზოგი გარეთ იყო“⁴¹.

მეოთხე ადგილი რომში, სადაც სულხან-საბას უნახავს სომხები, მარიამ მეგვიპტელის ეკლესია იყო. ეს ეკლესია განკუთვნილი ყოფილა რომში მიმავალი სომხების სადგომად 1560-იან წლებში პაპის პიოს IV მიერ⁴². იქ სულხან-საბა ჩასულა 1714 წლის ოთხ აგვისტოს: „... მოვედიტ მარიამ მეგვიპტელის ეკლესიაში. მომცრობა ეთქმოდა, მაგრამ ძველი და კარგი ნაშენები იყო. სომხები ვინც მივლენ, იქ დადგებიან. აქ სმენ და სქამენ. ვინც მოკვდება, იქ დაემარხებიან. გრიგოლ პართეველია დახატული და მისი სატანჯველები“⁴³. რომში ეს ეკლესია სომხებს ეკუთვნოდა 1830 წლამდე⁴⁴.

როგორც აღნიშნული იყო, სულხან-საბა იტალიიდან კონსტანტინოპოლში ჩავიდა 1715 წლის 19 იანვარს და იქ იმყოფებოდა 1716 წლის 13 მაისამდე. კონსტანტინოპოლში ის ცხოვრობდა საფრანგეთის საელჩოში. უეჭველია, სულხან-საბამ აქ ბევრი რამ ნახა და არაერთი მნიშვნელოვანი ცნობა მოგვაწოდა თავის „მოგზაურობაში“. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია კონსტანტინოპოლისა და მისი მისადგომების მოსახლეობის რაოდენობის სია იმ დროისათვის, კერძოდ მოხარკე მოსახლეობისა, მოხარკეთა ასაკა და ეროვნებაზე მითითებით. სავარაუდოა, რომ სულხან-საბა დოკუმენტს საფრანგეთის საელჩოში გაეცნო და იგი უფრო სანდო უნდა იყოს, ვიდრე სხვა წყაროებში დაცული ამავე ხასიათის ცნობები. აი, სულხან-საბასეული ცნობა:

„კონსტანტინეპოლს და გალატას და პერას და უსკუდარას არიან ხარკის მიმცემი თხუთმეტის წლიდამ სამოც წლამდი:

ბერძენი სული ორმოცდა სამი ათასი,
სომეხი — ჩვიდმეტი ათასი,
ურია — თორმეტი ათასი,
ფრანგი სული — ორი ათასი,
ქრისტიანი სტუმარი — ოთხი ათასი,
ტყვე კატარლისა თუ სხვა — ორი ათასი,
თათარი — ოთხას სამოცდა თხუთმეტი ათასი.
ფრანგი და თათარი ხარკს არ მისცემს...“⁴⁵.

სულხან-საბას ცნობით ხარკს არ იხდიდნენ თათრები და ფრანგები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მათი რიცხვი სრულად არის გადმოცემული, მოხარკე ერების რაოდენობა მოიცავს მოსახლეობას მხოლოდ 15—50 წლის ასაკამდე, ხოლო მათი საერთო რაოდენობა კი მეტი უნდა ყოფილიყო (დაახლოებით ორჯერ მეტი). მაშასადამე, სომეხთა რაოდენობა 1710-იან წლებში კონსტანტინოპოლსა და მის მისადგომებში იქნებოდა დაახლოებით 35 ათასი სული; თუ კომლებით ვიანგარიშებთ (კომლში ივარაუდება 5—6 სული), — 6000 კომლი⁴⁶. XV საუკუნის ბოლოს კონსტანტინოპოლის სომხური მოსახ-

⁴¹ იქვე.

⁴² მ. უ ლ რ ლ ე ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 223, მკ. მ ა ჯ ნ ხ ი ნ მ ი ა ო მ ი რ ი ნ კ ა რ ი-ე ჯ ს ხ ქ ა რ ი ა ყ ს ი ო ი რ ხ ა ნ ქ რ ა ყ ს ხ მ ა მ ი რ ხ ა ნ ნ ი ვ ი დ ე ნ ი ჩ ი ი მ ხ ა ს ა ნ ე კ ხ ე ხ ე რ ი, ქ ბ ხ ნ ნ ა. 1878, გვ. 158.

⁴³ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, 1, გვ. 195.

⁴⁴ მ. უ ლ რ ლ ე ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

⁴⁵ ს.-ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, თხზულებანი, 1, გვ. 242—243.

⁴⁶ აქ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ ქალაქის მკვიდრი მოსახლეობა, რადგან სიაში განცალკევებულია „ქრისტიანი სტუმარი“ და „ტყვე კატარლისა თუ სხვა“.

ლეობის რაოდენობამ უკვე 1000 კომლამდე მიაღწია⁴⁷. XVII საუკუნის მოგზაური სიმეონ ლეპაცის ცნობით, რომელიც კონსტანტინოპოლში იყო 1608 წელს, «два ли здесь нашлось бы восемьдесят домов местных (жителей), но пришлых и гарибов в Стамбуле, Галате и Скутари было более 40 тысяч домов. Так как джалали той стороны (Азии) разорили (их) жилища, все голымые и беглецы разместились там»⁴⁸. სხვა ადგილზე იგი წერს: «Говорят, что в Стамбуле есть... 10 тысяч домов армян»⁴⁹. სწორედ ხანის სიმეონ ლეპაცი კონსტანტინოპოლში თავმოყრილი მოსახლეობის სამშობლოდან ლტოლვის მიზეზებს, მაგრამ მის მიერ მოწოდებული ციფრები გაზვიადებულია.

სხვა ცნობით კონსტანტინოპოლში XVIII საუკუნის შუაწლებში ცხოვრობდა 8000 კომლი ადგილობრივი და 50000 ლტოლვილი სომეხი⁵⁰. ლტოლვილი მოსახლეობა კი შემდგომში ან დაბრუნდებოდა თავის სამშობლოში ან განაგრძობდა გზას ევროპისაკენ. კონსტანტინოპოლის მოსახლეობა იზრდებოდა უმთავრესად ლტოლვილი მოსახლეობის ხარჯზე. ეს კი გამოწვეული იყო თურქეთის საფაშოებში ქრისტიანების დევნის გაძლიერებით.

ამრიგად, სულხან-საბა ორბელიანის „მოგზაურობაში“ არაერთი საინტერესო ცნობაა შემონახული ლივორნოში, რომსა და კონსტანტინოპოლში მცხოვრებ სომეხთა შესახებ.

⁴⁷ ჯაყ ძიღიძეძიყი აყაიომიქიონი, ნ. IV, სრ., 1971, გვ. 301:

⁴⁸ С и м е о н Л е х а ц и, Путевые заметки, Перевод с армянского, предисловие и комментарии М. О. Дарбишян, М., 1965, гв. 37.

⁴⁹ იქვე, გვ. 48.

⁵⁰ ჯაყ ძიღიძეძიყი აყაიომიქიონი, გვ. 302:

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ე. მეტრეველმა)

ლილი ჟორჟოლიანი

ზააქის ამბავი ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“

ძველი ირანული თქმულებებისა და ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ საინტერესო ნაწილს ზააქის ამბავი წარმოადგენს. როგორც სპარსულ, ასევე აღმოსავლეთის სხვა ხალხთა ენებზე (მათ შორის ქართულ ენაზე) ამ ამბის მრავალი ვერსია დასტურდება. მათი უმრავლესობა სრული ან ფრაგმენტული სახით სხვადასხვა წყაროში, ფირდოუსის „შაჰ-ნამესა“ და მის მრავალრიცხოვან ვერსიებშია წარმოდგენილი, ზოგიერთი კი ცალკე თქმულებისა და დამოუკიდებელი თხზულების სახითაც გვხვდება.

ირანელთა ნაციონალური თქმულებებისა და საგმირო ეპოსის შესახებ უძველეს წყაროებთან (ვედები, ავესტა, ბერძნული, ფალაური, სომხური და სხვა წყაროები) ერთად მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა დატული ისლამის პერიოდის (ძირითადად არაბულენოვანი ავტორების) საისტორიო ქრონიკებსა და თხზულებებში¹. ისლამის პერიოდის წყაროები იმ იზრვიც არიან საყურადღებონი, რომ ზოგჯერ მათზე დაყრდნობით შესაძლებელია გავიაზროთ ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ რომელიმე ეპიზოდი ან ამბავი რა სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი ჩვენამდე მოუღწეველ ფალაურ „ხვატაი-ნამეკში“, რადგანაც ცნობილია, რომ ამ თხზულებათა ავტორებს სხვა წყაროებთან ერთად პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ფალაური „ხვატაი-ნამეკ“ ან მისი არაბული თარგმანები აქვთ გამოყენებული. ამ პერიოდის ზოგიერთი თხზულების (მაგ., სა'ალიბის „ლარარ ახბარ მულუქ ალ-ფარს“, ბირუნის „ალ-ასარ ალ-ბაკიაჰ“) დახმარებით შეგვიძლია განვსაზღვროთ რამდენად ზუსტად და კეთილსინდისიერად ლექსავდა ფირდოუსი თავის ძირითად წყაროს — ჩვენამდე მოუღწეველ აბუ მანსურ იბნ აბდ არ-რეზაყის პროზაულ „შაჰ-ნამეს“, რადგანაც დადგენილია, რომ სა'ალიბისა და ბირუნის მთელი რიგი ამბების გადმოცემისას წყაროდ იგივე წიგნი გამოუყენებიათ².

ზააქის ამბის ვერსიათაგან ჩვენ ამჯერად ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ წარმოდგენილ ზააქის ეპიზოდზე შევჩერდებით.

¹ ისლამის პერიოდის წყაროებში ირანის მეფეთა და ფალავანთა შესახებ ხშირად ერთმანეთისაგან განსხვავებული თქმულებები და ცნობები იკითხება. ირანელი მკვლევრის ზ. საფას შეხედულებით, ამ შეუსაბამობის მიზეზი ის არის, რომ მათი ავტორები ერთმანეთისაგან განსხვავებულ წყაროებს ეყრდნობოდნენ და ზოგჯერ ერთი ამბის გადმოსაცემად რამდენიმე წყაროდან ამონაკრებ მასალას იყენებდნენ. (იხ.: ذبیح الله صفا، حماسه سرایی در ایران، تهران، ۱۳۳۳، ص ۷۲).

² ذبیح الله صفا، حماسه ملی ایران، ترجمه بزرگ علوی، تهران، ۱۳۵۱، ص ۵۲. ذبیح الله صفا، حماسه سرایی در ایران، ص ۷۱-۷۲ و ۱۰۳-۱۰۷.

ფირდოუსის პოემისეული ზაქის ეპიზოდი ვრცელია. აქ ზაქის შესახებ თხრობა იწყება ჯამშიდ მეფის მიერ თავისი თავის ღმერთად გამოცხადების შემდეგ. ეპიზოდის შინაარსობრივი მსვლელობა კი უთუოდ მოითხოვს იმის ცოდნასა და გათვალისწინებას, რასაც ფირდოუსი ჯამშიდ მეფის შესახებ თავისი პოემის წინა თავში მოგვითხრობს.

ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ მიხედვით, ჯამშიდი ფიშადლი იანთა სამეფო დინასტიის მეოთხე მეფეა. იგი მამის — თაჰმურასის გარდაცვალების შემდეგ იკავებს სამეფო ტახტს. ძველი ირანული წყაროების (ავესტა, ფალაური რელიგიური წიგნები) თანახმად³, ჯამშიდი თაჰმურასის ძმაა და ორივენი ვივაჰვანტის (ფალ. ვივანგჰან) ვაჟები არიან. მსგავსი გენეალოგიაა მოყვანილი ისლამის პერიოდის ზოგიერთ თხზულებაში⁴. საალიბი ჯამშიდისა და თაჰმურასის ზუსტ ნათესაურ დამოკიდებულებას არ აღნიშნავს. ამ ავტორთან ორივენი მეფე ჰუშანგის შთამომავლებად იხსენიებიან⁵.

„შაჰ-ნამეს“ და წყაროების ეს შეუსაბამობა „მაჰმალ ათ-თავარიხის“ უცნობ ავტორსაც შეუნიშნავს⁶. იგი წერს: „ჯამშიდი შაჰ-ნამეში თაჰმურასის ვაჟად არის ნათქვამი, მაგრამ უფრო სწორი ის არის, რომ მისი ძმა ყოფილა“⁷.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აბუ მანსურის პროზაული „შაჰ-ნამეს“ ავტორებმა (ან თვით ფირდოუსიმ), იცავდნენ რა წყაროებში მოცემულ მეფეთა ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას, სიმარტივისა და ლაკონიურობის მიზნით ჯამშიდი თაჰმურასის შვილად წარმოგვიდგინეს, ხოლო მათი მამის შესახებ, რომელიც წყაროების მიხედვით მეფე არ ყოფილა, ღუმილი ამჯობინეს.

„შაჰ-ნამეს“ თანახმად, ჯამშიდმა 700 წელი იცოცხლა. აქედან 600 წლის განმავლობაში იგი სამეფო ტახტსა და გვირგვინს ფლობდა და მორკმით მართავდა⁸. თავისი მეფობის პირველი 50 წელი საომარი იარაღისა და საჭურვლის გამოგონება-დამზადებას მთავრობდა. მეორე ორმოცდაათი წლის განმავლობაში ხალხს ასწავლა რთვა, ქსოვა, კერვა და ტანსაცმლის ტარება. ორჯერ ორმოცდაათი წელი ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა ფენებად დაყოფით იყო

³ ველ ირანულ (ავესტა, ფალაური წიგნები) და სომხურ წყაროებში დადასტურებულია ზაქის თქმულების ფრაგმენტებზე მსჭვალისას და ფირდოუსის პოემის შესატყვის ნაწილთან მათი შედარებისას ეყრდნობით ჩვენსავე შრომას — „ირანული საგმირო ეპოსის სათავეებთან“. (იხ: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, № 2, გვ. 58—70).

ترجمه تاریخ طبری از ابو علی بلعی، طهران، ۱۳۳۷، ص ۲۱. مجمل التواریخ و القصص، بتصحیح ملک الشعرای بهار، تهران، ۱۳۱۸، ص ۱۳. A. Б и р у н и. Памятники минувших поколений. Избранные произведения. т. I. Ташкент. 1957, гл. 113.

شاهنامه تالیبی در شرح احوال سلاطین ایران، ترجمه محمود هدایت، تهران، ۱۳۲۹—۱۳۲۸، ص ۲۴.

⁶ „მაჰმალ ათ-თავარიხის“ ავტორს, როგორც თვითონვე მიუთითებს, ფირდოუსის „შაჰ-ნამე“ თავისი თხზულების ერთ-ერთ წყაროდ აქვს გამოყენებული.

⁷ مجمل التواریخ و القصص، ص ۲۵.

⁸ ავესტის ფრაგმენტების თანახმად, ჯამშიდმა 900 წელზე მეტხანს იმეფა. ფალაური და ისლამის პერიოდის წყაროები ჯამშიდის მეფობისა და სიცოცხლის ხანგრძლივობას განსხვავებულად წარმოადგენენ.

დაკავებული⁹. შემდეგი ორმოცდაათი წლის განმავლობაში დევებს სასახლე-ები ააშენებინა და სამშენებლო საქმესა და ხუროთმოძღვრებას ჩაუყარა საფუძველი. ამავე პერიოდში ასწავლა მან ხალხს ძვირფასი ქვებისა და მეტალების მოპოვება, სხვადასხვა სატიკივართა მკურნალობა და ნაოსნობა, ორმოცდაათი წელი კი თავისი ბრწყინვალე ტახტის გაკეთებას შეაღია და მასზედ ამალღების დღის აღსანიშნავად დააწესა დღესასწაული ნოე რ უ ზ ი (نوحی — „ახალი დღე“). ბედნიერად ცხოვრობდა ხალხი. ქვეყნად ყველა ჯამშიდ მეფის მორჩილი და თაყვანისმცემელი იყო. სიავისა და გაქირვების არა იცოდნენ რა. „ასე მიდიოდა საქმე სამასი წლის განმავლობაში, სიკვდილი არ უნახავთ იმ ხანად“¹⁰.

ჯამშიდის მეფობასა და საქმიანობას დაასლოებით ასევე აღწერენ თაბარი¹¹ და სა'ალიბი¹². ბირუნის ჯამშიდის მეფობის ეპოქა. ფირდოუსის მსგავსად, ცალკეულ პერიოდებად აქვს დაყოფილი და ირანელთა უძველესი ეროვნული დღესასწაულის დაწესება მასაც ჯამშიდისადმი აქვს მიკუთვნებული¹³.

ძველ ირანულ წყაროებში ჯამშიდის შეცოდებამდელი საქმიანობა სხვაგვარად არის წარმოდგენილი: ავესტის, „დინქარდის“ და „ბუნდაჰიშნის“ თქმულებების მიხედვით, იგი აპურა მაზდას მიერ შექმნილი მიწური სამყაროს ზედამხედველია და ამ სამყაროს სიავისა და ბოროტებისაგან დამცველის ფუნქციას ასრულებს.

ცნობილია, რომ ახალი თქმულება ჯამშიდზე, როგორც ცივილიზაციის დამფუძნებელსა და განმანათლებელზე ისლამის პერიოდში ჩამოყალიბებულა ყურანის ს უ ლ ე ი მ ა ნ ის (ბიბლ. სოლომონ მეფე) გავლენით, რადგან ბრძენ, უდიდეს აღმშენებელ, დემონურ ძალთა დამპირჩილებელ აუღიანმანსა და ირანული თქმულებების ჯამშიდ მეფეს შორის შრავალგვარ მსგავსებას ხედავდნენ და ხშირად მათ, როგორც ეს სა'ალიბისაც აქვს შენიშნული, კიდევაც ათავსებდნენ¹⁴.

უნდა ითქვას, რომ ფირდოუსი ჯამშიდის მეფობის შეცოდებამდელ პერიოდს, ძველი ირანული წყაროების მსგავსად, ადამიანთა ცხოვრების „ოქროს ხანად“ გვისახავს, რომლის დროსაც ხალხმა არ იცის რა არის ავადმყოფობა, სიკვდილი, გაქირვება და სხვა სიავე. მაგრამ. როგორც ფირდოუსი მოგვითხრობს, მიღწეულმა წარმატებებმა თავბრუ დაახვია ჯამშიდს, იგი ისე გაამაყდა, რომ ქვეყნად თავისი თავის გარდა არავის ცნობდა. განუდგა ღმერთს, იხმო ქვეშევრდომები და უბრძანა, რომ იგი ეცნოთ ქვეყნიერების შემოქმედად¹⁵. მაგრამ „როცა ეს ითქვა, ლეთაებრივმა ბრწყინვალეებამ/მისგან პირი იბრუნა

⁹ „დინქარდის“ თქმულების მსგავსად, „შა-ნამეში“ ჯამშიდი ადამიანებს ოთხ ფენად ყოფს. ფირდოუსის პოემაში ამ ფენათა სახელწოდებები ძალზე დამახინჯებული ფალაური ტერმინებითაა წარმოდგენილი.

¹⁰ شاهنامه فردوسی، متن انتقادی، جلد اول، مسکو، ۱۹۶۰، ص ۴۲.
ترجمه تاریخ طبری از بلعی، ص ۲۱.

¹² شاهنامه ثعالبی، ص ۵-۶.

¹³ А. Б и р у н и. Памятники минувших поколений, гв. 113. 222.

¹⁴ شاهنامه ثعالبی، ص ۵-۶.

¹⁵ ზოგიერთი წყარო (მაგ., „დატისტანი-დინი“ და „თაბარის ისტორია“) ჯამშიდის ამ საქციელს მისი ეშმაკისაგან ცდუნებით ხსნის. „შა-ნამეში“ კი, ავესტასა და სა'ალიბისთან მოყვანილი თქმულებების მსგავსად, ჯამშიდისათვის ეს საქმე ეშმაკსა და ავ სულს არ ჩაუგონებია.

და ქვეყანა მითქმა-მოთქმით აიყოს“¹⁶. სულ მალე ჯაშუიძს უყუღმა წაუვიდა საქმე და მისი ძლიერბაჲ დაეცა. აქ ფირდოუსი წყვეტს თხრობას ჯაშუიძის შესახებ და ზაჰის ამბავს იწყებს.

ჯაშუიძის მეფობისას არაბეთში¹⁷ მბრძანებლობდა კეთილშობილი, სამარ-თლიანი, ღვთისმოშიში და გულუხვი ხელმწიფე მარდასი (مراس), რომელსაც ჰყავდა ერთი ვაჟი:

ფალანის სახელი ზაჰაქი¹⁸ იყო.
მამაცი, კუთამხატე და უწმინდური იყო,
რომელსაც ბიეარას ფსაც ეძახდნენ.
ასეთ სახელს ფალაურად უწოდებდნენ,
რადგან ბიეარ ფალაური თვლით
ღერის ენაზე ათი ათასი იქნება¹⁹.
ოქროს მოსართავიანი არაბული ცხენები,
მას ათი ათასი ჰყავდა, როგორც სახელს უწოდებდნენ (ფალაურად).
ღლისა და ღამის ორ ნაწილს უნაგირზე ატარებდა,
დიდებულების ნიშნად და არა სამტროლ²⁰.

ავესტის ფრაგმენტების მიხედვით, ზაჰაქი (აჲი დაჰაქა) ავი სულის მიერ შექმნილი უძლიერესი და უბოროტესი ურჩხულია. ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროებში, მ. ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ ასახული თქმულებიდან

18

شاهنامه فردوسی، جلد اول، ص ۴۳

17 „შაჰ-ნამეში“ ზაჰის მამის სამფლობელოს „შუბოსან მხედართა ეელი“

(دشت سوران نیزه گذار) ეწოდება. ამასთან ზაჰი, მამამისი და მათი ქვეშევრდომები თაზიებად (تازیان) იწოდებიან. სიტყვა თაზის (تازی) ეტიმოლოგიურად უკავშირებენ არაბთა მითოლოგიური წინაპრის სახელს—Tāz. იმასაც ვარაუდობენ, რომ თაზი შეიძლება იყოს სახელწოდება ირანელთა მოსაზრებ არაბული ტომის თაისა, რომელიც შემდგომ საერთოდ არაბებზე გაავრცელეს. (იხ.: A. A. Стариков. Комментарий к переводу „Шахнаме“ Фирдоуси. т. I. М., 1957, გვ. 611). ლექსიკონები სიტყვა-თაზის-ს განმარტავენ როგორც — არაბი, არაბული. ამრიგად, თაზიან — تازی და შრ. რიყვისის მარჯაბოებელი სუფიქსი (ان) არაბებს ნიშნავს. „შაჰ-ნამეში“ تازیان ზაჰის სამფლობელოს აღნიშვნად სახელადაც შეიძლება გაეიგოს (იხ.: დ. კობიძე, შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, თბ., 1959, გვ. 149) და შესაბამისად ვთარგმნოთ როგორც — არაბეთი.

¹⁸ უფრო სწორი და ზუსტი გახმოვანებით: Zohhāk. ვარიანტულად გვხვდება აგრეთვე Zahhāk ფორმაჲ. ქართულში ტრადიციულად ეს სახელი ზაჰაქ ფორმით იხმარება.

ფ. იუსტის აზრით, ახ. სპარსული Dahhāk წარმოადგენს ავესტის Dahāka-ს არაბიზებულ ფორმას (იხ.: F. Justi, Iranisches Namenbuch, Hildesheim, 1963, გვ. 60). ჩვენი ვარაუდით, არაბიზება უნდა განეცადა სახელის ფალაურ ფორმას — Až Dahāk-ს, რადგანაც არაბებს ზაჰაქზე თქმულებები ფალაური ლიტერატურიდან, კერძოდ, სასანური „ხეატი ნამაჲის“ თარგმანებით უნდა გაეცნოთ.

„მაჰმალ ათ-თავარიხის“ ავტორს ამ სახელის თავისებურად საინტერესო ეტიმოლოგია აქვს მოცემული. იგი წერს: „ზაჰაქს სპარსელები დაჰაჯას (ده آگ) უწოდებენ, რადგან ათი უბედურება და ავი ზენ გაავრცელა ქვეყანად. აგ (آگ) — სისამაგლესა და უბედურებაჲ ნიშნავს. დაჰაჯის არაბიზების შემდეგ ზაჰაქი მივიღეთ“ (იხ.: مجمل التواريخ و القصص، ص ۲۶).

¹⁹ ბიეარასფის ასეთივე განმარტება „მაჰმალ ათ-თავარიხშიც“ არის მოყვანილი. ზაჰაქს ამ ეპითეტით უწედა ფალაური, სომხური და ისლამის პერიოდის წყარო იხსენებს.

20

شاهنامه فردوسی، جلد اول، ص ۴۴

მოყოლებული, იგი უკვე ადამიანის სახეს ატარებს და მთელ რიგ წყაროებში მისი წარმომავლობის მაჩვენებელი ვრცელი გენეალოგიური ნუსხებია მოყვანილი.

ფალაური და ისლამის პერიოდის წყაროები, რომლებშიც ზაჰაქის გენეალოგია არის წარმოდგენილი, ზაჰაქის მამას სხვადასხვა სახელით იხსენიებენ. მაგ., „ბუნდაჰისნი“ — მას ხ რ უ ტ ა ს კ ი, დინაეარის თანახმად — უ ლ ე ა ნ ი (علوان), „მაჰმალ ათ-თავარიხით“ — ა რ ვ ა ნ დ ა ს ბ ი (اورونداسب) ჰქვია. თაბარის, სა'ალიბის და ბირუნის ზაჰაქის მამის ორგვარი სახელი აქვთ ნაჩვენები. პირველი სპარსელთა მიხედვით: თაბარი — ა ვ რ ა ნ დ ა ს ბ (اورونداسب), სა'ალიბი — ა ნ დ ა რ მ ა ს ბ (اندرماسب), ბირუნი — ა ვ რ ა ნ დ ა ს ფ (اورنداسف); ხოლო მეორე არაბთა მიხედვით და სამივე ავტორს უ ლ ე ა ნ ი ჰყავთ დასახელებული. ზაჰაქის მამის „შაჰ-ნამესეული“ სახელი მარდას არც ერთ წყაროში არ იკითხება და ჭერჭერობით გაურკვეველია, საიდან აიღო იგი ფირდოუსიმ.

ზაჰაქის ვინაობის შესახებ ისლამურ წყაროებში ასე იკითხება: დინაეარი, რომელიც საერთოდ არაბთა ისტორიული ამბებისა და ირანელთა თქმულებების შეთანხმებას ცდილობს, ზაჰაქს იემენის მეფის შ ა დ ი დ ის (شادي) ამისწულად თვლის და თან დასძენს, რომ იგი სწორედ ის არის, ვისაც სპარსელები ბივარასს უწოდებენ. თაბარის თანახმად, ბივარასი და ზაჰაქი სხვადასხვა პიროვნებები არიან. ამ ისტორიკოსს ზაჰაქის თქმულება ორ ნაწილად გაუყვია. მასთან მოყვანილი თქმულებით, ბივარასი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ქვეყნის ხელმწიფეა და მას მხოლოდ ჯამშიდის ტახტის შიტაცება და მისი ნოკლა მიეწერება, ხოლო თქმულების სხვა ამბები ზაჰაქს აქვს მიკუთვნებული. სა'ალიბი წერს, რომ ზაჰაქს, რომელსაც სპარსელები ბივარასს ეძახდნენ; ემენელები თვისტომად მიიჩნევენ. ბირუნის ზაჰაქის გენეალოგიური ხაზი ნამის მხრივ არაბებამდე მიჰყავს, ხოლო დედის მხრივ მას ჯამშიდის დისწულად თვლის²¹. „მაჰმალ ათ-თავარიხის“ ავტორის მიხედვით, ზაჰაქის ნამდვილი სახელი ყ ე ე ის ლ ა ჰ უ ბ ი ა (قسي لهوب) და მამამისი თაჰმურასის ვეზირი იყო²². „შაჰ-ნამეში“ თაჰმურასს ვეზირი კი ჰყავს, მაგრამ მისი სახელია შუჰრასფ//შიდასფ (شهرسپ || شيداسف).

დაუებრუნდეთ „შაჰ-ნამეს“: ბუნებით უწმინდურსა და თავქარიან ზაჰაქს შუჰრნდა ავი სული (اهريمن || ابيس). პირველად კეთილისმუსურველი კაცის სახით მოეწინა, დაუმეგობრდა და ფიცი დაადებინა, რომ მის ყოველ რჩევადარიგებას შეისმენდა და თან არავისთან გაამჟღავნებდა. ეშმაკმა ზაჰაქს მამის მოკლა და მისი ტახტის დაპატრონება ურჩია. ზაჰაქი ერთხანს უარზე

²¹ შტრ. „ბუნდაჰისნი“, რომლის თანახმადაც ჯამშიდმა თავისი დამ მიათხოვა ერთ-ერთ დემონს. იხ.: The Bundahis, თავი XXIII, § 1, Pahlavi texts, translated by E. W. West, I, Oxford, 1890.

²² ზაჰაქისა და მამამისის ვინაობისა და წარმომავლობის შესახებ იხ.:

ابو حنيفه احمد بن داود الدينوري، أخبار الطوال، لندن، ١٨٨٨، ص ٢٣—٢٤.
ترجمه تاريخ طبري از طبعی، ص ٢٣—٢٤.
شاهنامه ثعالبي، ص ٨.

مجلد التواريخ و القصص، ص ٢٥—٢٦.

იღგა, მაგრამ ეშმაკმა ფიცი მოაგონა და იგი იძულებული იყო თანხმობა ეთქვა. ეს ბოროტი საქმე თვით ეშმაკმა აღასრულა. მარდასის მშვენიერ ბაღში ღრმა ორმო გათხარა და შენიღბა. სახელოვანი მარდასი ჩაეარდა ორმოში და სასიკვდილოდ დაიბტკრა. ზაჰაქი კი მამის სიკვდილის შემდეგ მისეულ სამეფო ტახტს დაეპატრონა.

მეორედ ეშმაკი ხელოვანი ვიზარეულის სახით გამოეცხადა ზაჰაქს და სხედასხვა ნუგბარი კერძის მომზადების საოცარი ცოდნა და უნარი გამოიჩინა. კმაყოფილმა არაბთა მბრძანებელმა მისი დაჭილდობა მოინდომა. ვიზარეულმა მხოლოდ ზაჰაქის მხრებზე ამბორი ისურვა. უმეცარმა ზაჰაქმა ნება დართო.

ბრძანა, რომ დევს, ეითარცა მის სწორს,
მისთვის მხრებზე ეკოცნა.
ეამბორა და დედამიწაზე უჩინარ იქნა,
ქვეყნად არავის უნახავს ამგვარი საოცრება.
ორი შავი გველი მისი მხრებიდან ამოიზარდა,
დაღონდა და უოველმხრივ საშუალების ძებნა დაიწყო.²⁴

შეწუხებულმა ზაჰაქმა აღარ იცოდა როგორ დაეხსნა თავი ამ საშინელებისაგან. ბოლოს ორივენი ხმლით მოაკვეთინა, მაგრამ ამოდ. მათ ნაცულად მხრებიდან ისევე ამოეზარდა ორი შავი გველი. ბრძენმა უქიმებმაკ ვერა უწყამლეს რა მის „სატკივარს“. ისევე მოველინა ეშმაკი ზაჰაქს — ამჯერად გამოცდილი ექიმის სახედ გარდაქმნილი და ასე უთხრა: „ის, რაც შენ დაგემართა, განგების საქმე იყო და წამალი ვერას გარგებს. თუ მოსვენება გინდა, ისინი ყოველდღე ადამიანის ტვინით კვებო“. ფირდოუსი განმარტავს ეშმაკ-ექიმის ამ უცნაური დარიგების ფარულ მიზანს და წერს: იბლისის ის სურდა და იმას ეძიებდა, რომ დედამიწა ადამიანებისაგან დაეცარიელებინათ²⁴.

ზაჰაქისა და ეშმაკის ურთიერთობის ამბავს ძველი წყაროებიდან მხოლოდ ხორენელის „სომხეთის ისტორიაში“ ვხვდებით. აქ ეს ამბავი ძალზე მოკლედაა გადმოცემული. ხორენელთან მოყვანილი მითით, ეშმაკი ზაჰაქს ემსახურება და თან ჭადოქრობაში წერთნის, ზაჰაქი მას მხრებზე მთხვევის ნებას ჭადოქრობის სწავლების საზღაურად აძლევს და ამ ამბორის შედეგად მას იგივე საქმე ემართება, რაც „შაჰ-ნამეშია“ მოთხრობილი.

ფალაურ წყაროებში ზაჰაქის მხარგველიანობა ნახსენებია, მაგრამ მათი გაჩენის მიზეზი არ იხსენიება. ისლამური ისტორიები კი რამდენადმე ასხვადფერებენ ამ ამბავს. თანბარი ასე მოგვითხრობს: „ზაჰაქს სპარსელები ა ე დ ა პ ა ყ ს (ازدهاک) ეძახდნენ²⁵ იმის გამო, რომ მას მხრებზე გველის თავის მსგავსი ამონაზარდები ჰქონდა და მათ ჭადოქრობით ხალხს გველესაძებად მოაჩვენებდა ხოლმე. მისი მეფობიდან 700 წლის გასვლის შემდეგ ამ ამონაზარდებმა ფესვი გაიღვეს და ძლიერ ატკივდნენ. ვერაეინ შეძლო მისი მორ-

22

. ۴۸ جلد اول، سوسى، شاهنامه فردوسی

²⁴ შტრ. ავესტას, სადაც ურჩხულ ავი დაჰაქას უპირველეს სურვილს დედამიწაზე აღამინათა მოსპობა წარმოადგენს.

²⁵ „მაჰმალ ათ-თავარისის“ ავტორის თანახმად, ზაჰაქს თავისი გველების გამო დაიწინეა ა ე დ ა პ ა ქ ს ა ე (ازدهاک) ეძახდნენ (იხ.: ۲۶ ص القصص و التواريخ). ფირდოუსიც ზაჰაქის სახელად ზოგჯერ ა ე დ ა პ ა ქ ს - (ازدها — ურჩხული, დრაკონი) იყენებს. შტრ. ავესტის Aži Dahāka-ს.

ჩენა, ვიდრე ერთ ღამეს სიზმარში ვილაცამ ადამიანის ტვინით მათი წამლობა არ ასწავლა“²⁶.

ბირუნი წერს: „ბიეარასიფის გველთა შესახებ ამბობენ, რომ ისინი მას მხრებზე ჰქონდა ამოზრდილი და ტვინით იკვებებოდნენ; იმასაც იტყვიან, რომ ეს ორი მტკივნეული ქრილობა იყო და ბიეარასიფი მათ ტვინს უსვამდა, რააა ტკივილი დაეამებინა“²⁷.

ზაჰაქ-ეშმაკის ამბავი დაახლოებით ისეთივე სახით, როგორც ფირდოუსისთან გვაქვს, სა'ალიბისთან იკითხება, მაგრამ ეს ამბები ამ ავტორს ზაჰაქის მიერ ჩამშიდის მოკვლის შემდეგ აქვს მოთხრობილი²⁸.

ფირდოუსი ჩამშიდის ამბავს უბრუნდება და ასე მოგვითხრობს: ჩამშიდის შეცოდების შემდეგ ირანში არეულობამ იჩინა თავი. ქარი და ქვეშევრდომები განუდგნენ ღვთისმგმობელ ჩამშიდს და დრაკონის გარეგნობის მქონე ზაჰაქი მიიწვიეს მეფედ. ზაჰაქი თაზიათა და ირანელთა დიდი ლაშქრით გაემართა ჩამშიდთან საომრად. ყველასგან მიტოვებულმა ჩამშიდმა გაქცევით უშველა თავს, ხოლო ზაჰაქმა უბრძოლველად დაიკავა მისი ადგილი. დიდხანს ემალებოდა ჩამშიდი ზაჰაქს, მაგრამ მეასე წელს იგი ჩინეთის ზღვაში შეიპყრეს და ზაჰაქს მიჰგვარეს:

როცა ზაჰაქმა იგი ხელში ჩაიგდო,
დიდხანს აღარ დააყოვნა;
იგი ხერხით თავიდან ბოლომდე ორად გახერხა,
ქვეყანა მისგან გაწმინდა და უშიშარ კნაჲ.

ჩამშიდის ცხოვრების ბოლო პერიოდისა და მისი აღსასრულის ამბის გადმოცემის მხრივ „შაჰ-ნამეს“, ძველ ირანულსა და ისლამურ წყაროებს შორის დიდი სიახლოვე არსებობს. ასე, მაგალითად, ავესტაში, ხეარნასგან მიტოვებული და ძლიერებადაკარგული ჩამშიდი ემალება თავის მტრებს. ფალაური წყაროებით²⁹, ზაჰაქის შიშით გარდახვეწილი ჩამი ასი წელი თავის დასთან ერთად რომელიღაც ზღვის ნაპირას ცხოვრობს. ისლამური ისტორიებით — ჩამშიდი ერთხანს (თაბარით — ერთი წელი, „მაჰმალ ათ-თავარიხის“ მიხედვით — 130 წელი, სა'ალიბისთან წელთა რაოდენობა აღნიშნული არ არის) ფარულად იმყოფება, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც ზაჰაქს უვარდება ხელში („თაბარის ისტორიისა“ და „მაჰმალ ათ-თავარიხის“ მიხედვით — მას ინდოეთში ატყვევებენ, ხოლო სა'ალიბის თანახმად — რომელიღაც ნაპირთან). ზაჰაქი დატყვევებულ ჩამშიდს წყაროების მიხედვითაც, ორად გაახერხებინებს. საყურადღებოა, რომ არც ფირდოუსი და არც ისლამური ისტორიები არ იხსენიებენ ავესტასა და ფალაურ წიგნებში ხსენებულ ჩამშიდის ქალათს ს კ ი ტ ი უ რ ა ს.

²⁸ . ۲۴ ترجمه تاریخ طبری از بلعی، ص ۲۴

²⁷ А. Бирюни. Памятники минувших поколений. гл. 244.

²⁸ . ۱۵—۹ ترجمه تاریخ طبری از بلعی، ص ۱۵—۹

²⁹ شاهنامه فردوسی، جلد اول، ص ۴۹

³⁰ იხ.: . ۲۳—۲۱ ترجمه تاریخ طبری از بلعی، ص ۲۳—۲۱

شاهنامه تعالبي، ص ۸—۶

مجموع التواريخ و القصص، ص ۳۹

ზაქის მეფობა 1000 წელს გაგრძელდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქვეყნად ბოროტება, სიღვე, სიცრუე, ჯადოქრობა და უბედურება იყო გაბატონებული. სიმათლესა და სიკეთეზე ლაპარაკაც კი ვერაინ ბედავდა, არავის ინდობდა მტრეალი მეფე. უშიზეზოდ ხოცავდა სახელოვან ვაჟაკებს, ხოლო თუ სადმე ლამაზი ქალი გამოჩნდებოდა, მაშინვე თავის მხველად აქცევდა. იგი ჯაშუიდის ტურფა ასულბს — არნავაზსა და შაჰრნავსაც დაეუფლა, კერძოყვანისმცემლებად აქცია და მათ ჯადოქრობაში წვრთნიდა.

„შაჰ-ნამეს“ ზოგი ხელნაწერთა და ბეჭდური ტექსტითაც, არნავაზი და შაჰრნავი ჯაშუიდის დები არიან. ფალაური თხზულებები ჯაშუიდის სპ დას (მაჰაჯ, არნავაზ, შაჰრნავ) იხსენიებენ. ავესტის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებით, არნავაზი და შაჰრნავი აჟი დაჰაკას (ზაქის) ცოლთა სახელებია, რომელთა ხელში ჩაგდების სურვილს არაერთგზის გამოთქვამს თრაეტონა (ფერიდუნი). დღევანდელ ავესტაში არ ჩანს მათი ჯაშუიდთან ნათესაური დამოკიდებულება. ჩვენ მიერ გამოყენებული ისლამური წყაროებიდან, არნავაზსა და შაჰრნავს სააღიბი და „მაჰმალ ათ-თავარიხის“ ავტორი იხსენიებენ. პირველთან ისინი ჯაშუიდის ასულები არიან³¹, ხოლო მეორესთან — ჯაშუიდის დები.

ზაქის გეულების გამოსაკვებად და დასამშვიდებლად ყოველდღე ორი ადამიანის სიცოცხლე ისპობოდა. ორმა წარჩინებული გვარის ირანელმა — არმაილმა (ارمائی) და გარმაილმა (گرمائی)³² გადაწყვიტა როგორმე ეშველათ ხალხისათვის. ისინი ზაქის მზარეულებად დაუდგნენ და ყოველდღე გველებისათვის განკუთვნილი ორი კაციდან, მხოლოდ ერთს კლავდნენ, მის ტვინს ცხერის თავის ტვინში ურევენდნენ და ამგვარი საქმლით ასაზრდოებდნენ გველებს; გადარჩენილებს კი მცირეოდენ სარჩოს აძლევდნენ და მათსა და ველში ხიზნავდნენ. სწორედ მათი შთამომავალნი არიან ქურთუბიო, — დასქენს ფირდოუსი.

ზაქის გველებისათვის სასიკვდილოდ განწირულთა ნაწილის გადარჩენის ამბავი ძველ ირანულ წყაროებში არ დასტურდება, ხოლო ისლამის პერიოდის წყაროთაგან იგი ყოველ მათგანში იკითხება, მაგრამ თუ სააღიბი და „მაჰმალ ათ-თავარიხის“ ავტორი ამ საქმის ჩადენას, „შაჰ-ნამეს“ თქმულების შესავსად, ორ კაცს (არმაილსა და გარმაილს) მიაწერენ, სამაგიეროდ, დინავარის თაბარისა და ბირუნის თხზულებებში ამ კეთილი საქმის ჩამდენად ერთი კაცი იხსენიება. დინავარი: არმაილი (ارمائی), ბირუნი: აზმაილი (ازمائی), ხოლო თაბარისთან მისი სახელი საერთოდ არ აღინიშნება. ამასთან დინავარის თანახმად, ზაქის გველებისათვის ყოველდღე ორი კი არა, ოთხი კაცი უნდა მოეკლათ და არმაილი ამ ოთხი კაციდან ორს ათავისუფლებდა. დინავარის, თაბარის, სააღიბის და „მაჰმალ ათ-თავარიხის“ თქმულებებით, „შაჰ-ნამეს“ მსგავსად, გადარჩენილებს მთა-ველში ხიზნავდნენ და მათგან წარმოდგა ქურთების ტომი. ბირუნი კი წერს, რომ აზმაილმა გადარჩენილები დუნბავენდის (დემავენდის) მიდამოებში დაასახლა და აფრიდუნმა,

31

۲۷. شاهنامه شاهی، ص ۱۰.

32 „შაჰ-ნამეს“ ერთ-ერთ ხელნაწერში (ბრიტანეთის მუზეუმის ხელნაწერი) მათი სახელები არმანაქ (ارمانک) და გარმანაქ (گرمانک) ფორმებით არის მოყვანილი.

ზაპაქის დამარცხების შემდეგ, იგი ამ მხარის მმართველად დანიშნა და დიდად აფასებდაო³³.

ასეთ ყოფაში მიდიოდა დრო და როცა ზაპაქს 40 წელიღა დარჩენოდა ამქვეყნად საბოგინოდ, ერთ ღამეს სიზმრად ეზმანა, რომ მის სასახლეში სამი ფალაქიანი მივიდა. მათგან ყველაზე უმცროსმა იგი შეკოჭა და დემავენდის წითელი წაათრია. სიზმრით შეშინებულმა ზაპაქმა არნაეაზის რჩევით შეკრიბა მერამლენი და ვარსკვლავთმრიცხველნი და მათ სიზმრის ახსნა უბრძანა.

კარგა ხანს ვერაინ ბედავდა სიმართლის თქმას. ბოლოს ერთმა მათგანმა — ზირაქმა (زیرک — „გამჭრიახი“, „შორსმჭერტელი“) მოახსენა: ქვეყნად ყველაფერი წარმავალი და ცვალებადია, არც შენ შეგარჩება ტახტი მარადიულად. დაიბადება გმირი აფრიდუნ, რომელიც მეფობას წაგართმევს, შენ კი შეგკოჭავს, დემავენდის მთაში წაგათრევს და იქ მიგაქაჭავსო. ზაპაქს აინტერესებს აფრიდუნის მისდამი მტრობის მიზეზი. ბრძენი ასე უპასუხებს: მიზეზი ის იქნება, რომ შენ მას მამას და ძიძას — ძროხა ბარმაიეს (برمایه)³⁴ მოუკლავ და იგი მათთვის შურს იძიებსო. მომავლის ასეთი წინასწარმეტყველებით შეშინებულმა ზაპაქმა დაკარგა სიმშვიდე და მოსვენება. იგი აფრიდუნს ეძებდა ღღისითაც და ღამითაც.

ჩვენი წყაროებიდან ზაპაქის ამბის ეს ნაწილი მხოლოდ სააღიბისთან დასტურდება, მაგრამ იმ მცირე განსხვავებით, რომ იგი ამ გაბედული მუნეჯიმის სახელს არ იხსენიებს და მას სიზმრის ახსნის შემდეგ ენას ამოგლეჯენ³⁵.

„თაბარის ისტორიაში“ ეს ამბავი გადასხვაფერებულია. ზაპაქი, თაბარის თანახმად, თავისი მომავლის შესახებ სიზმარს კი არ ნახულობს, არამედ მას აცნობებენ, რომ მას ხელმწიფობას წაართმევს და მოკლავს ქაშშიდის შთამომავალი³⁶ ფერიდუნის.

გავიდა დრო.

ღეღამეა ბედნიერი ფერიდუნი,
ქვეყანას ერთი სხვა ბუნება (ხასიათი) მოეცლინა;
იზრდებოდა კენარი საროს მსგავსად,
მისგან ბრწყინავდა მეფური შარავანდედი;
ფალაქის ქაშშიდისეული შარავანდედი ქონდა³⁷,
მანათობელი მზისდარი იყო³⁸.

³³ იხ.:

ابو حنيفه الدينوري، اخبار الطوال، ص ۸.
ترجمه تاريخ طبري از بلعمي، ص ۲۶. شاهنامه ثعالبی، ص ۱۰.
مجملة التواريخ و القصص، ص ۴۰—۴۱.

A. Бируни. Памятники минувших поколений, გვ. 243—244.

³⁴ ბარმაიეს ნაცვლად „შაპ-ნამეს“ ზოგიერთ ხელნაწერში და ასევე ზოგიერთ წყაროში

ფორმაიე (برمایه) იკითხება.

³⁵

شاهنامه ثعالبی، ص ۱۳—۱۴.

³⁶

ترجمه تاريخ طبري از بلعمي، ص ۲۷.

³⁷ შდრ. ავესტას, სადაც ასევე იმისაგან (ქაშშიდისაგან) განშორებული ზეციური ბრწყინვალეობა თრაეტონას წილხვედრი ხდება.

³⁸

شاهنامه فردوسی، جلد اول، ص ۵۷.

ფერიდუნი ადრე დაობლდა. მამამისი აბთინი (آبْتِين)³⁹ ზაჰაქმა განდგომისათვის სიკვდილით დასაჯა. დედამ ფირანაქმა (فِرَانَك)⁴⁰ პატარა ფერიდუნი ერთ მწყემსთან გახიზნა, რომელიც მას სამი წლის განმავლობაში ტანხატულა და საოცარი ძროხის — ბარმაიეს რძით ზრდიდა. ზაჰაქმა შეიტყო ფერიდუნის დაბადება და მიაგნო მის ადგილსამყოფელს. ფირანაქმა დაასწრო ზაჰაქს, თავისი პირშეო ინდოეთს წაიყვანა და ალბორზის მთაზე მცხოვრებ განდევილს მიაბარა გასაზრდელად. განრისხებულმა ზაჰაქმა, რაკი ფერიდუნი ვერ ჩაიგდო ხელში, ჭყარი ძროხა ბარმაიეზე იყარა და იგი ხმლით აჩეხა.

ზღაპრულ ძროხა ბარმაიეს შესახებ ავესტასა და ფალაურ თხზულებებში არაფერია ნათქვამი. ზ. საფას შეხედულებით, ფერიდუნის გამზრდელი ძროხის სახელსა (ბარმაიე||ფორმაიე) და ფალაური ტექსტებისეულ ფერიდუნის მამის სახელს — პურ-ტორას, ანუ ფორგავეს („მრავალი საქონლის პატრონი“) შორის ახლო კავშირი შეინიშნება და ფერიდუნის წინაპართა სახელებში სიტყვა გავე (گاو)-ის არსებობა უნდა დადებოდა საფუძვლად ძროხა ფორმაიეს ამბის გაჩენას ისლამის პერიოდში⁴¹.

როცა ფერიდუნს 16 წელი შეუსრულდა, მან დატოვა ალბორზის მთა და თავის სახლში დაბრუნდა. დედას თავისი წარმომავლობის შესახებ განოპკითხა და შეიტყო, რომ იგი მეფე თაჰმურასის შთამომავალი და წარჩინებული ოჯახის შვილია⁴². ფირანაქს არც ზაჰაქის მიერ მათი დევნის, მამისა და ძროხა ბარმაიეს დახოცვის ამბავი არ დაუმაღავეს შეილისათვის. შურისძიების გრძნობით აივსო ქაბუკის გული, მაგრამ დედის დარიგებას დაუჭერა, რომელმაც ურჩია ცოტაც მოეთმინა, რადგანაც იგი ჭერ ვერ სძლედა ზაჰაქს.

ზაჰაქი ვერ ისვენებდა ფერიდუნის შიშით. ერთ დღეს მან ყოველი მხრიდან უხმო დიდებულებს და თათბირი გამართა ჭარის გაზრდის თაობაზე. ამასთან მოითხოვა, რომ მისი სამართლიანი მეფობის შესახებ სიგელი შეედგინათ და ყველას ხელის მოწერით დაედასტურებინა. სწორედ ამ დროს ზაჰაქის სასახლეში მივიდა სამართლის მაძიებელი ქავა (کاو) მკვდელი. ზაჰაქის მსახურებს ქავასათვის შვილი წაერთმიათ და იგი მის უკან დაბრუნებას მოითხოვდა. ზაჰაქმა მას შვილი უკან დაუბრუნა, სამაგიეროდ მისი სამართლიანობის სიგელზე ხელის მოწერა უბრძანა. ზაჰაქის აჰგვარი მზაკვრობით აღშფოთებულმა ქავამ მეფე და დიდებულები გალანძღა, სიგელი დახია, ფეხით გათელა და თავის ვაჟთან ერთად სასახლე დატოვა. დიდებულები გაოცებულნი დარჩნენ, რომ ზაჰაქმა ქავას ასეთი თავხედობა არად ჩააგდო. ზაჰაქი მათ დასამშვიდებლად სასწაულის იშველიებს და ასეთ პასუხს აძლევს: „როცა ქავამ სასახლეში ფეხი შემოდგა და ჩემმა ყურმა იმის ხმა ისმინა, თითქოს ჩემსა და იმას შორის რკინის მთა აღიმართათ“.

³⁹ „შაჰ-ნამე“ ზოგიერთ ხელნაწერში ფერიდუნის მამის სახელია აბთინ (آبْتِين). ავესტაში ფერიდუნის მამას ათეჟა ეწოდება, ხოლო ფალაური წყაროს — ბუნდაჰ-შინს- მიხედვით, პურ-ტორა ჰქვია და მის საგვარეულო სახელს ასპიან წარმოადგენს.

⁴⁰ ფ. იუსტი ფერიდუნის დედის სახელს უკავშირებს ავესტის Freni-ს და ფალაურ Farhang-ს. იხ.: F. Justi, Iranisches Namenbuch, გვ. 105—106.

⁴¹

ذبيح الله صفاء، حمنة سراييدار ايران، ص ٤٦٧.

⁴² ფერიდუნის წარმომავლობა ზუსტად ასეთივეა, საალიბისთან. ზოგიერთ ისლამურ წყაროში (დინავარი, თაბარი, ბირუნი, „მაჰმალ ათ-თავარიხი“) ფერიდუნი ჯამშიდის შთამომავლად არის მოხსენიებული.

ქუჩაში განოსულმა ქვეამ თავისი ტყავის წინსაფარი შუბის წვერს გამოაბა და ხალხს სამართლიანობისათვის საბრძოლველად მოუწოდა. ზაჰაქის ჩავერითა და მტარეალობით გაწამებული ხალხი აღსდგა საბრძოლველად. ქვეამ აქანყებულთა სახალხო ლაშქარი ფერიდუნთან მიიყვანა. ფერიდუნმა ძვირფასად მოკაზმა ქვეას წინსაფარი და მას ქვეიანური დროშა (کوسای درفش) უწოდა. შეუდგნენ ზაჰაქზე გასალაშქრებლად სამზადისს.

ქვეას სახელსა და მის შესახებ თქმულებას ავესტასა და ფალაურ წიგნებში ვერ ვხვდებით, მაგრამ მისი სიძველე დღეს ირანისტთა შორის საეჭვოდ აღარ ითვლება. საქმე ის არის, რომ ისლამის პერიოდის მთელი რიგი ავტორები (თაბარი, სა'ალიბი, ბირუნი)⁴³ იხსენიებენ ქვეა მკვდლის აქანყებისა და ქვეიანური დროშის შექმნის ამბავს. ამ ავტორებს კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფალაური „ხვატაი-ნამაკ“ ან მისი არაბული თარგმანები აქვთ გამოყენებული წყაროდ⁴⁴. ამის გამო არ შეიძლება არ გაეიზიაროთ ზ. საფას ლოგიკური ვარაუდი, რომ ქვეას ამბავი „ხვატაი-ნამაკშიც“ უნდა ყოფილიყო გადმოცემული და იგი არშაკელების ან სასანელების ეპოქაში უნდა წარმოშობილიყო⁴⁵.

დღეს უკვე საკამათო აღარ არის ირანის სახელმწიფო დროშის სახელწოდების — „ქვეიანი დირაფშ“-ის „ქვეას დროშად“ გაგების მტდარობა. დადგენილია, რომ ამ დროშის სახელწოდება ავესტურ *kavi* (ახ. სპარსული *kei* — کى) — „მეფე“-ს უკავშირდება და „სამეფო დროშას“ ნიშნავს.

ზაჰაქზე სალაშქრო სამზადისში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ფერიდუნის უფროსი ძმები ქვეიანუში (کیانوش) და ფორმაიე (فرمایه)⁴⁶. ისინი ფერიდუნის თხოვნით შეკრებენ ხელოსნებსა და მკვდლებს და ქაბუჯი ფალაენისათვის დაამზადებინებენ ძროხის გამოსახულების მქონე საბრძოლო ლაბტს, ხოლო შემდეგ თან მიჰყვებიან ზაჰაქთან საომრად მიმავალ ფერიდუნს.

ზაჰაქის სატახტო ქალაქისაკენ მიმავალ ფერიდუნსა და მის ლაშქარს ცხენდაცხენ უხდებათ მღ. არვანდის (დიქლას) გადალახვა, რადგანაც ზაჰაქის ბრძანების შესაბამისად, მენავეთა უფროსი მათ უარს ეუბნება ნაევების მიცემასა და მეორე ნაპირზე გადაყვანაზე⁴⁷.

⁴³ იხ.:

ترجمه تاریخ طبری از لمعی، ص ۲۵-۲۷.
شاهنامه تالیبی، ص ۱۵.

A. Бируні, Пмятнизи минувших поколений, г. 233.

⁴⁴ აღსანიშნავია, რომ როგორც სხვა შემთხვევაში, ისე ამჯერადაც სა'ალიბისთან მოყვანილი ქვეას თქმულება ფირდოუსის ტექსტთან სიახლოვით გამოირჩევა, მაგრამ აქ გამოტოვებულია ზაჰაქის სიგელის შედგენა-დახვეის დეტალი და ქვეას ვაჟს, რომლის სახელს ფირდოუსი არ იხსენიებს, სა'ალიბის ტექსტით ყარანი ჰქვია.

⁴⁵ ذبیح الله صفا، حماسه سرایی در ایران، ص ۵۷۰-۵۷۱.

⁴⁶ ფერიდუნის ორი უფროსი ძმა და მათი ზაჰაქზე ლაშქრობაში მონაწილეობა ფალაურ წყაროში — „ბუნდჰიშნშიც“ იხსენიება და ამ წიგნით მათი სახელებია ბარმაიუნი (Barmayūn) და კატაიუნი (Katayūn).

⁴⁷ ქ. დარმსტეტერი ზაჰაქის ეპიზოდის ამ ნაწილს უკავშირებს ავესტაში მოხსენიებულ თრაეტონას კონფლიქტს მღ. რანას მკველ ეიფრა ნავაზსთან. იხ.: Le Zend Avesta, traduction nouvelle avec commentaire historique et philologique par J. Darmesteter, Paris, 1960, II, გვ. 382.

ფერიდუნი მიადწევს ზაქაქის რეზიდენციამდე — ბეთ ალ-მოყა-
დასამდე და შორიდანვე შენიშნავს ზაქაქის ქაღოქრობითა და თილისმით
ნაშენებ მშვენიერ ციხე-ქალაქს, რომელიც სიმალლით ვარსკვლავებს სწვდე-
ბოდა და ვარსკვლავივით ბრწყინავდა. ფერიდუნმა იმავე დღეს ბრძოლით
აიღო ზაქაქის სასახლე და ციხესიმაგრე, სასახლის მცველი რაზმიდან, რომე-
ლიც დევებისა და ქაღოქრებისაგან შედგებოდა, ერთიც არ გაუშვია ცოცხა-
ლი. გამარჯვებულმა ქაბუქმა სასახლეში მოსპო კერპთაყვანისმცემლობა და
შაჰრანაზი და არნავაზი ისევ წმინდა რჯულზე მოაქცია. მან ჯამშიდის ასულებს
თავისი ვინაობა გაუშვლავნა, ხოლო გახარებულმა ქალებმა მას ზაქაქის პედი-
წერის ამბავი მოუთხრეს და ისიც მოახსენეს, რომ ზაქაქი ინდოეთს იმყოფე-
ბოდა სააკაკოდ და მისი დაბრუნების დრო ახლოვდებოდა.

ზაქაქის მომლოდინე ფერიდუნი ზაქაქის საქმეთა განმგებელს (მოურავს)
ქუნდრაუს (کردو) ⁴⁸, რომელიც მას არავითარ წინააღმდეგობას არ
უწევს, გამოატანინებს სამეფო ქურკლეულს, მოაყვანიანებს მუსიკოსებსა და
მისთვის შესაფერ თანამესუფრეებს და არნავაზ-შაჰრანაზთან ერთად ლხინსა და
მხიარულებას ეძლევა.

ქუნდრაუ სასახლიდან იპარება და ზაქაქთან მიდის მაცნედ. იგი დაწვრი-
ლებით უყვება ზაქაქს მომხდარი ამბის შესახებ. ზაქაქს ენიშნა წინასწარპეტყ-
ველება, მაგრამ არ უნდა დაიჭეროს, რომ მოვიდა მისი აღსასრულის დღე და
მის სასახლეში მოსული ქაბუქი სწორედ ის არის, ვინც სიზმრად ეზმანა. ბო-
ლოს, როცა ქუნდრაუმ ფერიდუნის არნავაზ-შაჰრანაზზე დაუფლების ამბავიც
უთხრა, ეკვიანობის შსაჰმა გააცოფა იგი და დაუყოვნებლივ გაეშურა თავისი
სატახტო ქალაქისაკენ.

ზაქაქისა და ფერიდუნის ლაშქარს შორის სასტიკი ბრძოლა გაიმართა.
ფერიდუნს მიემხრნენ აგრეთვე ზაქაქის მტარვალობით გაბეზრებული და მოთ-
მინებიდან გამოსული მოქალაქენი. დამით ზაქაქმა შიატოვა ლაშქარი, მძიმედ
შეიჭურვა და მალულად მარტო შევიდა სასახლეში. მან საკუთარი თვალით
ნახა ფერიდუნთან განმარტოებული თავისი ცოლები და ხანჯალმომარჯვებული
დაუშვა ბანიდან მათ დასახოცად; მაგრამ დაასწრო ფერიდუნმა და თავისი
ძროხის სახიანი მძიმე ლახტი ისეთი სიძლიერით დაჰკრა ზაქაქს თავში, რომ
მისი მუზარადი ნამსხვრევებად იქცა. ფერიდუნს უნდოდა მოეკლა ზაქაქი, მაგ-
რამ გამოეცხადა ღვთის მაცნე (სორუში) და ასე უთხრა: „მაგისი სიკვდილის
დრო ჯერ არ დამდგარა, იგი მაგრად შეეკოჰე. დემავენდის მთაში წაიყვანე და
ეჰქვიანე“. ფერიდუნი დაემორჩილა უმაღლესი მბრძანებლის ნებას.
ზაქაქი არ მოკლა, მას მაგრად შეუკრა ხელ-ფეხი და დემავენდში გამგზავრე-
ბამდე ასე ჰყავდა.

დამთავრდა ომი. ხალხის მიერ მეფედ აღიარებულმა ფერიდუნმა გააუქმა
ზაქაქის უსამართლო წესები და კანონები, ხალხს ბრძნული დარიგებანი მის-
ცა, დარბაზობა და ზეიმიც გამართა და ყველას ღირსეული პატივი მიაგო. მხო-

⁴⁸ ა. ა. სტარიკოვს ამ სახელის შემდეგნაირი ეტიმოლოგია აქვს მოცემული: „ბორძი-
კით, კოკლობით მოსიარულე; ის, ვისაც არა აქვს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი“. ამასთან დასაშვებად თვლის, რომ იგი, შესაძლოა, წარმოადგენდეს სახელ Kundarv-ის და-
მახინეებულ ფორმას, რომელიც შეიძლება შეეუპოვოსპირით ინდურ განდარავს, ბერძნულ
კენტავრსა და სლავურ კიტოვრას. იხ.: A. A. Стариков. Комментарии к переводу
„Шахнаме“ Фирдоуси. т. I. გვ. 615.

ლოდ ამის შემდეგ თავის ამალასთან ერთად დემავენდისაკენ გაემართა და თან წაიყვანა ფეხმალი აქლემის ზურგზე დაკრული ზაპაქი⁴⁹. გზად — შ ი რ ხ ა ნ — შ ი ფერიდუნმა კელავ დააპირა ზაპაქის მოკვლა, მაგრამ ისევ სორუმმა დაუშალა⁵⁰ და უბრძანა, რომ ზაპაქი მას მარტოკას მიეჩაქვა დემავენდში. ფერიდუნი ასეც მოიქცა:

მთაში მან ერთი ვიწრო ადგილი ამოარჩია,
ნახა ერთი უძირო გამოქვაბული,
ჩაუყარა მძიმე ლურსმნები
იმ ადგილას, სადაც მას ტვინი არ ჰქონდა,
მიუჩაქვა ხელები იმ პირლია მთაზე
იმისათვის, რათა დიდხანს დარჩენილიყო ამ ტანჯვაში.
მიიბა ასე ჩამოკიდებული
და მისი გულის სისხლი მიწაზე დაღვარა⁵¹.

ისლამური ისტორიებიდან ფერიდუნის ზაპაქზე ლაშქრობისა და გამარჯვების შესახებ ყველაზე ვრცლად ისევ სა'ალიბი მოგვითხრობს, თუმცა ამ ავტორთან ჩვენი ეპიზოდის ეს ნაწილი შეკუმშულია და მთელი რიგი დეტალები და პასაჟები (მაგ., მდ, არვანდის გადაღახვა, ქუნდრაუ — ზაპაქის საუბარი, შირანანის ინციდენტი და სხვა) გამოტოვებულია. ამასთან სა'ალიბის მიხედვით, ფერიდუნს თავისი ძმები კი არ ახლავენ ზაპაქზე ლაშქრობისას, არამედ ქავა და მისი ვაჟი ყარანი. „შაპ-ნამეს“, ფალაური წყაროების, ხორენელის „სომხეთის ისტორიისა“ და ისლამური ისტორიების უმრავლესობის თანახმად, დამარცხებული და თავისიანებს მოშორებული ზაპაქი მეორედ მოსვლის დღემდე დემავენდის მთებში მიჩაქვული რჩება. მხოლოდ „თაბარის ისტორიის“ მიხედვით (ეს ვარიანტი სა'ალიბისაც აქვს მითითებული), ისევე როგორც ავესტაში, ფერიდუნი ზაპაქს კლავს⁵².

ამრიგად, ფირდოუსის „შაპ-ნამეში“ წარმოდგენილი ზაპაქის ეპიზოდის წყაროებთან შედარება-შეპირისპირების შედეგად ირკვევა:

⁴⁹ „მაჟნალ ათ-თავარისში“ ნათქვამია, რომ ფერიდუნი დატყვევებულ ზაპაქს 40 წლის მანძილზე თან დაატარებდა და შემდეგ მიაჩაქვა დემავენდშიო. ამ თხზულებაში ზაპაქის სახლის დაღწევა და მასთან დაკავშირებული ამბები არ იკითხება, მაგრამ იხსენიება ქუნდრაუ (ამ ტექსტით — کندروق), როგორც ზაპაქის ვაჟილი (იხ.: *مجملة التواريخ و القصص*, ص ۸۹).

⁵⁰ ფირდოუსისთან არ აღინიშნება სორუმის მიერ უკვე გაფრთხილებული ფერიდუნის ამ საქციელის მიზეზი. ეს მიზეზი კი თქმულებაში საერთოდ მოხსენიებული უნდა კოფილიყო. ასეთი ვარაუდის საფუძველს მ. ხორენელთან მოყვანილი მითი იძლევა, სადაც ნათქვამია, რომ დემავენდისაკენ მიმავალ ხრუდენს გზაში ჩაეძინა და იგი ბიურასამა გორაკისაკენ წათრიაო. მართალია, ხორენელთან შემონახული უკიდურესად მოკლე მითით ვეღარ ვგებულობთ, თუ რა მოჰყვა შედეგად ბიურასპის ამ ცდას, მაგრამ, ცხადია, რომ ზაპაქს შარხანში ისეთი რაღაც უნდა ჩაედინა, რამაც ფერიდუნს წონასწორობა დააკარგვინა და ღეთის ნებასურვილი დაივიწყა. შესაძლოა, ეს მიზეზი ფირდოუსის წყაროშიც იკითხებოდა, მაგრამ; როგორც პროზის ლექსად გაწყობისას ხშირად ხდება ხოლმე, ეს დეტალი უნებურად იქნა გამოტოვებული.

⁵¹

شاهنامه فردوسی، جلد اول، ص ۷۸.

⁵² იხ.:

ترجمه تاریخ طبری از بلعمی، ص ۲۷—۲۸.

شاهنامه ثعالبی، ص ۱۶.

مجملة التواريخ و القصص، ص ۵۱.

1. ეპიზოდის ზოგიერთ ამბავს ჩვენ მიერ გამოყენებულ წყაროთა შორის მხოლოდ ავესტაში მოეძებნება შესატყვისი (მაგ., ფერიდუნის მიერ მღ. არვანდის უნაჲოდ გადასახვა).

2. ზოგიერთი დეტალი ან პასაჲი მხოლოდ ფალაურ წიგნებში (მაგ., ფერიდუნის ძმების ფორმაიესა და ქეიანუშის შესახებ) ან ხორენელის ისტორიაში (შირხანის ინციდენტი) დასტურდება.

3. ეპიზოდის მთელი რიგი ამბები ძველ წყაროებში არ იკითხება, მაგრამ ისინი ისლამურ ისტორიებშია ასახული (მაგ., ადამიანთა ნაწილის დახსნა ზაჰაქის გველებისაგან, ქაეას აჰანყება, ძროხა ბარმაიეს ამბავი).

4. გვაქვს საპირისპირო შემთხვევაჲ: ჯამშიდის ჯალათი სპიტიურა, რომელსაც საგანგებოდ მოიხსენიებენ ავესტა და ფალაური წყაროები, არც ისლამურ ისტორიებში და არც ფირდოუსისთან აღარ იხსენიება.

5. ჯამშიდის მეფობისა და საქმიანობის შეცოდებამდელი პერიოდის ამსახველი თქმულება ისლამის პერიოდში რამდენადმე გადაუკეთებიათ და იგი ამ ახალი სახითაა მოყვანილი ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ და ისლამის პერიოდის წყაროებში. „შაჰ-ნამეში“ გადმოცემულ ზაჰაქ-ფერიდუნის ამბავს კი ფალაურ, სომხურ და ასევე ისლამურ წყაროებთან მიმართებით მრავალგვარი მსგავსება გააჩნია.

6. ეპიზოდის ამბავთა უმრავლესობა ერთდროულად რამდენიმე წყაროში დასტურდება (მაგ., ჯამშიდის გარდახვეწა, ზაჰაქის მიერ მისი შეპყრობა და მოკლა, ზაჰაქის მხრებზე გველების ამოზრდა, ფერიდუნის მიერ ზაჰაქის დეპვენდში მიჯაჲვა და სხვ.).

7. ფირდოუსის მიერ მოყვანილი ჯამშიდის წარმომავლობა და ზაჰაქის მამის სახელი არც ერთ წყაროს არ ეთანხმება.

8. ეპიზოდის ზოგიერთი ამბავი მხოლოდ სა'ალიბისთან დასტურდება (მაგ., ზაჰაქის სიზმარი, ზირაქის წინასწარმეტყველება, ფერიდუნის აღზრდის ამბები).

9. „შაჰ-ნამეში“ გადმოცემული ამ ეპიზოდის ზოგიერთი ამბავი (მაგ., ზაჰაქის სამართლიანობის წიგნის შედგენა, ზაჰაქ-ქუნდრაუს დიალოგი) არც სა'ალიბისთან და არც სხვა წყაროებში არ იკითხება (თუ მხედველობაში არ მივიღებთ „მაჲმალ ათ-თავარიხში“ ქუნდრაუს როგორც ზაჰაქის ვაჲილის მოხსენიებას).

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ბარამიძემ)

იოსებ მუხრანელი

ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები

XIV

გუფთა — ქრია — ნინია — მსხლები — ჭავა

მდინარე დიდი ლიახვის ორივე ნაპირის სიძველეები, ჭავა-ხევის სასოფლო-საბჭოების სიძველეების გამოკლებით, გორიდან დაწყებული როკა-ერმანის ჩათვლით, უკვე აღვწერთ¹. მონოგრაფიის წინამდებარე ნაკვეთი გუფთა-ჭავის მიდამოებს ეძღვნება.

ქემერტის სასოფლო საბჭოს ჩრდილოეთის მხრივ განაპირა სოფელი სვერი ცნობილი არის არქეოლოგიურ ლიტერატურაში².

ქემერტ-ეხვს ზემოთ გუფთა-მსხლების საზღვრებთან მთავრდება ცხინვალის რაიონი და იწყება ჭავის რაიონი. 1865 წლიდან 1917 წლამდე ამას ეწოდებოდა თბილისის გუბერნიის გორის მაზრის ოსების უბანი — Осетинский участок³.

ჩვენ აქაც ისევე, როგორც ნაშრომის წინა ნაკვეთებში, ვლაპარაკობთ არა მხოლოდ ნივთიერი კულტურის ძეგლებზე, არამედ — ცოცხალი სიძველეების — Живая старина-ს (ამ სათაურით ვ. ი. ლომანსკიმ ურნალიცკი დაარსა) — სიტყვიერი კულტურის (ლეგენდები, გადმოცემები...) შესახებაც. მათი გაცნობის საშუალებას ვვაძლევს ის ხელსაყრელი გარემოება, რომ ადგილობრივ ოსთა უფროსი თაობის დიდი უმრავლესობა ორენოვანია. ისინი, მშობლიურ ოსურ ენას გარდა, ქართულ ენაზეც მეტყველებენ.

გუფთა

სოფელი გუფთა მდებარეობს სოფლებს სვერსა და მსხლებს შორის მდ. ლიახვის ორივე ნაპირზე. უფრო ძველი ჩანს სოფლის მარცხენა ნაწილი. აქ ნახევარკუნძულისებრ გორაკზე გალაქანში თავისებური მრგვალი ციხის ნანგრევებია, რომელსაც ვახუშტიც ნაცხეხარს უწოდებს: „სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩრდილოთ, და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესეცა, და წარივლის აღმოსავლეთ, და მიადგების გერის მთასა. სვერის ხიდს ზეით ჩამოვარდების ითრათულა დასავლეთიდან და შიერთვის ლიახვს. ამას ზეით, გუფთას, არს ნაცხეხარი. გუფთას ზეით მოერთვის ლიახვს მდინარე ფაწა“ („საქართველოს გეოგრაფია“, გვ. 77).

ციხე შორიდან კლდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქვემო ნაწილი (10×10 მ) უფრო ფართო აქვს. შემდეგ თალისებრად არის აღმართული და ზევით

¹ ბიბლიოგრაფია I—XIII ნაკვეთისა იხ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1971, № 4, გვ. 109—110.

² С. В. Безсонов, Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви. — Известия Юго-Осетинского НКР, 1933, გვ. 288.

³ Документы по истории Грузии (1862—1917), т. I, ч. I, под редакцией проф. И. К. Чхеня. Тб., 1954, გვ. 781.

(7X7 მ) გუმბათს ჰკავს. სიღრმე 7 მ აქვს. ჩრდილოეთ ნაწილში მეორე, პირველზე უფრო პატარა, განყოფილება შიგნიდანვე ისეა, რომ ციხის გარეგან სიშრგვალეს არ არღვევს. ეს განყოფილებები, რომელთაც ძირი უფრო ფართო აქვთ, ვიდრე პირი, მოკვავონებს დიდ ქვევებს. მასში მოხვედრილი ადამიანი უკიბოდ ვერ ამოვიდოდა. მით უფრო, რომ ის ქა-დილეგი ზემოდან ლოდით იფარებოდა ისევე, როგორც ქვევრი სარკველით. ამ საპრობილეებს სარკმლები არა აქვთ.

პირველ ნაწილში ხე ამოზრდილა და შორიდან ისე გეჩვენებათ, თითქოს ეს ხე კლდეზე იდგეს...

ჩაივის რაიონში ჩვენ წინათაც ვყოფილვართ და სიძველეებიც დაგვითვალეობია. 1954 წლის აგვისტოში აქ ჩვენ გუფთა-ჩაივის სიძველეებს გვათვალეობინებებს 1895 წელს აქაურ ს. კოლიბინაში დაბადებული კოლა (ნიკოლოზ; ნიკალა სხვაა, ჩვენ ისიც დაგვხმარებია) გიორგის ძე მაგქოევი, რომელსაც ორისაში წელი ლენინგრადშიც უსწავლია და იგი, ოსური და ქართული ენების გარდა, რუსულადაც მეტყველებს.

ადგილ-ადგილ ჩვენთანვე არიან კოლას აქაური მახლობლები, ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ჩვენი სტუდენტები და სხვებიც, რაც საშუალებას გვაძლევს თქმულებათა ვარიანტებიც მოვსამინოთ.

ზემოხსენებულ ქა-დილეგის შესახებ კი მხოლოდ ერთი აზრი არსებობს: მასში ათავსებდნენ ტყვეს ან დიდი დანაშაულის ჩამდენს. ამ „ჭაში“ თოკით ან ჭოკით ჩაუშვებდნენ; მას ზოგჯერ წყალს ჩაუხსამდნენ, რომელსაც ქვემოთ მყოფი პეშვს (ტორს) შეუშვებდა და იმდენს მინც დაიჭერდა, რომ პირი გაესველებინაო, და პურს ჩაუგდებდნენო...

დილეგის გორაკს ციხის გალავანი კლდიან გორაკზე აქვს დაშენებული და იგი ძნელი მისადგომაა. მთლიანად გორაკს დასავლეთიდან დიდი ლიახვი ჩამოუდის, აღმოსავლეთიდან — კადას⁴ ხევი და ნახევარკუნძულს ჰკავს.

გალავანს დასავლეთის მხრიდან ურდულიანი კარი აქვს. თვით სიმაგრე ლოდებით არის ნაგები, მაგრამ ისე, რომ ლოდთა სწორი მხარეები გარედანაა მოჭყეული და კედლები სწორი არის.

ქართველი მკითხველისათვის საინტერესო უნდა იყოს, რომ მსგავსი ადგილები ევხედება დერბენტში. აქვე შევნიშნავეთ, რომ ციხე-ქალაქს — ძველ-ქართულ დარბაზს ან ზღვის-ქარს (არაბული — ბაბ-ელ-აბ-ე-ბ-ი-ს — მთავარი კარები, ბაბ-ალ-ბანის ან სეიდ-ალ-ბანის — ალბანთა კარი, სპარს. დერბენტი ს დერ — კარი, ბენდ — გალავანი) ისტორიკოსები და ზით მიხედვით ახლა ექსკურსიის მძღოლებიც, ნარიხ-ყალას ან, როგორც წარმოთქვამენ, ნარიხი-ყალას ქართველი მეფის დავით IV-ის — დავით ნარინის (1245—1293)⁵ სახელს უკავშირებენ⁶. „მონგოლების

⁴ კადა ოსებს ესმით როგორც ხევი, რე. კოლიბინა — ოს. კოლიბინ — კოდის ქვემოთ. კადა ქურსი ესმით როგორც ქართული კოდის წისქვილი (ღარის შავიერ რომ სვეტივით წყალმისაწოდებელი აქვს).

⁵ ივ. ჭაიხიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1966, გვ. 504—505 და წიგნის იქვე დასახელებული გვერდები.

⁶ А. М. Кажаяв, Возникновение и экономическое развитие Дербента. Махачкала, 1972.

ავტორი წერს ფორმით Нарын-Кала (გვ. 11). შდრ. თბილისის ნარიყალა, რომელსაც აგრეთვე ციხეს უწოდებენ („იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა...“). სა-

წინააღმდეგ ბრძოლის დროს ჯარებმა დავით ნარინის ბრძანებით აღადგინეს და გაადიდეს მტრის მიერ დანგრეული ძველი ეს ყ ა ლ ა ო" (ციხე-სიმაგრე). მართალია, დავით ნარინი დასავლეთ საქართველოს განაგებდა, მაგრამ, ცხადია, მონგოლების წინააღმდეგ მასაც უნდა ებრძოლა...

ეუბრუნდებით ს. გუფთის მიდამოებს.

კოლა მაგჭოევი და ადგილობრივი ოსები ამბობენ: გაგვიგონია, ამ საპყრობილეში თავად მაჩაბელს ქართველი ურჩი ყმა და ღიდი დამნაშავე ხიზანი ოსიც ჩაუგდიაო...

უთქვამთ ისიცო, რომ ეს უწინ თამარის საყარაულო იყო და თვითონაც ყოფილა აქაო. დედოფალი რომ გარდაცვლილა, 20 კუბო წაჰოიღეს, რომელთაგან ერთში დედოფალი ესვენა, იმისი დამმარხველები ამ ციხეში ჩაჰკლესო.

ეს ციხე-კოშკი თამარ მეფის დროზე გვიანდელი ჩანს. საკვირველია, როგორ არ ინგრევა იგი, რადგან გვერდზე გაბზარულია და ბევრგან საძირკვევს მიწა გამოსცლია!

კოლა მაგჭოევის უფროსი ძმა ანდრო (დაბად. 1888 წ.) და ამისი ვაჟი ვლადიმერი ამბობენ, თამარ მეფე გუფთიდან ჩასაველის (კვაისასთან) გზით რაჭაშიც გადადიოდაო.

ზემოდასახლებული ორი ქა-დილევი საოცრად ჰგავს მათგან შორს, კავკასიის ერთ-ერთ უძველეს ქალაქ დერბენტში არსებულ იმავე დანიშნულების კისებრ დილეგებს. ისინი მდებარეობენ დერბენტის მაღალ, უძველესი ნაწილის — გალავანშემოვლებული ხუთბექტარიანი მოედნის — ნ ა რ ი ნ კ ა ლ ა ს ციტადელში. მათ დამთვალეობებს ექსკურსიის მძღოლები უამბობენ, როგორ არაადამიანურად ეპყრობოდნენ მბრძანებლები დილეგში მოთავსებულ სამხედრო ტყვეებსა და მძიმე დამნაშავეებს.

სოფელ გუფთის ჩრდილოეთით ფერდობზე ტაძრის ნანგრევი და სასაფლაოა. ტაძრის აგებას თამარ მეფეს მიაწერენ (იხ. ქვემოთ), მაგრამ აგრე ძველი არც იგი არ ჩანს.

ნანგრევის ირგვლივ ტყე და შიგ ნანგრევში 26 ძირი ბებერი ბზის ხეა. თუ გავითვალისწინებთ, ბზა როგორ ნელა იზრდება, უნდა დავასკვნათ, რომ ტაძარი ღიდი ხნის წინათ დაუნგრევიათ და დაუწვავთ კიდეც, ნაგებობის ჩრდილოეთი კედელი შიგნიდან 12,5 მ-ა (მასში 3 მ საკურთხეველის მხარეა). განი (დასავლეთიდან) შიგნიდან — 4,5 მ, კედლის სისქე კარის ნაკვეთში — 1 მ, სიმაღლე — 4 მ. სარკმელი თუ კარი ნაგებობას ჩრდილოეთ კედელშიც ჰქონია. აღმოსავლეთი კედელი ისე მაღალია, რომ საკურთხეველის თალი 7 მ-ს ზევით ყოფილა.

სახურავი მას კრამიტის (6×26 სმ) ჰქონია; აგურიც ჩანს 6×26 სმ მოცულობისა (ნაწილია გადარჩენილი).

ტაძარს ადგილობრივები გ უ ფ თ ა ი ე უ ა რ ს (ჭვარს) უწოდებენ. მისი დღეობა აგვისტოს ერთ-ერთ კვირას აღინიშნებოდა.

ფიქრებელია, რომ არც თბილისის ნ ა რ ი ყ ა ლ ა არ უნდა იწოდებოდეს ასე იმის გამო, რომ ის რიყის კვისიდან არის ნაგები (როგორც ამას ხალხური ეტიმოლოგია ააზრიალებს); შეიძლება, ესეც დავით ნარინის სახელთან იყოს დაკავშირებული.

7 Б. Ф. Минорский, История Ширвана и Дербента X—XI веков. Москва, 1963, гл. 123.

სოფელში ჯიოეები ცხოვრობენ, მაგრამ ტაძრის ნანგრევებთან ს. ანდისელი (ქემერტის სასოფლო-საბჭო) თიგიეებიც იმარხებიან. აქედან ცხადია, რომ თიგიეის გვარის კაცი ქემერტში ანდისიდან ჩასახლებულა.

საფლავის ქვათა წარწერები ჯიოშვილებს (შემდეგ — ჯიოეებს) იხსენიებენ. ტ ა ტ ო ბ ი ბ ლ ი ა ს ძ ე 1893 წ. გარდაცვლილა, ტ ე ტ ო კ ი კ ო ს ძ ე — 1895 წ., ს ო ს ი კ ო ჯ ი ო შ ვ ი ლ ი ს მ ე უ ლ ლ ე — 1898 წ., ასევე — ქ ა ლ ა მ ა ნ ა გ ა ბ რ ი ე ლ ი ს ძ ე, ა რ ჭ ე ვ ა ნ და სხვებიც.

თიგიშვილების (თიგიეების) საფლავებს შორის ერთი წარწერა ქვის ზემოდან აღარ იკითხება, გვერდიდან კი ირჩევა:

„... ა ს ლ უ ლ ი გ ა რ დ ა ვ ი ც ვ ა ლ ე 1868 წ ე ლ ს ქ რ ი ს ტ ი (-)
შ ო ბ ი ს თ ვ ი ს 26 დ ლ ე ს ა (.) შ ო ბ ი დ გ ა ნ ვ ი ყ ა ვ ი 80
წ ლ ი ს ა (.)

ძმანო და დანო(,) გთხოვთ შენდობა მიბძანოთ!“

ისევ თიგიშვილის ერთ ქვაზე იკითხება:

„გ ა უ კ ი თ ხ ა ვ ი ს ი კ ვ დ ი ლ ი წ ა ი ყ ვ ა ნ
და ბ ა რ ე ბ უ ლ ს ა (.)
ა ხ ს რ უ ლ ე ბ შ ე ნ ს ა ნ ე ბ ა ს ა (.) ხ ე თ ი ს ა გ ა ნ
და ვ ა ლ ე ბ უ ლ ს ა (.)
ა რ ც ა კ ი თ ხ უ ლ ო ბ მ დ ი დ ა რ ს ა, ა რ ც ლ ა რ ი ბ (-)
შ ე წ უ ხ ე ბ უ ლ ს ა“.

ვილაც გასიშვილის ქვის სამხრეთ მხარეზე: —

„მ ი მ ი ლ ო ა მ ი ე რ ს ო ფ ლ ი დ ა ნ 1893 წ. (.) მ ა რ ტ ი ს 22-ს ა
დ ლ ე ს ა (.) შ ო ბ ი დ გ ა ნ ვ ი ყ ა ვ ი 61 წ ლ ი ს ა (.)
წ ა მ კ ი თ ხ ე ე ლ (-)

ნ ო (,) გ თ ხ ო ვ თ შ ე ნ დ ო ბ ა მ ი ბ რ ძ ა ნ ო თ (!) დ ა მ რ ჩ ა
(ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი თ)

ჩ ე მ ს მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ე ლ ა თ ხ უ თ ი ვ ა ჟ ი და ს ა მ ი ქ ა ლ ი
და თ ვ ა ლ ც რ ე მ ლ ი ა ნ ი მ ე უ ლ ლ ე ჩ ე მ ი (.) ვ ი ყ ა ვ ი
ტ ა ლ ა ე რ ი და კ ე თ ი ლ ს ა ხ ო ვ ა ნ ი“.

ფილიშვილის საფლავის მახლობლად ქვაზე ირჩევა „ჩ ყ პ (.) ლ ვ ი ნ ო ბ ი ს -
თ ვ ი ს ბ დ ლ ე ს“ (= 1880 წლის ოქტომბრის 2-ს). სხვა წარწერაში გვხვდება ქა-
ლის სახელი თ ა ე ჩ ე (იხ. ს. კროჟა, — ნაკვეთ XV-ში).

ჯ რ ი ა

კოდიბინის ზევით არსებული მოზრდილი სოფელი ჯრია (იგივე — ერია) ჯაეის რაიონში შედის. 1865 წლის აღწერით ჯრიის სასოფლო საზოგადოებაში შედიან სოფლები: ჯრია, კოდიბინ, მორგო, ბორსა, (ოს. ბარს), პატარა გუფთა, ანდისი, ნინიაყავი (ნინიაყაუ), ბუზალა და ნავაყაუ (ახალი სოფელი), სულ — 59 კომლი.

ახლა ჯრიის სასოფლო საბჭოს შეადგენენ სოფლები: ჯრია, მელოთა, ბარსი, კულუხთა, კოდიბინ, მორგო და ნოგაყაუ, ანუ ნავაყაუ.

ს. ჯრიის ცალკე უბანია კულუმა. იგი მოთავსებულია მორგოს ხევისა (ჩ რ დ. -დას.) და ჯრიის ხეის (სამხრ.-აღმ.) შორის.

სოფლის დასავლეთით ხევში კოდიბინის აბანოა (პატარა გუფთიდან ჯრიაში ამოსვლამდე 2,5 კმ-ზე კადას ხეობით), რომლის წყალი ცივია (+3—6),

მაგრამ წყალტუბოს წყლის ტიპისა და უფრო მაგარიცო, — ამბობს აქაური ექიმი. 1935—8 წლებში აუგიათ აქ 45-საწოლიანი სახლი სამკურნალოდ მოსულთათვის. ეს წყალი უხდება კუჭ-ნაწლავის დაავადებებსა და მას სასმელად ეტანებიან.

აბანოდან მოშორებით, თვით ს. კოლაში (ჯრიის დასავლეთით) დგას კოშკი, რომელსაც ციხესაც უწოდებენ. მას აქაური მცხოვრებნი ერთ-ერთ უმკრივესად თვლიან სამხრეთ ოსეთში. მის აგებას, როგორც არაერთი სხვა სიმაგრისას, თქმულებათა უმრავლესობა ლეგენდარულ დარეჯანებს ჰიაწერს; 'ზოგი თქმულება კი ძმებს, — ჭიოსა და მაგქოს აკუთვნებს. ზემოხსენებული ძმები კოლა და ანდრო მაგქოეები და მათი განაყოფი დოკ. გიორგი ჭიოევის თქმით, ამ კოშკს მაკოთი მასსიგ იმიტომ ეწოდება, რომ მაგქო ჭიოევის აგებულია; მაგქოს მოდგმა მაგქოეებად ვიწერებითო.

გიორგი ჭიოევი და ვლადიმერ მაგქოევი იმასაც აქტევენ ჩვენს ყურადღებას, რომ წონის (ოს. წონ) ტბის მადლობებში (ქეაისისაქენ) არის სოფელი მაგქოთაყაუ (მაგქოთის სოფელი), მაგრამ მცხოვრებნი ჭიოეეებად ითვლებიანო. მათ ანდრომ უპასუხა: აგრე შორს რად მიღიხართ, მე და კოლა (კოლა) მაგქოევი ვართ, ჩვენი საშუალო ძმა სიმონა ჭიოევი; წობის ჭიოეებს ხიზნებს ვეძახდით, ჩვენებად ვთვლიდით. ზნაურისა და კიდევ სხვა ჭიოეები და ჩრდილოელი ოსების მუსულმანი მაგქოეები კი სხვები არიანო...

კოდიბინელი ათანასე მაგქოევი და ამისი ყოფილი სიძე ილია თადეოზის ძე ყაცმათი (ყაცმათუ) — პოეტი ილია კაკაზხაგი (დბ. 1910 წ., ს. ყვესელთა) იცნობენ კოდიბინის ციხის შესახებ გადმოცემას, რომ იგი მაგქომ და ჭიომ ააგესო, მაგრამ უმატებენ თქმულებას: ამ ძმებმა ოსტატები ნარიდან (ჩრდ. ოსეთი) ჩამოიყვანეს; სიმაგრე 7 წელიწადს შენდებოდა. ოსტატებისა და დამხმარე მუშების სანოვავე მაგქოს ან ჭიოს ბარში მცხოვრებ თავად მაჩაბლის ბელლიდან მოჰქონდათ. ეს რომ მაჩაბელმა გაიგო, გაწყრა, ლეკები იშოვა და მაგქოს სიმაგრეს შეუსიაო. მაგქო, ჭიო და მათი მუშები გამაგრდნენ კოშკში. მას ბევრი უტრიალეს ლეკებმა, მაგრამ ვერ აიღეს. ბოლოს შეშა მიაყარეს და ცეცხლი შეუწოესო.

კოშკში მომწყვედულები კედლებიდან ხტებოდნენ; მათ ლეკები ხოცადენენო. ჭიო დაჭრეს, მაგრამ მან გაპარვა შეძლო, თავი ქართულ სოფელს შეაფარა. მთელმა სოფელმა იცოდა ეს საიდუმლოება. იგი გაიგო ჭიოს ერთერთმა მტერმა ოსმა და ჭიო გასცა. მაჩაბელმა ამ გამცემსავე მოაკვლევინა ჭიო. გადარჩა უკანასკნელის ვაჟი. ს. კოდიბინის ჭიოეები მისი თაობებიანო.

ჭიოევის ზოგი ოჯახი ბიჭიკაშვილად იხსენიება. მაშასადამე, მათ წინაპარს ბიჭიკა რქმევია. კიდევ უფრო საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ცხინვალში ქმრიან ქალ ჭიოეეზე ხუბულთა გაგვიგონია. კრიტიკოსი გიორგი ჭატიევი და მისი ვაჟი არქეოლოგი რუსლანი გაგვიმარტავენ: ხუბულონ (ოს. Хубулон) ხუბულოეების ქალს ნიშნავს (შდრ. ოთარაანთი, ხარატაანთი). აქედან ცხადია, ჭიოეების ერთ-ერთი მოდგმა გვარად ხუბულოეები ყოფილან...

კოდიბინის სიმაგრის შესახებ ხალხური სიმღერა არსებობს, რომელსაც ანდრო მაგქოევი აგრე იწყებს:

მაგჟოთი მასიგი, ოოი, ოოი,
ე ბინ ზოლათ, ე სარ შანგათ,
ჰაირა, ჰაირა, ჰაირა მაგჟო..

სიტყვა შანგათ — ლიტერატ. ცანგათ. სტრიქონთა პწკარედი თარგმანი იქნება:

მაგჟოთის კოშკი, ოოი, ოოი,
მაგის ძირი ფოლადისა, მაგის თავი თუქისა,
ჰაირა, ჰაირა, ჰაირა, მაგჟო..

კოდინისასვე სიმაგრის დაცემის თქმულებაზე კომპოზიტორ ბ. გალაევს მუსიკა აქვს შექმნილი. იგი ფერხულში სრულდება: მოცეკვავენი, თითქოს, სიმაგრეს იცავენ, მას გარს ფერხულით უვლიან.

არსებობს მეორე თქმულებაც: ეს სიმაგრეც თამარ მეფის აგებულიაო. მას წმინდანები იცავდნენ და ხაირაგები, ანუ საითანები (ეშმაკები), ან იბლის, ავდიუ (დემონი) და ეშმაკთა უფროსი — ზინ ვერ ვნებდნენო. მაკრამ ერთი ოსის სული იყიდა ზინმა. მისი დახმარებით შესძლეს ეშმაკებმა ამ სიმაგრას დანგრევაო.

ჯრიაში ოთხკუთხი ეკლესიის ნანგრევია. ადგილობრივი გრიგოლ მირმანის ძე ქოთოლოვი (დაბ. 1888 წ., კომუნისტური პარტიის წევრი 1917 წლიდან, 1905 წითელრაზმელი, უცხოვრია აპარაშიც) გვეუბნება, რომ ჯრიის ეკლესია აუგია იოსებ კასრაძეს ჭრიელების დახმარებით ჩემი დაბადების ცოტათი ადრეო.

ამ ადგილზე ძველი საყდარი იყო, რომლის საძირკველი ვერ მოშალეს და ახალი ეკლესია ძველ საძირკველზე დააშენესო. მისი უკანასკნელი მღვდელი უოფლია მორგოელი ჭივაშვილი, ანუ ჭიოევი, რომელიც შემდეგ თბილისის სიონში მსახურობდაო.

ეკლესიის მახლობლად უდიდესი მუხის ხე დგას მთასავით, რომლის წრეწირი ძირზე 6 მ-ია, ტოტთა დასაწყისში — 7 მ-ც. ეს ხუნების ერთ-ერთი ულამაზესი ძეგლია. ერთი მოხუცი მეუბნება, ახზე მეტი წლის პაპაჩემი იტყოდაო, ეს მუხა ჩემს პატარაობისასაც ამოდენა იყო, შემდეგ აღარ გაზრდილაო და ამოდენა მუხის სხვაგან მნახველი არაეინ არისო. თვით ეკლესიასთანაც დგას ძველისძველი თელა, ურთხელა, იფანი (კობიტი) და მუხა,

ადგილობრივთა თქმით, აქ წინათ კავკასიის მთებიდან ნართები და დარეჯანთები ჩამოდდიოდნენ. ისინი ცარციათებს ედისს ქვემოთ არ უშეებდნენ. ამრანი (ამირანი) ბურსაბძელზეაო (ბრუტსაბძელა). ხსენებულ დიდ მუხასთან დაცული საფლავის ქვის წარწერა გვაუწყებს:

„ლოდსა ამასა ქვე შე განისვენებს გვამი

გიორგი

გათას ძე ქოთოლაშვილისა(.) წამკითხველნო(,)

შენდობა მიბრძანეთ(!) 1894 წელსა

ქრისტეშობის...“

ამ ქოთოლაშვილის (ქოთოლოვი, იგივე ქოთოლითი) საფლავის ქვის მახლობლად მდებარე ქვის წარწერაში ამავე გვარის კაცი ქოთოშვილად იხსენიება:

„საფლავსა შინა მდებარე ვარ ტატო ქოთო(-)

შვილი ეივის(ს) ძე(,) ვიყავი ოცდათექვსმეტი

წლისა(,)

(ქვის სამხრეთიდან)

ჩ ყ ა ზ -ს ა წ ე ლ ს ა გ ი ო რ გ ო ბ ი ს თ ე ი ს დ ღ ე ს ა (.)
 წ ა მ კ ი თ ხ ე ე ლ ნ ო (.) თ ი თ ო შ ე ნ დ ო ბ ა ბ რ ძ ა ნ ე თ (!)“
 (= 1867 წ. 20 ნომბერს).

სხვა ქვები (ეკლესიასთან), რომელთა წარწერაში გასიშვილიც იხსენიება, უფრო ახალია.

ნ ი ნ ი ა

ჯრიიდან ჩრდილოეთით მდებარეობს ს. შორგო, რომლის ეკლესიას ხ ა ს -
 თ ა გ ე უ ა რ ი (ახლო ჭვარი) ეწოდება და მისი დღეობა იენისში იმართე-
 ბოდა.

ლიახვის პირზე ს. ბუზალა მდებარეობს. აქვე კოშიცი არის.

თვით ნინიას ეკლესიას აღდგომის პირველ კვირას (ბაღდაჩან — ახალ-
 კვირა) უმართავენ დღეასწაულს ადგილობრივი ქარსანოვები.

სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით (ტყეში) ადგილს მურგუ-ქუარი ჰქვია
 (ალბათ, იგივე შორგო). აქ ნაგებობა არაა; დიდი ხეები დგას.

ლაშაზად აზრდილ ბებერ ბზის ხეებთან საფლავის ქვების წარწერები ახ-
 ლებია. ერთ-ერთ მათგანზე ვკითხულობთ:

(ზემოდან)

„ა ქ ა ს ა ფ ლ ა ე ს ა შ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე ვ ა რ მ ე (.)
 გ ი ო რ გ ი ა რ ჭ ე ე ა ნ ი ს ძ ე ქ ა რ ს ა ნ ო ე (.)
 უ დ რ ო ე ო თ მ ო მ ა ს წ რ ო ს ი კ ე დ ი ლ (-)

(სამხრეთიდან)

მ ა (.) ს ა ხ ლ ი დ ა მ რ ჩ ა ც რ ე მ ლ ი ა ნ ი (.)
 ყ ე ე ლ ა ს გ თ ხ ო ე თ თ ი თ ო შ ე ნ დ ო ბ ა
 მ ი ბ რ ძ ა ნ ო თ (!) 1896 წ ე ლ ი 1 მ ა რ ტ ი .“

შემდეგ ქვაზე: —

„ს ა ფ ლ ა ე ს ა შ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე ვ ა რ ფ ი დ ო
 რ ო ს ტ ო მ ა (ს) ძ ე ქ ა რ ს ა ნ ი შ ე ი ლ ი (.) გ ა რ დ ა (-)
 ი ც ვ ა ლ ა 1894 წ ე ლ ს ა დ ე ვ ი ნ ო ბ ი ს თ ე ი ს ...
 წ ლ ი ს ა ი ყ ო 95 (.) წ ა მ კ ი თ ხ ე ე ლ ო შ ე ნ დ ო ბ ა (!)“

სხვა წარწერები კიდევ უფრო ახლებია ისევე, როგორც აქედან ცხინვა-
 ლისაკენ მდებარე სოფლის უშფარის (ლიტ. უცაფარსი) საფლავის ქვების
 წარწერებიც.

ბარის ოსურ სოფლებში, თუ ღრმა მოხუცებზე არ ვილაპარაკებთ, ცარ-
 ციათები აღარ იციან და არც ნართების ეპოსი აღარაა ისე ძირგადგმული, რო-
 გორც ჭავის რაიონის სოფლებში მცხოვრებ ოსებში. ისე კი ამათაც იციან, თუ
 ვინ იყვნენ: ურუშმაგი, ხამიცი, სირდონი, განსაკუთრებით — სოსლანი და სხვე-
 ბი, ზოგი რამ გაუგონიათ ოსურ-ქართული კულტურული ურთიერთობის დიდ
 მოამაგე იოვანე იალღუზიძეზე (1775—1830).

აქ რუსთაველის ტარიელი გოლიათ-ბაღათარად იწოდება, ნესტანდარე-
 ჯანი კი — სტარეჯანი⁹ არის.

⁹ შტრ. „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, შეკრებილი დ. ბეგიზოვის მიერ, ა. ლლონტის
 რედ., ცხინვალი, 1957, გვ. 130 (ქართულ ენაზე). აგრეთვე — „ოსური ხალხური ზღაპრები“,
 ცხინვალი, 1959.

ქართული „ეთერიანის“ კვალი შეიმჩნევა ერთ-ერთ ზღაპარში, რომელიც ნინიაში გვიამბებს და სიუჟეტით უდისში ჩაწერილ ოსურ ზღაპარ „ხოსრო მეფეს“ ჰგავს¹⁰; იციან თქმულებები ამირანზე, დევებზე, მზეთუნახავსა და ფასკუნჯებზე¹¹, ფუძის გველსა (იხ. ქვემოთ) და სხვა ასეთებზე.

ჯავის რაიონის თითქმის ყოველ ოსურ სოფელში გაიგონებთ თქმულებას: „აქ მოსულა თამარ მეფე, მას ჰხლებია მდივანი და ჭარი (ამალა); სოფლები მათ ქერის ლუდითა და არყით გამასპინძლებიან. თამარს მასპინძელთათვის უთქვამსო: ჭარი რომ დამითვრეთ, ხიფათი არ შემემთხვეს, თქვენ დამიცავითო. ჩვენებს დაუცავთ. მეფეს მეორე დღეს უთქვამს: ბურსაბზელზე (=ბრუტსაბძელა)¹² აპიყვანეთო და აუყვანიათ კიდეც. თამარ მეფემ აქედან იცოდა გადახედვა, იქით რა ხდებოა, — იქითა ქვეყანაც იალბუზამდე მისა იყო“.

„ხსენებული დამსახურების გამო, — განაგრძობს გადმოცემა, — თამარ მეფემ ოსები თითო ქისა ოქროთი დააჯილდოვა და ბეგრისაგან გაათავისუფლა. ოსებმა ეს ოქრო შინ არ წაიღეს, — ეკლესია ააგესო და ბეგრის მაგიერ ძღვნად თითო ცხვარს მაინც უგზავნიდნენ მეფესო“.

დაახლოებით ასეთივე გადმოცემა დაბეჭდილიც არის. მასში ნათქვამია: თამარ მეფეს სბაში მდივანი შოთა (რუსთაველი) და მცველები ახლდნენ. მეფეს სბელეზმა ოქროთი მოჰყვდილი ყანწი მიართევს; თამარმა მათ თითო ქისა ფული აჩუქა. „სბელეზმა ეს ფული სახლში არ წაიღეს, ერთად შეაგროვეს“ და მაცხოვრის ქედზე ტაძარი ააშენეს, შოთას „ვეფხისტყაოსანი“ „სბელეზმა ამ ტაძარში შეინახეს“.

სოფელ ურსთვალის ხალხიც კარგად დაუხვდა თამარს, ურსთვალელები მან ბეგრისაგან გაათავისუფლა, მაგრამ ისინი წელიწადში თითო ცხვარს მაინც უგზავნიდნენ მეფესო¹³.

ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფის — ცხინვალელი დ. ხახანაშვილის მიერ 1892 წელს გამოქვეყნებული თქმულებით, თამარ მეფეს გულ-გორაზეც (ბრუტსაბძელა) ჰქონდა სასახლე და დროდარო მასში ცხოვრობდა. ეგევე თქმულება გამოიყენა პროფ. ა. ხახანაშვილმა, ე. რომანოვსკიმ და სხვებმაც; იგი ჩვენც გამოვამყვანეთ და სათანადო ლიტერატურაზეც მიუთითეთ. (ზოგ თქმულებაში ეგ სასახლე იალბუზზე, მწვერვალზე მდებარეობს¹⁴).

უდისის აღწერაში ვამბობთ (წინამდებარე ნაშრომის V ნაკვეთი, გვ. 149), რომ შიცვალეზულის დეკრძალვის დღეს ოსები ჭირითს მართავდნენ და გამარჯვებულს გარდაცვლილის რომელიმე ნივითი (იარაღი, ტანსაცემელი) აჯილდოვებდნენ; გვალვის დროს ძველი საფლავიდან ძვალს ამოიღებდნენ და წყლით ასველებდნენ, გაწვიმდებოა (გვ. 155),

¹⁰ „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, 1957, გვ. 187—188, № 7.

¹¹ იქვე, გვ. 64—68, № 10.

¹² ი. მ. გ. რ. ლ. ი. ძ. რუსთაველი და ფოლკლორი, თბილისი, 1960, გვ. 268—272 (რუსულ და ქართულ ენებზე).

¹³ „ოსური ზღაპრები და ლეგენდები“, შუკრებილი დ. ბეგიშვილის მიერ, ა. ლლონტას რედაქციით, ცხინვალი, 1957, გვ. 188—199.

¹⁴ ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრესტომათია, თბ., 1970, გვ. 233—235.

გუფთა-ჯაეის ოსები, და მით უფრო — ბარის ოსები, ასე აღარ იქცევიან, მაგრამ ჩვეულების გადმონაშთს მათშიც ვხვდებით. ანდრო მაგქოევი გვიამბობს: „სწრაფი ცხენი პატრონისათვის სასახელო იყო. დოლი იმართებოდა გაზაფხულზე ან მიცვალებულის წლისთავეზე. 12—14 წლის ვიყავი; მამაჩემმა შემსვა თავის ქებულ ცხენზე და დოლში შემავლო. გავიმარჯვე, დამაჩილოდო ვეს... აჩაბეთელი თავადი იესე (ოფიცერი იყო) გაბრაზდა, ჩემს ცხენს როგორ გაუსწრო ამ ბიჭმარ; შებრუნდა და მიდიოდა. მამაჩემმა უთხრა: იესე ბატონო, ჩემი ბიჭი და ცხენიც თქვენი იყოს, ოღონდ დღევანდელ წლისთავს ნუ გაგვიფუქებთო... იესე მობრუნდა, შეგვირიგდა და კარგადაც იქეიფა...“

სასაფლაოზე ძველი საფლავიდან ამოვარდნილი ადამიანის ძვალი ეგდო. ერთმა ყმაწვილმა ფეხი ჰკრა და წყალში გადააგდო. კოლა მაგქოევი და სხვები ბიჭს გაუწყურნენ: „წინაბარის ძვალსაც კი პატივი უნდა სცე და წყალში რომ გადააგდე, წელს წვიმა გვაკლიაო!...“

მ ს ს ლ ე ბ ი

ჯაეის სასოფლო საბჭოს უბნებია: ჯაჯიანთი, თანდელთა, ხუმისართა (=ყანისთავი, ზეგანი), უგარდანთა (ნაფუძვარი) და მათი სოფლები (იხ. ქვემოთ — ჯაეა).

მსსლებში ძველი ეკლესია ყოფილა, რომელშიც ი. ა. გულდენშტედტი 1771—3 წლებში ასახელებს შევერცხლილ ჯვარს¹⁵. იგი აქაურობის მფლობელ თავად მაჩაბელს უბოძებია ოსთადმი. ახლა ეს ჯვარი და ძველი ეკლესია აღარ ჩანს. საყდარი მიწისძვრას დაუნგრევია, მასვე მოსახლეობაც დაუზარალებია და დაუშინებია¹⁶. შემდეგ აქ სხვა, — ჯვრის ფორმის ეკლესია აუგიათ. მას აქვს დასავლეთის მხრიდან სამრეკლო, რომელშიც 1895 წ. რუსეთში ჩამოსხმული მხატვრული დიდი ზარი კიდია.

ს. ბენსონოვის თქმით, აქ 3 კოშკი 1930 წ. დაუნგრევიათ (დასახ. ნაშრომი, გვ. 246). ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა.

ერთ-ერთი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც ზემოდან აღარ ირჩევა, მაგრამ გვერდებზე იკითხება, გვაუწყებს:

„... და მ რ ჩ ა ს უ ლ ი ს მ ო ს ა ხ ს ე ნ ე ბ ლ ა თ ჩ ე მ ი
ხ უ თ ი ვ ა ე ი და ს ა მ ი ქ ა ლ ი (.) ვ ა რ ფ ი ნ ა ბ ი ბ ი რ ა ს ძ ე
ც ხ ო ვ რ უ ბ ა შ ვ ი ლ ი (.) გ ა რ დ ა ვ ი ც ვ ა ლ ე
ჩ ყ ბ -ს ა წ ე ლ ს ა
ქ რ ი ს ტ ი შ ო ბ ი ს თ ვ ი ს ი ე -ს დ ლ ე ს ა (.) შ ო ბ ი დ გ ა ნ

ვ ი ყ ა ვ ი

ს ა მ ო ც დ ა ა თ ი წ ლ ი ს“. (=1880 წ. დეკემბრის 15-ს).

ეკლესიის დასავლეთით მდებარე ქვას ზემოდან აწერია:

„ა რ შ ე მ ი ბ რ ა ლ ა ს ი კ ვ დ ი ლ მ ა (.) მ ა გ რ ა თ მ ო მ კ ი ლ ა
ხ ე ლ ი ა (.)
ვ ე ხ ე უ წ ე ჩ ე მ ს მ ო კ ე თ ე ე ბ ს ა და გ ა რ დ ა უ გ დ ე
ყ ე ლ ი ა (.)

¹⁵ Географические и статистическое описание Грузии и Кавказа из путешествия г-на академика И. А. Гульденшtedта через Россию по кавказским горам в 1770, 71, 72 и 73 годах, С.-Петербург, 1809, გვ. 88.

¹⁶ აღალი თუთაევი, მგზავრის შენიშვნები, ჟურნ. „იმელი“, 1882, № 2, გვ. 40.

ეცადნენ(ა) ველარ მიშველეს(ა) ჩემზედ აიხეს
 ხელია(ა)...“ და სხვ.
 „ვასილ პავლუს ძე ცხოვრებაეე ჩუპი“ 18 წლის
 გარდაცვლილა.

ჩუპი ქართული წარმოთქმის მიხედვით წერია — ათას რეაას ოთხმო-
 ცი+ათი (1880+10), თორემ იწერებოდა ჩუჟ=1890 (ათას რეაას+90).

ე. გ. ჰელინა მსხლებში ძვ. წ. I ათასეულის საფლავს აღნიშნავს.

მსხლებელი მოხუცები ამბობენ: უასთირჯის (წმ. გიორგი) დაუწესებიაო:
 ხალხის მოღალატე ძალღვივით უნდა გადააგდო კლდიდან და დაღუპოო. ძვე-
 ლათ სკოდნიათ ჩვენებსო: ძალღვი რომ დაბერდებოდა და რჩენად აღარ ღირ-
 და, მაღალი კლდიდან გადააგდებდნენ და მოკვდებოდაო; ასევე ექცეოდნენ
 სოფლის საიდუმლოების გამცემსა და ჯაშუშებსაო.

ოსური ეპოსი ცარციათ-შარშიათებზე, რომელიც ედისში (იხ. V ნაკვეთი,
 გვ. 152) აღენიშნეთ, აქაც ცნობილია, ოღონდ როგორც ვაცილა (Вацилла).
 იგი ოსური ენის ჯაჟურ კილოში წარმოითქმის უაშილა (ამ კილოს შიში-
 ნობა ახასიათებს სხვათა სისინობის მაგიერ). ასევე ცარციათებს შარშა-
 თებს, შარშიათებს უწოდებდნენ. ცარციათები გოლიათებს თვლიდნენ
 ღმერთებად, ტიტვლები ცხოვრობდნენ ტყეებში, ნათესაობა არ იცოდნენო.

თქმულების ზოგი ვარიანტიც, ცარციათები შავმა პირმა გადააშენა, ზო-
 გით კი — ნართებმა.

თქმულებები ცარციათებზე და ეპოსი ნართებზე ოსური ზეპირსიტყვი-
 ერების ორი საყურადღებო ქმნილება არის და ორივეს ედისის მიდამოებში
 მდებარე საოცარ ციკლოპურ ზილგა-მასიგს (ოს. ზილგა — მბრუნავი, მასიგ —
 კოშკი, ციხე) უკავშირებენ (იხ. წინამდებარე მონოგრაფიის V ნაკვეთი, გვ. 156,
 163).

როგორც ბერძნებს აქვთ თქმულებები მათ ტერიტორიაზე არაბერძნული
 წინარემოსახლეობის შესახებ, ისე ოსებს აქვთ თქმულებები: ცარციათები
 (შარშათ) ცხოვრობდნენ ნართებამდე, ირებამდე (ირონებამდე) — ოსებამდე
 ამ მიდამოებშიო.

მართალია, ისტორიული ცნობები და უმთავრესად ენობრივი ფაქტები
 სხვა სურათს ხატავენ ოსების წარმოშობაზე¹⁷, მაგრამ ფოლკლორულ მონა-
 ცემებსაც თავიანთი მნიშვნელობა აქვთ და მათზეც უნდა შევჩერდეთ. მით
 უფრო, რომ თქმულებები ცარციათებზე ჯერ კიდევ არ არის საქმოდ შეს-
 წავილიო; მათზე მხოლოდ ცნობები არსებობს:

1. Памятники Юго-Осетинского народного творчества, II, Цхинва-
 ли, 1929; 2. Юго-Осетинский фольклор, Сталлнир, 1936, გვ. 276—278;
 3. Б. А. Алборов, Этноним «царциата» осетинских нартских сказа-
 ний. — IV Всесоюзная конференция по иранской филологии. Тезисы
 докладов, Ташкент, 1964, стр. 5—8 и др.

ცარციათების სახელთან დაკავშირებული ედისის გორაკის სქემა
 (1945 წ.), სოფ. სტირფაზის სათანადო პუნქტის შესახებ ცნობა და თქმულება-

¹⁷ Ср. З. Ванеев, Исторические известия об алланах-освах, Цхинвали, 1941;
 В. И. Абзаяв, Осетинский язык и фольклор, I, Москва—Ленинград, 1949, გვ. 9—93;
 Б. А. Калоев, Осетины, Москва, 1971; Г. С. Ахмедияни, Сборник избранных
 работ по осетинскому языку, I, Тбилиси, 1960.

თა მოკლე შინაარსი (ცარციათ-სახელის ჩერქეზ-ეთნონიმთან დაკავშირების ცდით) დაბეჭდილია ბ. ა. კუფტინის ნაშრომში¹⁸.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგი რამ ჩვენც გამოვაქვეყნეთ ცარციათების შესახებ. და მაინც ჩვენ გამოკვლევას არ ვწერთ მათზე. გვინდა მხოლოდ დამატებითი მასალა დავეუცვათ მომავალ მკვლევარს.

რაც ჩვენ ცარციათებზე გუფთასა და მსხლბეში მოვისმინეთ, ისა და ზოგი ახალი მასალა ასახულია იმ 100 გვერდამდე ჩანაწერების შერწყმულ ვარიანტში, რომელიც ჩვენ ვასილ გიორგის ძე ცაბაევმა¹⁹ გაგვაცნო.

მოკლედ ეს ცნობები ასეთია: ცარციათებმა სიყვარული არ იცოდნენ, ერთ ყმაწვილ ცარციათს გაუჩნდა ეს გრძნობა, — შეუყვარდა გოგონა. მასთან სხვებს აღარ უშვებდა. ქალს რომ შვილი უნდა ჰყოლოდა, ცეცხლი დაუნთო ქმარმა და უთხრა: ცარციათებმა რომ ბავშვი არ შეგიქამონ, ამ კერასთან იყავი... მე სანადიროდ ვივლი და საჭმელს მოგიტანო.

ქალმა შვა ეპეი, მას ყაუგას დაარქვეს (ყაუგას — ყ ა უ — სოფელი, გ ა ს — უფროსი, ე. ი. მამასახლისი). ის გაიზარდა, შეირთო ცოლი. ამათ ვაჟები (ცაბაევის ვარიანტით — 18 ვაჟი) ეყოლათ. მათი სახელები იყო: ირონა, დაირან (ოსურად დარიალს ეწოდება), ფარსუ, ალლოზ, გერემ და ა. შ. თითოეული მათგანიდან წარმოდგა თითო ხალხი კავკასიისაო.

ამ ვაჟებმა მოსპეს ცარციათები, დაამყარეს წესრიგი და მომხრეებიც იშოვეს.

ყაუგასმა დააწესა მიცვალებულთა ზაფაძში (ზაფუფაძ — აკლდამა) მოთავესება, აკრძალა ცხედრის მოსპობა და ითვლიდა ხალხს: ყოველი ადამიანი ან ცოცხლებში უნდა ენახა, ან მკვდრებში. თუ ვინმე დაიკარგებოდა, ყაუგასი ეძებდა დამნაშავეს, — კიდევ ყოფილა ქვეყანაზე ცარციათიო, აღმოაჩენდა და კლავდაო...

თქმულების ვარიანტებში ყაუგასის უფროს შვილს ბ ა ს ი ლ ა ერქვა; მან ცოლად ი დ ი ლ ი შეირთო, იგი მდინარე იდილში (ვოლგა) დაიხრჩო. ბასილამ სხვა ცოლი შეირთო და ეყოლა უ რ ი ზ მ ა გ ი (ურუზმაგი). მისგან ნართები წარმოიშენნო.

კიდევ სხვა ვარიანტით, იბრძვის ვინმე შ ა ვ ლ ე (შავი კაცი), რომელმაც ირონები შემოიკრიბა და ომებში გაიპარჯვა კიდევ. მან შვილს ირონ დაარქვა. ამასაც ვაჟი იყოლა, გულდარა უწოდეს და ირონები (ოსები) ამათგან გამრავლდნენ²⁰.

ასეთ თქმულებებში ზოგჯერ არეულია ცარციათისა და ნართის სახეები. ყაუგასის 18 შვილს ყველას ნიშანი (კვერთხი) ჰქონდა ხელში, ხალხებს უფროსობდნენო. ამ უფროსთაგან ერთ-ერთი შვილი იყო ურიზმაგი, მისგან ბ ა თ რ ა ზ ი დაიბადა. ამის ცოლი ს ა თ ა ნ ა იყო და მათგან გაჩნდნენ ოსებიო. უფრო გაერკვლებული თქმულებით, ბათრაზი ხ ა მ ი ც ი ს შვილი იყო და ცისშვილებთან ბრძოლაში დაიღუპა.

¹⁸ Б. А. К у ф т и н. Археологическая маршрутная экспедиция в Юго-Осетию и Имеретию, Тбилиси, 1949, გვ. 38—41.

¹⁹ ვ. ცაბაევი ოსთა ბიბლიოგრაფი და თბილის-ორჯონიძის სამხედრო გზის ცნობილი მეგზურის ავტორია. მასზე იხ. ჩვენი წერილი — „თავის ხალხის პატრიოტი“, ვაზ. „სოვეტონ ირისტონ“, ცხინვალი, 1969, 8 მაისი, № 20, გვ. 4.

²⁰ ვ. ცაბაევი შენიშნავს: როდესაც იდილს იტყვიო, თუ არ ითქვა ქალზეა ლაპარაკი, თუ წყალზე, ვერ გაიგებთ, რომელზეა საუბარიო.

სხვა თქმულებებით, ხ ა ნ ა იყო ოსთა ასული (ამაზონის ორეულია); მისი ვაჟი ხამცი დაიღუპა. ს ი რ დ ო ნ თ ა ნ ბრძოლაში, — ვინ იქნებოდა ხ ი ს - თ ა რ (უფროსი), ამის თაობაზე იბრძოდნენ²¹.

ხანა დადის შვილის საფლავზე და მოთქვამს: „ოი, დიდო ყუაგას, ოი, დე-დათა დედაე, ოი, უბრწყინვალესო ბასილავ, რაც თქვენ ირისთონი (ოსეთი) აყვავეთ, ყველაფერი ნართებმა გაანადგურეს²¹, მტერი იჭრება ირისთონში, რკალი ვიწროვდება, ირისთონი დაუძღურდა...“

ოსები საოცარ მოვლენაზე ამბობენ: „მანა ცარციათი დისსაგთა“ — ეს ცარციათების ამბავს ჰკავსო, ცარციათების საკვირველი საქმის განმეორებააო; უდრის ქართულ გამოთქმას: მეორედ მოსვლის (წარღვნის) დროის ამბავიაო.

ი. კავკაზაგის ჩანაწერებში გვხვდება გამოთქმა „ცარციათსაფთ ფაქო-თოჲ“ — ცარციათივით დაიღუპნენ (ამოვარდნენ, გადაშენდნენ).

აქვე შეიძლება გვარ ცაბაევზე შევნიშნოთ. ზემოხსენებული ვასილ ცა-ბაევი ამბობს, რომ ძალისში (ძალისი სოფელია მუხრანში, მცხეთის რაიონის წილენის სასოფლო საბჭოში) მამაჩემის — გიორგის 4 შვილისაგან 40-მდე სული ვართ; პაპაჩემი ს. ხოძიდან ჩამოსახლებულაო (ხოძ, ნომენკლატურულად — ხ ო ჟ ა, — ჯავის რაიონის უკანასკნელი სოფელია ს. ედისს ზემოთ).

ვასილ ცაბაევის მეტრიკულ ამონაწერში ჩაბაშვილი (Чабашвили) წე-რია. ვასილს ვეკითხებით: ჩ ა ბ ა ე ვ ი და ც ა ბ ა ე ვ ი განა ერთი და იგი-ვეა?! მისი პასუხია: ასე იყო, ჩ ა ბ ა შ ვ ი ლ ს გვიწოდებდნენ, აგერ 50 წე-ლიწადა, ცაბაევს (ცაბათი) გვეძახიანო (შდრ. ჩოჩითი — ჩოჩიევი, ც ო ც ი - თ ი — ც ო ც თ ე ვ ი). ვ. ცაბაევისავე თქმით, პაპამისს ერქვა ს ა ბ ა, ს ა ბ ა ნ და ამიტომ ვართ ც ა ბ ა ე ვ ი-ო²².

ოსურს ს—ც-ს მონაცვლეობა არ ახასიათებს; სახელ საბასაგან ცაბას წარმოქმნის გარეშეც, ხოძელი ცაბაევი საბას შემკვიდრებისაგან ძალისელი ცაბაეუბის გამრავლების ცნობა კი შეიძლება სწორი იყოს. ცაბაეუბის გვიან-დელ შემკვიდრებებს ახსოვთ, რომ მათი უფროსები დადიოდნენ ხოძის დღეო-ბებში და ხატისათვის შესაწირავიც მიჰქონდათ. ისინი ხოძელ გ ე ლ ე თ-ებს (ჩ ე ლ ე თ-ელებს) ენათესავებოდნენ.

ჯ ა ვ ა

ჯავა, ანუ ძაუ, რაიონის ცენტრია. იგი თბილისიდან 130, ცხინვალიდან კი 22კმ-ზე მდებარეობს მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირზე. ჯავა ცნობილია მი-წერალური წყლითა (ოს. ძაუ-სუარ, ესენტუქის ტიპისაა) და კურორტით.

²¹ სხვა თქმულებებით, ირონები (ოსები) ნართების შემკვიდრებად ითვლებიან; აქ კი ნართები ირონების ტყრება!

²² ჩვენ ასეთ ცვლილებას დასავლურ ქართული კილოებისა და მეგრულის შავალითებში მივაქციეთ უწარღვება (იხ. ჩვენი გამოკვლევა „მიცემითი ბრუნვის ნიშნისა და მესამე პირის სუბიექტური ნიშნის სახეცვლილება გურულში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. VI, 1937, გვ. 348—355). შემდეგ ი. ქ ო ბ ა ლ ა ვ ა მ გააფართოვა საკითხის კვლევა ქართულსა და კავკასიურ ენების მაჯალითებზე (იხ. კრებ. „იბერულ-კავკასიური ენათმეცნიერება“. ტ. IX—X, 1958, გვ. 57—97). ბოლოს მეგრულის მიმართ ამავე საკითხს შეხვო ა. ლ ო მ თ ა - ძ ე (ყურნ. „შაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972 № 1) და აღნიშნა, რომ ამ ენობ-რივ მოვლენას უწარღვება მიაკვია ი. მეგრულით, მაგრამ ფაქტის ახსნა არ უძლიაო! ნა-შრომში კი ახსნაც არის მოცემული (გვ. 354); შდრ. ჩვენზე წერილი გაზ. „თბილისში“, 1973 წ. 13 ივნისი, № 136, გვ. 3.

თვით ჯაეა 1000 მ-მდე სიმაღლეზეა ზღვის დონიდან, ხოლო კურორტი ჯაეა კი 1060 მ-ზე მდებარეობს. ადგილი ლამაზი და, სამკურნალო წყლის გარდა, პავითაც ძლიერ სასარგებლოა²².

ჯაეის სასოფლო საბჭოს სოფლებია: ჯაეა, ბუზალა, დიდი და პატარა გუფთა, იორაფისი, ზემო და ქვემო ყორსევი, მსხლები, ნინია, ფაწა, რარო²⁴, საკირე (ოს. საკირე), თანდელთა, ტონტობეთი, უგარდანთა, უჩეარსი, ხუმი-სართა და შიხანთური (შდრ. 1865 წ. აღწერა; მაშინ ხეწე, გუგუთი და კრო-ჯაც ჯაეის თემს ეკუთვნოდა),

ჯაეის სიძველეთაგან თვალში გვხვდება სანატორიუმის სამხრეთით მდებარე გუმბათიანი ეკლესია, მაგრამ მას ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს. ცოტათი უფრო ძველია სოფლის დასავლეთით მდებარე დედალეთისას გუმბათიანი ეკლესიის მოზრდილი ნაგებობის ნანგრევები, რომელსაც დასავლეთ კედელზე სამრეკლო აქვს მიდგმული. ნაგებობანი ჩვენი საუკუნის პირველ წლებს განეკუთვნება, მაგრამ აქვე წინათაც რომ ყოფილა ეკლესია, ეს მოხუცებს ახსოვთ და სასაფლაოს ქვებიც ადასტურებს.

ეკლესიის ჩრდილოეთით მდებარე კუბოს ფორმის საფლავის ქვის სამხრეთ მხარეზე ვკითხულობთ:

„ჩ ყო წ ე ლ ს ა () ა პ რ ი ლ ი ს ი გ დ ლ ე ს ა
[ჯვარი] მ ო ნ ა ლ ე თ ი ს ა

(ჩრდილოეთ მხარეზე)

ბ ა თ ო ქ ე ქ ე ს ძ ე ს ა ნ ა ყ ო შ ვ ი ლ ი

წ ლ ი ს ა ნ ი დ ა ვ ი ნ ც წ ა ი კ ი თ ხ ო ს ()

შ ე ნ დ ო ბ ა ბ რ ძ ა ნ ო ს“. (თარიღი = 1770 წ.).

სხვა ქვაზე თარიღი ციფრით:

„1873 წ ე ლ ს ა მ ა ი ს ი ს 2 დ ლ ე ს ა გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა მ ო ხ ა
ლ ე თ ი ს ა ე რ კ ლ ე ფ ა რ ს ა ს ძ ე ს ა ნ ა ყ ო ე ვ ი“(.)

სახელ ერეკლე-ში ე შეიძლება არც შემთხვევით იყოს გამორჩენილი. იქნებ აქ დიალექტიზმია შეპარული ეპიგრაფიკაში (იხ. ნაკვეთი I, ერგნეთი, — წერეთელი — წერეთელი).

კიდევ სხვა დიდ ქვაზე.

„(ჩ)ყა წ ე ლ ს ა...“

გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა მ ო ნ ა ლ ე თ ი ს ა

ლ ე ვ ა ნ ფ ი ფ ო ს ძ ე ს ა ნ ა ყ ო შ ვ ი ლ ი“. (თარიღი = 1860

წელს).

ქვის ნატეხზე ირჩევთ:

„ს ა ნ ა ყ ო შ ვ ი ლ ი...“

(გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა კ გ ჩ ყ პ ი ს (=1890 წ.) 23 წ ლ ი ს

ე ვ ი ნ (ე) ბ ი ლ ო ს () ბ ზ ნ ე თ (ბ რ ძ ა ნ ე თ) შ ე ნ დ ო ბ ა“.

ასეთი შემთხვევა (ჩ ყ პ ი) ზემოთაც გვქონდა. აქაც კვლავ ქართული წარმოთქმის გავლენით წერია ჩ ყ პ ი (1880—10), თორემ ასოთა ციფრული მნიშვნელობით ეს იქნებოდა ჩ ყ პ ე.

კუბოს ფორმის ერთ-ერთ ქვაზე ვკითხულობთ:

„1876 წ ე ლ ს ა () თ ე ბ ე რ ვ ლ ი ს 2 დ ლ ე ს ა () გ ა რ დ ა ი ც ვ ა
ლ ა მ ო ()“

²² დაწერილობით, Н. З. Пирадашвили. Курорт Дзау. Цхинвали. 1954.

²⁴ ამ სოფელში ე. პელიონა მინგოლების დროის ოსურ საფლავს ასახელებს!

ნა ღვთისა მოსე როს(-)

ტომის ძე სანაყოშელი“ (სანაყოშელი).

წარწერაში თარიღი ციფრითაა აღნიშნული.

როგორც ეს კუსირეთზე ნარკვევში აღნიშნეთ, აქაც შედარებით ადრინდელ წარწერებში ახლანდელი გვარი სანაყოვეი სანაყოშელი-ად იხსენება, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა (მაგ., იხ. ზემოთ 1873 წ. ერეკლე სანაყოვეის საფლავის ქვის წარწერა; ე. ი. თანამდებობის პირებს უფრო ადრე დაუწყიათ გვარების გარუსულება“). შემდეგ კი — ზემოხსენებული ბათო სანაყოშელის ძე უკვე სანაყოვეია:

„მამიხსენე მე უფალო...“

ვარ აღექსა ბათოს ძე სანაყოვეის() აღვსრულდი
1901 წ.

7 თებერვალს., წამკითხვაო() შენდობა მიბძა(-)
ნეთ“.

მაშასადამე, მე-19 საუკუნის სამოციანი წლებიდან ჯავის მოსახლეობის უმრავლესობა უკვე ამ გვარის — სანაყოშელი, სანაყოვეი, ახლანდელი სანაყოთე — ყოფილა.

ერთ-ერთ ქვაზე, „მონა ხეთისა როსტომ დავითის“ ძის უთარილო წარწერა იწყება სტრიქონებით:

„ღმერთო() მეც ღირსი გამხადე() სადაც სამოთხე
შენია()“

იქ მაინც ნათლად მამყოფე, რადგან სიკვდილი
ძნელია“...

ერთ-ერთ ქვას ზემოდან აწერია:

„მომიხსენე მე() უფალო(!) საფლავსა ამასა შინა
მდებარე ვარ დარეჯან ხოსრო გასიევის ასული
(ჩრდილოეთიდან)“

და ჯიბო ქოქოშელის მეუღლე() ახვსრულ(-)

დი იანვრის ზ ჩუპშ() თითო პირი შენდობა

(ბრძანეთ)“

(თარიღი — 7 იანვარი 1888 წლისა).

აქ, გარდა იმ დიალექტიზმისა, რომ აღვსრულდის ნაცვლად წერია ახვსრულდი, ისიც აღსანიშნავია, რომ 1888 წ. ასობით წერია და არა ციფრით. სხვა უფრო ადრინდელ წარწერებში კი, რომელთა რამდენიმე ნიმუში ზემოთ წარმოვადგინეთ, მაგ., 1873 წელსაც კი, ანბანთა მაგიერ უკვე ციფრი წერია. ერთ-ერთ ქვაზე იკითხება:

„არ შემიბრალა სიკვდილმა, მაგრად ჩამკიდა
ხელია()“

ვეხვეწუ მოკეთება და გადაუგდუ ყელია()

ეცადნენ() ველარ მიშველეს() ჩემზედ აიღეს

ხელია()

ვარ ბიბო პაპუნაძე ბეზანოვ (ბეჟანოვ) ()

გარდავიცვალე 1894 წელს() მარიობისთვის 20

დღესა“.

პირველი სამი სტრიქონის თითო უკანასკნელი სიტყვა ქვაზე შემდეგ სტრიქონზე გადმოდის, ე. ი. წარწერის შემსრულებელს ლექსის სტრიქონი

ვერ დაუტაცეს. ასეთი შემთხვევები არცთუ იშვიათია ეპიგრაფიკაში. ეს საწყერი მასალის (ქვის, ხის, ლითონის) ფორმის ან ზოგჯერ დასაწერის შინაარსის დამწერის მიერ გაუაზრებლობის გამოც ხდება.

ერთ-ერთ წარწერაში (1903 წ.) იხსენიება „თინა თელუზ ბაბა-შვილის ასული(,) ლექსა თედეშვილის მეუღლე“, ხოლო იმავე წლის სხვა წარწერაში ლექსა ალექსად იწოდება, — „გიორგი ალექსა თედეშვილის ძე...“ — 1887 წ. გარდაცვლილა „მხევეალი მღვთისა სოფიო ქელეხსაევის ასული...“

ჯავის ეკლესიის ჩრდილოეთით, ზევს გაღმა, ერთ-ერთი საფლავის ქვათაგანი იხსენიებს „სოფიო თეთუ ყაჩმაზაევის ასულს“. აქვე მისი სახელით წერია: „ავღსრულდი 1889 წ. ენკენისთვის 13“-საო და შენიშნულია „წამკითხველმა თითო პირი შენდობა უბრძანოს“.

ზემოთ, 1888 წ. ცხოვრებაშვილი წერია; უკანასკნელში — ცხოვრებავე. ასევე აქვე — „ფარასტაევი ასული“ (1890 წ.) „შენდობა გთხოვთ!“ სხვა ქვას აწერია:

„გაუკითხო სიკედილო(,) წაიყვან დაბარებულსა,
აღსრულებ შენსა ნებასა(,) ღვთისაგან
დავალებულსა,
არცა კითხულობ მდიდარსა(,) არც ღარიბ
შეწუხებულსა.

(სამხრეთით)

თითო შენდობას გუვედრით(,) წამკითხველთ(,) აქა
კრებულსა(,)
ვარ შამელა სოლოს ძე ცხოვრებაშვილი(,)
გარდაეიცვალე
ჩუპსა წელსა ქრისტიშობისთვის იე-სა დღესა“.
(1880 წ. დეკემბრის 15).

ჯავის თანდილანთ უბანში (ოს. თანდელთი) ერთი ოთხკუთხი კოშკია. ჩრდ. კედლის სიგანე — 7 მ, აღმ. — 5,5 მ; კარი აღმოსავლეთიდან მეორე სართულზე აქვს. ზედა სართულები დანგრეულია.

ამავე ტიპის კოშკი ხუშსართასა (კედელი — 2,5 მ) და უგარდანთაშიცაა.

უგარდანთას უბნის (ჯავიდან 4 კმ) მცხ. ხადო გაბრიელის ძე ცხოვრებოვი (1954 წ. 74 წლისა) გვარწმუნებს, რომ მათ კოშკზე უმაღლესი კოშკი სამხრეთ ოსეთში არაა (სიგანე — 7,30 მ, სიგრძე — 7,19 მ)²⁵. აგებულია ლოდებისაგან, ღვას 5 სართული (მეექვსე ხის ჰქონდაო). ამ კოშკს შესასვლელი ჩრდილოეთი კედლის მეორე სართულიდან აქვს (მიწიდან 4 მ-ზე). კედელში მარმარილოს ქვებიც ურევია. კოშკს გალავანიც ჰქონია.

სამხრეთ ოსეთის, განსაკუთრებით ჯავის რაიონის მცხოვრებთა ზეპირსიტყვიერებაში ვხვდებით ქართულის მსგავს თქმულებებსაც და ლუგენდებსაც. ქართველ და ოს ხალხებს შორის ყოფითი მეზობლური და კულტურული ურთიერთობის არაერთი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია ცნობილი. ზოგ მათგანზე რიგითი კოლმეურნეც ლაპარაკობს.

²⁵ შტრ. ს. ბეზსონოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

ჯაველი მოხუცები იხსენებენ, რომ მათ მღვდელი ქართული ასოებით დაბეჭდილ ოსურ სახარებას უკითხავდა. ასეთი წიგნები მართლაც არსებობდა და ქართული ასოებით დაწერილი ოსური სიტყვები (წარწერები) ოსთა საფლავის ქვებზეც გვხვდება ჯავისა და ცხინვალის რაიონებში. ეს არის ქართულოსური კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის დიდი ფაქტი, რის კონკრეტული მასალები წინამდებარე ნაშრომის XV ნაკვეთში არის ასახული,

P. S. წინამდებარე ნაშრომის რედაქციისათვის მიწოდების შემდეგ გამოიტყვა მოსაზრება, რომ ნარიყალა გალაენიან ციხეს ნიშნავსო (იხ. ქ. ლომაშვილი, წერილები, თბ., 1975, გვ. 188—192).

უფრო სარწმუნოდ ჩანს ნარიყალას შიგა ციხედ გაგება, როგორც ეს აღნიშნა ჯ. გიუნაშვილმა 1975 წლის 25 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო სესიაზე.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა)

უჩა სინდელიანი

ქართული ბიბლიის ეჩმიაძინის ფრაგმენტის
იღნებთფიკაციისათვის

ამ ფრაგმენტის შესახებ სტატია გამოაქვეყნა ნ. მარმა ჯერ კიდევ 1914 წელს „ხრისტიანსკი ვოსტოკის“ II ტომში¹, საიდანაც ვებულობთ შემდეგს: ეჩმიაძინში ყოფნისას ნ. მარისთვის მღვდელ სააკ ამბტუნის გადაუცია მის მიერ შედგენილი საძიებელი პერგამენტზე შესრულებული სომხური და ქართული ფრაგმენტებისა, რომლებიც ჩაყვრებული ყოფილა სამონასტრო ბიბლიოთეკის სომხურ ხელნაწერთა ყდებში.

ნ. მარს გადაუთვალეირებია ეს ფრაგმენტები და ზოგი მათგანი გადმოუწერია კიდევ. მათ შორის აღმოჩნდა დასახელებული ფრაგმენტიც, რომელიც შეიცავს IV მეფეთა 1417—1514 მონაკვეთს დაზიანებული სახით². დაზიანების მიზეზი, როგორც ნ. მარი აღნიშნავს, ყოფილა ის, რომ ამკინძავს პერგამენტის ფურცელი შუაზე გაუჭრია, ერთი ნახევარი ეჩმიაძინის № 991 ხელნაწერის წინა ყდაში ჩაუყვრებია, მეორე — ბოლო ყდაში. სტრიქონების გარკვეული ნაწილი პერგამენტის გაჭრის დროს დაზიანებულა, ხოლო ნაწილი ჩაწებების შედეგად დაღუპულა.

ნუსხა-ხუტურით შესრულებული ეს ფრაგმენტი ნაწერია ორ სვეტად. ტექსტი ამ ფრაგმენტისა გამოცემულია ნ. მარის მიერ მისთვის ჩვეული პუნქტულობით³. სქოლიოებში აღნუსხულია ოშკური ნუსხის სხვაობები ეჩმიაძინის ფრაგმენტთან მიმართებით, ხოლო პარალელურ სვეტში მოყვანილია ქართული ბიბლიის 1743 წლის მოსკოვეური გამოცემის ტექსტი სრულად. მკვლევარი იძლევა ეჩმიაძინის ფრაგმენტის ფილოლოგიურ ანალიზს მოსკოვის გამოცემასთან მიმართებით და ითვალისწინებს რა ებრაულ-სირიულ-ბერძნულ-სომხური წყაროების ჩვენებას, წარმოადგენს ტაბულას, სადაც ქართულ-სომხური თარგმანების მომდინარეობის ზოგადი სურათია ასახული.

ნ. მარი სპეციალურად უსვამს ხაზს ამ ფრაგმენტის მნიშვნელობას: „Важность этого дефектного фрагмента (e) значительная: она устанавливает факт распространения той версии грузинского перевода, которая сохранилась в рп. 978 года в Иверском монастыре на Афоне (o). Она казалась до сих пор одинокой, ею мало пользовался лексикограф Орб-

¹ Марр, Н. Я. Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета, „Христианский Восток“. т. II. СПб, 1914. гл. 378—388.

² სულ ამ მონაკვეთში გვაქვს 27 მუხლი — IV მეფ. 1417-29, 151-14; ამათგან 1422-24 და 26-29 მთლიანად აკლია, ხოლო 1417, 21, 25, 27, 151, 51, 6, 8, 13 დეფექტურია ნაწილობრივ.

³ ნ. მარი სქოლიოში მიუთითებს, რომ ეჩმიაძინის ფრაგმენტის ტექსტი იბეჭდება „строка в строку“. იქვე დაწვრილებით აღნუსხავს დეფექტურ სტრიქონებს და აღნიშნავს დაზიანების ხარისხსა და ხასიათს. ეს გამოქვეყნებული ტექსტი ჩვენთვის დოკუმენტის მაგივრობას ეწევა.

(т. с. Саба Орбелиани. — У. Ц.), она как будто была обойдена первыми издателями грузинской Библии в XVII-м веке. Эчмиадзинский фрагмент (е) иногда дает более архаичные чтения, чем О, в остальном он повторяет отношение О к Московскому изданию 1743 года“⁴.

როგორც ამ ვრცელი ამონაწერიდანაც ჩანს, ნ. მარს ეჩმიაძინის ფრაგმენტი ოშკური ვერსიის მიმყოლად მიაჩნია, მაგრამ მათი ტექსტობრივი მიმართება ავტორის სპეციალურად, ეტყობა, არც აინტერესებდა და კონკრეტულად ამის შესახებ არც ამბობს რამეს. მით უმეტეს არაფერია ნათქვამი ე. წ. ჭანაშვილისეული ნუსხებისა და ეჩ. ფრაგმენტის ტექსტობრივი მიმართების შესახებ. ჩვენი მიზანია სწორედ საკითხის ამ მხარის გაშუქება, რომ შესაძლებელი გახდეს ეჩ. ფრაგმენტის მიკუთვნება მეფეთა წიგნების ქართულ ხელნაწერებში დაცულ ამა თუ იმ ტრადიციისადმი. ის ვარიანტული სხვაობები კი, რომლებიც ეჩმიაძინის ფრაგმენტსა და ოშკურ ნუსხას შორის არსებობს, ამგვარი დაკონკრეტების კარგ საშუალებას იძლევა. ქვემოთ ჩვენ მოგვყავს ამ ვარიანტულ სხვაობათა სრული ნუსხა მუხლთა თანამიმდევრობის შესაბამისად. პირველ სვეტში მოცემულია ოშკური ნუსხის (=O) იკითხვისები, მეორეში — ეჩმიაძინის ფრაგმენტისა (E=) და მასთან ახლო მდგომი A 646 (=F), I 113 (=I) და A 51 (=S) ნუსხების ჩვენება.

O	EFIS ⁵
IV მთ. 14 ₁₈ . < არიან FI წიგნსა I, მეფეთა I იუდაისტასა ისრაელისათა I	და ყო ⁶ რაჲცა ქმნა არიან ES წიგნთა მეუფეთა (მეფეთა S)+მათ იუდაისტა
14 ₁₉ . იერუსალშს იგი მიივტოდა იგინი შეუღდეს	იერუსალემად FI, იშმდ ES რგი > იგინი >
14 ₂₀ . დადევს I ზედა საქედარსა თჳსსა წარმოიღეს... იგი და დაჰფლეს მამათა მათ	დასდევს საქედარსა თჳსსა ზ ⁷ ა EFS თჳსსაეე საქედარსა ზ ⁷ ა I წ. და დაჰფლეს იგი EFS მოიღეს იშ ⁸ ლიმად და დაჰფლეს I მათ >
14 ₂₁ ⁸ ძშ იყო იგი კითარ	ძე იგი იყო >
14 ₂₅ ემათისთა (—სათა I) ზღუადმდე S რომელთა ეტყოდა ძისა ამათისთა (ამათისსა I) გეთელისათა I	ემათისთა FS ემართისთა E საზღუადმდე EFI რომელსა იტყოდა ძისა ამასია გეთელისათა
14 ₂₈ . ქუებულნი FS შემწწ	ქუშბულნი EI შემწწ

⁴ М арр Н. Я., სს. შრ., გვ. 378.

⁵ ნუსხათა ამ ჩგუფიდან FIS დროდარო O-ს იკითხვისებს ემხრობა. ასეთ შემთხვევაში O-ს იკითხვისს ამ ნუსხათა ლიტერით ახლავს.

⁶ 22—24 მუხლები E-ში დეფექტურია.

14 ₂ . აღქოცა მათი ქუეშე	აქოცად ქუეშე EI
15 ₂ . დადგომასა მას მისსა იერუსალმს	მას > + ზედა
15 ₃ . ამესია	ამასია FIS, ამასისა E
15 ₄ . მოსრნა საკუმეველსა FS (—I)	მოსრნა საკუმეველთა E
15 ₅ . კელი მაღალთა მათ ჰჳიდა	მაღალთა მათ > შჳიდა
15 ₆ . რაჲცა არიან I წიგნსა (მას—I) მეფეთა IS	რაჲ არიანა წიგნთა მეფეთა
15 ₇ . დაჲფლეს (იგი—I) ქალაქსა I ძჳ	დაჲფლეს ქუეყანასა მას ძე
15 ₈ . წელსა მეთაშდმეტესა მეფისა მის ძჳ იერობოამისი	წელსა მას ოცდამეაჩუდმეტესა EF წ. მას ოცდამეთაშდმეტესა I წ. მას ოცდამეთურამეტესა S მის > ძე იორობამისი
15 ₉ . მამათა მათ იერობოამისსა ნაბატისსა	მათ > იორობამისა ნაბატისა
15 ₁₀ . კედებაამ დასცეს სელიმ 2 ^o	კედებაამ EFI, კედებაამ S და დასცეს იგი სელიმ
15 ₁₁ . აჲ ესერა მეფეთა I	ესერა > მეფეთა (მეფეთა S)+მათ
15 ₁₂ . რომელსა-იგი ჰრქუა ვლ დასხდენ	რომელსა ვლ > დაჲდეს (ნაშობნი შენი მეოთხედ დაჲდეს EFS, ნაშობი შენი... დაჲდეს I)
15 ₁₃ . წელსა (მას—I) ოცდამეტესა I	წ. მას ოცდამეთესა EF, წ. მას ოცდამეთეტესა S
15 ₁₄ . გამოვიდა მანაელ... თერსიდ სელემს I	გ. მ. თერსით სელიმს

განხილული მასალის ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ დავი-
ნახოთ ეჩ. ფრაგმენტის განსაკუთრებული სიახლოვე FIS ნუსხებთან. ყველა
ის გადახრა, რომელსაც აღნიშნული ფრაგმენტი აჩვენებს O-ს ტექსტის მიმართ,
დასაყრდენს პოულობს FIS ნუსხათა ჩვენებაში. აქ შეიძლება უბრალოდ ჩა-
მოვთვალოთ ის ძირითადი ტექსტობრივი მომენტები, რომლებითაც ეჩ. ფრაგ-
მენტი O-ს უმიჯნება და FIS-თან დგება: კლება (14_{19,21}, 15_{2,5,8,9,11,12}), მა-
ტება (14₁₈, 15₂), გადაადგილება (14_{20,21}), განსხვავება რიცხვში (14_{18,25}, 15_{6,12}),
განსხვავება ბრუნვაში (14_{19,27}, 15₁₄), სინონიმური სხვაობა (15₄), განსხვავება
გეოგრაფიულ და პირთა სახელებში (15_{3,8,9,10,14}), ერთნაირი მცდარი ეკითხვი-
სის წარმოდგენა (14₂₅ ზღუადმდე OS = *დას რჳე მჲლჲაჲჳეჲ ძჳნჳს გნოჳს*)
საზღვარადმდე EFI). ორთოგრაფიული თავისებურებანი (14₂₅ ემათისთა (-სათა
I)IO] ემართისთა FS, ემართისა E) და სხვა.

მაგრამ ზოგიერთი დეტალის მიხედვით ეჩ. ფრაგმენტი F ნუსხასთან განსაკუთრებულ ინტიმურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს:

ა) პირველ ყოვლისა აქ უნდა დაეასახელოთ ყველა დანარჩენი ხელნაწერის „მეფე“ იკითხვისის ნაცვლად EF-ში ამ სიტყვის უფრო არქაული „მეუფე“⁷ ვარიანტის დადასტურება (14₁₈, 15_{6,11}). აღსანიშნავია, რომ მეფეთა ოთხივე წიგნის მანძილზე F ნუსხა მხოლოდ და მხოლოდ „მეუფე“ იკითხვისის წარმოგიდგენს.

ბ) მეფეთა ქრონოლოგიის საკითხი, რომელიც ტექსტის ტრადიციით ღრმად განპირობებული მოვლენაა და არსებითი ხასიათის სხვაობათა რიგს მიეკუთვნება⁸, EF-ში ერთნაირადაა წარმოდგენილი, დანარჩენ ნუსხებში — სხვაგვარად: 15₁₉ წელსა ოცდამეათესა EF] წელსა მას ოცდამეცხრესა IO: წელსა ოცდამეათცხრამეტესა S. მართალია, 15₆-ში EF-ის ქრონოლოგიას უკვე I-ც იზიარებს, მაგრამ თმ>ჩ-თი EF აქაც ცალკეა: წელსა ოცდამეათცხრამეტესა (ოცდამეათშვიდმეტესა I) EF] წელსა მეათშვიდმეტესა O: წ. ოცდამეათურამეტესა S.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ F ნუსხის მიმართ ზუსტად ასეთსავე დამოკიდებულებას ამჟღავნებს A 570 (აგრეთვე ჩანაშვილისეული რედაქციის სახელით ცნობილი) ხელნაწერის ტექსტი. ამ ნუსხათა ურთიერთმიმართების საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია გარკვეულია⁹ და ამიტომ სპეციალურად მასზე აღარ შეეჩერდებით. დაესძენთ მხოლოდ, რომ A 570 ნუსხას აქლია IV მეფ. 13₁₉—20₅ მონაკვეთი, რაც ბუნებრივად სვამს კითხვას: ხომ არ წარმოდგენს ექიმიაძინის ფრაგმენტის ეს ურთი ფურცელი ამ მონაკვეთის ნაწილს და, მასასადამე, A 570-ის კუთვნილებას? ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს თითქოს ზოგიერთი არგუმენტიც:

ა) A 570 ხელნაწერი გადაწერილია პერგამენტზე. ექიმიაძინის ფრაგმენტიც პერგამენტზეა ნაწერი.

ბ) A 570 ორ სვეტად ნაწერი ნუსხა-ხუცურ ტექსტს წარმოადგენს. ეჩ. ფრაგმენტიც ასევე ნაწერია ორ სვეტად ნუსხა ხუცურით¹⁰.

ღ) A 570-ისა და ეჩ. ფრაგმენტის ორთოგრაფიული ნორმები ზუსტად ემთხვევა ერთმანეთს, ხლო F ნუსხა ამ თვალსაზრისით არსებითად სხვაობს მათგან.

მიუხედავად აქ ჩამოთვლილი არგუმენტებისა, ჩვენ დაბეჯითებით მაინც არ შეგვიძლია ეჩ. ფრაგმენტი A 570-ის უცილობელ კუთვნილებად გამოვაცხადოთ. ამას ხელს უშლის, ჯერ ერთი ის, რომ A 570-ის მსგავსი ნუსხა სხვაც არა ერთი და ორი შეიძლება გვეჩნოდა და, მეორეც, თავს იჩენს სხვა დაბრკოლებაც. საქმე ის გახლავთ, რომ A 570 ნუსხაში წარმოდგენილია საგრძნობლად შემოკლებული ტექსტი და ამით ამ ნუსხის ტექსტი არსებითად ემიჯნება F ნუსხის ტრადიციას. რაც შეეხება ეჩ. ფრაგმენტს, იგი (თუ არ ჩავთვლით და-

⁷ ნ. ნარ ხაზს უსვამს ამ იკითხვისის არქაულობას, მაგრამ უზუსტობას უწევს, როცა „მეუფე“ ფორმას 15₁₁ მუხლზე მითითებით O-შიც ადასტურებს, სადაც O-ს, ისევე როგორც სხვაგან, „მეფეთა“ ფორმა აქვს (X. B., T. II, გვ. 382).

⁸ Shenkel, J. D., *Chronology and Recensional Development in the Greek Text of Kings*, Cambridge, 1968.

⁹ მ. ჯანაშვილი, ნაშრომი, III, გვ. 37—70, კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 419, 1960.

¹⁰ Mapp, H. Я., სს. შრ., გვ. 378.

ზიანებულ სტრიქონებს) სიტყვასიტყვით მისდევს F ნუსხის ტექსტს. ეს ფრაგმენტი რომ მართლაც A 570-ის კუთვნილება ყოფილიყო, ამ მოვლენას 27 მუხლიან ტექსტში სადმე უნდა თავი ეჩინა¹¹.

შეიძლება დაეასკვნათ: ა) ეჩმიაძინის ფრაგმენტი იცავს იმ ტექსტობრივ ტრადიციას, რომელიც შენახულია ხელნაწერთა ჯგუფში A 570, 646, 51-სა და I 113-ში და არსებითად ემიჯნება ოშკური ხელნაწერის ტრადიციას.

ბ) დასახელებული ჯგუფიდან ეჩმიაძინის ფრაგმენტი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ე. წ. ჭანაშვილისეული ვერსიის A 646 და 570 ნუსხებთან, რაც უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ერ. ფრაგმენტი წარმოადგენს თუ დედანს არა, იმ დედნის პირს მაინც, რომლითაც სარგებლობდნენ A 570-ისა და 646-ის გადამწერნი.

გ) ეჩმიაძინის ფრაგმენტის არსებობა ადასტურებს ჭანაშვილისეული ვერსიის ფართო გავრცელებულობას და ურთხელ კიდევ ხაზს უსვამს ათონურ ხელნაწერში დაცული ტრადიციის იზოლირებულ ხასიათს.

¹¹ ხანდახან A 570-შიც შეგვხვდება შეუმოკლებელი ტექსტი, მაგრამ არა უშეტეს სამი-ოთხი მუხლისა ერთმანეთზე მიყოლებით. გარდა ამისა ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ დეფექტური მონაკვეთის წინა IV მეფ. მე-13 თავში A 570 ინტენსიურად ამოკლებს ტექსტს, მაგალითად: 13⁹ და დაიძინა იოაქაზ მამათა თესთა თანა და დაჟღეს იგი მამათა თესთა თანა სამარიას. და მეფობდა მე მისი მის წილ FOSJ და მოკულა და დაჟღეს სამარიას A 570. საინტერესოა „იორობოამ“ საკუთარი სახელის ორთოგრაფიაც, რომელიც A 570-ში სისტემატურად წარმოდგენილია „იორობუამ“ ფორმით, ხოლო ერ. ფრაგმენტში, ისევე როგორც F ნუსხაში, ყოველთვის „იორობოამ“ დასტურდება.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტმა)

მიხეილ ჩხაიძე

მართვა თუ წინასწარკარნახი?

(მართვის და წინასწარკარნახის ცნებების დაწესებულებისათვის
ენათმეცნიერებაში)

როგორც ვიცი, წინადადებაში ერთი სიტყვა შეიძლება ექვემდებარებოდეს მეორეს სამნიარად: ან გვერდნდეს მართვა, ან მირთვა, ან შეთანხმება. შართვის შემთხვევაში იგულისხმება, რომ ერთი სიტყვა მოითხოვს მეორე სიტყვის დასმას განსაზღვრულ ბრუნვაში, მაგ. ხ ნ ა ე ს მ ი ნ დ ო რ ს: მმართველი სიტყვა (ზმნა) ხ ნ ა ე ს პირველ სერიაშია და მართული სიტყვა (სახელი) მ ი ნ დ ო რ ს მიცემით ბრუნვაში. იგივე ზმნა მეორე სერიაში მოითხოვს სახელობით ბრუნვას მართულ სიტყვაში: მ ო ხ ნ ა მ ი ნ დ ო რ ი.

მართვის უნარი ზმნასაც გააჩნია და სახელსაც. ხოლო ყველაზე მკაფიოდ ის ჩანს იმ შემთხვევაში, როდესაც მმართველ სიტყვად გარდამავალი ზმნა გვაქვს. ის მართავს დამატებებს — პირდაპირსა და ირიბს: „მინდვრის ბრიგადა უშზადებს პირუტყვს საკვებს“. მმართველია ზმნა „უშზადებს“, მართულები — „საკვებს“ (პირდაპირი დამატება) და „პირუტყვს“ (ირიბი დამატება).

ასე იყო ყოველთვის და ასე არის ახლაც ეს საკითხი გაგებული ენათმეცნიერების ყველა მიმართულებაში. ახლა ისმის კითხვა: მართავს თუ არა ზმნა შემასმენელი ქვემდებარეს?

გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით სასურველია ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას დროებით გვერდი ავუაროთ ქართული (საერთოდ ქართველური) ენების მასალა და ვილაპარაკოთ ზოგად ევროპული სინტაქსური სტრუქტურების მონაცემებზე. ქართულის თავისებურებებზე (საუბრითი მართვა, კოორდინაცია) ცალკე გვექნება საუბარი ქვემოთ.

კლასიკური, ტრადიციული ენათმეცნიერების თვალსაზრისით და ამდენად თანამედროვე სტანდარტული გრამატიკული სახელმძღვანელოების მიხედვითაც, შემასმენელი არ მართავს ქვემდებარეს.

ქვემდებარესა და ზმნა-შემასმენელს შორის არსებულ სინტაქსურ დამოკიდებულებას მიიჩნევენ როგორც შეთანხმებას და არა როგორც მართვას. თანაც ამ შეთანხმებაში „უფროსობა“ არა შემასმენელს ეკუთვნის, არამედ, პირიქით, ქვემდებარეს: ქვემდებარე ითანხმებს შემასმენელს: რიცხვში, მაგ. რუსულში, — он идет, მაგრამ они идут; პირში — я иду, მაგრამ ты идешь, ხანდახან სქესშიც — он ушел, она ушла, оно ушло.

ყველაფერი ეს უდავოდ ნათელია და კამათს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ზოგ სტრუქტურალისტურ ნაწარმოებში თავი იჩინა მართვის ცნების სხვანაირმა გაგებამ, რაც ზოგიერთი გაუგებრობის საფუძველი გახდა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ თანამედროვე სტრუქტურალისტურ ლიტერა-

ტურაში მართვის ცნება ზოგან უფრო ფართო მნიშვნელობითაა ხმარებული, ვიდრე ის, რაზედაც ჩვენ მივუთითეთ. ვგულისხმობთ ისეთ ნაშრომებს, სადაც ზმნის მართვის არეში ქვემდებარეცაა მოქცეული და კომპლექსი „ზმნა-ქვემდებარე-პირდაპირი დამატება-ირიბი დამატება“ წარმოდგენილია როგორც ერთგანზომილებიანი სინტაქსური სტრუქტურა შიგადასაყოფებით, რომლებიც ცალკეულ ქვესტრუქტურებს ქმნიან⁶.

მართალია, დებულება იმის შესახებ, რომ ზმნა-შემასმენელი მართავს ქვემდებარეს ევროპულ ენებში, არავის გაუხდია სპეციალური მსჯელობის საგნად, მაგრამ ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც იმპლიციტურად, ყოველგვარი მტკიცების გარეშე, სათანადო ნაშრომებში ქვემდებარეც ჩათრეულია სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულების მოდელეებში იმავე სისტემაში და იმავე უფლებებით, რა უფლებებითაც მართული დამატებებია იქ წარმოდგენილი, ე. ი. შემდეგნაირად,

აღებულია ბირთვული წინადადების წევრები, ე. ი. კომპლექსი „ქვემდებარე-შემასმენელი-პირდაპირი დამატება-ირიბი დამატება“. ისინი წარმოდგენილია პირობითი ნიშნების საშუალებით: $N_1^1 V N_1^1$, სადაც N_1^1 (პირველი სახელისიეული სიტყვა N) ქვემდებარის აღმნიშვნელია (ლათინური სიტყვიდან Nomen) v — ზმნა-შემასმენლის, ხოლო N^1 და N^2 — პირდაპირი და ირიბი დამატებების აღმნიშვნელი. ჩვეულებრივ ამავე ჩაწერაში მოცემულია კიდევ იმ ბრუნვების მანიშნებელი ინდექსები, რომლებიც სიტყვებს გააჩნია წინადადებაში. ეს მანიშნებლებიც პირობითი ნიშნებითაა ჩაწერილი: n (ლათინ. nominativ) — სახელობითი ბრუნვა, g (genetiv) — ნათესაობითი, d (dativ) — მიცემითი, ac (accusativ) — ბრალდებითი, i (instrumentalis) — შოქმედებითი ბრუნვა; ქართულში დამატებით გვაქვს erg (ergativ) — მოთხრობითი ანუ ერგატიული ბრუნვა და ა. შ. ყოველი ცალკეული განაწილება ამ ბრუნვებისა ცალკეულ სინტაქსურ სტრუქტურას გვაძლევს. მაგალითად, ერთი სტრუქტურაა, როდესაც გვაქვს трактор пашет землю, რომლის სიმბოლური გამოსახულება იქნება $N_1^1 V N_{2c}^1$ (ე. ი. ქვემდებარე ნომინატივშია, დამატება — აკუზატივში); სხვა სტრუქტურაა, როდესაც გვაქვს он ведает делах, რომლის სიმბოლური გამოსახულებაა $N_1^1 V N_1^1$ (ე. ი. ქვემდებარე ნომინატივშია და დამატება მოქმედებითში) და კიდევ სხვა არის, როდესაც გვაქვს охотник ищит дроздочку свинды, სადაც ქვემდებარე ნომინატივშია, პირდაპირი დამატება აკუზატივში და ირიბი დამატება გენეტივში.

ეგრეთ წოდებულ სინტაქსურ ხეში ბოლო მაგალითის სიტყვები ასეთნაირად იქნება განაწილებული



ამგვარად, სტრუქტურალისტურ ლიტერატურაში ქვემდებარე აღმოჩნდა შემასმენელთან ისეთსავე დაქვემდებარებულ პოზიციაში, როგორშიც დამატებებია.

ამასთან დაკავშირებით აქვე გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ქვემდებარე-შემასმენლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხის ასეთ გადაწყვეტას თავისი გამართლება აქვს და მისი გაუთვალისწინებლობა საგრძნობლად დაგვახე-

ვინებდა უკან სინტაქსური სტრუქტურების თანამედროვე, უწინდელთან შედარებით უფრო ღრმა გაგებიდან.

საქმე ისაა, რომ, როგორც ეს სტრუქტურალისტური, განსაკუთრებით ავტომატური თარგმნისადმი მიძღვნილი, ნაშრომებიდან ჩანს, ზმნებს (განსაკუთრებით გარდამავალ ზმნებს) და, ხშირ შემთხვევაში, მეტყველების სხვა ნაწილებსაც აღმოაჩნდათ უნარი გვიწინასწარმეტყველოს, წინასწარ გვიკარნახოს, თუ კიდევ რა წევრები შეიძლება იყოს მასთან მოკრძეული საანალიზო წინადადებაში და რა ფორმით (ბრუნვით). ეს უნარი დაედო საფუძვლად ახლებურ სინტაქსურ ანალიზს და მას ეწოდა წინასწარკარნახითი ანალიზი (предсказуемый анализ, predictive analysis)*. თვითონ იმ უნარს სიტყვისა, რომ მას შეუძლია გვიკარნახოს სხვა წევრების არსებობა და მისი ფორმები წინადადებაში, ეწოდა მოკრძეული სიტყვის ვალენტობა.

წინასწარკარნახის ცნების განმარტებას პირველად ამერიკელ როდესთან („სტანდარტების ნაციონალური ბიურო“) ვხვდებით მის მიერ 1957 წელს დაბეჭდილ შრომაში⁶. შემდეგ ის ფართოდ გამოიყენეს პარვარდის უნივერსიტეტში ავტომატურ თარგმანზე მომუშავე სპეციალისტებმა (ა. ეტინგერმა, ბოსერტმა, შერმა და სხვ.)⁷.

რუსულ ლიტერატურაში ამ ტერმინის ერთ-ერთი პირველი გადმომწერავი ლ. იორდანსკაია იყო. ის წერდა: „მართვის ცნებაში იგულისხმება ზოგიერთი სიტყვის უნარ-თვისება — საკმაოდ დიდი ალბათობით გვიკარნახოს ამ ფუძეზე დამოკიდებული სხვა წევრების არსებობა და მისი გრამატიკული ფორმები“⁸. ავტორს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ზმნა выражать გვიკარნახებს, რომ მასთან შეიძლება იყოს მართული სიტყვები — პირდაპირი დამატება (выражать тревогу) ბრალდებით ბრუნვაში და ირიბი დამატება (выражать словами) მოქმედებით ბრუნვაში.

ამ განმარტებამ სიახლე შეიტანა მართვის გაგებაში იმით, რომ აქ მართვა ახსნილია წინასწარკარნახის (სიტყვის ვალენტობის) პოზიციიდან, რაც მანამდე არავის უცდია. ამავე დროს ამ სიახლეს ჩრდილოვანი მხარეც აღმოუჩნდა: შეიქმნა ნიადაგი, რომ მართვისა და წინასწარკარნახის ცნებები გაიგივებულიყო, ერთმანეთში არეულიყო და ამ ნიადაგზე გაუგებრობები და წინააღმდეგობები წარმოშობილიყო. ერთ-ერთი ასეთი წინააღმდეგობა შემდეგი სახისაა: თუ მართვა იგივეა, რაც წინასწარკარნახი, და თუ ზმნა-შემასმენელი, როგორც ითქვა, ქვემდებარის არსებობასაც გვიკარნახებს დამატებებთან ერთად (უთხრა მან მას იგი), მაშინ ზმნა-შემასმენელი ქვემდებარესაც მართავს (ნებისმიერ ენაში, რუსულშიც) ისევე, როგორც დამატებებს. ეს კი ეწინააღმდეგება მართვის საყოველთაოდ აღიარებულ გაგებას.

ამ წერილის მიზანია განასხვავოს მართვისა და წინასწარკარნახის ცნებები ერთმანეთისაგან და შეძლებისდაგვარად თავ-თავიანთი ადგილი მიუჩინოს მათ.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სიტყვა „მართვა“ (და მასთან ერთად „შეთანხმება“ და „მირთვა“) ვინმაროთ ტრადიციული გაგებით, კერძოდ მართვა

* როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, რუსული სიტყვა предсказуемости გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან ახალბედა მკითხველი მას სიტყვა сказуемое-ს უკავშირებს ნაწინ, როდესაც სწამდელიემოის предсказывание-დანა ნაწარმოები. აქობებდა ყოფილიყო предсказывательный (ინგლისურად predictive). მაგრამ ახლა ამაზე კაპითი გვიანია, ტერმინი უკვე დამკვიდრდა.

ზმნა-შემასმენელთან გავიგოთ როგორც მისი მოთხოვნილება დაისვას დამატებები (და მხოლოდ დამატებები) განსაზღვრულ, ზმნასთან შეგუებულ ბრუნვებში, მაგ. он принес ему книгу, принес-თან პირდაპირი დამატება ბრუნვებითშია КНИГУ, ხოლო ირიბი დამატება ему — მიეკვითში. ქვემდებარე არ ემორჩილება შემასმენელს; პირიქით, შემასმენელი ემორჩილება ქვემდებარეს პირში, რიცხვში (შემასმენელი მხოლოდითში იმიტომია, რომ ქვემდებარეა მხოლოდითში (он), სქესში (ორივე, მამრობით სქესშია). რუსულში ასეთ კავშირს მიიჩნევენ შეთანხმებად.

წინასწარკარნახის თვალსაზრისით კი სულ სხვა სურათი წარმოგვიდგება. აქ ზმნა-შემასმენელი იქვემდებარებს (იგუებს) ყველა ბირთვულ წევრებს, მათ შორის ქვემდებარესაც. ზმნა არის მწვერვალი წინადადებისა, ამიტომ დამოკიდებულების მაჩვენებელი ისრები ამ მწვერვლიდან სხვა ბირთვული წევრებისაკენ მიემართება — ქვემდებარისაკენ. პირდაპირი დამატებისაკენ, ირიბი დამატებისაკენ. ისინი ერთად ქმნიან უ. წ. ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ხ ი ს პირველად ღონეს (ღონეებს რომაული ციფრით უჩვენებენ ხოლმე მარჯვნივ):



ესენია წინადადების ბირთვული წევრები, რომელთაგანაც ერთი, მწვერვალზე მოთავსებული (შემასმენელი), აღიარებულია როგორც მწვერვალი და ამავე დროს „პატრონი“ სიტყვა, ხოლო დანარჩენები (I ღონეზე მოთავსებულები) — როგორც მისი უშუალო „მსახური“ სიტყვები (აქ სამი მსახურია).

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი. ადვილი დასაანახია, რომ წინასწარკარნახის მეთოდით მიღებული სიტყვათა დაქვემდებარების ეს სქემა იმავეზე მეტყველებს, რაზეც ა. შანიძის მიერ ჩამოყალიბებულ ზმნის პ ი რ ი ა ნ ო ბ ა ს კონცეფციაშია ნაგულისხმევი. ამას თუ დავუმატებთ ა. შანიძის მეორე ცნებას, შე გ უ ე ბ ა ს (რომ ყოველი გარდამავალი ზმნა განსაზღვრულ, მისთვის დამახასიათებელ ობიექტს ი გ უ ე ბ ს, რომლის ადეკვატურ ტერმინად ახლა ზმნის ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ა ს ხმარობენ, მაშინ ცხადი გახდება, რომ ა. შანიძემ თითქმის ნახევარი საუკუნით გაუსწრო წინ უცხოელ თანამედროვეებს მარტივი წინადადების არსის გაგების საქმეში, ვინაიდან შანიძის პ ი რ ი ა ნ ო ბ ა ს კონცეფცია, ის რომ ზმნა ი გ უ ე ბ ს წინადადების სხვა წევრებს, არსებითად იგივეა, რაც ზმნის ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ა (გამოვლინებული წინასწარკარნახით), ოღონდ სხვა ტერმინებით თქმული. ფაქტი კი ისაა, რომ ა. შანიძემ თავისი კონცეფცია ჩამოაყალიბა დაახლოებით ნახევარი საუკუნის წინათ და ვალენტობის და წინასწარკარნახის კონცეფცია ახლალა შემუშავდა და შემოვიდა ჩვენში უცხოეთიდან როგორც სიახლე.

ასევე ჩვენი ცნობილი თანამემამულის, არნ. ჩიქობავას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მან თითქმის ნახევარი საუკუნით გაუსწრო წინ მის ევროპელ და ამერიკელ თანამედროვეებს თავისი, ჯერ კიდევ 1928 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში კოორდინატების ცნებაზე დამყარებული კონცეფციით, — იმით, რომ მან ზმნა წინადადების წევრთა ურთიერთკოორდინაციის ც ე ნ ტ რ ა დ მიიჩნია, ქვემდებარეს დიდი კოორდინატი უწოდა. ერთ დამატებას — მცირე კოორდინატი, მეორეს — უმცირესი კოორდინატი¹. არსებითად ამავე გაგებას

მიადწია ენათმეცნიერებამ საერთაშორისო მასშტაბით მხოლოდ დღეს, რის საილუსტრაციოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ შემდეგი შედარებითი ტაბულა:

წინადადება {	უღებს ამოვლო	ექიმი ექმნა	კბრლს კბრლი	პაციენტს პაციენტს
ტრადიციულ ენათმეცნიერებაში =	შემასმენელი	ქვემდებარე	პირდაპირი დამატება	არიბი დასატება
ტენიერის მიხედვით =	ცენტრი	პირველი აქტანტი	მეორე აქტანტი	მესამე აქტანტი
მათემატიკური ლინგვისტიკის მიხედვით =	პრედკატი	პირველადგლიანი არგუმენტი (ა ანუ A')	მეორედგლიანი არგუმენტი (ბ ანუ B')	მესამედგლიანი არგუმენტი (ც ანუ C')
არნ. ჩიქობავას მიხედვით =	ძირითადი კოორდინატი	ძირითადი კოორდინატი	მეორე კოორდინატი	უმცირესი კოორდინატი

როგორც ვხედავთ, აქ განსხვავება ტერმინებშია და არა მტკიცების არსში. მართვისა და წინასწარკარნახის ცნებების ასეთ ურთიერთ გათიშვის შეუქმნე, ვფიქრობთ, საჭიროა ახლებურად დაისვას საკითხი ქვემდებარე-შემასმენლის საურთიერთო მართვის შესახებ ქართულში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სასურველია მოხდეს რეინტერპრეტაცია იმისა, რაც, მაგალითად, აკად. გ. ახვლედიანს აქვს თქმული ქვემდებარე-შემასმენლის ორმხრივ მართვაზე ქართულში⁴, რაც პრინციპულად სწორია, მაგრამ, როგორც წინა ანალიზიდან ნათელი უნდა იყოს, აქ მართვა სხვადასხვა ბუნების ყოფილა იმის მიხედვით, თუ საიდან მოდის ის — ქვემდებარეიდან თუ შემასმენლიდან⁵. სახელდობრ, ის მართვა, რომელიც ქვემდებარეიდან გამომდინარეობს და შემასმენელს უმორჩილებს მას, ის მართვა (თუ შეთანხმება, ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, თუ როგორ ვუწოდებთ მას; რუსულში მას შეთანხმებას ეძახიან) არის სუფთა მართვა ძველი გაგებით. მას შეიძლება დავარქვათ მორფოლოგიურ-სინტაქსური მართვა, მეორე, საწინააღმდეგო მხრიდან მომავალი მართვა, რომელიც შემასმენლიდან გამოდის და ქვემდებარეს უმორჩილებს მას, არის ზმნის ვალენტობით (პირიანობით) გამოწვეული მართვა. მას შეიძლება დავარქვათ ვალენტურ-სინტაქსური მართვა.

მეთოდის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განეაცალკევოთ ეს ორი სხვადასხვა ხასიათის მართვა საჭირო შემთხვევებში და დაეუბრისპიროთ კიდეც ერთმანეთს.

საკითხის აქტუალობის გამო საჭიროდ მიმაჩნია განეაგრძო საუბარი მკითხველთან წინადადების ბირთვული წევრების სტრუქტურული ანალიზის გარშემო.


წინასწარკარნახის მეთოდითაც ვლინდება სიტყვების გრამატიკული და ქვემდებარეების სამივე ტიპის შემთხვევები — შეთანხმება, მართვა და მირთვა. შეთანხმებას და მართვას ზმნა-შემასმენელი გვიკარნახებს მკაფიოდ; მირთვის შემთხვევაში კარნახი უფრო მკრთალია, სუსტია, მაგრამ მკვლევარისთვის ისიც ძალიან საჭიროა.

ავიღოთ, მაგალითად, სიტყვა „უღებავს“-თან მირთვის წესით დაკავშირებული გარემოების სიტყვა „ოსტატურად“ წინადადებაში „ბიჭი ოსტატურად უღებავს ბიბილოს მამალს“ (უჩვეულო მაგალითისათვის ბოდიშს ვიხდით, აღებული საკითხის გაშუქებისათვის ის ჩვენ ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მივიჩნით). ეს გარემოებითი სიტყვა „უღებავს“ ზმნასთან, შეიძლება ითქვას,

არც არის დაკავშირებული. მაგრამ ზმნის ვალენტობასთან ერთად თუ მოვი-
შველიებთ სიტყვათა შეთანხმების ცნებასა და მის სპეციალურ კვლევით მე-
თოდს, გამოვიკვლევთ, თუ რა და რა სიტყვა შეიძლება ახლდეს ამ ზმნის ვი-
თარების გარემოების მაჩვენებლად, მაშინ ისინი ერთად მოგვეცემენ საშუალებას
ვივარაუდოთ მოცემული გარემოებითი სიტყვების მაგვარი ერთეულების
არსებობა წინადადებაში.

მართალია, ასეთი სუსტად მინიშნებული კარნახი სიტყვის არსებობისა
წინადადებაში ნაკლებად ფასეულია, ვიდრე მკაფიო კარნახი, მაგრამ ენის სინ-
ტაქსური ანალიზის დღევანდელი პრობლემები დაეინებოთ მოითხოვს გამოყე-
ნებულ იქნეს წინასწარკარნახის ყველა პოტენციური შესაძლებლობა, როგორ-
ც სუსტიც გინდა იყვნენ ისინი, რომ მათზე დაყრდნობით როგორმე შევძლოთ
წინადადების ყველა წევრის ერთ მრავალგანშტოებიან ძაფზე მძივად ასხმა
ისე, რომ არც ერთი მძივი (სიტყვა) არ დაიკარგოს. მაშინ კი საკმარისია ამ
ჯაჭვის ძირითად რგოლს, მწვერვალს ანუ პატრონ სიტყვას (ზმნას) ხელი ჩავ-
ჭიდოთ, რომ ერთბაშად ამოჰყვეს მის მთელი ჯაჭვი წინადადების ყველა წევ-
რისა. ასეთი მიდგომა ავტომატური თარგმნის შესაძლებლობასაც გვაძლევს.

საერთოდ მწვერვალ ზმნას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე უშუალო (ე. ი.
პირველი დონის) მსახური სიტყვა, რომელთა შორის, როგორც ითქვა, იქნე-
ბიან შეთანხმების, მართვის და მართვის წესით დაქვემდებარებული სიტყვე-
ბი. ქვემოთ მოცემულ წინადადებაში ექვსი ასეთი მსახურია: „ბიჭი შემო-
დგომაზე ეზოში სასაცილოდ უღებავს ბიბილოს მამალს“, რაც მისი სინტაქ-
სური ხიდან ნათლად ჩანს:



მაგრამ წინადადებაში ამ პირველი დონის მსახურების გარდა თითქმის
ყოველთვის გვაქვს მეორე, მესამე და შემდგომი დონეების სიტყვები. მაგ.,
ქვემდებარე „ბიჭზე“ დამოკიდებული მეორე დონის სიტყვა შეიძლება იყოს
„სოფლის“ („სოფლის ბიჭი“), ამ მეორე დონის მსახურს თავის მხრივ შეიძ-
ლება ჰყავდეს მესამე დონის მსახური სიტყვა, მაგ., „მეზობელი“ („მეზობელი
სოფლის“) და ა. შ.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ პირველადი დონის მსახური სიტყვები მწვერ-
ვალთან ერთად მკვეთრად უპირისპირდებიან ყველა დანარჩენი
არაპირველადი დონის სიტყვებს, ეს დაპირისპირება ორი მიმართულებით
ვლინდება:

1. წინადადების წევრების გრამატიკული გაფორ-
მების ანალიზის დროს. პირველადი დონის მსახურების გრამა-
ტიკული ფორმები ნაკარნახევია მწვერვალის ზმნის ვალენტობით. ეს კი საკ-
მაო კრიტერიუმიცაა ამ მსახურების გამოსაძებნად. დანარჩენი დონეების სიტყ-
ვების ფორმები სხვა, უფრო შეზღუდული წესით (ადვილად) იძებნება და,
რაც მთავარია, უმეტეს შემთხვევაში თითოეული მათგანის ფორმას მისი
წინა დონის სიტყვა განაპირობებს (შდრ. „პაპის სახლის საძირკვლის
ქვეშ).

2. წინადადებაში სიტყვების სწორი განლაგების დროს ირკვევა, რომ პირველი დონის მსახურების და მათი მწვერვალის ურთიერთგანლაგება გრამატიკული მანიშნებლების მიხედვით თავისუფალია და მათი გადასმა-გადმოსმა წინადადებაში ლოგიკური მახვილით ანდა ე. წ. წინადადების აქტუალური დანაწევრებით შეიძლება იყოს გამოწვეული. ამავე დროს დანარჩენი დონის სიტყვები ქართულ ენაში (და არა მარტო ქართულში) განაწილებიან პირველი დონის სიტყვების მიმართ და აგრეთვე ერთიმეორის მიმართ, როგორც ნორმა, მკაცრად ფიქსირებული თანმიმდევრობით. მათი გადასმა-გადმოსმა შეუძლებელია საერთოდ, ან, თუ ისინი ადგილიდან გადასმულია, ყოველთვის იგრძნობა, რომელი განლაგებაა ნორმა და რომელი გამოჩაქისი, ინვერსიული (მღრ. „კაცის ბედი“ და „ბედი კაცისა“).

ეს დონეებით გამოწვეული თავისებურებები გვაკლებს ვიზმართ სათანადო მოვლენათა განმასხვავებელი სახელწოდებებიც. ასე, მწვერვალსა და მის უშუალო მსახურ სიტყვებს, ერთად აღებულს, შეგვიძლია ვუწოდოთ პირველადი დონისეული სიტყვები, ხოლო ყველა დანარჩენი დონის სიტყვების სახელწოდებად მივიჩნოთ გამოთქმა არაპირველადი ან მეორადი დონისეული.

ზემოთ მოხსენებულის შედეგად საბოლოოდ მივიღებთ შემდგომ დაპირისპირებებს მართვისა და წინასწარკარნახის (ვალენტობის), წინადადების მთავარი წევრებისა და წინადადების ბირთვული წევრების, პირველადი დონისეული წევრების და მეორადი დონისეული წევრების ცნებებს შორის.


1. წინადადების მთავარი წევრებია ქვემდებარე და შემასმენელი („ბიჭი უღებავს“).

ა) როგორც ითქვა, სიტყვათა დამოკიდებულების ტრადიციული გაგებით ამ სიტყვებს შორის გვაქვს შეთანხმება (ევროპულ ენებში) ან ურთიერთ მართვა (ქართულში) და სასურველია მოვლენის ასეთი ინტერპრეტაცია შევინარჩუნოთ კვლავაც. ევროპულ ენებში აქ სახელი იქვემდებარებს ზმნას და მათ სიმბოლურ გამოხატულებაშიც ისარი მიმართულია სახელიდან ზმნისკენ $N \rightarrow V$; ეს მოვლენა ქართულშიც გვაქვს უცვლელად, ხოლო ის, რაც ქართულში დამატებით გვაქვს, იმის შესახებ ახლა ვიტყვი.

ბ) წინასწარკარნახის თვალსაზრისით აქ ზმნა-შემასმენელი გვიკარნახებთ ქვემდებარეს, ის მას იფუებს პირში და მის სიმბოლურ გამოხატულებაშიც ისარი მიმართულია შემასმენლიდან ქვემდებარისაკენ $N \leftarrow V$. აქ ხაზი უნდა გაეხვას ერთ გარემოებას: კარნახის უნარი ერთნაირი აქვთ როგორც ევროპულ ენებს, ისე ქართველურებს. მაგრამ ზმნა-შემასმენელი ევროპულში ქვემდებარეს ვერ ცვლის ბრუნვაში (ის მუდამ სახელობითშია), ქართველურ ენებში კი ზმნა-შემასმენელი ცვლის ქვემდებარეს (სულ მცირე) სამ ბრუნვაში: „ბიჭი უღებავს“, „ბიჭმა შეუღება“, „ბიჭს შეუღებავს“. ესაა ჰიჩნეული შემასმენლიდან ქვემდებარისკენ მიმართულ მართვად. მივიღებთ ქართულისათვის დაჰახსიათებელ ორმხრივ მართვას „ბიჭი უღებავს“.

2. წინადადების ბირთვული წევრებია ქვემდებარე, შემასმენელი, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება და აგრეთვე ზოგიერთი სხვა პირველადი დონისეული სიტყვა, რომელთა არსებობის შესაძლებლობა წინადადებაში მკაცრი და ნაწინასწარმეტყველი ზმნის მიერ, მაგ., „ეჭობრება“ ზმნასთან, გარდა ქვემდებარე-დამატებისა, მკაცრი და ნაკარნახევი „-ში“ ბოლოსართიანი სიტყ-


ვის არსებობა: „ნოდარი ეჭიბრება გურამს შრომაში“. ასეთებიც წინადადების ბირთვულ წევრებს მიეკუთვნებიან.



3. წინადადების პირველადი დონისეული წევრებია, პირველ ყოვლისა, ზემოთ ნაჩვენები სიტყვები, ბირთვულ წინადადებაში შემავალნი; მათ გარდა კიდევ ის სიტყვები, რომლებიც სუსტად არიან ნაქარნახევი მწვერვალი ზმნის მიერ. ერთი სიტყვით, აქ შემოდის ყველა ის სიტყვა, რომლებიც სინტაქსურ ხეში მწვერვალი ზ მ ნ ის უ შ უ ა ლ ო მ ს ა ხ უ რ თ ა სიაშია მოქცეული და ამიტომ მსახურთა პირველ დონეზეა განლაგებული. შესაბამისად, წინადადებაში „ბიჭი შემოდგომაზე ეზოში სასაცილოდ უღებავს ბიბილოს მამალს“ ყველა წევრი პირველადი დონისეულია.

4. წინადადების მეორადი დონისეული წევრების რიცხვში შედის ყველა დანარჩენი სიტყვა, ე. ი. ყოველი სიტყვა წინადადებისა, რომელიც პირველად დონისეულ სიტყვათა ჯგუფში არ მოხვდა, მოთავსებულია პირველის მომდევნო დონეებზე — მეორე დონეზე, მესამეზე, მეოთხეზე და ა. შ. მაგ., წინადადებაში — „მეზობელი სოფლის ბიჭი ყოველ შემოდგომაზე თავის ეზოში მეტად სასაცილოდ უღებავს ოქროსფერ ბიბილოს ახალმოსული თოვლივით თეთრ მამალს“ — სამი დონის მეორადი დონისეული სიტყვებია. სახელდობრ, მეორე დონის მსახურები — „სოფლის“, „ყოველ“, „თავის“, „მეტად“ და „თეთრ“; მესამე დონის ორი მსახური — „მეზობელი“ და „თოვლივით“, მეოთხე დონის მხოლოდ ერთი მსახური — „ახალმოსული“.

სინტაქსურ ხეში ეს დონეები ასე წარმოგვიდგება:



დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია შევნიშნოთ: სიტყვათა ურთიერთდაქვემდებარება დაახლოებით ამგვარი სქემის სახით თითქმის ყველა სასკოლო გრამატიკაშია წარმოდგენილი. ასე რომ, ამ მხრივ აქ ახალი არაფერია საძიებელი. ახალია აქ ამ დაქვემდებარებათა სტრუქტურული (თუ გნებავთ, სტრუქტურალისტური) ინტერპრეტაცია.

ლიტერატურა

1. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბილისი, 1928.
2. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, I, თბილისი, 1955, გვ. 140.
3. გ. მაჭავარიანი, ა. შანიძის გრამატიკული კონცეფციის ზოგიერთი საკითხი სტრუქტურული ლინგვისტიკის თეალსაზრისით, „ორიონი“ (აკაკი შანიძის დაბადებას 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული), თბილისი, 1967, გვ. 50—64.
4. გ. ახვლედიანი, რუსული ენის გრამატიკა: Учебник грамматики русского языка. Часть, вторая. Тбилиси, 1961, გვ. 32—33.
5. Л. Н. Иорданская. Два оператора обработки словосочетаний с „сильным управлением“. М., 1961, გვ. 5.
6. Г. А. Махароблидзе. Проблема сопоставительно-типологического анализа неродственных языков. Тбилиси, 1971.
7. М. П. Чхандзе, К разграничению значений лингвистических терминов управление и предсказывание, журн. „Русский язык в грузинской школе“. Тбилиси, 1974, № 4.
8. Rhodes, I., A new approach to the mechanical syntactic analysis of Russian. Washington, 1959, გვ. 42.—National Bureau of Standards Report. 6595.
9. Oettinger A. G. Automatic syntactic analysis and the pushdown store, Proceedings of Symposia in Applied Mathematics, 12 Structure of Language and Its Mathematical Aspects, Providece, 1961, გვ. 104—129.

(წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ენათმეცნიერების ინსტიტუტში)

ნონა დარსაველიძე

რამდენიმე შენიშვნა „ყისაჲ ამირ ჰამზას“ ქართული პერსიის აღმოსავლური ლექსიკონის შესახებ

წარმოდგენილი შრომის მიზანს შეადგენს „ყისაჲ ამირ ჰამზას“ ქართული ვერსიის ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით შესწავლა. აღნიშნული ტექსტი დღეისათვის ცნობილია სამი ქართული ხელნაწერით. ერთი ოქსფორდის ბიბლიოთეკის უორდროპისეული ფონდის ხელნაწერი ტექსტია, ხოლო დანარჩენი ორი ხელნაწერთა ინსტიტუტის და ლიტერატურული მუზეუმის ფონდებშია დაცული.

ოქსფორდის ხელნაწერში ტექსტი წარმოდგენილია სრული სახით. დათარიღებულია 1835 წლით, თუმცა მეორე გვერდზე ხელნაწერის აღწერილობისა და დახასიათებისას 1833 წელი სწერია. იგი დასრულებული ხელნაწერია, შეიცავს 564 გვერდს (დიდი ფორმატისა). ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ხელნაწერი წარმოდგენს 1863 წელს გადაწერილ ნუსხას და მხოლოდ 130 გვერდს შეიცავს. ეს არის თხრობის დასაწყისი ნაწილი. რაც შეეხება ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერს, იგი თითქოს ვრცელია (პატარა ფორმატის 670 გვერდია), მაგრამ დასასრული არა აქვს და ამასთან უთარილოა.

ხელნაწერთა შედარებამ მრავალი საინტერესო მასალა მოგვცა. რადგან საბჭოთა მეცნიერები ოქსფორდის ბოდლეის ბიბლიოთეკაში არსებულ ხელნაწერს არ იცნობდნენ, ზოგიერთი საკითხის გარკვევა შეუძლებელი იყო. ამ ხელნაწერის შესწავლამ თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც ნათელი მოჰქონა „ამირანდარეჯანიანისა“ და „ყისაჲ ჰამზას“ ურთიერთობის საკითხს და სიმართლის სასწორი გადახარა ქართველ მკვლევართა მხარეს (ა. ბარამიძე, დ. კობიძე და სხვანი საპირისპიროდ დ. ლენგისა და ჯ. მერუღეტ-ოუენისა). ამ საკითხს დაწვრილებით სხვა შემთხვევაში შევეხებით, რადგანაც ამჟერად ჩვენი კვლევის საგანი ამ ხელნაწერთა აღმოსავლური ლექსიკაა. მხოლოდ ერთ საკითხზე გვინდა საგანგებოდ გავამახვილოთ ყურადღება.

ა. ბარამიძემ „ყისაჲ ჰამზას“ და „ამირანდარეჯანიანის“ ურთიერთობის კვლევისას (სხვა საკითხებთან ერთად) ყურადღება მიაქცია იმას, რომ „ყისაჲ ჰამზას“ ქართულ ხელნაწერ 12923—ხ-ში (რომელიც დაცულია გ. ლეონიძის სახ. ლიტ. მუზეუმში) 184-ე გვერდზე სწერია: „იმ დღეს ლანდაურმან ასეთი ომი გარდაიხანდა, რომ არც როსტომისა, არც დარიჯანიისა და არც ყარაჰმანისა არ ენახათო“. მკვლევარი მართებულად სვამს საკითხს, ეს ადგილი ღედნისეულია, თუ მთარგმნელის ან გადაწერის გლოსას წარმოდგენს. ა. ბარამიძის აზრით, ამ საკითხის გადაწყვეტას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, თუმცა ჩერკეზობით გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლება. აღნიშნული საკითხის გარკვევაში ოქსფორდის ხელნაწერი დაგვეხმარა. შესაბამის ადგილზე ნათქვამია, რომ „იმ დღეს ლანდაურმა ასეთი ომი გარდაიხანდა, რომ არც

როსტომისა, არც ნარიმანისა, არც ყარამანისა არ ენახათ“ (გვ. 91). მაშასადამე, ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერში ნარიმანის ნაცულად დარიჯანი ან გადაშვრის მიერ დაშვებული შეცდომაა, ან მის მიერ განზრახ შესწორებული ფორმა. ოქსფორდისეულ ხელნაწერში არაერთხელ არის მოხსენიებული სხვადასხვა გმირის სახელი, როგორც ფალაენობისა და რაინდობის მაგალითი. ასევე შეგვიძლია მოვიშველიოთ თეირანში გამოცემული სპარსული „ყისაჲ ჰამზა“, სადაც რამდენჯერმეა ნახსენები — ნარიმანი, როსტომი, ბეჟანი, გივი... მაგრამ არც ქართულ ხელნაწერებში და არც სპარსულ წიგნში არც ერთხელ არ არის ნახსენები დარიჯანი (დაწვრილებით, საილუსტრაციო მასალის მოშველებით ამ საკითხს სხვა შემთხვევაში დაუბრუნდებით). ვფიქრობ, ეს ფაქტი ყურადსაღებია და ზემოაღნიშნული საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება.

რაც შეეხება ჩვენი კვლევის ობიექტს, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკას, იგი „ყისაჲ ჰამზაში“ უხვად არის წარმოდგენილი. მასში ზოგი სიტყვა საინტერესოა როგორც სემანტიკური, ისე მორფოლოგიური და ზოგჯერ ფონეტიკური თვალსაზრისითაც და საყურადღებო მასალას იძლევა ლექსიკოლოგიისათვის.

„ყისაჲ ჰამზას“ ტექსტში გვხვდება სპარსული, არაბული, თურქულ-აზერბაიჯანული და ორი-სამი სომხური სიტყვა. ზოგი მათგანი შესულია სალიტერატურო ქართულში, მაგრამ ჩვენს ძეგლში დადასტურებულია ახალი მნიშვნელობით და, როგორც ჩანს დედნის გავლენით, მნიშვნელობის ისეთ ნიუანსს გადმოსცემს, რომელიც სალიტერატურო ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი. ზოგჯერ ესა თუ ის ნასესხები სიტყვა მხოლოდ ერთ-ერთი, მეტწილად ძირითადი, მნიშვნელობით არის დაცული, მაგალითად სიტყვა „სალამი“ ყისაჲ ჰამზას“ ქართულ ვერსიაში იხმარება რამდენიმე მნიშვნელობით, მაშინ როდესაც ქართულში მანამდის ის მხოლოდ ერთი მნიშვნელობით არის ცნობილი. ამ შემთხვევაში ავტორი ქართულ ზედმიწევნით შესატყვისს ვერ პოულობს და ტოვებს დედნისეულ სიტყვას უთარგმნელად. ჩვენთვის საინტერესოა „სალამის“ ისეთი მნიშვნელობები, რომლებიც ქართულ ლექსიკონებში არ გვხვდება.

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სიტყვა „სალამი“ ქართულ ორიგინალურ თუ თარგმნილ ლიტერატურაში არსად არ დასტურდება დარბაზობისა და მამაკაცების მისაღები ოთახის მნიშვნელობით, ხოლო „ყისაჲ ჰამზას“ ქართულ ვერსიაში ამას გამოხატავს.

სალამი — მისალმება, მოკითხვა, გამომშვიდობება, გამოთხოვება.

1. „იმ დროს ნახბაბის კემშიფე, რომელსაც მეიმუნშაპ ერქო, ათასის კაციოთ სანადიროდ გამოსულიყო, და ამარამზა წინ შემოხვდა. ამზამ სალამი მიართო“ (გვ. 546). 2. „მერინგარმა ამზას ბეკედხედ მოქრილი თავის სახე მისცა და ერთმანეთს მრავალი აყოცეს და ესაღმებოდნენ“ (გვ. 357). 3. „მერინგარმა ამოიოხრა და ამზას მოახსენა: „ვჰმადლობ დამბადებელს, რომ უკანასკნელად კიდევ შენი სახე ენახეო, ესე თქო ამარამზას გამოეცაღმა და თავისი მშვენიერი თვალნი დახუჭა, და კეველა თავი თვისი ამ საწუთროს გამოასაღმა“ (გვ. 454).

სალამი — დარბაზობა. 1. „ბახტაკმა ყარუნს უთხრა, ხვალ დილაზედ ადრე მანამ სალამი შეიქმნებოდეს, მანამ შენ მოდი კელმწიფესთანაო. და ბახტაკ შინ წამოვიდა, ზეორეს დღეს ნუშრევეან ზოქას ტახტზედ დაბძანდა და

ამისნი ათას ოთხასნი ვეზირნი თავთავისს ადგილს დასხდნენ და ოთხი ათასი სასანი გვერთ იახლნენ, მარჯვნივ აბუზარჩამელ იჯდა და მარცხნივ ბახტაკ, აქედან ამარამზა და ფალავანნი კელმწიფის სალამში მოვიდნენ და თავი დაუკრეს და თავთავისს ალაგს დასხდნენ, ნადიმი დაიდევს, შეიქმნა ლხინი და ღვინის სმა“ (გვ. 56). 2. „კემწიფის სალამიცი მოიშალა და ამარამზა თავის ფალავნებით თავის ურდოში მოვიდა“ (გვ. 50).

სალამი — მამაკაცებისათვის განკუთვნილი ოთახი, მამაკაცების მისაღები ოთახი. 1. „ამარამზა აქედან წამოსული მულბილთან მოვიდა, ააყენა და თავის ჭარში მოვიდნენ. მეორე დღეს მანზარმა და რაც ფალავნები იყვნენ, სალამში მოვიდნენ, ნახეს, რომ ამარამზას სძინავს და კარზედ დასხდნენ“ (გვ. 49).

„სალამი“ მოცემულია ქართულ ლექსიკონებში. ნ. ჩუბინაშვილი მას ებრაულ სიტყვად მიიჩნევს: „სალამი — ებრაულად მშვიდობა, ხოლო საზოგადოდ იხმარების მოკითხვსა და თავის დაკუთრის მაგიერა“¹.

„სალამი“ განმარტებული აქვს დ. ჩუბინაშვილს, თეიმურაზ ბაგრატიონს. მოცემულია ქართული ენის განმ. ლექსიკონში, ქართულ სინონიმთა ლექსიკონში... ყველგან გვხვდება ჩვეულებრივი მნიშვნელობით, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა „სალამის“ ისეთი მნიშვნელობები, რომელიც ქართულ ლექსიკონებში არ გვხვდება.

სიტყვა სალამი არაბულია. سلام (სალამუნ) და سلام (სალამუნ) — უშიშროება, უსაფრთხოება, ხსნა; სალამი, მისალმება, ჰიმინი².

განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის სიტყვა „სალამის“ ცენკერისეული ერთ-ერთი განმარტება, რომელიც მიესადაგება „ყისაჟე ჰამზაში“ მოცემულ თავისებურ მნიშვნელობას: მისასალმებელი ოთახი, მისაღები ოთახი, მამაკაცებისათვის განკუთვნილი ნაწილი ბინისა (محر — ჰარამის — საქალეზოს საპირისპიროდ), კონკრეტულად მისაღები დარბაზი...³

სიტყვა „სალამი“ არც სხვა არაბულ ლექსიკონებში არ დასტურდება დარბაზობისა და მამაკაცების მისაღები ოთახის მნიშვნელობით (ათაია, კაზიმირსკი, ლეინი, ჰანს ვერი, დოზი...).

„სალამი“ ნახესხები სიტყვაა სპარსულ ენაში. იგი რუბინჩიკის ლექსიკონში სხვა მნიშვნელობებთან ერთად მოცემულია დარბაზობის მნიშვნელობით (როგორც ჩანს, დარბაზობის მნიშვნელობა განვითარებულია სპარსულ ნიადაგზე): سلام — სალამ 3) დარბაზობა — სახელმწიფო მეთაურთან დღესასწაულზე (სადღესასწაულოდ)⁴.

„სალამი“ შესულია თურქულ ენაშიც. თურქულშიც, როგორც სპარსულში მას აქვს მისალმების, გამოშვიდობების და სხვა მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ბუდაგოვის ლექსიკონის მისაღები, სადაც ამ სიტყვის ერთ-ერთი მნიშვნელობაა — დარბაზობა: سلام СЪЛЯМЪ, ყირ. سلام და

¹ ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 345.

² გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 29. X. К. Баранов, Арабско-русский словарь, М., 1957, გვ. 465, 466.

³ Iulius Theodor Z e n k e r. Türkisch-Arabisch-Persisches Handwörterbuch, zweiter band, Leipzig, 1876, გვ. 515.

⁴ Персидско-русский словарь. в. двух томах. под редакцией Ю. А. Рубинчика. т. II, М., 1970, გვ. 53.

سالم 2) დ ა რ ბ ა ზ ო ბ ა, გ ა მ ო ს კ ლ ა (სულთნის, მეფის ან მთავრებისა, რომელზედაც მოხელეები (წარმომადგენლები) იკრიბებიან თაყვანის საცემად). سلمى — სულთნის მისაღები ოთახი, მამაკაცებისათვის განკუთვნილი ნაწილი სახლში (მამაკაცების ნახევარი სახლში)⁶.

შესაძლებელია თურქულში სიტყვა „სალამი“ დარბაზობის მნიშვნელობით სპარსული გზით არის შესული.

„ყისაჲ ჰაშას“ ტექსტში ხშირად გვხვდება სპარსული გამოთქმების კალკები, ან ისეთი გამოთქმები, სადაც პირველი ელემენტი სპარსული ან არაბული სიტყვაა, ხოლო მეორე ნაწილი შესაბამისი სპარსული ზმნის ზუსტ თარგმანს წარმოადგენს. მაგ.: ა შ ა ქ ნ ა (აშას ჰშვრებით), ე ა ლ ა ლ ა დაყარა, ნ ა რ ა გასწივა, ნ ა ფ ი რ ი გასწივა, ს ა ფ ი გასწივა და სხვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ა შ ა // ა შ ა ს ქ მ ნ ა — უარი, უარის ყოფა, უარის თქმა. 1. „საბაყარანმა ბაბას უბრძანა ტანისამოსი დამპარე და ახლა ა შ ა ს ა ჰ შ ვ რ ე ბ ი ო“ (გვ. 132). 2. „სარანგმა ა შ ა ქ მ ნ ა შე ბაბა ა მ ა რ არ მინახავსო“ (გვ. 158).

ა შ ა // ჰ ა შ ა გ ვ ხ ვ დ ბ ა: „შაჰნავაზიანში“, საფათნოვასთან, ქართული სამართლის ძეგლებში, ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებებში და სხვ.

გარდა სალიტერატურო ქართულისა, ეს სიტყვა დასტურდება ქართულ რელიეფტში.

ა შ ა ს დ ა კ ე რ ა (ქართლ.) — უარის თქმა; ა შ ა დ ა უ კ რ ა — გადაკრით უარი უთხრა⁶.

საბას ლექსიკონში ამ სიტყვის შესახებ გვხვდება: ჰ ა შ ა ნ. ვარძმი. ვ ა რ ძ მ ი — უარის ყოფა, რომელსა სპარსნი (ჰ)აშას უწოდენ Z A უ (ე) არის თქმა B C a B გარდაფიცვა C q D. უცხო შესატყვისობაში მოცემულია. ვარძმი თ. ჰაშა Z A a B C D E, ევარძმა თ. ჰაშა⁷.

ჩ. ჩუბინაშვილს „ჰაშა“ არა აქვს განმარტებით ნაწილში, მაგრამ „ვარძმის“ განმარტებისას მიუთითებს, რომ ეს არის „თ. ჰაშა“.

ეს სალექსიკონო ერთეული მოცემულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, წიგნებში: თ. ს ა ხ ო კ ი ა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი; ა. ნ ე ი მ ა ნ ი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი; ა. ო ნ ი ა ნ ი, ქართული იდიომები.

ყველგან მოცემულია „აშა“ და „აშას//ჰაშას კვრა“, როგორც უარყოფა. ხოლო ქართულ სინონიმთა ლექსიკონში „ჰაშის კერის“ პარალელურად მოცემულია ფორმა „ჰაშაქრობა“.

„ჰაშაქრობას“ საფუძვლად უდევს სპარსული, كرسا (ჰაშა-ქარ), რომელშიც პირველი ნაწილი ك (ჰაშა) არაბულია, ხოლო رس (ქარ) სპარსულ სუფიქსს წარმოადგენს, რომელიც მოქმედის სახელს აწარმოებს, ე. ი. ნიშნავს უარისმყოფელს. აქედან ქართულ ნიადაგზე წარმოიქმნა -ობა სუფიქსით წარმოებული აბსტრაქტული სახელი „ჰაშაქარობა“, ხოლო შემდეგ ა ჩ ა

⁶ Л. Будагов. сравнительный словарь турецко-татарских наречий. СПб. т. I. 1869, гл. 632.

⁶ ა. ლ. ლ. ო. ნ. ტ. ი., ქართული ზღაპრები და ლექსები, თბ., 1948, ლექსიკონი, გვ. 286. ა. ლ. ო. ნ. ტ. ი., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. I, თბ., 1974, გვ. 47.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. IV₂, თბ., 1966, გვ. 465; ტ. IV₁, თბ., 1965, გვ. 260; ტ. IV₂ უცხო შესატყვისობანი (იტალურ-თურქულ-სომხური), გვ. 505, გვ. 501.

ვარდა და მივიღეთ „ჰაშაქრობა“. حاشا (ჰაშა) ან حاشى (ჰაშა) — გარდა, გარეშე, გამოკლებით⁸.

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა სპარსულში რა ფორმით გვხვდება, რადგან ქართულში სპარსულიდან არის შემოსული და ზმნა პირდაპირ სპარსული მნიშვნელობით არის თარგმნილი და არა იმ მნიშვნელობით, რასაც გამოხატავს „ჰაშასთან“ ერთად. სპარსულში არის: حاشا — (ჰაშა) — არასოდეს! არავითარ შემთხვევაში! უარყოფა, უარი; حاشا (ჰაშა) — უარყოფა, უარის თქმა, ხელის აღება; حاشا (ჰაშა) — უარყოფა; حاشا (ჰაშა) — უარის თქმა, ხელის აღება⁹.

ჰაშა ნასესხები აქვს თურქულ ენასაც იმავე მნიშვნელობით.

მამასადაძვე, ქართული ენის ლექსიკონებში, მხატვრულ და ისტორიულ ლიტერატურაში გვხვდება „ჰაშა“ ან „ჰაშას კვრა“, ხოლო ქართულ სინონიმთა ლექსიკონში პარალელურად მოცემულია „ჰაშაქრობა“. აქ წარმოდგენილ ფორმათაგან ჩვენთვის საინტერესოა „ჰაშას კვრა“. იგი მომდინარეობს სპარსული حاشا (ჰაშა) -იდან. აქ არის სპარსული ზმნა حاشا (ჰაშა), რომელმაც ნიშნავს: კვრა, ცემა, დარტყმა, ბიძგება... სწორედ ეს ზმნა არის გადმოღებული, უფრო სწორად, დამოუკიდებლად თარგმნილი და დამკვიდრებული ქართულში, ხოლო სპარსულში حاشا (ჰაშა) ამ შემთხვევაში დამხმარე ზმნის როლს ასრულებს.

„ყისაძე ჰაშას“ ქართულ ვერსიაში თარგმნილია حاشا کردن (ჰაშა ქარდან) — ჰაშას ქმნა, ჰაშას ჰშვრები. ამ შემთხვევაში حاشا کردن (ჰარდან) ზმნა არის ზუსტად თარგმნილი. საინტერესოა, რომ „ჰაშას ქმნა“//„ჰშვრება“ ფორმით არ დასტურდება არც ერთ ჩვენთვის ხელმისაწვდომ ქართულ ლექსიკონებსა თუ მხატვრულ და ისტორიულ ლიტერატურაში.

ვალალას დაყრა — წყევლა, წყველის ფორმულა. 1. „ზარანგიზ ბანუ ორის ხელით თავში იცემდა და კელმწიფესაც ორის ხელით ვალალა დაყარა“ (გვ. 169).

„ვალალა“ დასტურდება „დავითიანში“, თეიმურაზ მეორის, ა. ქაეჯავაძისა და ს. მგალობლიშვილის ნაწარმოებებში. გარდა სალიტერატურო ქართულისა, „ვალალა“ გვხვდება ქართულ დიალექტში: ვალალას გაყრის — ცუდ დღეს გაყენებს. ვალალეული — ატირებული¹⁰.

„ვალალა“, „ვალალეება“ მოცემულია ი. აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში, საბასთან, ნ. ჩუბინაშვილის. დ. ჩუბინაშვილის, თეიმურაზ ბაგრატიონის ქართულ ლექსიკონში (გამოუქვეყნებელია), ქართული ენის განმ. ლექსიკონში, „ქართულ ხატოვან სიტყვა-თქმანი-ში“, „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“, გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს.

ვალალაება, ვალალეება — „გოდება, ხმობა, ლაღდება“¹¹... ვალალა — ესე არს ვაება, კვნესა, გინა სიტყვანი ტირილი. ნ. ივალალა — ვაებით კვნესა¹². ხოლო ქართულ სინონიმთა ლექსიკონში მოცემულია: ვა-

⁸ X. K. Баранов. გვ. 220.

⁹ M. A. Гаффаровъ. Персидско-Русскій словарь. т. I. М., 1914. გვ. 246; Русничек. т. I. გვ. 486.

¹⁰ შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. სუბუტია, ქართული ლექსიკონი, გვ. 69 (გამოუქვეყნებელია).

¹¹ ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 153.

¹² სულხან-საბა ორბელიანი, ტ. IV, გვ. 257.

ღალის დაყრა ნ. წყველა. წყველა — წყევა, ანათემა, დაკრულვა...
 ვალალის დაყრა (ვალალას აყრის), დაქოლვა, ქოქოლა, ქოქოლის მიყრა...¹³

„ვალალა“ არაბული ნასესხობაა, თუმცა ქართულში სპარსული გზით არის შემოსული. არაბულში: **قوله** (ვალვალთუნ) — ღმუილი, ყმუილი, წივილ-კივილი; ტირილი, ქვითინი, კივილი, ყვირილი, შეძახილი¹⁴. ხოლო სპარსულშია: **قوله** — (ვალვალე) და (ველველე) — 1) ხმაური, ყვირილი; ტირილი, ქვითინი, კივილი, შეძახილი; 2) ალიაქოთი, აურზაური, შფოთი; დღევა, ძრწოლა; განგამი, უწესრიგობა, არეულ-დარეულობა... ზმნებთან **افکنند** (აქქანდნ), **کردن** (ქარდნ), **افداختن** (ანდახთნ) **قوله** ~ ა) ხმაურის ატეხვა, ყვირილი, კივილი, ღრიალი¹⁵.

სწორედ **افداختن** (ანდახთნ) ან **افکنند** (აქქანდნ) ზმნის მნიშვნელობა: გადასროლა, დაგდება, დაყრა... არის თარგმნილი ქართულად. შეადარეთ: ქოქოლის დაყრა, ქოქოლის მიყრა. უდავოა, რომ ეს გამოთქმა ქართულში შემოსულია სპარსულიდან, რასაც ადასტურებს სპარსული ზმნის ზუსტი თარგმანი.

ნარა (ნარას გაწევა ან შეძახება) — ხმაური, ხმამალალი ყვირილი, ტირილი, ყიყინა, ღრიალი... 1. „ამ დროს ლანდაურმა ერთი საზარელი **ნარა** გასწივა! და ფალავანი გამოითხოვა“ (გვ. 92). 2. „რა დილა გათენდა ორისავ მხარის ჭარი მოედანს გამოვიდა და თვით თოფრანი მოედანს გავიდა, და **ნარა** შესძახა“ (გვ. 533). 3. „შაზადამ თავის ცხენი გამოქუსლა გოსტამისა და ზუბინისაკენ, ერთი **ნარა** გასწივა და დაიძახა მე ვარ ამარამზა არაბის შვილი ომარიო“ (გვ. 276).

ეს სიტყვა დასტურდება „ყარამანიანში“, ხოლო „შაჰ-ნამეს“ ქართული ევრსიების III ტომში გვხვდება: „ნარა“, „ნარის ხმა“ და ჩვენთვის საინტერესო გამოთქმა „ნარა გასწივა“.

ქართველ ლექსიკოგრაფთაგან „ნარა“ განმარტებული აქვს დ. ჩუბინაშვილს: **ნარა**, **ნარას გაწევა** — ს. ხმა მეომართა გამოწვევისა¹⁶.

არაბული სიტყვა „ნარა“ ქართულში შემოსულია სპარსული გზით. **ناره** (ნარათუნ) — ყვირილი, ღრიალი, ბღავილი; ცხენის ჰიხვინი¹⁷. არაბულიდან ნასესხებია სპარსულში. **ناره** (ნარე) — ყვირილი, ხმაური, ტირილი, ქვითინი, კივილი; გოდება, ღმუილი, ღრიალი, ღრუნა; ბღავილი¹⁸. ეს სახელი სპარსულში იხმარება ზმნა **كشیدن** (ქაშიდნ)-თან ერთად. **ناره كشیدن** (ნარე ქაშიდნ) — ღრიალი, ხმაური, კივილი, ხმამალალი ყვირილი¹⁹.

¹³ ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1961, გვ. 198.

¹⁴ X. K. Баранов. გვ. 1155.

¹⁵ Ю. А. Рубинчик. т. II. გვ. 708; Б. В. Миллер. Персидско-русский словарь. М., 1953.

¹⁶ საუნჯე ქართული ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი ხელახლად შემუშავებული დავით ჩუბინოვისაგან, სპბ, 1887, გვ. 958.

¹⁷ Supplement aux Dictionnaires Arabes. Par R. Dozy. Tome second. 1927. გვ. 689.

¹⁸ Б. В. Миллер. გვ. 565; М. А. Гаффаровъ. т. II, გვ. 866.

¹⁹ Там же.

სახელი „ნარა“ უცვლელად არის გადმოტანილი, ხოლო ზმნა თარგმნილია ქართულად. დამოუკიდებლად ზმნა كشدن (ქაშიდან)-ის მნიშვნელობა: თრევა, წევა, გაწევა. სწორედ გაწევის მნიშვნელობით არის თარგმნილი ქართულში. მაგრამ ყურადსაღებია, რომ „ყისაჲე ჰამზაში“ ნახმარია „ნარა შესძახა“. ე. ი. ამ გამოთქმის მნიშვნელობა სწორად არის გაგებული და სპარსული ზმნა შეცვლილია მისი ქართული შესატყვისით. ხოლო მეორე შემთხვევაში არის: „ნარა გასწივა და დაიძახა...“. „ნარა გასწივა“ თავისთავად ღრიალს, ყვირილს, ხმამაღალ დაყვირებას გამოხატავს, მაგრამ აქ კიდევ ნახმარია ქართული ზმნა — დაიძახა.

„ყისაჲე ჰამზას“ სპარსულ ტექსტში (თეირანში გამოცემული 2 ტომად) არის: نمره زند (ნარე ზანდან) — დაყვირებისა და შეძახილის მნიშვნელობით. „ნარა“. სიტყვა შესულია თურქულშიც, გვხვდება იმავე მნიშვნელობით, ოღონდ აქვე განსხვავებული მნიშვნელობა, რაც ინტერესს მოკლებული არ არის (თუმცა არა ამ შემთხვევაში). نمره ن'ار ه — ხმაური, ყვირილი, ბლაგილი, დერეჟშთა შეძახილი (რომლითაც ისინი ჩვეულებრივ იწყებენ თავის სულიერ საგალობელს. ამ შეძახილით ისინი გამოხატავენ ძალის ყუფას, რათა ამითი გამოხატონ თავის დამციკება ღმერთის წინაშე).

ს ა ფ ი ს გ ა წ ე ვ ა // ს ა ფ გ ა წ ე უ ლ ი // ს ა ფ შ ი დ გ ო მ ა — მწყობრში დადგომა, მწყრივში დგომა. 1. „ერთ დღეს ამარამზამ ნახა, რომ მთელი იმისი აიარები მოსულან და ამის წინ ს ა ფ გ ა წ ე ვ ი თ დ გ ა ნ ა ნ“ (გვ. 384). 2. „ახლა ყველას წინ შენ უნდა ჯარით წახვიდე და ამ ხეზედ რომ ამარამზა აბია მალლა წვერზედ, იმის პირდაპირ ჯარით ს ა ფ გ ა წ ე უ ლ ი უნდა დასდგეო“ (გვ. 460). 3. „ბაბა ამარმა ნახა, რომ ნარა ღვევები დ გ ა ნ ა ნ ს ა ფ გ ა წ ე უ ლ ი“ (გვ. 175).

4. „რამდენსაჲე დღეს უკან ბაბას ორი ათას ორასი აიარი და ოთხი ხალიფა მოვიდნენ და საპყარანის წინ ს ა ფ შ ი დ ა დ გ ა ნ ე ნ“ (გვ. 436).

„საფი“ დასტურდება „ყარამანიანში“. აქ არის „საფი“ და „საფი გასწიეს“. ს ა ფ ი გ ა ს წ ი ე ს — ჩამწყრივდნენ, გასწორდნენ. „შაპ-ნამეს“ ქართული ვერსიების III ტომში არის „საფ გაწევით დადგნენ“, ხოლო ლექსიკონში მოცემულია: ს ა ფ გ ა წ ე ვ ი თ — მწყობრად, მწყრივად.

ქართული ენის დიალექტთაგან „საჭ“-ი დასტურდება ფერეიდულში. ს ა ჭ - ი ص (საჭ) — რიგი, მწყრივი (მ. თ ო ღ უ ა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, ტ. II, გვ. 121).

„საფი“ არაბული წარმომავლობის სიტყვაა. ص (საჭქუნ) მრ. صفوف (სუჭქუნ) — რიგი, მწყობრი, მწყრივი²⁰. ეს სიტყვა დამკვიდრებულია სპარსულში. ص (საჭ(ჭ) მრ. صفوف (სოჭუჭ) — რიგი, ხაზი. მწყრივი. სამხედრო: მწყობრი, რიგი, ჯარისკაცების მწყობრში დგომა. ص كشدن (საჭ ქაშიდან) — მწყობრში დადგომა, ხაზზე დადგომა, მწყრივში დადგომა²¹. აქაც ადგილი აქვს სპარსული დამხმარე ზმნის كشدن (ქაშიდან)-ის კალკირებას.

საინტერესოა, რომ სპარსულში ص كشدن (საჭ ქაშიდან) ნიშნავს: მწყობრში, მწყრივში დგომას, ხაზზე დგომას, ხოლო ქართულში არის: საფ-გაწეული დასდგეო, საფგაწევით დგანან და საფგაწეულნი დგანან, ე. ი. სპარ-

²⁰ გ. წერეთელი გვ. 117; X. K. Баранов. გვ. 554.

²¹ Ю. А. Рубинчик, т. II, гл. 137; М. А. Гаффаров, т. II, гл. 526.

სული ზმნაც არის ზუსტად თარგმნილი, რომელიც სპარსულში სიტყვა „საფ“-თან ერთად მწკრივში დგომას გამოხატავს და გამოყენებულია ქართული ზმნა დგომაც. ამ შემთხვევაში სპარსულმა ზმნამ დაკარგა თავისი ფუნქციები და „საფ“-თან ერთად გაგებულ იქნა, როგორც მწყობრად, მწკრივად. რამდენადაც ქართულში უფრო ბუნებრივია — რიგში, მწკრივში დგომა და არა რიგის გაწევა, ამიტომ მთელ გამოთქმას დაემატა ზმნა დადგომა. ასევეა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების III ტომში (საფგაწევით დადგენ). ეს გამოთქმა ამით განსხვავდება და საინტერესოა ზემოთ განხილული შემთხვევებისაგან (აშა ქნა, ვალალა დააყარა, ნარა გასწია).

ნ ა ფ ა რ ი // ნ ა ფ ი რ ი (ნ ა ფ ა რ ი ს გ ა წ უ ე ვ ა) — ბუქის (პორნის) კერა; ბუქზე, საყვირზე დაკერა; ყვირილი, ხმამაღალი ძახილი, ღრიალი, კივილი... 1. „ბაბა ამირ ციხის კარზედ მივიდა და შეკარე მოკლა, კარი გააღო ციხისა და ავიდა, ამ ალაყაფის კარზედ ნ ა ფ ა რ ი გ ა ს წ ი ე ვ ა. მანზარამ და ჭარბა გაიგონეს, რომ ბაბა ამირის ნ ა ფ ა რ ი არის, შესხდნენ ცხენსა და მისირისაკენ წამოვიდნენ“ (გვ. 161). 2. „ამ დროს რომ ქარბ დიდს იწროებში ჰყვანდათ ერთი ბაბას ნ ა ფ ი რ ი ს ხმა გაიგონა ქარბმა, რა ეს შემოესმა დიდს სიმხიარულეს მიეცა და სიმხნეს ძალი მისცა“ (გვ. 424). 3. „ბაბამ ომარჰადის უთხრა, როდეს ჩემი ნ ა ფ ა რ ი ს ხმა გაიგონო შემოდი და ვინც ნახო, ხოცა დაუწყეო“ (გვ. 424).

სიტყვა „ნაფირი“//„ნაფარი“ იხმარება: „დასტურლამალში“, „შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში (I, II, III ტომები), „რუსულდანიანში“, სულხან თანიაშვილისეულ „ამირანდარეჯანიანში“, „შაჰნავაზიანში“, თეიმურაზ II-ის ნაწარმოებებში, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ არაკებში.

„შაჰ-ნამეს“ ქართულ ვერსიებში გვხვდება: „... იყო ნ ა ფ ი რ თ ა შე-ბერვა..., ... ნ ა ფ ი რ ი ს ყუირილი..., ნ ა ფ ი რ ი და ბუკი ჰკერიდა..., ... ნ ა ფ ი რ ი და ბუკი ჰკმობდა...“ „შაჰნავაზიანში“ და „რუსულდანიანში“ არის: „ნაფირის ბერვა“//„შებერვა“. სულხან თანიაშვილის „ამირანდარეჯანიანში“ არის: სცემდნენ დაბდაბ — ნ ა ფ ი რ — ბუქებს...“

თეიმურაზ II-ის თხზულებებში არის: „... იმას ნ ა ფ ი რ ი დაეკერას...“ თვით სულხან-საბა ორბელიანი „სიბრძნე სიცრუის“ არაკებში ხმარობს გამოთქმას: „ნ ა ფ ი რ ი ჰკრეს“.

როგორც უკვე გავეცანით, ზემოთ დასახელებულ ძეგლებში ნახმარია: ნ ა ფ ი რ ი ს ბერვა (შებერვა), ყვირილი, ცემა, კერა, დაკერა, მაგრამ არსად არ არის „ნაფირი გასწევა“, რომელიც „ყისაჲ ჰამზას“ ქართულ ვერსიაში გვხვდება.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: ნ ა ფ ი რ ი — სხვათა ენაა, ქართულად ზროხაკული ჰქვიან²². ხოლო ზროხაკულის შესახებ წერს: ზროხაკული — საყვირი(ა) მომცრო²³.

საბა „ნაფირის“ განმარტებისას ამ სიტყვის წარმომავლობაზე არ მიუთითებს, ხოლო ლექსიკონის უცხო შესატყვისობაში „ნაფირს“ თურქულად მიიჩნევს: ნ ა ფ ი რ — თ. ნაფირ CD, ნაფირი CqE²⁴.

„ნაფირის“ განმარტება მოცემული აქვს დ. ჩუბინაშვილს, ახსნილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში.

²² სულხან-საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ტ. IV, გვ. 582.

²³ იქვე, გვ. 291.

²⁴ იქვე, ტ. IV, გვ. 539.

ი. ჭავჭავაძის „ზროხა-კულზე“ მსჯელობისას აღნიშნავს: „საბას მომტრო საყვირის ქართულ სახელად „ზროხა-კული“ აქვს, ხოლო ამ სახელის უცხო შესატყვისობად „ნაფირია“ მოცემული“. იმეორებს საბას განმარტებას „ნაფირის“ შესახებ, მაგრამ მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ქართულ „შაპ-ნამეში“ ერთიე არის ნახმარი და მეორეც. მოჰყავს შემდეგი მაგალითები: მაგ., „საამიანში“ სწერია: „ორთავე სცემდეს ტაბლასა და ქოსმა შექმნა დგრიალი, / იყო ნაფირთა შებერვა, ქანარას. ჰქონდა ზრიალი“ („საამიანი“, გვ. 115, ტ. 384₁₋₂)), ხოლო როსტომისა და მანანდარანელთა ბრძოლის დროს, ნახსენებია „ზროხა-კული“: „მამინ კუნესის სპილენძ-ქური, ზროხა კულთა იყო ბერვა“ („როსტომიანი“, ტ. 2399₁). და კიდევ არაერთი მაგალითია მოყვანილი ზროხა-კულზე, „შაპ-ნამედან“.

შემდეგ ი. ჭავჭავაძის წერს: „ნ ა ფ ი რ ს, როგორც ფეშანგის შაპ-ნავა-ზიანთგან ჩანს, საქართველოშიც უკრავდნენ, მე-17 ს-ში მაინც: „მეფე შექდა, შეუბერეს ნ ა ფ ი რ ს ა და ყუირო-სტუირსა“ (ფეშანგი, შაპ-ნავაზიანი, § 1124). ნ ა ფ ი რ ი თითონ ს. ორბელიანსაც აქვს თავის „სიბრძნე-სიცრუის“ არაკებში ნახმარი. იქ ნათქვამია „მოილეს ქოსი ტაბლაცი, დაფი და დაფდაფი, ნ ა ფ ი რ ი ჰკრეს და ლხინით მკვდარიც წაიღეს, მეც წამიტანესო“, აქ ცხადია ნ ა ფ ი რ ი სალხინო საკრავად მოჩანს“²⁵.

მაგრამ იმ ნაწარმოებების მიხედვით, სადაც „ნაფირია“ ნახმარი, იგი ზოგ შემთხვევაში სალხინო საკრავია, ზოგჯერ კი საომარ შეძახილს გამოხატავს, ანდა ომის დაწყების მალეწყებელია. ასევეა „ყისაჲე ჰამზას“ ქართულ ვერსიაში.

იუსტ. აბულაძე „შაპ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე დართულ ლექსიკონში „ნაფირს“ განმარტავს: ნ ა ფ ი რ ი — არაბ.-სპ. نافر (ნაფირ) — საყვირი, ბუცი, ზროხა-კული — საომარი საყვირი: ომი ნ ა ფ ი რ ი თ ა და ნალარით იწყებოდა²⁶.

მოვიშველით აგრეთვე ამ სიტყვის პ. უმიკაშვილისეული განმარტება, რომელიც „დასტურლამალზე“ დართულ ლექსიკონშია: „სპ. نافر — ნაფირ — სალაშქრო გამოსვლისათვის ხმარებული ბუცი“²⁷. ამ მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ „ნაფირი“ საომარი საკრავიც იყო.

„ნაფირის“ შესახებ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ჰოსეინ ალი შაჰფუზს: „ა ლ-ნ ა ფ ი რ-ი (النافير) ყველაზე გრძელი ჩასაბერი საკრავია. მას بورغو (ბურღუ)-საც უწოდებენ; საკრავის თავს და მოხრილ ტუჩს კი كرا (ქარან) ჰქვია“²⁸. ფარმარის მიხედვით, სახელწოდება النافير-მა შეცვალა საკრავის თავდაპირველი სახელწოდება البوق (ალ-ბუკი)²⁹.

რიგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ „ნაფირი“ სპარსული წარმომავლობის სიტყვაა (ეენკერი, იაგელო, ბულაგოვი), ხოლო ვულერსი ამ სიტყვის სადაურობას არ მიუთითებს. ლაფაროვი მას არაბულად თვლის. დოზი ამ სალექსი-

²⁵ ი. ჭავჭავაძის ქართული მუსიკის ძირითადი საყვირები, თბ., 1938, გვ. 195.

²⁶ აბულაყასიმ ფირდოუსი, შაპ-ნამე, ქართული ვერსიები, ტ. II, ტფ., 1934, გვ. 603.

²⁷ დასტურლამალი, მეფის ვახტანგ მეექვსისა, რედაქტორობით პეტრე უმიკაშვილისა, ტფ., 1886, გვ. 177.

²⁸ حسين على محفوظ، معجم الموسيقى العربية بغداد 1967، ص، 22

²⁹ هنرى جورج فارمر، تاريخ الموسيقى العربية، مصر، 1956، ص، 71

კონო ერთეულის განმარტებისას მსჯელობს: **غفر** (ნაჭირუნ) pl. **اغفارة** (ანფარუნ) და **انفارة** (ანფირათუნ) — ბუკი. ამ მნიშვნელობით ეს სიტყვა არ არის სპარსული წარმოშობის, როგორც ამას წერენ ფრეიტაგი და კატრემერი, მათი აზრით, „ნაფირი“ არის ბუკი, რომელიც იძლევა საბრძოლველად წასასვლელ ნიშანს. როგორც ჩანს, აქედან მომდინარეობს, რომ ინსტრუმენტს გამოხატავენ „ნაფირ“ სიტყვით. საბოლოოდ დოზის მოაქვს ადგილი, სადაც ვკითხვობთ: ნ ა ფ ი რ ი ს ბუკს დაჰკრეს, რაც ნიშნავს: დასცა შეტევის ბუკს...³⁰.

მაშასადამე, „ნაფირ“ სიტყვა მოცემულია როგორც არაბულში, ისე სპარსულში. იუსტ. აბულაძე „შამ-ნამეს“ ქართულ ვერსიებზე დართულ ლექსიკონში „ნაფირს“ არაბულ-სპარსული წარმომავლობის სიტყვად მიიჩნევს.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ „ნაფირი“ ქართულში სპარსული გზით არის შემოსული სპარსული ზმნითურთ, რომელიც გადმოღებულია ქართულად. არაბულშია: **غفر** (ნაჭირუნ) მრ. **غفارات** (ნაჭირათუნ) — ბუკი, საყვირი, ჰორნი; სასიგნალო ბუკი, ნესტვი, საყვირი³¹. სპარსულში არის: **غفر** (ნაჭირ) — 1. ბუკის, საყვირის, ჰორნის, ნესტვის ხმა; 2. სპილენძის ბუკი; საყვირი; ჰორნი; მწვემის საყვირი; ფლეიტა, სტვირი, სალაჰური... 3.

غفر كشدن (ნაფირ კაშდინ) — ა) ბუკის (ჰორნის) კერა; ბუკზე, საყვირზე, დაკერა; ბ) ბგერის გამოცემა, გამოღება; კვილი, ღრიალი; ყვირილი, ხმამაღალი ძახილი...³².

غفر كشدن — ქაშდინის მნიშვნელობაზე ზევით უკვე ვილაპარაკეთ. აქაც ანალოგიური წარმოებაა, როგორც „ნარა გასწივა“, „საფი გასწივა“, მაგრამ ეს შემთხვევა წინა შემთხვევებზე უფრო საინტერესოა იმიტომ, რომ „ნაფირი გასწივა“ „ყისაჲ ჰამზას“ ქართული ვერსიის გარდა არც ერთ გამოქვეყნებულ ძეგლში არ დადასტურდა (ხოლო „ნარა გასწივა“ და „საფი გასწივა“ სხვა შემთხვევებშიც გვხვდება).

არის შემთხვევები, როდესაც აღმოსავლური (არაბული, სპარსული, თურქული) სიტყვა სწორია და იქვე მას ახლავს ავტორის გლოსა — ქართული მნიშვნელობა. ასეთებია: არიან დოსაქეიანი, დავანდა//დამანდა, შალფუში, საყუთარი სახელი — ბებახტი და სხვ.

არიან-დოსაქეიანი — 1. „ამ კარვის პატრონებმა ნახეს, რომ ზარიანი ბებანიდამ მოდიან. მაშინვე **არიან-დოსაქეიანი** მოართვეს. შაზადამ უთხრა: მანამ ჩემი ამხანაგი არ დაჰლევს, მე არ დავლეო. ერთი თულუხი აავსეს და ლორსიბს წაულეს, მიიტანეს და დააღვეინეს“ (გვ. 377). ამ შემთხვევაში არის გლოსა „არიანის“ განსამარტავად: „არიან დოსა ქეიან“. გადამწერს იგი არსებით სახელად მიუჩნევია და სახელობითი ბრუნვის ნიშანი დაუპატებია. „დო“ თურქულსა და თურქული მოდგმის სხვა ენებში წარმოდგენილია, როგორ „აირან“//„არიან“.

ეს სიტყვა ჰანურშიც დასტურდება „არიან“ ფორმით: „**არიანი** იხ. თანი. თანი (სომხ. **թան** — დო. **არიანი** — „მეა-მწკარი“ (სიტყვასიტყვით: რძის წყალი)“³³.

³⁰ R. Dozy, გვ. 699, 700.

³¹ X. K. Баранов, გვ. 1042.

³² Ю. А. Рубинчик, т. II, გვ. 654.

³³ H. Марр, грамматика чанскаго (лазскаго) языка, с хрестоматиею и словарем; СФБ. 1910, გვ. 127.

ქართული ენის დიალექტთაგან „აირანი“//„არიანი“ გვხვდება აქარულსა და რაქულში. რაქული: „აირანი (რქ. ოსმ. ايران) — კეფირის მაგვარი საწყურვალო სასმელია; წყალნარეგ ახალმოწველილ რძეში ფეტვისებურ მარცვლებს სოკოებს ჰყრიან და ამჟავებენ. შდრ. ჰნ. არიანი“³⁴. ხოლო მთარაქულში არის: ა ი რ ა ნ ი — რძისაგან შემზადებული საქმელი³⁵. აქარული: (აქარლები) დოს ა ი რ ა ნ ს ეძახიან და მისგან შექამანდს აკეთებენ, როგორც ქართლ-კახეთში³⁶. ა ი რ ა ნ ი (თ. ayran) — ზ. აქ. მაწვნიდან კარაქის გამოხდის შემდეგ დარჩენილი სითხე; მომჟავო, მარახოში, საამო სასმელი, დიდი მოწონება აქვს განსაკუთრებით ზაფხულში...³⁷.

საბას „აირანი“//„არიანი“ განმარტებით ნაწილში არა აქვს, მაგრამ უცხო შესატყვისობაში მოცემულია: დ-თ. აირან. ZAABCDE³⁸.

როგორც ზემოთ აღენიშნეთ, „აირანი“//„არიანი“ თურქული წარმომავლობის სიტყვაა. აირანი-ი დოკუმენტირებულია ჯერ კიდევ მაჰმუდ ქაშგარელის ლექსიკონში (XI ს.). ძველი თურქული ენის ლექსიკონის მიხედვით ლექსიკური ერთეული „აირანი“ დასტურდება XII საუკუნის ძეგლში.

გაეცნოთ ბუდაგოვის ლექსიკონის მასალებს. ჩად. და თათრ. ايران ყირგ. ايران — წყლით გაზავებული მაწონი, რომლითაც გრილდება ხაფხულის სიტყვებში, ხოლო ყირგიზები ხშირად ამით იკვებებიან (რუსულში დამახინჯებულია арьянх)³⁹. ايران арьянх (მონღ. айранх) — არაყი რძისაგან⁴⁰.

„აირანის“ განმარტება მოცემული აქვს მაგაზანიკს, ზელინსკის, რადლოვს და სხვ. რადლოვი იძლევა ამ სალექსიკონო ერთეულის სხვადასხვა ფორმასა და განმარტებას. ეს ფორმებია: айран, араян, айран. პირველ შემთხვევაში იგი ასე ხსნის: სასმელი მომზადებული ძროხის მჟავე რძისაგან. მეორე შემთხვევაში ნათქვამია: არაყი რძისაგან, ხოლო მესამედ იძლევა განმარტებას: სასმელი მაწვნისაგან.

ეს სიტყვა შესულია რუსულში. „აირანის“ შესახებ საინტერესო ცნობები აქვს დიმიტრიევს. ყურადსაღებია აგრეთვე ფასმერის მასალები (წიგნში „Этимологический словарь русского языка“). ეს ცნობები საყურადღებოა იმიტაც, რომ ეს სიტყვა აქ მოცემულია სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ჩვენთვის საინტერესო „არიანიც“. ეს ფორმებია: Айран, арьян, Урень, Ирень და მოყვანილია ცნობები, რომელი ფორმა რომელ თურქული მოდგმის ენაში გვხვდება. აღნუსხულია აგრეთვე მისი გავრცელების არე, კერძოდ დასახელებულია ის ოლქები, სადაც ესა თუ ის ფორმა იხმარება.

და ვ ა ნ და // და მ ა ნ და — ქ ა რ თ უ ლ ა დ მ ა რ დ ს ა ჰ ქ ე ი ა ნ .

1. „ბაბამ უთხრა ჩემი სახელი დავრიშ დამან და არისო, დავან და ქართულად მარდსა ჰქვიან“ (გვ. 321).

³⁴ ვ. ბერძე, სიტყვის კონა, იმერულ და რაქულ თქმათა, სპბ, 1912, გვ. 1.

³⁵ შ. ძიძიგური, ძიუბანი ქართული დიალექტოლოგიიდან, მთარაქული, თბ., 1954, გვ. 219.

³⁶ თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 122.

³⁷ შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის აქარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 81;

³⁸ შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ზემო აქარულის თაისებურებანი, ბათუმი, 1954, გვ. 132.

³⁹ სულხან-საბა ორბელიანი, ტ. IV, გვ. 500.

⁴⁰ Л. Будаговъ, т. I, с. 185.

⁴¹ Там же, გვ. 792.

დავანდა სპარსული ნასესხობაა. **دواند** — დ ა ვ ა ნ დ ე — მორბენალი, მორარული, მალემსრბოლი; განუწყვეტელი, მდინარი, მოძრაობა; მაინე...⁴¹. „დავანდე“ არის აწმყოს მიმღეობა **دواند** დავიდან ზმნისა, რომლის მნიშვნელობაა: სირბილი, გაქცევა, აჩქარება, სიჩქარე, ფუსფუსი...

შ ა ლ ფ უ შ // შ ა ლ ი ფ უ შ — ქ ა რ თ უ ლ ა დ შ ა ლ ი ს ჩ ა მ ც მ ე ლ - ს ა ჰ ქ ე ვ ი ა ნ . 1. „რადა ამირამზას ეწყით შალფუში შექმნილიყო, შალფუში ქართულად შალის ჩამცმელსა ჰქვეიან“ (გვ. 340). 2. „ამირამზამ ერთი სურათი ნახა და სურათის ძირს ასე ეწერა: ამ სურათის პატრონი შალიფუშ ტალაზ ბაღში ვარო“ (გვ. 334). „შალფუში“ არ გვხვდება არც სალიტერატურო ქართულსა და არც დიალექტოლოგიურ ლექსიკონში. იგი სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა. **شالپوشی** — **šalpūši** უხეში მატყლის (შალის) ქსოვილი⁴². **شالپوشی** — შ ა ლ ფ უ შ ი — უხეში მატერია ცხენის საჭურველის ქვეშ; მათხოვრის ტანისამოსი⁴³. **شالپوشی** შ ა ლ ფ უ შ ი — პატარა უმნიშვნელო ნაგლეჯი მატერიისა, ტანისამოსის ქვეშ იხმარება⁴⁴.

„შალფუში“ სპარსული დეტერმინანტული კომპოზიტია, რომელიც შედგენილია სახელისა და ზმნის აწმყოს ფუძისაგან და აღნიშნავს მოქმედის სახელს. საინტერესოა, რომ „ყისაჲ ჰამზას“ ქართულ ვერსიაში არის „შალფუშ“ — არსებითი (მოქმედის) სახელი. სპარსულ ლექსიკონებში (ცენკერის, იაგელოს და ვულერსის) „შალფუში“ განმარტებულია არა როგორც — შალის ჩამცმელი, არამედ — უხეში მატყლის ქსოვილი, ან — მათხოვრის ტანსაცმელი, ხოლო „შალფუშ“ ფორმა სულ არ არის.

ქართულში არის ისეთი სიტყვები, რომელთა მეორე ელემენტი არის „ფუშ“, მაგ. „ზარფუში“ (ეს სიტყვა გვხვდება „ყისაჲ ჰამზას“ ქართულ ვერსიაში) — თავსახურავი, სარქველი, ხუფი...; **ზ ი ლ ფ უ შ ი** (ზილფუშისა — ცხენის ზურგზე უნაგირის ქვეშ, საოფლეზე) დასაფენი სქელი (ჩვეულებრივ ტყავგადაკრული) ქეჩა (ქეგლ).

თეირანში ორ ტომად გამოცემულ „ყისაჲ ჰამზას“ სპარსულ ვერსიაში ქართული „შალფუშის“ შესატყვისად გვხვდება **پلاس پوش** „ფალას ფუშ“. **پلاس پوش** (ფალას-ფუშ) — დერვიში; დერვიშის ტანისამოსში გამოწყობილი. სპარსულ ლექსიკონებში დაიძებნა აგრეთვე სალექსიკონო ერთეული, რომლის მნიშვნელობა ქართულ „შალფუშს“ მიესადაგება: **پشینه پوش** (ფშშინე — ფუშ) — უხეშ შალის ტანისამოსში ჩაცმული; დერვიში, სუფი.

საერთოდ სპარსულ ლექსიკონებში უხვადაა სიტყვები, რომელთა მეორე ელემენტი არის **پوش** (ფუშ). **پشاه پوش** (სიიჰა-ფუშ) და **پشیه پوش** (სიიჰა-ფუშ) — 1. შავეებში ჩაცმული, ძაძით მოსილი. 2. ღამის ყარაული, ღამის დარაჯი, ცერემონიებისტერი. **گیسو پوش** (გისუ-ფუშ) — ჩაჩი. **عیب پوش** (ეიბ-ფუშ) — ნაკლის დამფარავი. **کله پوش** (ქალლე-ფუშ) — თავსამკაული და სხვ.

⁴¹ Zenker, erster Band, 1866, გვ. 444., Ю. А. Рубинчик, т. I, გვ. 683.

⁴² Zenker, zweiter Band, გვ. 536.

⁴³ И. Д. Ягеляо. Полный персидско-арабско-русский словарь, Ташкент, 1910, გვ. 888.

⁴⁴ J. A. Vuillers, Lexicon. Persico-Latinum Etymologicum, Bonnae ad Rhenum, Tomus II, 1864; გვ. 377.

მსგავსი შემთხვევა გვაქვს ერთ საკუთარ სახელში, სადაც მოცემულია გლოსა, ე. ი. განმარტებულია საკუთარი სახელი ქართულად: ბე ბ ა ხ ტ ი — უბედო — „ჯამისიშ ერთი შვილი ჰყოლია ბე ბ ა ხ ტ წოდებული, ეს ე ი გ ი უ ბ ე დ ო ლ“ (გვ. 1).

ქართული უნის დიალექტებში „ბეზახტი“ ან „ბიზახტი“ არ დაიძებნა, მაგრამ აჭარულში არის სიტყვა „უბეხტო“, ე. ი. ამ სიტყვას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც სპარსულში „ბეზახტს“, ოღონდ აჭარულში გამოყენებულია ქართული უქონლობის სახელის წარმომქმნელი უ — პრეფიქს-სუფიქსი. „აჭარულში არის „უ-ბეხტ-ო“ — თ. baht (—სპ. „احت“) — „ბედი“, „უ-ბეხტ-ო“ — „უბედო“. თურქულად იქნებოდა bahliz⁴⁵. საინტერესოა, რომ „უბეხტო“ ზედსართავი სახელია, ხოლო „ყისაჟე ჰამზას“ ქართულ ვერსიაში „ბეზახტი“ საკუთარი სახელია. აჭარულში დასტურდება აგრეთვე სიტყვა „ბეხტი“ — „ბედი“, „ბედნიერება“⁴⁶.

ბახთ სპარსული სიტყვაა, რომელიც გვაქვს არაბულსა და თურქულში بخت (ბახთ) — ბედი, ბედნიერება, ხვედრი, იღბალი, ბედ-იღბალი; წერა, ბედის წერა; სვე⁴⁷. სპარსული წინდებული ب (ბი) მიუთითებს რომელიმე საგნის ან თვისების უქონლობას, ე. ი. „ბიზახტის“ მნიშვნელობაა: უბედო, უიღბლო... ასევეა ახსნილი ჩვენს საკვლევ ტექსტში. ანალოგიური წარმოებაა: ბედოვ-ლათი, ბეუშტარო (გვხვდება „ყისაჟე ჰამზას“ ქართულ ვერსიაშიც), ბეყვირა-თი, ბეჩარა. ეს ის შემთხვევებია, როდესაც სპარსული o ქართულში გადმო-დის e-დ. ეს შემთხვევა შეინიშნება არა მარტო წინდებულში, არამედ სიტყვის შიგნითაც. მაგ., بيشك (ფიშქაშ) — ქართულში არის „ფეშქაშ“ (ეს სიტყვა გამოყენებულია „ყისაჟე ჰამზას“ ქართულ ვერსიაშიც), امید (ომიდ) — ქართული იმედი.

მაგრამ ყურადსაღებია, რომ უარყოფის გამომხატველი იგივე ب (ბი) წინდებული ქართულში გადმოდის ზოგჯერ როგორც ბი. მაგ., „ბიბარუ“ დასტურდება ჩვენს საკვლევ ტექსტში. „ყისაჟე ჰამზას“ ქართულ ვერსიაში არის აგრეთვე „ბიბანი“ (ე. ი. ბიბანი), მაგრამ პარალელურად გვხვდება: ბეიბანი, ბაებანი. საინტერესოა ფორმა „ბაებანი“, რომელიც გვხვდება აგრეთვე „ბახ-თიარ-ნამეში“ და „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების III ტომში.

სპარსულ ლექსიკონებში უბედოს, უბედურის და უიღბლოს მნიშვნელობით მოცემულია სხვა სიტყვები. بختد (ბად-ბახთ), بختد سياه (სიაჰ-ბახთ) — უბედური, უბედო, ბედარული, უიღბლო, ბედშავი. გვხვდება აგრეთვე كوربخت (ქურ-ბახთ) — უბედური, თვალბედითი, ბედუქუდმართი და იმავე მნიშვნელობით იხმარება بختد تارىك (თარიქ-ბახთ).

შესაძლებელია, „ბიზახტი“, ქართულ ნიდაგზე წარმოიშვა მსგავსი სპარსული სიტყვების ანალოგიით (ბიბარუ, ბიბანი, ბედოვლათი, ბეჩარა...); ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპარსულ ლექსიკონებში ამ ფორმით არ დაიძებნა.

⁴⁵ ნ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმომიბის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, თბ., 1973, გვ. 88.

⁴⁶ იქვე, გვ. 127.

⁴⁷ Рубинчик, т. I. გვ. 184.

ინჟა ნასარიძე

გაზეთ „დროების“ ენის ზოგიერთი თავისებურების შესახებ

გაზეთი „დროება“ წარმოადგენდა ერთგვარ დასაყრდენს მოწინავე ქართველი საზოგადოებისას, რომელმაც ანტონ კათალიკოსის მიერ მაღალი სტილისათვის დაკანონებულ ძველი ქართულის თავისებურ სუროგატს — ენას ღვლარჰნილს, მიმღებობებით მდიდარს, ზმნებით ლარობს, გასაგებად ძნელს¹ დაუპირისპირა ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებული ახალი სალიტერატურო ქართული. ამდენად, ბუნებრივია, რომ „დროების“ ენაში ანტონის სკოლის ნორმებისა და ხალხური ენის შებრძოლების ანარეკლი აისახა.

ცნობილია, რომ ანტონის ნორმებიდან პირველ რიგში რთული ორთოგრაფია უარყვეს. ქართული ორთოგრაფიის გამარტივების საკითხი პირველად (1855 წ.) დ. ჩუბინაშვილმა დასვა თავის გრამატიკაში. პრაქტიკულად რეფორმის გატარება ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას უკავშირდება. გამარტივებული ორთოგრაფიით გამოდის მის მიერ დაარსებული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ (1863 წ.). ახალი პერიოდული გამოცემები, კერძოდ, გაზეთი „დროება“ ამ მხრივ „საქართველოს მოამბის“ კვალს მიჰყვება.

„დროების“ ფურცლებზე ვერ შევხვდებით მოძველებულ ასოებს (შ, ჰ, ჰ, ზ, ზ). იხმარება მხოლოდ ჭ, შემოღებული, როგორც ცნობილია, XVIII საუკუნეში უცხო სიტყვებში ლათინური კბილბაგისმიერი f-ის გამოსახატავად (ჭ ო ტ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი — 1,4,4²; ე ქ ე კ ტ ი — 47,3,2; ჭ ო ნ დ ი — 44,1,3). საერთოდ, ყურადღებას იქცევს ევროპული ენებიდან მომდინარე სიტყვების მართლწერა. ამ სიტყვებით განსაკუთრებით გამდიდრდა იმდროინდელი ქართული სალიტერატურო ენა. მათი დაწერილობა მიგვანიშნებს, თუ რომელი ენიდან და რა გზით არიან შემოსული ქართულში (მაგ, ფ ო ჩ ტ ა — 4,1,1; მ ე ტ ო დ ი — 1,4,2. პირველი ტოვებს ზეპირი გზით შემოსულის შთაბეჭდილებას, მეორე, — წიგნის, ალბათ, რუსული ენის მეშვეობით).

უცხო სიტყვებში, თითქმის უგამონაკლისოდ, დატულია ორმაგი თანხმოვანი (პ რ ო ფ ე ს ს ო რ ე ბ ე ის კ ო მ მ ი ს ს ი ა — 1,1,3; კ ლ ა ს ს ი კ უ რ — 35,3,2).

სადავოდაა ქცეული ზოგი ორთოგრაფიული საკითხი. გვხვდება, მაგალითად, მ წ ე ვ რ ი (47,4,3) და წ ე ვ რ ი (51,2,4); ზაე ზოგჯერ შემონახულია სიტყვაში აზრი (პ ა ზ რ ი — 2,1,2 // ა ზ რ ი — 1,2,3). ჰრული იყო აგრეთვე ჩვენი დედაქალაქის სახელწოდების დაწერილობა (ტ ფ ი ლ ი ს ი — 2,1,1; თ ფ ი ლ ი ს ი — 12,1,1; თ ბ ი ლ ი ს ი — 10,1,1).

¹ არნ. ჩიქობაია, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, თბ., 1950, გვ. 021.

² მაგალითები მოგვაქვს 1870 წ. „დროებიდან“. პირველი იიფრი მიუთითებს გაზეთის ნომერზე, მეორე — გვერდზე, მესამე — სვეტზე.

„დროების“ ორთოგრაფიიდან განსაკუთრებით საინტერესოა ხმარება მთავრული ასოებისა, რომელთა შემოღების საკითხი XIX საუკუნეში, როგორც ცნობილია, პირველად სწორედ ამ გაზეთის ფურცლებზე დაისვა. დიდი, მთავრული ასოებით იწერება წერტილის შემდეგ წინადადებისა და საკუთარი სახელების დასაწყისი ბგერები. საამისოდ გამოყენებულია შავი შრიფტი. მთავრულის შემოღება მის დამცველებს მიზანშეწონილად მიაჩნდათ პრაქტიკული თვალსაზრისით³. სწორედ ამ თვალსაზრისით გვეჩვენება გაუმართლებელი მთავრული ასოების ხმარება ისეთი სახით, როგორითაც ეს „დროებაში“: დარღვეულია ადვილად წასაკითხავი შრიფტის მთავარი პირობა — ასოთა ნაკეთობის მკვეთრი გამოყოფა საერთო ფონიდან. ეს განსაკუთრებით შეეხება ხაზზედა ასოებს. ისინი ხომ ისედაც მთავრულებს ჰგვანან („მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია ახალი ტელეგრაფმა პეტერბურგიდამ — 1,1,4).

„დროების“ ენაში დასტურდება მდიდარი და მრავალფეროვანი ფონეტიკური პროცესები. არ შეეჩერდებით მათ აღნუსხვაზე, რადგან გვხვდება ბგერათა ცვლილების თითქმის ყველა ის სახე, რომლებიც დიალექტებისა და აქედან XIX ს. მწერლობისთვისაა დამახასიათებელი.

მორფოლოგიური თავისებურებებიდან საყურადღებოა:

1. არქაიზმები. ძველებური წარმოების ფორმები დასტურდება ბრუნებაში. კერძოდ, არქაულადაა წარმოდგენილი მოთხრობითი ბრუნვა (რომელმან ც — 15,3,4);

გვხვდება უთანდებლო მიცემითის ადგილის გარემოების ფუნქციით ხმარების შემთხვევები (შამილი ჭებას მივიდა, აქედან მექქას, ანუ ქაბას მივა — 16,4,3);

კუმშვადი სახელები ხშირად უკუმშველადაა წარმოდგენილი (მოსავალი — 1,1,2; წინაპარებს — 10,4,1);

გვხვდება მსაზღვრელისა და საზღვრულის ერთად ბრუნების დროს სრული შეთანხმება მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვებში, მსაზღვრელი ნათესაობითში მოქმედებით ბრუნვაში დასმულ საზღვრულთან (ახალს უცნობს აზრს — 35,2,4; თაეისის მოქალაქობრივის მიმართულებით — 11,3,4);

მრავლობითი რიცხვის წარმოებაში თავისებურია ორმაგი სუფიქსაცია. ებ-სუფიქსიანი მრავლობითის სახელი დასმულია კვლავ მრავლობითში და წარმოდგენილია -თა სუფიქსით (ქალბთა — 1,1,3);

ნათლად ჩანს არქაიზმი ზმნისწინთა გამოყენებაში (აღკრძალულია — 11,2,9; განაგრძელა — 9,4,2; გარდააცილა — 22,3,4; გარდაუწყვეტია — 41,3,4);

ზმნაში არქაიზმები დასტურდება დრო-კილოთა წარმოებაში: I სერიის მწკრივებში გამოყენებულია მარტივი ფუძე (დაბეჭდს — 10,1,4); ფუძე იკუმშება III პირის მრავლობით რიცხვში (პკერვენ — 17,4,3; ჩაუნერგ-

³ სილოვან ხუნდაე, მაგალითად, ასე ასაბუთებდა მთავრული ასოების ხმარების აუცილებლობას: „მთავრულები დიდათ უადვილებს მკითხველს წაკითხვლის გამოკრებას, საკუთარი სახელებისა და ცალკე აზრების გამოძენას; თუთ კითხვის დროსაც უფრო ახერხებს მკითხველი თავთვის ადგილას დროზე შეჩერებასა და დასვენებას“ (ს. ხუნდაე, სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901, გვ. 200).

ვენ — 41,3,4); უწყვეტლის III პირში იხმარება -ვიდ და -იდ სუფიქსები (ი მ ა რ თ ვ ი დ ა — 23,3,4; მ ლ ე რ ი დ ნ ე ნ — 20,1,4).

გვხვდება ზმნის არქაული აღწერითი ფორმები (ღ ა ლ ა დ ჰ ყ ო ფ ს ა — 1,2,4; უ ა რ ს ა ვ ყ ო ფ — 15,4,3),

ძველ. შეუხორცებელ ფორმებს გვიჩვენებენ ნაწილაკები (ვ ი ლ ა მ ა ც — 10,1,3);

2. „დროების“ ენაში დასტურდება ხელოვნურად ნაწარმოები, ანალოგიით წარმოქმნილი ფორმები. ასეთია მორფოლოგიურ დანიშნულებას მოკლებული ჰ-, ჰს- პრეფიქსების ხმარება როგორც სამკაულისა, „რომელიც საჭიროა აქუსტიკური შთაბეჭდილების გასაძლიერებლად“⁴. გვხვდება ზმნებში და სხვაგანაც (ჰ ს ც დ ი ლ ო ბ დ ნ ე ნ — 18,3,3; ჰ კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს — 22,4,2; ვ ა პ ი რ ე ბ ჰ ს ჯ ა ს — 44,1,2; ო რ ა დ გ ა ჰ ყ ო ფ ა — 21,3,2; ვ ჰ ს თ ხ ო ვ — 10,2,1).

ცნობილია, რომ რუსული ენის მიბაძვით XVIII ს. წიგნურ მეტყველებაში გამომუშავდა მდებარეობით სქესის სახელთა ხელოვნური წარმოების ტრადიცია⁵. „დროების“ ფურცლებზე იშვიათად, მაგრამ მაინც ვხვდებით ამის ნიმუშებს (გამოყვანილია მშვენიერი ფენიების მეფა — 45,1,3).

3. ხალხურ მეტყველებაზე დაფუძნებული „დროების“ ენა, ბუნებრივია, ვერ ასცდა დიალექტიზმებს. დიალექტების გავლენა ჩანს -აბოლოკიდურიაწი სახელების მრავლობითის წარმოებაში. -ებ ფორმანტის დართვისას -ა არ იკვეცება (შ ე ნ ი შ ე ნ ა ე ბ ს — 16,4,4; დ ლ ე ო ბ ა ე ბ შ ი — 14,2,1; ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ე ბ ი — 8,2,1).

გვხვდება თანდებულთა დიალექტური ვარიანტები. აქ საყურადღებოა -ვით თანდებული ნათესაობით ბრუნვაში დასმულ სახელთან (ვ ა ჯ რ ი ს ა ვ ი თ — 3,1,2; მ ე ხ ი ს ა ვ ი თ — 4,3,1) და, იშვიათად, ზმნასთან (ა რ მ ი ნ დ ა ს ა ვ ი თ — 4,2,3).

აღმოსავლური კილოების გავლენა ჩანს პრევერბთა ხმარებაში: მო-, შე- პრევერბები გვხვდება ხმოვანშეცვლით (შ ა მ ე კ ე დ ა რ ა — 13,1,4; შ ა მ დ გ ა რ ა — 4,4,4), ხოლო მოსალოდნელი გა-, ჩა-, შე-, მო- პრევერბების ნაცვლად — და (ღ ა ა ლ ა რ ი ბ ე ბ ს — 12,2,3; დ უ ქ ე ნ ბ ი დ ა ე ლ ო თ — 47,3,1; სა ქ ო ნ ე ლ ი დ ა ს ძ ი რ ა — 22,4,3; დ ა ი ა რ ა ლ ე ბ უ ლ ი — 21,3,2; თ ა ე -დ ა ე ა ე ბ უ ლ ი — 35,2,4; დ ა ე მ ზ ა დ ა პ რ უ ს ი ა — 41,3,1).

დასტურდება აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ავ-ამ, ებ-ობ, ობ-ებ თემის ნიშნების მონაცვლეობა (გ ა მ ო ხ ა ტ ა მ ს — 2,2,2; აღ რ ჩ ე ვ ა დ ა ი წ ყ ო ბ ა — 2,1,1; დ ა წ ყ ო ბ ა — 4,1,1 — დაწყება; ც ხ ო ვ რ ე ბ დ ნ ე ნ — 18,3,3).

ისევე როგორც დიალექტებში, კერძოდ ქართლურსა და ზემომიგრულში, დაცულია III სუბ. პირის -ს და ობიექტის მრავლობითობის -თ სუფიქსები (დ ა გ ა ყ რ ი ს თ — 4,4,3; ს უ რ ს თ — 14,3,4; უ დ უ ლ ს თ — 36,1,4).

ინვერსიული სტატიკური ზმნები იხმარება -იან სუფიქსებით, როგორც ეს გვხვდება აღმოსავლურ დიალექტებში (შ ე უ ძ ლ ი ა ნ — 8,4,1; 3,1,2...).

⁴ ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, 1, თბ., 1957, გვ. 223.

⁵ ი. ჭავთარაძე, ა. ჭავჭავაძის ენის თავისებურებანი, თსუ შრომები, ტ. 55, 1954, გვ. 305.

თანამედროვე ქართულში დამკვიდრებული -ნენ სუფიქსის პარალელურად ნამყო დროის მრავლობით რიცხვში გვხვდება დიალექტებისათვის დამახასიათებელი -ენ სუფიქსი (ც დ ი ლ ო ბ დ ე ნ — 23,3,1; ი ც ო დ ე ნ — 1,3,1).

წყვეტილის -ე სუფიქსიან ფორმებს დაერთვის -ვი მარცვალი (შ ე ვ ე ხ ე ვ ი თ — 2,4,2).

სიტყვაწარმოება „დროების“ ენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია. აქ ვხვდებით ბევრ თავისებურ წარმონაქმნს.

უარყოფითი „არ“ ნაწილაკის სიტყვათა საწარმოებლად ხმარება ანუ მისი გაცოცხლება, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ი. ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება. ამიტომ ბუნებრივია, ასეთი წარმონაქმნები „დროების“ ენაში რომ გვხვდება. ბევრი მათგანი დღესაც იხმარება, ნაწილი — შედარებით იშვიათად (ციტყვით იმის ა რ ა დ ი რ ს ე ბ ე ბ ზ ე დ — 4,1,4; ა რ ა მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი — 3,2,3).

თავისებურია აბსტრაქტულ სახელთა წარმოება. საწარმოებელ ფუძედ გამოყენებულია მეტყველების სხვადასხვა ნაწილი, მაწარმოებლებად — ძირითადად -ება და -ობა სუფიქსებით უკანასკნელის უპირატესობით.

ხშირად სალიტერატურო ქართულში მოსალოდნელი -ება სუფიქსის ნაცვლად -ობა იხმარება (მ ყ უ დ რ ო ო ბ ა — 30,1,1; ჩ ე ე უ ლ ო ბ ა — 5,4,2).

ზოგი აბსტრაქტული სახელი ხელოვნურის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთია დ ა ნ ა შ ა უ ლ ო ბ ა (7,4,3), სი-ე აფიქსების ნაცვლად -ობა სუფიქსით ზედსართავი სახელისაგან ნაწარმოები წ ყ ნ ა რ ო ბ ა (3, 2, 4), სახელზმნისაგან მიღებული ყ ო ფ ნ ო ბ ა (ყ ო ფ ნ ო ბ ი ს დროს — 41,2,3). გვხვდება -ობა სუფიქსის ნაცვლად სი-ე აფიქსებით ნაწარმოები აბსტრაქტული სახელებიც (ს ი მ ტ რ ე ს ა — 6,2,4).

ხელოვნურს ჰგავს აგრეთვე მიმღეობათაგან -ება სუფიქსით წარმოქმნილი ზოგი სახელი (მ ო ვ ლ ე ნ ი ლ ე ბ ა — 16,4,4; შ ე ც ო დ ი ლ ე ბ ა — 35,2,1; შ ე ც თ ო მ ი ლ ე ბ ა ს — 35,2,1).

დანიშნულების გამომხატველი სა-ო აფიქსები ზოგჯერ -ურ სუფიქსის ნაცვლად იხმარება. ამის მაგალითს ვხვდებით „დროების“ ყოველ ნომერში, პირველ გვერდზე, მისი ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელი სიტყვების — ს ა პ ო ლ ი ტ ი კ ო და ს ა ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ო გაზეთი — სახით,

დასტურდება უფროობითი ხარისხის გაძლიერებული ფორმა (უ უ წ მ ი ნ დ ე ს ი — 36,2,4).

თავისებურია მე-ე და მო-ე აფიქსებით ნაწარმოები ზოგი სიტყვა (მ ე ე რ თ მ ა მ უ ლ ე ბ ს ა — 4,3,1. იხმარება „თანამებამულის“ მნიშვნელობით; მოთანამედებენი — 15,1,1. იხმარება „თანამედებობის პირის“ მნიშვნელობით).

გვხვდება -ილ სუფიქსის ნაცვლად -ულ სუფიქსის გამოყენების შემთხვევები (ჩ ა ნ ე რ გ უ ლ ი — 30,1,2).

საშუალი გვარის მიმღეობათა აფიქსებითაა ნაწარმოები ზოგი მოქმედებითი გვარის მიმღეობა (მ კ ე რ ვ ა ლ ი — 9,3,3. აქედან — აბსტრ. სახელი მ კ ე რ ვ ლ ო ბ ა — 14,2,4).

საინტერესოა სახელთაგან ზმნის წარმოება (შ ე ა ბ ო რ კ ი ლ ე ს — 23,3,2; ქ ა რ ა ვ ნ ო ბ ს — 20,1,1).

სალიტერატურო ენაში მოსალოდნელი პრეფიქსული ვნებითის ნაცვლად ზოგჯერ უხმარიათ სუფიქსური (ღ ა ნ ა ნ დ ე ს — 47,2,4) და პირიქით — პრეფიქსული სუფიქსურის ნაცვლად (ღ ა ი ქ ი ლ ო ვ ე ბ ა ო — 20,3,3).

დასტურდება ორგანული წარმოება აღწერითის ნაცვლად (ი მ ე დ ე უ ლ ო ბ ე ნ — 16,2,3).

ყურადღებას იქცევს წარმოქმნილისაგან ხელახლა ნაწარმოები სიტყვები (ს ა ს ა შ ი შ რ ო — 18,3,4; ს ა მ ქ ო ბ ი ნ ა რ ო თ — 2,1,1). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა რთული შედგენილობის სახელებისაგან წარმოქმნილი სიტყვები. მაგალითად, კომპოზიტი ხ ე ლ ს ა ქ მ ე აწარმოებს ახალ სახელს, რომელიც სხვადასხვა ფორმით გვხვდება (ხ ე ლ ს ა ქ მ ა რ ს — 30,2,1; ხ ე ლ თ ს ა ქ მ ა რ ი ს — 22,4,3; ხ ე ლ თ ნ ა ს ა ქ მ ა რ ე ვ ი ს — 26,4,3). აქვე დავასახელებთ კომპოზიტებისაგან ნაწარმოებ ზმნებს — გ ა ა კ ე თ ი ლ კ ა ე ბ ს (20,3,1); ი ზ ე დ მ ო ქ მ ე დ ე ს (13,2,2).

საერთოდ კომპოზიტები გვხვდება ყველა სახისა. საყურადღებოა შედარებით ნაკლებად გავრცელებული და თავისებურად ნაწარმოები სიტყვები, როგორცაა, მაგალითად, არსებითი სახელების შეერთებით მიღებული — კ ა ნ ო ნ დ ა წ ე ს ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა (15,2,4), აბსტრაქტული სახელებისაგან შექმნილი — გ ა მ ო მ ე ძ ი ე ბ ლ ო ბ ი ს მ ო ყ ე კ რ ე ო ბ ა (10,3,2), არსებითი სახელისა და მიმღობისაგან — ხ ა ლ ხ -გ ა ლ ე წ ი ლ ი ქ ა ლ ა ქ ი (23,3,4), ზმნიზედისა და აბსტრაქტული სახელის შეერთებით მიღებული კომპოზიტი — მ უ ლ ა მ ც ვ ლ ი ლ ე ბ ი ს თ ვ ის ე ბ ა (13,1,1); ახლებურადაა შექმნილი თანდებულისა და სახელზმნისაგან ნაწარმოები ზ ე დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა (3,2,2; 6,2,3...).

„ღროების“ ლექსიკა საკმაოდ ჰრელია.

დასტურდება დიალექტებიდან, ცოცხალი პეტყველებიდან შემოტანილი სიტყვები და გამოთქმები. ზოგი დღეს იშვიათად იხმარება ან მნიშვნელობა შეცვლილია. ასეთია, მაგ., სასაუბრო — ლ ი რ ფ ი (47,4,4); ფშაური — გ ა ც რ ც ე ი ლ ი ო⁷ (36,2,4); იმერული — კ უ შ ნ ა⁸ (ეს... მოთხრობაც იმ ყუთში უნდა ი ი ა ი ქ უ შ ნ ო ს — 51,2,4).

ლექსიკონების მასალებთან შედარებით განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება ც ხ რ ა წ ვ ე ნ ა ო ბ ა (ბევრით განირჩევა... თავის ხასიათით, ან უფრო სწორეთ რომ ვთქვათ, უხასიათობით, ც ხ რ ა წ ვ ე ნ ა ო ბ ი თ — 2,1,2)⁹.

ზედსართავი სახელის „მუღმივის“ მნიშვნელობით იხმარება ზმნიზედა მ უ ლ ა მ (ეს გახლავან „ღროების“ მ უ ლ ა მ თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ბ ი — 51,2,1).

ყურადღებას იქცევს სიტყვა „შესანიშნავი“. ჩვეულებრივად, მას ვხმარობთ შესამჩნევის, დიდად მნიშვნელოვანის გაგებით — საუკეთესოს, უბაღლოსაყენ გადახრით¹⁰. „ღროებაშიც“ ის, რაც უნდა შეინიშნოს, „შესანიშნა-

⁶ დიალექტებში დასტურდება ხ ე ლ ს ა ქ ნ ა რ ი: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, 1964.

⁷ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ლლონტმა, I, თბ., 1974.

⁸ იქვე.

⁹ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VIII, 1964; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ლლონტმა, II, თბ., 1975. დამოწმებულ ტექსტში ც ხ რ ა წ ვ ე ნ ა ო ბ ა არამყარ ხასიათს, უნებისყოფობას უნდა ნიშნავდეს.

¹⁰ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VII, თბ., 1962.

ვია“, ოღონდ თითქმის ყოველთვის ძალიან ცუდის, არასასიამოვნოს გაგებით (31,4,2; 35,4,3...).

ბევრია რუსული ლექსიკის ნიმუში. არ შევჩერდებით ბარბაროზმებზე, რაც XIX ს. ენისათვის შესამჩნევ მოვლენად იქცა (დაწესებულებების, თანამდებობების სახელწოდებები თითქმის მხოლოდ რუსული გამოთქმით იხმარება). საყურადღებოა ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც რუსული ენის გავლენით წარმოქმნილის შთაბეჭდილებას ტოვებენ. ასეთია, მ ო შ უ ა მ დ გ ო მ ე ლ ი (სხვათა შორის, ერთგან იქვეა განმარტებული — პოსრდენიკა — 51,2,3); მ ი ვ ი ლ ო თ ს ა ხ ე შ ი (47,3,2) иметь в виду-ს ფარდად; ე გ ზ ა მ ე ნ ი ვ ე რ დ ა ვ ი კ ა ე ე ო (27,3,3. შღრ. не выдержал экзамена).

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის ქართული სალიტერატურო ენა უცხო სიტყვებით გამდიდრდა. მათ, ბუნებრივია, ხშირად ვხვდებით პრესის ფურცლებზე. ამდენად, უფრო მეტად საინტერესოა დღეს გავრცელებული უცხო სიტყვების ნაცვლად ხმარებული სიტყვები, როგორცაა, მაგალითად გ ე მ ი ს ს ა დ გ უ რ ი ა დ გ ი ლ ე ბ ი (33,3,2), ც ე ც ხ ლ თ მ ქ შ ი ნ ა ვ ი მ თ ა (25, 4,3) პორტისა და ვულკანის ნაცვლად.

„ღროების“ სინტაქსურ-სტილისტიკურ თავისებურებათა განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ჭერ მხოლოდ ყალიბდებოდა გაზეთის ენა. აქვე თუ გავითვალისწინებთ დაბრკოლებებს, რომლებიც საერთოდ გაზეთის, განსაკუთრებით „ღროების“ რედაქციას ელოებოდა, სრულიად ბუნებრივად მოგვეჩვენება ის ხარვეზები, რაც ამ გაზეთს ჰქონდა. დაბრკოლებებში იგულისხმება უსახსრობა¹¹, აქედან — ღროის სიმცირე, და ისიც, რომ, როგორც ს. მესხი აღნიშნავდა, „ყველა, ვისაც შეუძლია და არ შეუძლია წერა, ავზავნის დასაბუქდათ თუ ღრმა აზროვან სტატიებს, თუ უკუდო კორრესპონდენციებსა და თუ ფურტურო ლექსებს“¹². და მაინც, მთავარი დაბრკოლება ალბათ ცენზურა იყო — „ის ჩეხავდა ცალკეულ სტატიებს, რაც იწვევდა ქართული წინადადების კონსტრუქციის რღვევას და საერთოდ, ენის დამახინჯებას“¹³. ყოველივე ამან ვერ შეუშალა ხელი „ღროებს“ გამოეკვთა თავისი ენის დამახასიათებელი ნიშანი — ტენდენცია, მიჰყვეს ახალ სალიტერატურო ენას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ქვემდებარისა და შემასმენლის, პირმიმართი დამატებებისა და შემასმენლის ურთიერთობაში, მსაზღვრელისა და საზღვრულის დამოკიდებულებაში, წინადადებათა სინტაქსურ წყობაში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ „ღროების“ ენა ერთი არ არის. სხვაა ის ენა, რომელსაც სახაზინო განცხადებებსა და სამოსამართლო ქრონიკებში ვხვდებით, სულ სხვაა კორრესპონდენციების ენა და სულ სხვაა ის ენა, რომლითაც „პოლიტიკა“ და „შინაგანი ცნობები“, „სხვადასხვა ამბები“ და „ტელეგრაფები“ იწერება.

¹¹ გაზეთი მის ორად ორ თანამშრომელს ვერ აძლევდა „იმდენ ღონისძიებას, რომ იმის შემოსავალი გაზეთის ხარჯსაც აუვიდეს და იმათაც. ამის გამო ისინი იძულებულნი არიან სხვა პურის მძლველ საქმესაც მოჰკიდონ ხელი“ (ვახ. „ღროება“, 1870, 51,2,1).

¹² იქვე.

¹³ ი. ბ ო ც ე ა ძ ე, სერგეი მესხი და 70—80-იანი წლების ქართული პრესა, თბ., 1969, გვ. 188.

საერთო შთაბეჭდილების შესაქმნელად მოვიყვანთ ნაწყვეტებს სხვადასხვა განყოფილებიდან:

1. „... და კანონი ითხოვს, რომ მამული ასის დღისა მიინც ჰქონდეს ახანაურსა ანუ თავდასა, რომ საუეზლო შეკრებილებაში შეესვლებოდეს, — და ათასის დღისა მიინცა, რომ საგუბერნიო შეკრებილებაში შეესვლებოდეს, კენჭით რჩევაში მონაწილეობისათვის“ (3,1,3);

„სამშაბათს ამ იანვრის 27-ს თბილისის უეზდის მომრიგებელ მოსამართლესთან (პავლიევთან) სწარმოებდა საინტერესო საქმე კერესელიძისა... და დების საგინოვის ქალისა და ხელაძის მეუღლისა“ (4,2,4).

2. „— ვაი ამ სალანანების ბრალიო, ამბობს მეორე გაზეთი, რომ თითო-ოროლა გროშის საშოვნელათ სხვა საშუალი არა აქეთო. ოღონდაც, რომ ვაი და ვავალხი უნდა იყოს მათი ცხოვრება“ (10,2,3);

„თფილისის ისე დიდძალი ხალხი აწევს, რომ, როგორც ჩვენი გლეხი ამბობს ქალაქზე, „ზღვია“ და აქედგან გარეთ ძნელათ თუ პური გავიდეს (13,1,4).

3. „სამინისტროში იყო სჯა ფრანციაში სიკვდილით დასჯის მოსპობაზე; გარდაწყვიტეს, რომ საქვეყნოთ სიკვდილით დასჯა შემდეგში აღარ უნდა იქნესო“ (5,3,1);

„ფრანციაში სამინისტრო საეკვო მდგომარეობაშია. ნაპოლონს უნდა, რომ ხალხში ხმის მიცემა მოხდეს კონსტიტუციის პროექტის თაობაზე, — მინისტრები თანახმანი არ არიან“ (12,3,4).

რამდენადაც მძიმეა და ხელოვნური განცხადებებისა და „სამოსამართლო ქრონიკის“ ენა (1), იმდენად ბუნებრივია და ჩვეულებრივ სასაუბრო ენასთან სიახლოვეს იჩენს „რუსეთის ამბებისა“ და „შინაგანი ცნობების“ ენა(2), ხოლო „პოლიტიკისა“ და „ტელეგრაფების“ მკაფიოდ ჩამოყალიბებული, სხარტი და მოკვეთილი ფრაზები მოკლედ უპასუხებს შეკითხვებზე: სად, რა, როდის (3).

სტილისტიკური კონსტრუქციებიდან საინტერესოა ორმაგი უარყოფა. საერთოდ, ჰარბობს ერთმაგი უარყოფის შემთხვევები. ორმაგია იქ, სადაც იგრძნობა უარყოფის გაძლიერების სურვილი (წესდების ძალით დადებულია, 1), რომ არ ავიინ არ აწვეალოს არც ერთი ცხოველი, ... 3) არ ავიინ არასოდეს არ უნდაც მოკლას... — 21,3,3).

აზრის გამაძლიერებელი საშუალებაა ავრეთვე სინონიმების პარალელური გამოყენება (... ჰქონდათ ამ დიდ კაცზედ გავლენა და ზედმოქმედება — 3,2,2).

„დროების“ სტილს ქმნის სხვათა სიტყვის -ო ნაწილაკის ხშირი ხმარებაც. რაც ალბათ სასაუბრო ენასთან დაახლოების სურვილით არის ნაკარნახევი. -ო ნაწილაკი, ჩვეულებრივად, ნათქვამს მიერთვის ბოლოს და ერთხელ, მიუხედავად იმისა, მარტივია თუ რთული წინადადება. აქ კი მისი ადგილი ცვალებადია — გვხვდება თავში, ბოლოშიც. ხშირად ერთ წინადადებაში მეორდება (ჩვენთვის აუცილებლად საჭიროაო ...საზოგადოების დაარსებაო — 14,3,3; სახელმწიფოს თავი დარწმუნდაო, რომ ... ერის ნებით უნდა მოქმედებდესო — 9, დამატ., 1,1).

უხვადაა გამოყენებული ანდაზები და ჩვეულებრივი სასაუბრო ენიდან გადმოღებული გამოთქმები. ისინი ხან უცვლელადაა ტექსტში ჩართული, ხან სტილიზებულიად („აქამდის უდროოთ სიტბოს და მოწმენდილ ცას ვემღუროლითო და ახლა კი მომატებულ სიცივეებს ვაყვედრითო: „ვანის“ გავყარეთ და

„უის“ შევეყარეთო!“ — 4,1,2—3; „იმას შეუძლია ... ურის ვალი არ დაატე-
 ზოს, ნათქვამია — უზომო სარგებელი — ცეცხლიაო“. — 13,2,1: „რუსები
 რომ იტყვიან „კატური კონცერტიო“, სწორედ იმასა ჰგავს“. — 36,2,1; „ეს
 ისეთი მწერალია, ჩვენებური ანდაზისა არ იყოს, რომ მისი არც ღმერთს ერგე-
 ბა რამე, არც კაცს“. — 35,2,4).

„ღროების“ (მხოლოდ ერთი, 1870 წლის. ნომრების) ენის გაცნობამ
 დაგვანახვა, რომ ეს გაზეთი შეიცავს საყურადღებო მასალებს ქართული სალი-
 ტერატურო ენის განვითარებისა და ნორმალიზაციის, ლექსიკოგრაფიის ისტო-
 რიისათვის, რამდენადაც მასში დასტურდება არქაული, დიალექტებიდან მომ-
 დინარე, ხელოვნური წარმოების შემთხვევები, ნეოლოგიზმები. ამ ენის შეს-
 წავლას მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქართული ენის სიწმინდისათვის ზრუნვის
 ისტორიის შესასწავლად.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
 აკადემიკოსმა ს. ჭიჭიამ)

ზურაბ სარჯველაძე

XI—XV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტთა ძირითადი
ორთობრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი

საისტორიო დოკუმენტების მნიშვნელობა ენის ისტორიისათვის, ისტორიული დიალექტოლოგიისათვის ძალზე დიდია¹. საისტორიო საბუთები უმთავრესად ცოცხალ მეტყველებას ემყარება. ამის გამო ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებანი მათში მკვეთრად აისახებიან. საისტორიო საბუთის შემდგენი ნაკლებად არის შეზღუდული სალიტერატურო ენის ნორმებით.

თუმცა ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, ჩვეულებრივ, საისტორიო დოკუმენტთა შემდგენელნი სალიტერატურო ენის დიდ ზეგავლენას განიცდიან, ისინი ცდილობენ სალიტერატურო ენის ნორმების დაცვას². ხშირად მთელი ფრაზებია აღებული ძველი წიგნებიდან, ხშირია ტრაფარეტული შესავალი და დასასრული.

XI—XV საუკუნეთა ქართული საისტორიო დოკუმენტები მნიშვნელოვან მასალას გვაწვდიან ქართული ენის ისტორიისათვის. რა თქმა უნდა, აქ დიდ როლს ასრულებს შემდეგი ფაქტორები: სად არის დაწერილი ესა თუ ის საბუთი, ვინ არის დამწერი, დედანთან გვაქვს საქმე თუ პირთან, რა დროისაა დედანი, ან პირი და სხვ.

საბუთების ერთი დიდი ნაწილი გაცემულია საქართველოს სამეფო კარის, ან კიდევ ეკლესია-მონასტერთა მიერ. ამ ტიპის საბუთები არსებითად თავიანთი ეპოქის შესაბამისი სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით არის გამართული. ანუ საბუთებში დიალექტიზმთა, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა მოძიება საკმაოდ ძნელია. ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი: სამეფო კარის მიერ გაცემულ საბუთთა დიდი უმრავლესობა დაწერილია მხედრულად, ხოლო საეკლესიო საბუთთა დიდი წილი — ნუსხურად. ნუსხური ანბანი შეიცავდა რიგ ნიშნებს (ა, ბ, ვ), რომელთა შესატყვისი ბგერები ენას უკვე დიდი ხანია აღარ გააჩნდა, მაგრამ ეს ასოები ინხარებოდა

¹ В. М. Жирмунский. История немецкого языка. М., 1955, гл. 74—75; В. В. Иванов. Историческая грамматика русского языка. М., 1964, гл. 17—18; Курс исторической грамматики русского языка. Edіtura Didactica, și Pedagogica. București, 1963. гл. 59. П. Я. Черны х. Историческая грамматика русского языка. М., 1962, гл. 24 და სხვ.

² ამას აღნიშნავს თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც კი საისტორიო დოკუმენტებს განიხილავს. რამდენადმე ამითვე აიხსნება ის სექტციური დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდა საისტორიო დოკუმენტთა მიმართ რუსული ენის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ა. სობოლევსკი (А. И. Соболевский, Лекции по истории русского языка. М., 1907, гл. 11—12).

როგორც ამ დროის საეკლესიო მწერლობის ძეგლებში, ასევე საისტორიო დოკუმენტებშიაც. უფრო მეტიც, ნუსხურის ორთოგრაფიის ზეგავლენით აი, ეო, იო, უი ჯგუფები საკმაოდ ხშირია მხედრულად დაწერილ საბუთებშიაც.

ძალზე მნიშვნელოვანია ისტორიული დიალექტოლოგიისათვის ის მონაცემები, რომელთაც გვაწვდის ქართლის სხვადასხვა კუთხეში დაწერილი საბუთები. ხშირად ამგვარი საბუთები (თუ ტრაფარეტულ გამოთქმებს არ მივიღებთ მხედველობაში) დიალექტური ტექსტების შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთია სხვადასხვა დავის გადაწყვეტილებათა დაწერილები, ვენახის, სახნავსათესი ადგილების ბოძების სიგელები და მისთ. უდავოა, რომ ამგვარ სიგელებს ადგენდნენ ადგილობრივი პირები, თანაც ამ საბუთთა დანიშნულება ისეთი იყო, რომ ისინი ნაკლებად განათლებული წრისათვის უნდა ყოფილიყო გასაგები. ყველაფერი ეს განსაზღვრავდა ამგვარ სიგელ-გუჯართა ენის დემოკრატიულობას. ცხადია, რომ ამ ტიპის სიგელთა შემდგენლები თავიანთი განათლებითაც, სალიტერატურო ენის ნორმათა ცოდნითაც ვერ შეედრებოდნენ სამეფო კარის საბუთთა შემდგენლებს.

არის ერთი ჯგუფი საბუთებისა, რომლებიც შედგენილია ქართულის სუსტად მცოდნეთა მიერ. მხედველობაში გვაქვს სვანეთის საისტორიო დოკუმენტთა ძალზე დიდი ნაწილი. ეს საბუთები დაწერილია სვანთა მიერ. ამას მოწმობს სვანურ სიტყვათა (უსგუაშლი „სამოცი“, ვარჯ „ზნაური“ და მისთ.) და სვანური ფონეტიკისა და გრამატიკისათვის დამახასიათებელ მოვლენათა გამოვლენა ამ საბუთებში. მეორე მხრივ, ეს საბუთები მნიშვნელოვანია დასავლური ქართული დიალექტებისათვის დამახასიათებელი ზოგი ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენის ასახვითაც (ეს საბუთები შედგენილია, რა თქმა უნდა, სვანების მიერ, მაგრამ ქართულად. საფიქრებელია, სვანებს მაშინ სალიტერატურო ქართული ვერ ეცოდინებოდათ; ალბათ, მათთვის უფრო ხელმისაწვდომი იყო ის ქართული მეტყველება, რომელიც მაშინდელ დასავლურ დიალექტებში რეალიზდებოდა).

ძალზე მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორი: დედანთან გვაქვს საქმე თუ პირთან. პირები შესაძლოა ძველიც იყოს, ან კიდევ ძალზე გვიანდელი. ენის ისტორიკოსისათვის თანაბარი ღირებულება ვერ ექნება XI საუკუნის საბუთის დედანს, ან ამავე დროის საბუთს, ოღონდ მიღწეულს XVIII. ან XIX საუკუნის პირით. პირში, ჩვეულებრივ, აისახება გადაშვრისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებები. ისიც შესაძლებელია, რომ გვიანდელი პირი კარგად იცავდეს დედნის ნორმებს, მაგრამ ენის ისტორიკოსი ვალდებულია, ყოველთვის კრიტიკულად უყურებდეს პირს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ სრულებით უარი ვთქვათ პირების მონაცემთა გამოყენებაზე ენის ისტორიის კვლევისას. მაგრამ ამ მონაცემების მოხმობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი ენობრივი მოვლენები ცნობილია ამავე ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლებიდან. ხოლო თუ ისინი იზოლირებულ ხასიათს ატარებენ, უარი უნდა ვთქვათ მათ დამოწმებაზე. მაგალითად, XIX საუკუნის ერთ-ერთი პირი Φ გრაფემას გამოავლენს. ამავე დროს ცნობილია, რომ XI—XV საუკუნეთა წერილობითი ძეგლებისათვის (სიგელთა დედნები, საეკლესიო და საერო მწერლობის ძეგლები, წარწერები...) უცბოა Φ გრაფემა. ამის მიხედვით, Φ გრაფემა ამ პირში უნდა დავახასიათოთ, როგორც მისი გადაშვრის შემონატანი. რა თქმა უნდა, სრულიად უადგილოა, ამ ფაქტის მიხედვით ვიმსჯელოთ Φ ფონემის არსებობაზე ენის ფონემატურ ინვენტარში.

ქართული ენის ისტორიისათვის საყურადღებო შედეგებს გვაძლევს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებისა და საისტორიო დოკუმენტთა მონაცემების შედარება.

სალიტერატურო ენის კონსერვატიული ხასიათი ხელს არ უწყობდა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა გამოვლენას. და მაინც V—XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლები ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ არაერთ მოვლენას გამოავლენენ. ირკვევა, რომ ძალზე ხშირად ისეთი მოვლენებიც კი, რომლებიც ახალი ქართულისათვის არის ნიშანდობლივი, თავს იჩენს ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში. ამ მხრივ ისტორიულ დოკუმენტებში დიდ სიახლეებს არ უნდა მოველოდეთ. პრინციპული მნიშვნელობა იმ ფაქტს ენიჭება, რომ ზოგჯერ შეიძლება მთელი სქელტანიანი ხელნაწერი წაიკითხოს კაცმა, რაიმე „დარღვევა“ ძალზე იშვიათად, ან თითქმის ვერ იპოვოს, მაშინ როცა ისტორიული საბუთები ამ მხრივ გაცილებით მეტ მასალას იძლევიან. ერთ რომელიმე პატარა საბუთში შეიძლება იმდენი საინტერესო ფორმა აღმოვაჩინდეს, რამდენის მოპოვებასაც რამდენიმე ხელნაწერის წაიკითხვა დასჭირდებოდა.

ვფიქრობთ, რომ ისტორიული დოკუმენტების ენის კვლევისას უნდა გავითვალისწინოთ როგორც ადრეული, ისე იმავე ეპოქის სხვა წერილობითი ძეგლთა მონაცემები. ენის ისტორიის მკვლევარი ვერ დაემყარება მხოლოდ საისტორიო დოკუმენტთა მონაცემებს, ისე როგორც მათი გაუთვალისწინებლობა ვერ მოგვცემს შესაძლებლობას, რამდენადმე მაინც სრულიად წარმოვადგინოთ ენის ისტორიის სურათი.

ორთოგრაფია და ფონეტიკა. XIV—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში აისახება კ>ხ პროცესი: გუეაჩნეს და მოგუახსნენეს, Sd—380 (სიგელი კონსტანტინე მეფისა ფეროზ ვალადემურიშვილის მიმართ, 1407—1411 წწ.), შდრ.: ეისმინეთ აჟა და მოქსენება მათი, იქვე; მოგახსნეთ თქუნ, Ad—626 (დაწერილი კალაურელთა მიერ კათალიკოს დავითის მიმართ, 1453—1459 წწ.); ესე წიგნი მოგახსნეთ, იქვე; ათას-ათასი თანგი მოგახსნეთ, იქვე; ჩემითა ღონითა დავიხსენ ის ქუბი, ლენინგრ. H—71 (გიორგი ქაფშას ძის დაწერილი, 1450 წ. ახლოს); ესე წიგნი ნასყიდობისა დავიწერე და მოგ[ა]ხსენე, Ad—19 (ვენახის ნასყიდობის წიგნი, XV ს.); და სხუა დავიხსენ, ლენინგრ. H—72 (ნასყიდობის წიგნი შარბის ძეთა ქაფშაძეთა მიმართ, 1450 წ. ახლოს); ესე წიგნი და პირი მოგახსნეთ, Ad—125 (ერთგულების წიგნი მიცემული გაბრიელ ალავერდელის მიერ დავით კათალიკოსს, 1466—1479 წწ.).

ხშირია კ-ს ადგილას ხ Ad—1669-ში (სიგელი კონსტანტინე მეფისა მალანდიძის, 1472 წ.): ვენახითა; სახნავითა, სახმრითა და უხმრითა; ხელითა.

როგორც ვ. თოფურია³ დაადგინა, /ქ/-სთვის ხ, შ, თ, ც, ჩ თანხმოვანთა წინა პოზიციაა ნიშანდობლივი³. საყურადღებო ისაა, რომ კ>ხ პროცესის ამსახველი ფაქტები სწორედ /ხ/-ს წინა პოზიციაში დასტურდება. ანალოგიური შემთხვევები შეიძლება დავიმოწმოთ „ანდრია სალოსის ცხოვრების“ (H—1345, XI—XII სს.), კარაბადინის (Q—26, XIV—XV სს.) ტექსტიდან: მწარე გახსონს, ანდრია სალოსი 9რ, 18—19; ფრიალ ძვრის მოხსნე, მოძულე კაცთა, იქვე 68ვ, 4—6; ხოლო ეპიფანეს მოეხსენებოდეს სწავლანი ესე წმი-

³ ვ. თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, III, კ და ხ სიბილანტ აფრიკატებთან მეზობლობაში: საქართველოს არქივი, II, ტუ., 1927, გვ. 175—177.

ღისანი, იქვე 74v, 3—4; სხუა გახახსნელი წამალი მიეც, კარაბადინი 20r, 20—21; პირველად კელი გაუხსნენ, იქვე 61r, 11; და მიმწუხრი გარდამოხსნეს, იქვე 179r, 18—19; და მუცელი მითა გაუხსნათ, იქვე 25r, 12; ხშირად ვსწერე, ანდრია სალოსი 201v, 16, თავსა ხშირად იპარსედედს, კარაბადინი 71v, 22—23; ლაპარაკი გაუხშირონ, იქვე 63r, 17—18 და მისთ.

საინტერესო შეიძლება იყოს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ მთის დიალექტში კ/ხ შენაცვლება სწორედ ს, მ თანხმოვანთა წინა პოზიციამი შეინიშნება: მაშინის აუხსნით ამ კარებებსა (მთიულური, ქართ. დიალექტოლოგია, I, 67,11); ძველს დროსა ამ ჩუენს კეესა ხშირად ეცემოდინაყე (მოკეური, იქვე 41,11) და მისთ.

/კ/:/ხ/ ფონემატური ოპოზიციის მოშლის ამსახველი ფაქტები სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან გამოვლინდება. აქ ზოგ მათგანს დავასახელებთ: მრავალ არიან საბრკენი მისნი და აწ ივლტოდე საბრხეთაგან და მახეთა ეშმაკისათა, ათონ. მრავალთ. 274v, 8—11b; და წეალობითა მოიხსენე ვალატოზი იესე, ოშკის წარწ. გვ. 54: უკუეთუ გუამი ესე სიხშოასაჲ შეპყრობილ იქმნეს ამისგან, კაცისა აგებ. 167, 6—7b; ცხრაშეტსა წელიწადსა შიგან ერთხელ ოდესმე, ქრონიკ. 320, 13—14.

სალიტერატურო ენაში გამოვლენილი მასალის მიხედვით, X საუკუნისათვის სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ დიალექტში ხდება /კ/:/ხ/ დაპირისპირების მოშლა.

XIV—XV საუკუნეთა ის საისტორიო დოკუმენტები, სადაც კ/ხ შენაცვლება აისახება, უპირატესად ქართლურის მეტყველებას ემყარება. საფიქრებელია, რომ ამ დროის ქართლურში (ყოველ შემთხვევაში ამ დიალექტის ერთ ნაწილში, შესაძლოა, სამხრეთ საქართველოს მომიჯნავე არეალში მაინც) /კ/:/ხ/ ოპოზიცია იშლება.

Ad—1284a გამოავლენს ისეთ ფორმას, სადაც კ>ხ პროცესს ადგილი აქვს ისეთ შემთხვევაშიაც, როცა კ-ს ს არ მოსდევს: ბარითა, ველითა, ვენახითა, კალითა.

ვ/უ. ვ-სა და უ-ს გამომხატველ გრაფემათა სისტემატური ურთიერთშენაცვლება დასტურდება სევანეთის საისტორიო დოკუმენტებში. განსაკუთრებულ ყურადღებას ის იქცევს, რომ უ არის ძალზე ხშირად იქ, სადაც სალიტერატურო ქართულში ვ გვაქვს: კეჭსა, თაჭსმდებობითა, შეუ...
ეს მოვლენა შემთხვევითი არაა. ამ საბუთთა დიდი უმრავლესობა სევანების მიერ არის შედგენილი. სევანურში კბილბაგისმიერი ვ არ გვაქვს, მაგრამ არის წყვილბაგისმიერი უ. სევანი, ბუნებრივია, ქართულად წერისას ვ-ს ადგილას უ-ს წერს.

X—XIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის ძეგლებში დასტურდება ვ-სა და უ-ს გამომხატველ გრაფემათა მონაცვლეობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ცოცხალ მეტყველებაში, რომელსაც ამ დროის სალიტერატურო ენა ემყარება, /ვ/:/უ/ ფონემატური ოპოზიცია იშლება. ორიოდ ნიშნუმი: ვ/უ: იდიდა, შორის ძმათა თვსთა, მესამე მართვე, შატბ. კრებ. 91r, 17—19b; და ნაშობი არა ესვას, ლევიტ. 22,13 0; უკუეთუ გიწყვებოდის თქუენ, Sin.—36, 320, 30b—321, 1a; 321, 4—5a; რაათა აქვნდეს ესე სამოძღვრებლად, ფსალმ.

X—XIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის ძეგლებში დასტურდება ვ-სა და უ-ს გამომხატველ გრაფემათა მონაცვლეობა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ცოცხალ მეტყველებაში, რომელსაც ამ დროის სალიტერატურო ენა ემყარება, /ვ/:/უ/ ფონემატური ოპოზიცია იშლება. ორიოდ ნიშნუმი: ვ/უ: იდიდა, შორის ძმათა თვსთა, მესამე მართვე, შატბ. კრებ. 91r, 17—19b; და ნაშობი არა ესვას, ლევიტ. 22,13 0; უკუეთუ გიწყვებოდის თქუენ, Sin.—36, 320, 30b—321, 1a; 321, 4—5a; რაათა აქვნდეს ესე სამოძღვრებლად, ფსალმ.

4 უფრო დაწერილებით ანალოგიური ფაქტები განხილულია ჩვენს წერილში: კ და ხ გრაფემათა და /კ/ და /ხ/ ფონემატა ურთიერთმიმართებისათვის: ორიონი, 1967, გვ. 260—265.

გვ. 455, 25C; უ/ვ: შენ დაამტკიცენ ყოველნი საზღუარნი ქუეყანისანი, ფსალმ. 73,17B; არა ღირს-ვარ წოდებად შუილად შენდა, სინ. თარგმ სახარ. 82r, 12—82v, 1 და მისთ.

XI—XV საუკუნეთა საისტორიო დოკუმენტებში ვ გვხვდებოდა იქ, სადაც უ არის მოსალოდნელი: ყოვლითა მზღვრითა (სიგელი ბაგრატ IV-სა შიომღვიმის მიმართ, 1057 წ.); ბეშქენს სიცოცხლესა და გამარჯვებას ულოცვიდენ. კორიდეთის სახარების მინაწერი, 5r (XIII ს. II ნახ.).

უ/ვ მონაცვლეობა ძალზე ხშირია XV საუკუნის ისეთ საბუთებში, როგორცაა: Ad—14 (მამულის შეწირულების წიგნი მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის, 1412—1443 წწ.). Ad—19; Ad—125; Hd—11634 (ყმა-მამულის წყალობის წიგნი მიცემული ალექსანდრე მეფისა აეთანდილ ზევდგენიძისათვის, 1429 წ.) და ზოგი სხვა.

მას შემდეგ, რაც ვ და უ გრაფემათა ხმარების თავდაპირველი წესი მოიშალა, ზოგ საბუთში თავს იჩენს უ იქ, სადაც ადრე ვ იწერებოდა: ნებითა და შეწუწუნითა ღმრთისათა, Sd—380; ქართუელთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, Ad—1284; აღმოსაუღეთისა და დასაუღეთის თვითმპყრობელისა, Ad—14. ბაგრატ IV-ს 1057 წლის სიგელში გვაქვს მწუვალებელთა ფორმა, რომელიც კონტამინაციური დაწერილობის ნიმუშია: მწვალებელთა + მწუალებელთა > მწუვალებელთა. ამ რიგის კონტამინაციური დაწერილობანი ენის ისტორიისათვის ძალზე მნიშვნელოვანია (შდრ.: ქხ, ხქ, გქ და მისთ. დაწერილობანი).

ისტორიული დოკუმენტებიც იძლევიან იმის მტკიცების საშუალებას, რომ XI—XV საუკუნეთა ცოცხალი მეტყველების გარკვეულ არეალში (ჩვენი ვარაუდით, სამხრეთ საქართველოსა და ქართლის ტერიტორიაზე არსებული ცოცხალი მეტყველება) /ჟ/ იშლება, იგი /ვ/-ს ემთხვევა. ის, რომ ამავე ეპოქის და მოგვიანო ხანის ზოგ საბუთში გვხვდება ჟ, ტრადიციის ზეგავლენით უნდა აღსანიშნავს.

უ/ო. ცნობილია, რომ ქართულ წერილობით ძეგლთა ერთ ნაწილში შეინიშნება უ და ო გრაფემათა ურთიერთშენაცვლება⁸. ეს მოვლენა ძალზე დამახასიათებელია ისტორიულ დოკუმენტთა უმრავლესობისათვის. ჩვენი აზრით, საესებით სწორად იქცევიან ის გამომცემლები, რომლებიც გამოცემისას ამ ორთოგრაფიულ მოვლენას ასწორებენ.

უ/ო ხმოვანთა შენაცვლება ცოცხალი მეტყველებისათვის არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაგრამ არის ზოგი ფაქტი, რომელთაც უეჭველად ანგარიში უნდა გაეწიოს: თამარ მეფის სიგელი გელათის მიმართ (ცსსა 1148 ფ., № 5004, 1187 წ.) გამოავლენს იესო ფორმას. იხ. აგრეთვე: უფალსა ღმერთსა ჩუენსა იესო ქრისტესა, Hd—11625 (კეთილ-მოყვრობის წიგნი, მიცემული ბეგა მანდატურთუხუცესის მიერ თორელს, XIII—XIV სს. მიჯნა). ვაცილებით უფრო ადრე იესო გვხვდება სასულიერო მწერლობის ძეგლებში: განა-

⁸ თ. ეორდანი, შიომღვიმის ისტორიული საბუთები, 1896, 7; Н. Я. Марр, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы: ЗВОРАО, т. XIII, вып. II—III, 1901, გვ. 108; К. Кекелидзе, древнегрузинский Архипатрихон, 1912, გვ. XXIII; ა. შანიძე, ვანის მარმარილოს ქანდაკების წარწერის წაკითხვა-განმარტებისათვის: საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოკვ. XVII, 1955, № 9, გვ. 858; ქ. ლორთქიფანიძე, კათოლიკე ეპისტოლეთა ქართული ევრსებო და მაიო ენა, 1955, გვ. 126, შენ. 2; მ. ძიძიშვილი, ფონეტიკური პროცესები ძველ ქართულში, 1959, გვ. 42 და სხვ.

8. მაკენე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1976, № 2

შორე ესე ძალითა სულისა წმიდისა შენისაჲთა, ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩუენისა, Sin.—66 98r, 8—10; პრქუა იშსოს დედამან თვსმან, იქვე 109v, 1—2; პრქუა მას იესო, იქვე 109v, 3; ქრისტე იშსოს მიერ, უფლისა ჩუენისა, იქვე 121r, 21; ამან მოიყვანა იესოჲსა, ქსნ. ოთხთ. 127v, 15—16b; კულად იესო განკაცნა, A—603, 180,4; და სინანულისა უფლისა მიმართ ჩუენისა იესო ქრისტესა, საქმ. მოციქ. 50v, 4—5; რომელმან ყოველთა დაჰბადა იესო ქრისტეს მიერ, პავლ. ეპისტ. 169r, 15; და უძლური იგი შთაუტევეს წინაშე იესოჲსა, კათ. ეპისტ. 68v, 2—3; განცხადებულად ჭუარტუმასა იესოისსა ქადაგებს, თარგმ. ქებ. ქებათ. 25,12.

XI—XV საუკუნეთა საბუთების ერთ ნაწილს ახასიათებს მოკლენა, რომელიც ანმეტობის სახელით არის ცნობილი. ასეთი საბუთებია: Hd—1358a (1260—1300 წწ.); Hd—1301 (1465 წ.) და სხვა. მოიყვანთ რამდენიმე ნიმუშს: დაგიწერე მე, მსახურთ<ა> უხუცესმან<ა> ბეგამან<ა>, ძემან<ა> გ<ა>რიგოლ<ა> სულქურთხუელისამან<ა>, შენ<ა>, ჯომარ<ა> დისძესა ქუაფ<ა> ქუასა და ძ<ა>მასა შენსა ჯიშოსა, შვილ<ა>თა და ყოველ<ა>თავე მომავალ<ა>თა თქუნთა, Hd—1358a; სახელ<ა>ითა ღმრთისათა, მამ<ა>ისათა, ძისათა და სულ<ა>ისა წმიდ<ა>ისათა ესე შეწყალ<ა>ებ<ა>ისა წიგ<ა>ნი და ნიშანი მოგ<ა>ეც<ა>ით<ა> ჩუენ<ა>, პატ<ა>რონ<ა>მან<ა> ატენ<ა>ისა მოურავ<ა>მან<ა>, Hd—1301 და სხვა.

როგორც ვხედავთ, უპირატესად მეტი ან იწერება თანხმობების გამომხატველ გრაფემათა შორის. ეს არის ორთოგრაფიული მოკლენა, მაგრამ ძალზე საინტერესო და დღესდღეობით აუხსნელი.

ნუსხურად შესრულებულ საისტორიო დოკუმენტებში იხმარება **ა**, **ჟ**, **ჟ** გრაფემები. მათი ხმარება საკმაოდ ხშირად აღარ ემორჩილება არავითარ ნორმებს, ეს მოკლენა კი შედეგია ენის ფონემატურ სისტემაში მომხდარი ცვლილებებისა.

ა ამ დროისათვის უკვე მოშლილი ჩანს. ამით აიხსნება **ა**-ს კლება იქ, სადაც იგი მოსალოდნელი იყო მიწა — (სახ. ბრუნვა), ოქროსა (ნათ. ბრ.), ოქროთა (მოქმ. ბრ.), მამისათა (ნათ. ბრ.) და მისთ.; **ა**-ს ზედმეტი დაწერილობა (ააშენაჲ, გააკეთაჲ, აკეთებჲს და ბევრი სხვა). ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში **ა** /**ა**/ ხმოვნის ადგილას არის დაწერილი.

ჟ ჩვენს დოკუმენტებში ძალზე იშვიათად იხმარება იქ, სადაც იგი ნორმათა მიხედვით /**ქა**/ დიფთონგს უნდა გამოხატავდეს. ეს არცაა გასაკვირი: /**ქა**/ დიფთონგი ენაში დიდი ხანია მოშლილია, ამიტომ ბუნებრივია, რომ ისეთ შემთხვევაში, სადაც ადრე /**ქა**/ დიფთონგი გვქონდა, **ე** გრაფემა იწერება. **ჟ** XII—XIV საუკუნეთა დოკუმენტებში ჩვეულებრივ უმარცვლო **ჟ**-ს გამოხატველი ნიშნის შემდეგ იწერება. ეს ორთოგრაფიული მოკლენა, რომელიც X საუკუნიდან იჩენს თავს, საზოგადოდ ძალზე ხშირია XI—XIII საუკუნეთა ნუსხურად დაწერილ წერილობით ძეგლებში.

ისტორიულ დოკუმენტებში **ჟ** დაწერილობა გვაქვს ადრინდელ ვენ-ნაცვლად: საქართუშლო; მზრახუშლო, მცნებაჲ სარჯულოჲ (1470—1474 წწ.).

ჟ გრაფემა საკმაოდ ხშირად გამოხატავს /**ჟი**/ დიფთონგს. დარღვევებიაქაც შეინიშნება: **ჟ** ზოგჯერ შეცვლილია უ-თი: წჟმა (წუმა, ცვლი) ცულა,

თუშცა არის შემთხვევები ვ-ს დაწერილობისა იქ, სადაც უ უნდა იწერებოდეს: გული (გული) და მისთ.

XV საუკუნის „მცნება სარჯულო „საკმაოდ ხშირად ვ-ს იყენებს /ვი/ მიმდევრობის აღმნიშვნელად: განზრახვთა, რისხვთ, შვლითა.

განვიხილოთ ძირითადი ფონეტიკური პროცესები.

ასიმილაცია. მე-2 ობიექტური პირის გ ნიშანი ყრუედება ყრუ ბგერათა წინ /გქ>ქქ, გქ>კქ/, შემდგომში ორი იდენტური თანხმოვანი ერთი გრაფემით გადმოიქცემა: გქონდეს>ქქონდეს>ქონდეს: მე, ბეგასა, ჩემითა კელითა დამიბტიყებია, ქონდეს ჩუენსა ერთგულეზასა შინა, Hd—1353 (დაწერილი მსახურთუხუცეს ბეგა სურამელის მიერ ქუაფქუა ჯომარდისძის მიმართ, 1260—1300 წწ.); ქონდეს თქუენ, ზედგენიძეთა, Hd—11634 (წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა ავთანდილ ზედგენიძის მიმართ, 1429 წ.); ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან, Hd—130 (სითარხნის წყალობის წიგნი, მიცემული ატენის მოურავის საგია თურმანიძის მიერ, 1465 წ.).

გქ>კქ>კ:ჯადრეთ>კადრეთ>კადრეთ: ესე გასათაეებელი პირი კ[ა]დრეთ და მოგახსენეთ თქუენ, Ad—626; კადრეთ და მოგახსენეთ თქუენ, ცასა 1448; ფ. 531 (სიგელი გიორგი მეფისა დავით კათალიკოზის მიმართ, 1457 წ.).

თგ>ღგ: ერთგულ>ერდგულ: ერდგულად მსახურებასა შინა მეფობისა ჩუენისასა, სიგელი დავით მეფისა ზარდახნისუხუცეს ვახტანგ თულაისძეს, 1285 წ.; ქონდეს ჩუენსა ერდგულეზასა შინა, Hd—1358; ვერაიენ გცილებოდეს ერდგულად მსახურებასა შინა, Hd—11626 (სიგელი გიორგი ბრწყინვალისა მებაჭრეთუხუცეს შალვას მიმართ, 1339 წ.); დიდად ერდგულთა, Hd—11634.

საუკუნითგან>საუკუნიდგან: რომელი საუკუნიდგან სათნო-ეყუნეს უფალსა, Ad—5 (დაწერილი ძაგან აბულეთისძისა შიომღვმის მიმართ, 1259 წ.).

ძუელითგან>ძუელიდგან: რაიცა მას სოფელსა ძუელიდგან ჰქონებია, Ad—5; რაიცა ძუელიდგან არა ზედა სდებია, სიგ. მიქელ კათალიკოსისა.

ვინათგან>ვინადგან: ვინადგან, Hd—1360 (წყალობის სიგელი ანდრონიკე მეფისა წითლოსან ქვენიფნეველის მიმართ, 1348 წ.).

ადრითგან>ადრიდგან: ადრიდგან მქონდა სასოებაი, სიგელი კიაბერისი შიომღვიმის მიმართ.

რათგან>რადგან: რადგან მე პატრონთა ღმრთისა სწორთა ბრძანებითა და კითხვითა მიქმნია, სიგელი კიაბერისი შიომღვიმის მიმართ.

სდ>ზდ: მო-ხ-დევით>მო-ზ-დევით: როდეს მოზდევით კარს, ცსსა 1443 № 5027.

რასდომი>რაზდომი: ანუ მომავალთა მუნვე მყოფთა რაზდომიცა, Ad—601.

სალიტერატურო ენაში ამ რიგის ფაქტები X საუკუნიდან იჩენს თავს (პირველად დასტურდება Sin.—39 ხელნაწერში, რომელიც 974 წელსაა გადაწერილი). აქ ორიოდ ნიმუშს დაეასახელებთ: და აღიპყრეს აფრაჲ იგი მცირჲ და ქარით კერძო ეპყრა კიდჲდგან, სინ. საქმ. მოციქ. 83v, 1—5b; Sin.—58, 115v, 13—16a. რომელი იტყოდა სამადგანი იფქლი ღრაჰქნის და სამი ს ა მ ა თ გ ა ნ ი ქერი, H—1346, 16v, 14—16; სამი სამადგანი ქერი სახჲ არს, იქვე 100r, 16—100v, 1;

ვინაიდან ვიქმენ, კმუბს, სკულიერისა სამსახურისა, თარგმ. ქებ. ქებათ. 387, 16—17; ვინაიდან ქელი მისი განულე დისწულსა ჩემსა, იქვე 406, 6—7 და სხვა.

XV საუკუნის საისტორიო დოკუმენტებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნის-ული დ ზოგჯერ თ-ს სახითაა გადმოცემული: უცილებლათ ყოვლისა ადამიანი-საგან, Ad—1284; შესაწევრათ გამამტყუეს, ლენინგრ. H—71. ეს მოვლენა ასახავს მეღერ ხშულთა დაყრუებას აბსოლუტურ ბოლოში, რაც ზოგჯერ განიხილება, როგორც ასიმილაცია პაუზასთან⁶.

ქართული სალიტერატურო ენის უფრო ადრინდელ ეტაპებზედაც გვხვდება მეღერთა აუსლაეტში დაყრუების შემთხვევები: და აღვიდა იგი მთათ, მრკ. :; 13C; სათნოთ ცხოვრებისათვის ეპისკოპოსისა, S—1138, 175v, 16—17b; მოილო მარიამ ნელსაცხებელი და იწყო ცხებათ ფერქთა უფლისათა, ქილ-ეტრ. იადგ. 128v, 17—19; ამალდი ზეცათ, იქვე 270, 5; რომელნი იქმან უქრთამოთ, Sin.—34, 96r, 8; რომელი-ივი ყოველთავე თანამდგომთა ერთბამათ თუალითა ვიხილეთ, პარხლ. მრავალთ. 200r, 19—21b; უცხოთ მუცლადღებული ქალწულმან უზიწოთ დაიტია, ქილ-ეტრატ. იადგ. 4r, 16—17; გესაეთ შენ მყურით ნეთსაყოდელად სულთა ცხოვრებისა, იქვე 4v, 8; შემოქმედი ცათა სიმდაბლით ქუეყანათ მოხუედ, იქვე 19r, 17—18 და მისთ.

XIII—XIV საუკუნეთა ისტორიულ დოკუმენტებში დასტურდება ვ-კრებ ზმნიდან ნაწარმოები მიმღობები: სა-კრეფ-ელ-ი (არცა რას ვინ. სთხოვდეს საკრეფელსა, რკონ. დაწერილი) და მ-კრეფ-ელ-თა (მონადირეთა, ხორბლის მკრეფელთა, Hd—1360). ეს მიმღობები იმაზე მიუთითებენ, რომ ამ ზმნის ფუძისეული ზ დაყრუედა აუსლაეტში: ვ-კრებ, მ-კრებ და შემდგომში გავრცელდა იქაც, სადაც ზ > ფ გადასვლისათვის სათანადო ფონეტიკური გარემოცვა არ არსებობს (შდრ.: უფრო ადრინდელი ძეგლებიდან: შეკრიფა საფას ღიდი, სვან. მრავალთ. 435, 22; და დავეყენ დღენი ესე შუღნი მუნ, ვიდრემდე შეკრიფე ყოველი ნაყოფი მისი, Sin.—11, 128v, 15—16; შემოკრფა ყოველი ქალაქი ადგილსა მას იქვე 180v, 2).

ღ ი ს ი მ ი ლ ა ც ი ა. ლიაობის მიხედვით ხმოვანთა დისიმილაციის ნიმუშებად მიგვაჩნია ოა, ოე კომპლექსთა უა, უე მიმდევრობებად გადაქცევა:

ცხოარ > ცხუარ: ცხუარნი მათნი, Hd—1351 (სიგელი გიორგი III-სა შიომღვიმის მიმართ, 1170 წ.); და არა ვისი წამიგია ამას შიგა, რომე ასი ცხუარი და ექუსასი თეთრი პატრონმა მამა ჩემმა მიბოძა, რკონ. დაწერილი (1259 წ.).

ყოველი > ყუფელ-ა: მაშინ ბაღდაღური ალაფი ყუფელი იეფად იყო, რკონ. დაწერილი: ბ[რძანე]ბა და ნიშანი ჰქონდ[ე]ს ყუფელა, Hd—11627; ყუფელა შენ მოიქ[უ]ლიე, Hd—2199 (მამულის წყალობის წიგნი მიცემული მეფე დავითის მიერ ეზოს ჩუხჩარებ პიპასთვის, 1365 წ.); მისმცა ყუფელასა მალლითა კრულია ცათა შინა, Ad—81 (შეწირულების სიგელი თამარ მეფისა შიომღვიმის მიმართ, პირი, XIX ს.).

ამ რიგის ფაქტები ცნობილია ძველი ქართულის ძეგლებიდანაც: ოა > უა: მაშინ ლომი იგი შინა კერძო უღაბნოასა მის წარვიდა ვითარცა ცხუარი, ცხოარ. მარიამ მეგვპტ. 88r, 5—7; თაეთა თუსთა მწყსიღეს და არა ცხუართა ჩემთა,

⁶ H. Hoenigswald. Are there leniversals of Linguistic Change? Universals of Language. Cambridge. 1966. გვ. 36.

სწავლ. ეფრემისნი ნეოფიტეს მიმართ 251r, 9—11; რამეთუ სავსე იყო მთუარე ღამესა მას, ცხორ. მარიაჲ მეგვპტ. 80r, 3—4; რაჲ-მე სარგებელ არს შენდა ბრწყინვალებაჲ იგი მზისა ანუ მთუარისაჲ, სინ. თარგმ. სახარ. 47v, 2—6.

ოე>უე: სოველ>სუელ: ტუბილი ბროწყული სუელსა მჩუარჩიგა წახუივე, კარაბადინი 115r, 23—24; კაცისა ტანი სისუელითა აღიესოს, იქვე 67r, 15—16.

ლ-ლ>ლ-რ: უკლებლაღ>უკლებრაღ: უკლებრაღ, Hd—11634; შდრ. უკლებლაღ, იქვე.

ნ-ნ>ლ-ნ: მონაზონ>მოლაზონ: თუითოი მოლაზონი რიგ-მოღებით ეამსა წირვიდეს, რკონ. დაწერილი; [მლ]დელთ-მოლოზონთა და მთავარდიკონთაგან, Ad—601 (სიგელი გიორგი მეფისა ქვათაქევის მონასტრის ბერების მიმართ, 1460 წ.), მდდელთა და მოლოზონთა პატივისმცემლნი, მცნებაჲ სარჯულოჲ და სხვა.

მოლაზონ სალიტერატურო ენაში X საუკუნიდან გვხვდება: და ბრძანა შემოკრებაჲ მოლაზონთა, მოქალაქეთაჲ, ეფთჳში 102v, 8—10; სტანჯან იგი მართლმადიდებელთა ხუცესთა და მოლოზონთა, დიალოღ. 32r, 13—16ა, მოლ[ა]ზონობად არა გიტეობს უფალი, ანდრია სალოსი 5v, 12—13 და მისთ.

აქ გვაქვს დისიმილაცია ბგერათწარმოების რავეარობის მიხედვით.

შთ>*შჩ>რჩ: შთობა>*შჩობა>რჩობა: ანუ ჩამოარჩონ, Hd—1351.

შთ>შჩ>რჩ: მე შინა ეზომი დამრჩა, რკონ. დაწერილი.

სძ>რძ: ვინცა და რომელმან სჯულისა და კ[ა]თალიკოზისა ურჩად უხუცდრი ცოლი შეირთოს, ანუ სჯნაჲ, ანუ მეყესი, ანუ რძალი, მცნებაჲ სარჯულოჲ.

მ ე ტ ა თ ე ზ ი ს ი. თრგ>თურ: [ა]თრვამეტ>თურამეტ: დაიწერა ბ[რძანე]ბაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეთურამეტესა, Ad—81 (სიგელი მეფისა შიომღვიმის მიმართ 1196 წ.); შდრ.: რომელსა დაეყო ათურამეტი წელი, სინ. მრავალთ. 144,7; აჲ ესერა ათურამეტი წელი არს, ლ. 13,16C და მისთ.

მთრვალ>მთურალ: დაიკევ თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდისა სიკილისაგან, მთურალობისაგან, მცნებაჲ სარჯულოჲ, შდრ.: უგონურობისა მთურალობითა დაუტევა, იელ. იადგ. 119v, 8.

იერუსხალემ>იელუსარემ: ნუცა იელუსარემს და მთაწმიდას, ლენინგრ. H72; იელუსარიშის და ანტიოისა პატრიარქი, მცნებაჲ სარჯულოჲ.

XV საუკუნის Ad—14 გამოავლენს მზთისანი ფორმას, რომელიც მეტათეზისის, ბგერათდაკარგვის და ატიმილაციის გზით არის მიღებული: ღმრთ>>მდთ>მზთ: და ყოველნი წმიდანი მზთისანი.

ბ გ ე რ ა თ დ ა კ ა რ გ ვ ა. ა ხმოვანი დაკარგულია გაცვეთის გზით: არა>არ: არ დავიშურკეთ, Hd—1348 (წყალობის სიგელი ალექსანდრე მეფისა აეთანდილ ზედეგინიძის მიმართ, 1430 წ.); არ მოგეშალოს, იქვე; არ ეთხოვებოდეს არ ულუფა, არ გუთნისთავი, არ სამეჯინიბეო და არ სახორსარლო,

7 ზ. სარქველაძე, ძველი და საშუალო ქართლის ფონეტიკის ზოგერთი საკითხი: „მაცნე“, № 6, 1969, გვ. 228—230. იქვე მოცემულია ამ გადასვლის ახსნის ცდა.

8 ხშირად ხმარებულ მორფემათა და სიტყვათა გაცვეთის შედეგად მომხდარი ფონეტიკური პროცესების შესახებ: А. Мартинс, Принцип экономии в фонетических изменениях. М., 1960.

არ სამუშაო, არ ზროხა, არ საკლავი, არ გოქი, ქათამი და არ საყველიერო და არა სათხოვარი, არ დიდი და არ მცირე, არასთანა არა, Hd—1369; სრულიად არ ეთხოვბოდეს არ ულუფა, Hd—1369 (სითარხნის განახლების წიგნი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ თბილელ-მანგლელ იოანე მოძღვრისათვის, 1441 წ.).

ცა>ცე: და იმაზედა ჩუენც განთავისუფლებით გამყოფენით ასრე, Sd—143; არცრა ჩუენი საყალნო და სასამსახურო თქვენ ინდომეთ, იქვე; შდრ.: რასაც იგი იქმს, ი. 5, 19C.

ზედა>ზედ: არის ვენაქთა ბოლოსა ონასშვილის გვერდზედ, Ad—14ა; შდრ.: და ზედ დადგრომილისა მბრძანებელ-ყოფაჲ ამის ეგონოს, A—217, 13v, 7—10a; ზედ მოიხილა და დადნეს წარმართნი, ამბაკუმ 3, 6L.

შიგა>შიგ: და ღობეშიგ, რაც ამ ერთისა გლუხისა არის, Ad—14ა.

იქარგვის ე: ამავე>ამავე: ამავე ეკლესიას დაედევ, კორიდ. სახარ. მინაწ. 3v, (XIII ს. II ნახევ.).

უმარცვლო უ იქარგვის: უაუეთუ>უაეთუ: უაეთუ ვინმე ესე ჩემგან გაგებული და შენსა სამკუიდრებელსა შემოწირული შეცვალოს, რკონ. დაწერილი; უაეთუ დედოფალმან შესცვალოს, სცსსა № 2243; შდრ.: უაეთუ ჰყო ძალისაებრ შენისა, Sin.—34, 159r, 14; უაეთუშცა გეტყოდა, იქვე 170v, 23; ოკეთო გრქუას, იქვე 176v, 22; და უაეთუ უფალი მისი აიძულებდეს, ანდრია სალოსი, 48r, 18—19.

ევგომ>ევგო: არა მოაკლდა ევგო სიგელი თამარ მეფისა (1209—1210 წწ., ს. კ ა კ ა ბ ა ძ ი ს გამოცემა), 9, 12.

იქარგვის მ: ქნ>ქნ: სოფელი ავეეთი და იისციხე მოკითხული ვქნით, Hd—1347; რაჲცა გამოჩენია, მისი ქნაი, რკონ. დაწერილი; ცუდ ქნა ამათ[ი] განძრახვაი, Ad—15; შდრ.: სული ბრწყინვალე ქნის, სინ. მრავალთ. 187, 16; რაჲთა მსგავს აბრაჰამისა იქნე, Sin.—36, 357, 17—18b; ელვანი და ქუხილნი იქნებოდეს, A—89, 2r, 15—16; და ნაყოფიერ იქნებოდა, იქვე 3r, 18 და მისთ.

იქარგვის ლ: რომელ>რომე: და დავხედენ ესე, რომე არცა სას[ულიერო]დ და არცა საკორციელოდ არა სჯობდა, Ad—9 (მიქელ სურამელის შეუღლის ქაქანას დაწერილი, XIII ს.); და ვცანით, რომე, Ad—1839.

იქარგვის რ: ბრძ>ბძ: ამა პატრონთა ბძანებისა მოწამე ვარ, Sd—143; შდრ.: ანგელოზთა მისთა უბძანებთეს შენთვის, ლ. 4, 10 D; რასამე გვბძანებ ყოფად, ათონ. მრავალთ. 173v, 10—11b და სხვა.

გარნა>განა: განა მრავალმოწყალეზამან და არდავიწყებულეზამან ქმნულეზისა მისისამან, Ad—15 (სიგელი გიორგი III-ისა საქართველოს ეკლესიის მიმართ, 1178 წ.); შდრ.: მან განადა ჰრქუას მშვდობაჲ ერსა წმიდათა მისთასა, სინ. მრავალთ. 141, 17—18; გულმოდგინებაჲ დიდი მაქუნდა, განა ქელთა ჩემთა ესთენ შეუძლეს, Ath.—42, 234r, 14—16 (გადამწ. ანდერძი); გულს-მოდგინებაჲ ფრიად მაქუნდა, განა წერაჲ ესთენ ვიციოდე. Ath.—9, 374v (ბლეიკის აღწერილობის მიხედვით, გვ. 48); შდრ.: დალაკათუ ნაწერი უნდოჲ არს, გარნა სიმართლისათუს და შეწამებისა მიზეზსა ვერვინ დასდებს, Ath.—30, 429r (ბლეიკით, გვ. 109).

ასრეთი>ასეთი: და თუ რამე ასეთი საქმე შეგუტოდოთ, Hd—1348; შდრ.: ესეთი, რომელიც პირველად სინურ მრავალთავში იჩენს თავს: ესეთითა მოქალაქობითა შეუდგეთ ყოველნი, 176, 13—14.

იკარგვის დ: მათი მონასტერი კარგა და საპატიოდ იყოთ, რკონ. დაწერილი.

დიდალ>დია: მისითა წყალობითა დია მქონდა, რკონ. დაწერილი; მათ ეამთა შინა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან, იქვე, შდრ.: და დია მსუროდა შენთეს, ანდრია სალოსი 105r, 16.

იკარგვის ჟ: უკანაახსენელ>უკანაახსენელ: ნუ თ[ან]ა მზრახუელ ექმნებით ამა უკანახსენელისა სიკრუშთა, მცნებამ სარჯულოა; შდრ.: რომელსა უნდეს მთავარ-ყოფამ, იყავნ იგი მსახურ ყოველთა და უკანაახსენელ მოყუასთა, Sin.—64, 135r, 19—20.

იკარგვის გ: ეგზომი>ეზომი: მე შიგა ეზომი დამრჩა, რკონ. დაწერილი.

იკარგვის ბგერათკომპლექსები: არიან>ან: ვითა ძუელითგან უსაბანჯრონი ყოფილან, Ad—15; ყოფილან, Hd—11625; შდრ.: ხოლო სატანჯველნი ეგე შენნი და იძულებამ ჩუენი ეგოდენ არს, ვიდრემდის სულნი და კორცინი ესე ჩუენნი ერთად დამყოდრებულან, Sin.—11, 13v, 21—24; რომელნი ძეგლსა ამას შინა განწებებულან საქმარნი ტრაპეზისანი, ეპან. ქვბ. განგ. 87, 16—18.

ვალს>ვა: ნუცა ქელსოფალი შევა, ნუცა ციხისთავი, ცხირეთ-ცხავერის სიგელი... შდრ.: მი-თუ-ვიდიან ხილვად სნეულთა, ორიმცა შივა სლვითა სიმდაბლისაჲთა, აპოკრ. წამ. ფილიპესი 10, 25—26; არა პურითა ხოლო ცხონდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყუთა, რომელი გამოვა პირისაგან ღმრთისა, Sin.—16, 12v, 14—17; ეშმაკთა განასხამს და არა შევა მონასტერსა მისსა დედაკაცი, პარხლ. მრავალთ. 335v, 1—4a და მისთ.

წაღმართ>წაღმა: წაღმა არა გეთხოვებოდეს, Hd—1055; ვიყვენით დღეს და დღესითგან წაღმა, Ad—125; შდრ.: აპრილსა ოცდახუთსა წაღმა აღარ წავა აქუსებამ, ქრონიკ. 334r, 14—15.

ბ გ ე რ ა თ გ ა ნ ე ვ ი თ ა რ ე ბ ა. ვითარდება მ: ზღვარ>მზღვარ: ბორციუს ჭუარი ყოვლითა მზღვრითა მისითა, სიგ. მღვიმელთაი 95,5—6; მძღვრითა, Hd—1360; შდრ.: და ქუემოასა მზღვრისა დიკისაჲ ოდენ კოშელისა კაცისა გაშუენებული [აღ]ალაჲ, კოშის წარწ. გვ. 9.

საზღვარ>სამზღვარ: სამზღვარსა შიგან აშუენებული, გიორგი III-ის სიგელი.

ძალ>მძალ: მძლითა და მეოხებითა წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთა, (დავის გადაწყვეტილების დაწერილი). მძლითა ფორმაში მ განვითარებულია მძლე მიმღობის თავკიდური მ-ს ანალოგიით.

საცხოვრებელი>სამცხოვრებელი: მოაკმარეთ სამცხოვრებელსა, რკონის დაწერილი.

ვითარდება ნ: წმიდა>წმინდა: თავსმღებობითა წმინდათა მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მღრღელთმოძღუართა, ვენაქის ბოძების დაწერილი. პირველად ამ რიგის ფაქტი Sin.—34-ში (932—940 წწ.) დასტურდება: ღამე ესე სიწმინდით ოხითა წ'სა ღმრთისმშობელისა, 7v, 5—6. განსაკუთრებით ხშირია ამგვარი ფორმები წყაროსთავის ოთხთავში (A—98, X ს.), სადაც წმიდა და წყმედა მხოლოდ გამონაკლისის სახით თუ გვხვდება. ბუნებრივია, რომ წმინდა, წყმენდა ხშირდება XI—XIII საუკუნეთა წერილობით ძეგლებში.

ვითარდება რ: მღდელ>მღრდელ: მღრდელთმოძღუართა, Ad—8 (დაწერილი ბეგა სურამელისა ტოტიბაისშვილთა მიმართ, 1247—1260 წწ.); ყოვლად ქებულთა მოწამეთა, მღრდელთმოძღუართა, Ad—9 (დაწერილი მიქელ სურა-

მელის ცოლის ქაქანასი ქვათაქვეის მონასტრის მიმართ, XIII ს.); რაიზომიცა მღრღელი არს, იქვე; ყოველნო მღრღელნო, Hd—11628 (სიგელი გიორგი მეფისა იეანე თორელ-ჩავახიშვილის მიმართ, 1338 წ.); ყოველნო მღრღელთ-მოძღუარნო, Hd—1360; ფილიპე მღრღელსა, Hd—1055; შდრ.: არა ეტირ მე მღრღელთა, წარტყ. იერუს. (გარ.) 4, 32I; მღრღელთა მათთვის განწმედილთა, იქვე 5,4I; თუითცა მღრღელთმთავარ იქმნა, თარგმ. ქებ. ქებათ. 401, 15—16; შინა დაწესებულნი სამღრღელონი კანონნი, იქვე 408, 2—3 და მისთ.

ბ გ ე რ ა თ შ ე რ წ ყ მ ა. დს>თს>ც: გუშრცა ლახურითა მოწყალულმან აღმოგვიცენა უკუდავებაჲ, მცნებაჲ სარჯულოჲ, 1470—1474 წწ.

კ ო ნ ტ ა მ ი ნ ა ც ი ა. Sd—380 გამოავლენს მსგზაუსიერ ფორმას: მისა სამუქფო მსგზაუსიერი სამსახური, რაცა გუიყონ, მასცა შეესჯერდეთ. მსგზაუსიერი კონტამინირებული ფორმაა: მსგავსი+მგზავრი (მგზავს კი ასეა წარმოდგარი: ჭერ მოხდა რეგრესული კონტაქტური ასიმილაციური გამეღერება: მსგავს>მგავს და შემდგომში კი მეტათეზისი: მგავს>მგზავს).

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიციგურმა)

ნუნუ გურგენია

ნასესხებ სახელეების ფუძეთაგან ზმნის წარმოქმნა ქართულის
მისსურ დიალექტში

ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებათა გამო ქართული ენის ზოგმა დიალექტმა (აჭარული, მესხური, ჭავჭავური) საუკუნეების განმავლობაში (XVI—XIX სს.) თურქული ენის ძლიერი გავლენა განიცადა. ამ ვითარებამ შეაპირობა აღნიშნულ ქართულ დიალექტებში თურქული ლექსიკის შემოჭრა.

ჩვენ ვცდილობთ სისტემატურად შევიწვავლოთ ქართული ენის მესხური დიალექტის გამოქვეყნებული ტექსტებისა და სხვა ხასიათის წყაროების მიხედვით თურქული ნასესხობანი¹.

დიალექტოლოგიურ ტექსტებში ჩვენ ვხვდებით საგრძნობი რაოდენობის თურქულ ლექსიკას, რომელიც მეტყველების სხვადასხვა ნაწილს (არსებითა და ზედსართავი სახელები, ზმნა, ზმნიზედა და სხვ.) შეიცავს. ამჟერად ჩვენ განვიხილავთ ნასესხებ სახელთაგან (არსებითი, ზედსართავი) ქართული პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილ ზმნებს.

1. თურქული სახელადი ფუძეებისაგან და- წინსართითა და -ებ თემის ნიშნით ნაწარმოები ზმნები:

1. და-დილიმ-ება — „ნაქერ-ნაქერ დაქრა თანაზომიერ და ბრტყელ-ბრტყელ ნაწილებად: „დედამ ყველი დაადილიმა და შეილებს დაურიგა“²; „ამოიღო ხმალი და სულ დაადილიმა ვეშაპი“ (შ. ძიძ., 224); ზმნა „დადილიმება“ ფიქსირებულია კ. დონდუასთანაც (კ. დ., 369). ეგვევ ზმნა დასტურდება აქარულ და გურულ დიალექტშიაც (ნ. გ., 98).

ზმნის ძირი „დილიმ“ თურქული წარმოშობის სიტყვაა (შდრ. dilim, دلیم ← دل)³ და ‘ნაქერს’, ‘ნატეხს’ ნიშნავს: Bir dilim karpuz ‘ერთი ნაქერი საზამთრო’, Portakal dilimi ‘ფორთოხლის ნაქერი’ (Ağ., Mar.).

2. და-ყაშავ-ება — ‘სამურგლით გასუფთავება’: „(პირტყეც) ყოველდღე სამურგლით//სამარგლით დაყაშავებდენ“⁴. სიტყვა „ყაშავი“ აქარულ დიალექტშიც გვაქვს (შ. ნიე., 369). მოცემულ შემთხვევაშიც, თურქული წარმო-

¹ ძველი საქართველო, III, თბილისი, 1913—1914; შ. ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბილისი, 1956; ი. გიგინეიშვილი, ე. თოფურიია, ი. ქაეთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961; კ. დონდუა, რჩეული ნაშრომები, თბილისი, 1966; მესხეთ-ჭავჭავეთი, მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის ეთნოგრაფიულ შესწავლისათვის, თბილისი, 1972.

² ა. ლონტი, ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974, გვ. 171.

³ А. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I. СПб, 1969; В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. III, ч. II, гв. 1768.

⁴ შ. მაკალათია, მესაქონლეობა მესხეთში (სამცხე-ჭავჭავეთი), კრებულში: „მასალები მესხეთ-ჭავჭავეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის“, თბილისი, 1972, გვ. 44.

შობის სახელიდან *kaşağı* 'სამურველი', 'ხის სავარცხელი' (Ağ.), და, -ებ, -ა პრეფიქს-სუფიქსით მესხურ დიალექტში წარმოქმნილია ზმნა, რომელსაც თურქული *kaşağılamak* (\rightarrow *kaşağı + -la + -mak*) ზმნის იდენტური მნიშვნელობა აქვს (Ağ., Mar.). როგორც ვხედავთ, თურქული სიტყვის თავიკიდური ხშული *k* მესხურში ყ თანხმოვანს გვაძლევს. ცნობილია, რომ ეს მოვლენა შედეგია თურქული მუღერებისა და ფშინეიერების ქართულში მკვეთრად აღქმისაკენ საერთო მიდრეკილებით⁵. ამავე სიტყვის ბოლო მარცვლის თავიკიდური უკანაენისმიერი ნაპრალოვანი ჭ გვაძლევს ბაგეპილისმიერ *v*-ს, რასაც ჭ-ს თანდათანობითი ლაბიალიზაციის პროცესად თვლიან⁶. ჭ ← ე შენიშნულია აგრეთვე, აქარულ დიალექტშიც (ნ. გ., 125).

3. წინსართი გა — გა-ჰერს-იან-ებ-ა — „გაბრაზება“, „გაჭაყრება“ (ქ. ლიალ., 651); „გაჰერსიანდა ხემწიფე და ბეწვი დაითხვია თავი სახენწმინფოდან“ (ქ. ლიალ., 370); „მაგაზე რა ბრაზობ, რა ერსიანობ“ (შ. ძიძ., 209); „ძრიელ გიერსიანდა, წავიდა, დააბა ვირი“ (ე. ლ., 362).

ეგვეე ზმნა დასტურდება აქარულ დიალექტშიც, ოღონდ ასეთი ფორმით: „გაჰერსება“ (← არ. *حرس*) = 'გაბრაზება', 'განრისხება', 'გაჭაყრება': „ბიჭი გაჰერსდა“ (შ. ნიყ., 143).

აქარულში „გაჰერსება“ ზმნიდან ზედსართავი სახელიც გვაქვს „გაჰერსებული“ — 'გაბრაზებული', 'გაჭაყრებული' (შ. ნიყ., 143). უნდა ვითქვოდო, რომ მესხურშიც უნდა ყოფილიყო ან, შეიძლება, ახლაც არის -იან აფიქსით წარმოქმნილი ზედსართავი „ჰერსიანი“, რომელიც საფუძველია „გაჰერსიანება“ ზმნისა. ამგვარად, ჩვენ გვაქვს ჭერ არაბ.-თურქ. *hirs*-იდან ზედსართავი „ჰერს-იან-ი“ და შემდეგ ზმნა „გაჰერსიანება“, რომელიც ქართული „გა-ებ-ა“

В 1937 г. М. Длуска⁴⁵ поставила под сомнение положение Е. Зиверса и М. Граммона. Она привела такие пары слов из польского языка, которые отличаются лишь аффрикатой č и консонантной группой tš: čy || tšy, čech || tšech, čem || tšem. Кроме того, были представлены пары слов, в которых различаются подобным образом первые слоги: čy-hać, če-kać, ča-pa, če-sty, čo-chrać || tšy-mać, tše-pać, tša-skać, tše-sie, tšo-da и т. д. М. Длуска делит дефисом слова на слоги с тем, чтобы показать, что для поляка разница между č и tš достаточна для того, чтобы распознавать слоги. М. Длуска отмечает, что кривые записи гортани не дают возможности классифицировать звуки как отдельные простые согласные или группы согласных⁴⁶. Записи показали автору, что кривая гортани у tš и dž в начале слова имеет лишь одну вершину напряжения, так же, как у č, ž и d или же какого-либо другого согласного или группы согласных в той же позиции, относящихся целиком к одному слогу. Феномен, по мнению автора, еще раз свидетельствующий о связи между движением гортани и делением на слоги, но никак не объясняющий истинную природу аффрикат⁴⁷.

Проделанный эксперимент убедил исследователя в том, что аффрикаты являются такими же простыми фонемами, как взрывные или спиранты, и по длительности едва превышают соответствующие взрывные.

Вскоре после экспериментов, проделанных М. Длуской на вооружение экспериментальной фонетики, поступает новый аппарат «Visible Speech» («Видимая речь»), дающий спектральную характеристику звука. Но, к сожалению, это техническое новшество не способствовало более тщательному анализу фонетической природы аффрикат. Для ав-

⁴³ М. Граммон, указ. соч., стр. 108.

⁴⁴ Там же, стр. 107—108.

⁴⁵ М. Dłuska, Étude sur les affriquées polonaises, стр. 3—6.

⁴⁶ Обратное утверждал М. Граммон на 107 стр. указ. соч.

⁴⁷ М. Dłuska, указ. соч., стр. 5.

торов книги «Visible Speech» — Р. К. Поттера, Г. А. Коппа и Х. С. Грина вопрос решается весьма просто: «Такие звукосочетания как tʃ (church) и dʒ (judge) встречаются так часто, что их можно считать отдельными звуковыми единицами». «Сочетание t (to) и j (she) в слове «church» является обычным примером сочетания глухих смычных с глухими ффрикативными»⁴⁸. Т. к. многочисленные звукосочетания, включающие в себя tʃ и dʒ могут случаться как в пределах слога, так и между слогами, возникает вопрос о различии между этими двумя моделями. Авторы полагают, что благодаря ударению модель звукосочетания, встречающаяся в пределах слога, отличается обычно от такого же сочетания между двумя слогами.

Считать часто встречающуюся звуковую последовательность отдельной звуковой единицей более, чем спорно. Заметим, что подобное суждение мы находим у авторов, которые располагали гораздо более совершенной аппаратурой, чем те, кто писал об этих согласных в конце XIX и в начале XX вв. Как правильно замечает И. Буттлер, если бы интерпретация аффрикат как суммы смычных и спирантов оказалась правильной, то не понадобилось дальнейших исследований, т. к. достаточно было бы знать звуки, из которых они состоят⁴⁹.

Определение аффрикат как сложных смычных согласных в конце 40-х годов представлено в книге известного грузинского ученого Г. С. Ахвледиани «Основы общей фонетики». «Согласно общепринятому мнению, — писал Г. С. Ахвледиани, — аффриката состоит из простого смычного и его гоморганного щелевого»⁵⁰. Подобно Е. Д. Поливанову, ученый подчеркивал слитность и неделимость согласного, а также гоморганность его компонентов.

Четкого определения тому, что является аффрикатой и что нет, по словам А. Мартине, не найти ни в одной из работ, и главная причина этого в том, что «область человеческих артикуляций бесконечна»⁵¹. А. Мартине сомневается в том, чтобы был найден фонетический критерий, который дал бы лингвистам возможность во всех случаях проводить различие между аффрикатами и последовательностями смычных и гоморганных ффрикативных, как, например, ɛ и ʃ. Подход к данному вопросу с позиций фонологии также не всегда объясняет, когда смычно-щелевой комплекс следует толковать как единое целое, а когда — как две следующие друг с другом фонемы⁵². Автор рассматривает аффрикату как смычный согласный и видит в этом «единственно приемлемый путь, если мы хотим дать простое и последовательное толкование развитию консонантизма французского языка раннего периода»⁵³.

Большую экспериментальную работу по исследованию аффрикат провел чешский фонетист Б. Хала. Отсутствие четкой фонетической характеристики этих согласных исследователь усматривает в недостаточности совершенных методов экспериментальной фонетики. Только при-

⁴⁸ R. K. Potter, G. A. Kopp, H. C. Green, Visible Speech, New York, 1947, стр. 36.

⁴⁹ J. Buttler, The Formation and Acoustic Structure of Affricates, «Acta Linguistica», t. XIV, F. 3—4, Budapest, 1964, стр. 263.

⁵⁰ Г. С. Ахвледиани, Основы общей фонетики, Тб., 1949, стр. 84 (на груз. яз.).

⁵¹ A. Martinet, Occlusives and Affricates with Reference to some Problems of Romance Phonology, «Word», 2, vol. 5, 1949, стр. 116.

⁵² Там же, стр. 117.

⁵³ Там же, стр. 122.

меннее осциллографического метода регистрации звука создает, по мнению Б. Халы, солидную базу для исследования аффрикат. Ученый определяет аффрикаты как простые фонемы, в которых, однако, различает две основные фазы артикуляции — смычную и фрикативную, но при этом обращает внимание на то, что «здесь нельзя говорить о двойственности, т. е. переход от одной фазы к другой почти неощутим, как это ясно показывают осциллограммы»⁶⁴. Спустя 10 лет эксперимент с сегментатором дал Б. Хале возможность уточнить вопрос соотношения артикуляционных фаз у разного вида аффрикат не только в чешском, но и в других языках⁶⁵. Неоднократные эксперименты привели исследователя к выводу, о том, что фонетическая природа аффрикат гораздо сложнее, чем ее представляли раньше.

В пятидесятые, шестидесятые и последующие годы лишь немногие авторы описывают аффрикаты как сложносоставные звуки и среди них П. Делатр⁶⁶, В. Джассэм⁶⁷, Р. Хартман и Ф. Сторк⁶⁸, Б. Мальмберг⁶⁹. П. Делатр, ссылаясь на Л. Блумфильда, характеризует аффрикату как сочетание двух согласных (смычного и спиранта), воспроизводимых одним артикуляционным движением. По его мнению, в результате сокращения силы артикуляции происходит переход простого согласного в группу согласных, из которых второй имеет меньший раствор, нежели первый⁶⁰. Последнее замечание принадлежит исключительно П. Делатру, ибо все остальные авторы утверждают обратное.

М. Адамус, Б. Боровичкова и В. Малач, Й. Буттлер, Л. Деме, М. Казмер, Ю. Лазинус, В. Н. Айрапетян, Ш. Г. Гаприндашвили, Л. Р. Зиндер, М. В. Панов, Л. Г. Скалозуб, А. А. Хачатрян — вот далеко неполный перечень тех, кто определяет аффрикаты как простые согласные.

Определенный интерес представляет мнение М. Казмера о том, что возможность разграничения элементов внутри звука не является доказательством наличия звукосочетания. М. Казмер не видит качественной разницы между границами звуков и границами моментов, образующих звук. Поэтому, если кто-нибудь хотел бы доказать, что звук «г» или аспирированный согласный не отдельные звуки, а звуко-сочетания, то он, по мнению исследователя, легко смог бы это сделать с помощью кимограмм⁶¹. Таким образом, экспериментальная фонетика до сих пор не сумела решить спорный вопрос об аффрикатах. По мнению автора, только фонологические аргументы кажутся пригодными для решения данного вопроса⁶².

Среди советских авторов наиболее полно проблема аффрикат отражена в работах грузинских и армянских специалистов. Из грузинских фонетистов следует отметить Ш. Г. Гаприндашвили, который первым

⁶⁴ B. Hála, Une contribution à l'éclaircissement..., стр. 93.

⁶⁵ B. Hála, La nature des consonnes mi-occlusives..., стр. 894—95.

⁶⁶ P. Delattre, Studies in French and Comparative Phonetics, стр. 116.

⁶⁷ W. Jassem, A Spectrographic Study of Polish Sounds, Proceedings of the 4th International Congress of Phonetic Sciences, The Hague, 1962, стр. 345.

⁶⁸ R. Hartman, F. Stork, Dictionary of Language and Linguistics, стр. 7.

⁶⁹ B. Malmberg, La phonétique, Paris, 1958, стр. 61.

⁶⁰ P. Delattre, указ. соч., стр. 116—117.

⁶¹ M. Kázmér, Zur Methodik der Untersuchung von Afrikaten, стр. 392.

⁶² Там же, стр. 404

выступил против утвердившегося взгляда на аффрикаты как на сумму двух согласных (Г. С. Ахведнани, С. Жгенти). Хотя мы не можем назвать работы исследователя, специально посвященной этой теме, однако во многих своих трудах⁶³ ученый затрагивал рассматриваемые нами вопросы. Ш. Г. Гаприндашвили стремился проникнуть в сущность проблемы, главным образом опираясь на данные экспериментальной фонетики.

В традиционной арменистике аффрикаты также принято было считать совокупностью двух и даже трех ($t + s + h$) звуков⁶⁴. Совершенно по-новому решен вопрос трактовки аффрикат армянского языка в статье А. А. Хачатрян.

На основе экспериментальных (палатография, рентгенография) данных автор приводит обстоятельные доказательства в пользу аффрикат как единых звуков, отличающихся единым местом образования, целостным акустическим впечатлением⁶⁵ и фонологической самостоятельностью. Выводы, сделанные Амалией Хачатрян, дополнил и развил В. Н. Айрапетян, исследовав динамику образования аффрикат в своей диссертации⁶⁶ и совместной с А. А. Хачатрян в книге «Экспериментальное исследование согласных фонем литературного армянского языка» (Ереван, 1971). Применяя новейшие методы экспериментальной фонетики (кинорентгенографию и спектрографию) исследователь дал полную картину артикуляционной и акустической структуры аффрикат армянского языка и выявил принципы соотношения элементов этой структуры.

Называя аффрикаты едиными согласными, простыми фонемами, большинство указанных выше специалистов отмечают неоднородность образования этих согласных, усматривают в их артикуляции наличие двух последовательных артикуляционных элементов (фаз): смычного и щелевого⁶⁷. «... Определяя полусмычные как простые фонемы, — пишет Б. Хала, — отдают себе отчет в том, что их артикуляция не проста... Утверждают, что в полусмычных следует различать две фазы артикуляции: одну скорее смычную, а другую — фрикативную, — фазы, различные с точки зрения как артикуляционной, так и акустической. Эта мысль была высказана еще Rousselot в его Principes...»⁶⁸.

⁶³ Ш. Г. Гаприндашвили, О спирантизации аффрикат в некоторых иберийско-кавказских языках, Научная сессия Института языкознания VI (XII), июнь, 1955 (на груз. яз.); К вопросу о классификации видов артикуляционных преград в груз. языке, «Иберийско-кавказское языкознание», т. XII, 1960 (на груз. яз.).

⁶⁴ М. А. Бегиан, Теория армянского языка, Ереван, 1931, стр. 86, (на армян. яз.).

⁶⁵ А. А. Хачатрян, Об аффрикатах армянского языка, стр. 60.

⁶⁶ В. Н. Айрапетян, Экспериментально-фонетическое исследование аффрикат современного армянского языка, Канд. дис., Ереван, 1970.

⁶⁷ Л. Р. Зиндер, Общая фонетика, стр. 142; А. А. Хачатрян, В. Н. Айрапетян, указ. соч., стр. 128, и др. По этому поводу Ю. К. Кузьменко говорит: «Очевидно, что понятие одного звука относительно: ведь даже те фонетисты, которые настаивают на однозвучии аффрикат, говорят о том, что этот звук состоит из двух основных элементов: смычного и щелевого». Определение различительного признака аффрикат «Лингвистические исследования», Л., 1970, стр. 114.

⁶⁸ В. Hálá, La nature des consonnes mi-occlusives..., стр. 888.

Проследим, как трактуется вопрос о месте образования составляющих аффрикату элементов.

Если Л. Щерба⁶⁹ (1908) полагал, что элементы «с» по месту артикуляции сходны с обычными *t* и *s*, то дальнейшие исследования поставили этот взгляд под сомнение. Так, Ш. Г. Гаприндашвили считает, что «место образования аффрикаты гораздо глубже, чем место образования согласного, считаемого ее смычным компонентом, и гораздо ближе, чем у согласного, считаемого ее спирантным компонентом»⁷⁰.

В книге «Фонетика персидского языка» высказано мнение, что по месту образования персидские аффрикаты *č* - *ğ* и предполагаемые их смычные компоненты *d* - *t* являются не гоморганными, а гетероганними. Щелинные же компоненты этих аффрикат не представляют собой ни спирантов *ž* - *š*, ни редуцированных вариантов последних⁷¹.

В монографии М. В. Панова «Русская фонетика» отмечено, что первая взрывная часть аффрикаты «*tʃ*» русского языка артикулируется не там, где обычное [Т'], а выше, где обычно артикулируется [ш, ш']⁷².

Различая в аффрикатах два артикуляционных элемента, вместе с тем, не все фонетисты считают возможным их разграничить. Для Л. Бельджери кривая аффрикат неделима, т. к. в отрезке, который можно отнести к смычному моменту, появляются коекакие элементы, характеризующие фрикативный момент, и наоборот⁷³. По мнению Б. Халы, переход от первого элемента ко второму происходит почти незаметно, так что очень трудно и даже невозможно точно определить точку, разделяющую два элемента аффрикаты⁷⁴. Но тем не менее и Б. Хала, и другие экспериментаторы изучают принципы соотношения этих двух фаз (смычной и фрикативной) в артикуляции аффрикат. На различие в соотношении двух фаз у свистящих и шипящих аффрикат указывал Б. Хала. Эксперимент показал, что смычная часть несколько продолжительнее фрикативной у *s*, т. е. свистящей аффрикаты, и менее продолжительна, чем фрикативная, у *š*, т. е. шипящей аффрикаты⁷⁵. В дальнейшем, как уже было сказано выше, Б. Хала с помощью

⁶⁹ Л. Щерба, Несколько слов о сложных согласных... стр. 106.

⁷⁰ Ш. Г. Гаприндашвили, К вопросу о классификации видов артикуляционных преград, стр. 174, 177 (на груз. яз.).

⁷¹ Ш. Г. Гаприндашвили, Дж. Ш. Гиунашвили, Фонетика персидского языка, Тб., 1964, стр. 159.

⁷² М. В. Панов, Русская фонетика, М., 1967, стр. 34. Об этом см.: В. Нálá, Une contribution à l'éclaircissement... стр. 83, 86; И. Н. Гальцев, Введение в изучение китайского языка, М., 1962, стр. 168.

⁷³ См. J. Laziczius, Lehrbuch der Phonetik, стр. 64—65.

⁷⁴ В. Нálá, La nature des consonnes mi-occlusives..., стр. 891. В 1952 г. Б. Хала выделял в аффрикате 3 фазы ее образования: смычную, переходную и фрикативную. См. В. Нálá, Une contribution à l'éclaircissement... стр. 84, 86. Согласно Ш. Г. Гаприндашвили, в аффрикате различаются смычка, взрыв и следующий за взрывом свистяще-шипящий придук или придых (См.: Фонетика даргинского языка, стр. 16, 17, 136; См. также, Фонетика персидского языка, стр. 133, 151). Ср. Г. Фант: «Взрыв в свою очередь может быть разбит на последовательные, частично перекрывающиеся интервалы раствора, фрикации и аспирации. Однако, только в редких случаях удается установить точные границы этих интервалов» (Акустическая природа речеобразования, М., 1954, стр. 200).

⁷⁵ В. Нálá, Une contribution à l'éclaircissement... стр. 86.

сегментатора рассек аффрикаты на множество сегментов и, изучая один сегмент за другим, выявил разницу не только между свистящими и шипящими, но и между однородными аффрикатами в разных языках (в данном случае в итальянском и румынском языках)⁷⁶.

На основании большого экспериментального материала В. Н. Айрапетян установил, что «именно соотношение в продолжительности указанных фаз является одним из основных моментов при дифференциации придыхательных и непридыхательных аффрикат. Если при (с) протяженность смычной фазы больше, а фрикативной меньше, то в случае придыхательной аффрикаты это соотношение идет в обратном порядке...»⁷⁷. В звонкой аффрикате соотношение основных фаз артикуляции примерно равно. Соотношение смычной и щелишной фаз зависит не только от вида аффрикаты, но и от позиции данного согласного в слове, что отмечено В. Н. Айрапетяном⁷⁸, Б. Боровичковой⁷⁹ и В. Малач⁸⁰.

Некоторых специалистов интересует, какой же из двух элементов является доминирующим в образовании аффрикат. Можно сказать, что таким доминирующим элементом охарактеризован фрикативный компонент. Так, О. Брок подчеркивал, что «форма затворной части, входящей в слитный согласный, определяется вообще фрикативной его частью», а также то, что «слитные согласные описываются и группируются по характеру фрикативного элемента»⁸⁰. Е. Рихтер предлагала назвать аффрикаты *mi-constrictives* (полущеллинными), т. к. в соответствии с ее точкой зрения фрикативная фаза более важна, чем фаза смычная⁸¹.

Исследуя аффрикатизацию спирантов в соседстве с предыдущими сонантами в диалектах даргинского и грузинского языков, Ш. Г. Гаприндашвили обратил внимание на тот факт, что характер образуемой аффрикаты зависит от спирантного компонента. Этот факт, по мнению исследователя, «доказывает доминирование спирантного компонента в артикуляции аффрикаты»⁸².

Разнообразное решение находит вопрос о том, являются ли аффрикаты полусмычными, смычными или смычно-взрывными. По наблюдению И. Буттлера⁸³, многие палатограммы не показывают полной смычки, а отражают наличие узкого прохода вдоль центральной линии даже при наивысшем подъеме языка. По-видимому, объясняет автор, очень узкая щель закрыта тонкой мембраной из слюны, взрыв которой

⁷⁶ V. Hálá. La nature des consonnes mi-occlusives... стр. 895—896.

⁷⁷ А. А. Хачатрян, В. Н. Айрапетян, указ. соч., стр. 105.

⁷⁸ В. Н. Айрапетян, Диссертация, стр. 81; А. А. Хачатрян, В. Н. Айрапетян, указ. соч., стр. 126.

⁷⁹ B. Boro vičková, V. Maláč, The Spectral Analysis of Czech Sound Combinations. Rozpravy Československé Akademie Ved. Rada Společenskyh Ved, Ročník 77. sešit 14. Praha. 1967. стр. 42.

⁸⁰ О. Брок, Очерк физиологии славянской речи, стр. 43.

⁸¹ E. Richter. Die italienischen *z* und *ž* Laute. Ср. В. Boro vičková, V. Maláč: «Спектр взрыва мало значит для распознавания звука» (указ. соч., стр. 43).

⁸² Ш. Г. Гаприндашвили, Фонетика даргинского языка, стр. 240.

⁸³ J. Buttler. The Formation and Acoustic Structure of Affricates, стр. 267. См. также А. Мейе, Введение в сравнительное изучение индо-европейских языков. стр. 110.

начинает постепенное расширение щели; но и при отсутствии такого взрыва, постепенное раскрытие щели имеет место⁸⁴.

О полной смычке говорят Г. С. Ахведяни, В. Н. Айрапетян, В. А. Богородицкий, Ш. Г. Гаприндашвили, Л. Р. Зиндер, Е. Д. Поливанов, А. А. Хачатрян, Л. В. Щерба, Г. Глисон, Д. Джоунз, Б. Хала. Но вместе с тем, некоторые из вышеназванных авторов указывают на слабость, неустойчивость смычки у аффрикат. Так, Б. Хала на основании исследования палатограмм отмечал, что смычка у аффрикат гораздо слабее, чем у соответствующих смычных *t* и *d*⁸⁵. Осциллографические же записи чешских аффрикат *s* и *š* показали, что ослабление смычки осуществляется не разом, а постепенно и даже середина смычки характеризуется высокой степенью ассимиляции⁸⁶.

По данным В. Н. Айрапетяна, смычка у аффрикат армянского языка носит неравномерный и неустойчивый характер. Уже в фазе смычки у некоторых аффрикат усматривается фокус фрикативного элемента. И хотя граница полной преграды по схеме палатограмм иногда не прослеживается, все же на большинстве палатограмм границы смыкания артикуляторов устанавливаются. Автор обращает внимание на тот факт, что выдержка смычки при образовании непродыхательных аффрикат выражена четче, чем у придыхательных и звонких⁸⁷.

Определяя аффрикаты как смычные согласные, не все исследователи согласны с наличием взрыва при их образовании. В. А. Богородицкий, Ш. Г. Гаприндашвили, Е. Д. Поливанов, М. Адамус, Г. Глисон, Б. Хала, Л. Хегелюс относят аффрикаты к взрывным согласным. Но оказывается, что и место взрыва в последовательном ряду артикуляционных фаз аффрикаты тоже не установлено окончательно. Большинство авторов представляет себе взрыв, следующий за смычной фазой. Ш. Г. Гаприндашвили даже определяет продолжительность взрыва, которая, по его заключению, в полтора-два раза продолжительнее, чем у обычных взрывных⁸⁸, в то время, как Б. Хала рассматривает этот факт иначе. Осциллограммы позволили исследователю наблюдать, по его словам, достаточно важный факт, который обычно «оставляют без внимания», «... К концу полусмычного высокочастотные колебания исчезают, чтобы дать место своего рода новой смычке»⁸⁹. Исходя из этого, ученый представляет последовательность артикуляционных фаз аффрикат в следующем порядке: «... Сначала полная смычка, свободная от каких-либо вибраций, потом переходная часть, затем фаза фрикативная... и, наконец, взрыв согласного»⁹⁰. По утверждению Б. Халы, до сих пор один лишь Л. Бельджерн учел эту конечную фазу и представил ее графически в своей диссертации.

В 1967 г. чешские фонетисты Б. Боровичкова и В. Малач опубликовали результаты спектрального анализа звуков чешского языка. По их данным, конец смычки у аффрикат *s* и *š* не всегда сопровождается взрывом, который можно было бы распознать на спектрограмме. С

⁸⁴ J. Buttler, там же.

⁸⁵ В. Hálá, Une contribution à l'éclaircissement..., стр. 80. См. также А. А. Хачатрян, Об аффрикатах армянского языка, стр. 51.

⁸⁶ В. Hálá, La nature des consonnes mi-occlusives..., стр. 890.

⁸⁷ А. А. Хачатрян и В. Н. Айрапетян, указ. соч., стр. 109, 117, 120.

⁸⁸ Ш. Г. Гаприндашвили, К вопросу о классификации..., стр. 177—78 (на груз. яз.).

⁸⁹ В. Hálá, La nature des consonnes mi-occlusives..., стр. 891.

⁹⁰ В. Hálá, Une contribution à l'éclaircissement..., стр. 85.

вите щели, а вязкость слюны связывает поверхности до определенной степени. Автор замечает: «Можно даже понять так, что частицы слюны наполняют только что образовавшуюся щель, которая затем снова может быть открыта»¹⁰⁰. Сознвая, что один эксперимент в каком-то отдельном случае не допускает обобщений, Й. Буттлер все же заключает, что слюна играет несомненную роль в образовании аффрикат.

На роль влажности в образовании звуков вообще и, в частности, аффрикат указывал Авиценна. Звуки речи, по его определению, различаются в зависимости от того, каковы артикулирующие поверхности, принимающие участие в их образовании: «И они могут быть иногда мягкими, иногда — твердыми, сухими или же влажными. Смыкание происходит иногда в самой влаге, которая трескается, а затем лопается, расчлняясь или удлиняясь, или же оставаясь на месте»¹⁰¹. Описывая способ образования аффрикаты *ğ* (*ğim*) арабского языка, которую автор относит к простым звукам, Авиценна представляет его следующим образом: сначала — полная смычка, затем следует размыкание. При размыкании образуется узкая щель, через которую воздух проходит с шипением. Завершается это шипение в отверстии между зубами и вслед за этим: «шипение уменьшается и приводит это к тресканию влаги, выбрасываемой в пространство, которое помещается между ними, и далее происходит взрыв влаги. Но этот треск во влаге не растягивается далеко, а происходит он на том же месте, где образуется размыкание»¹⁰². Авиценна описывает звуки речи, похожие на *ğim*, которых нет в арабском языке¹⁰³, и при этом вновь подчеркивает роль влаги при их образовании: «В них такое же употребление влаги, как при *ğim*-е, и она образует их звучание. Эта влага готова за местом смыкания, где происходит сужение пути воздуха при размыкании»¹⁰⁴.

Для решения рассматриваемых вопросов о фонетической природе аффрикат нам кажется перспективным положение Н. С. Трубецкого о том, что «...любой звук представляет собой ряд «звуковых атомов». Придыхательные составлены фактически из смычки, взрыва и придыхания, аффриката — из смычки и шума трения»¹⁰⁵. Данное положение как бы приводит к одному знаменателю все дебаты о сложно-составном характере аффрикат и указывает на неправомерность отождествления «звуковых атомов» с отдельными звуками.

¹⁰⁰ Там же, стр. 268.

¹⁰¹ В. Г. А х в л е д н а н и, *Фонетический трактат Авиценны*, Тбилиси, 1966, стр. 04.

¹⁰² Там же, стр. 024. Заметим, что заключительная фаза в артикуляции аффрикат аналогична той, которая дана у Б. Халы (т. е. взрыв) с той разницей, что у Авиценны реч. идет о взрыве влаги.

¹⁰³ По определению В. Г. А х в л е д н а н и, это — свистящие аффрикаты, (стр. 69).

¹⁰⁴ В. Г. А х в л е д н а н и, указ. соч., стр. 028; см. также А. Н. П а в л о в а, Авиценна о роли влаги в образовании аффрикат, *Изв. АН Таджикской ССР (Отделение общественных наук)*, 1974, № 4, стр. 90—92.

¹⁰⁵ Н. С. Т р у б е ц к о й, *Основы фонологии*, М., 1960, стр. 72. Об этом см также V. B r ō n d a l, *Sound and Phoneme. Proceedings of the International Congress of Phonetic Sciences*, Cambridge 1936, стр. 43.

ცნობები და შენიშვნები

თამაზ ნატროშვილი

„ესე სულთანი უარშიობს“

XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში სეფიანთა ირანის სამხედრო-პოლიტიკურ ასპარეზზე ქართველ მოღვაწეთა დაწინაურების შედეგად ირანის ისტორიის ამ მონაკვეთისათვის ყველაზე უხვ ცნობებს გვაწვდიან ქართველი ისტორიკოსები: სეხნია ჩხეიძე, ვახუშტი ბატონიშვილი და იოსებ ქართველი. მათს თხზულებებში დაცული ინფორმაციის ღირებულებას განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ „აშლოლობის ხანის“ ირანის ისტორიის თანადროული სპარსული წყაროები თითქმის არ მოგვეპოვება¹.

სეხნია ჩხეიძე აღწერს XVIII საუკუნის პირველი მეოთხედის ირანში მომხდარ მოვლენებს, როგორც თანადამხედური და ხშირად — როგორც თვითმხილველი. მისი თხზულებების მნიშვნელობა სეფიანთა ირანის დაცემის ისტორიისათვის ხაზგასმით არის აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში².

ამჯერად ვეცინდა შევეხოთ სეხნია ჩხეიძის ერთ ცნობას, რომელსაც იმორჩებებს თავის ვრცელ გამოკვლევაში თანამედროვე ინგლისელი მკვლევარი ლ. ლოკარტი.

სეხნია ჩხეიძე მოგვითხრობს გიორგი XI-ის ყოფნას ავღანეთში ყანდაარის ბეგლარბეგად და შემდეგ წერს: „იყო სულთანი ყანდაარისა მირვეისი, გაუსია სულთანსა აზარისასა, გაემარჯვა და მოეყვანა მხარშეკრული. იამა მეფეა და უბოძა საბოძვარი და შემოსა სამოსლითა კარგიითა. გამოხდა ხანი და შექნა ამავე სულთანმა უარშიობა, გაგზავნა ჩაფრად ყანთანა და მისწერა სხვის ჩაფრით არზა და მოახსენა: ესე სულთანი უარშიობს, უნდა არევა ამა ქვეყანისა, ნულარ გამოუშვებთ, თვარამ ერთს რასმე მოახდენს“³.

მოტანილი ცნობის საფუძველზე ლ. ლოკარტი ამტკიცებს, რომ მიზეზი ყანდაარიდან მირ-ვეისის განდევნისა იყო ღილზაების ამბოხება, რომელსაც იგი ედგა სათავეში და რომელმაც მარცხი განიცადა⁴.

ლ. ლოკარტი მიუთითებს, რომ მეორე ქართველი ისტორიკოსის ვახუშტის მიხედვით ამ ხანებში ღილზაების არავითარ ამბოხებას არ ჰქონია ადგილი და ასევე, რომ სეხნია ჩხეიძე უფრო მართალი უნდა იყოს⁵.

¹ ვ. გაბაშვილი, იოსებ ქართველი — XVIII საუკუნის დიპლომატი და ისტორიკოსი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 120.

² А. Х а х а и о в, Очерки по истории грузинской словесности, вып. III, М., 1901, გვ. 293; ი. ჭავჭავაძე, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.), თბ., 1945, გვ. 364—365; ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

³ სეხნია ჩხეიძე, მეფეთა ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოცემა, თბ., 1913, გვ. 23.

⁴ „Giorgi's early suspicions of Mir Wais were fully justified, when the ghalzai chief put him:ell at the head of the insurgents. Although the Ghalzais were good fighters, Giorgi and his strong garrison of veteran Georgians were able to crush them without difficulty“ L. Lockhart. The Fall of the Safavi Dynasty and the Afghan occupation of Persia, Cambridge, 1958. გვ. 85.

⁵ „On the whole, Sekhnia Chkeidze seem more likely to be correct“ L. Lockhart, დასახ. ნაშრომი, გვ. 85, შენ. 5.

ინგლისელი მკვლევარი იცნობს სეხნია ჩხეიძის თხზულებას მ. ბროსეს ფრანგული თარგმანით.

ქართველი ისტორიკოსის სიტყვებს: „გამოხდა ხანი და შექნა ამავე სულთანმა უარშიობა“ მ. ბროსე ასე თარგმნის: *Peu après, ce même sultan s'étant montre insoumis*, ხოლო ფრანგის გიორგი XI-ის არზიდან: ესე სულთანი უარშიობს — *„Le Sultan est en révolte“*⁶.

როგორც ვხედავთ, მ. ბროსეს ორნაირად უთარგმნია „უარშიობა“, პირველ შემთხვევაში — ურჩობად, მეორეში კი — ამბოხებად.

რომელი თარგმანია უფრო ზუსტი?

სულხან-საბას ლექსიკონში სიტყვა „უარშიო“ ასეა განმარტებული: 1) კაცის გაუწყობელი, 2) გაუწყობელი კაცი⁷.

სულხან-საბა თავის თხზულებებში რამდენჯერმე სარგებლობს ზემოხსენებული სიტყვით. იტალიაში მოგზაურობისას იგი აღწერს იქაურ ქსენონს: „... ორმოციოდ გიეი იყო და დედ-მამის უარშიო. თვითოს ფეხში ბორკილი ეყარა, დაბმულნი იყვნენ“⁸. იმავე დღიურში აღნიშნულია: „მალთას პირდაპირ რომ ბარბაროთ თემია, სამი დიდი ხელმწიფე ზის, რომ ხვანთქარს არ ემორჩილებიან. აქათ თავს თუნის ხელმწიფეა, ხვანთქარის მესაზღვრე და უარშიო“⁹. იგაე-არაკში „მხენელი, ფეიქარი და მკერვალი“ ვკითხულობთ: „... მეაქლებემ უთხრა: აქლემისას გკითხავ, ხენისას არაო. მან უთხრა: ზანგელა ხარი უარშიობს“¹⁰.

მამასადაძმე, სულხან-საბას მიხედვით სიტყვა „უარშიობა“ წარმოადგენს „ურჩობის“ სინონიმს. ასევეა თანადროულ ქართულ საისტორიო წყაროებში¹¹. ცხადია, ასევე უნდა იყოს სეხნია ჩხეიძის თხზულებაში.

რაც შეეხება „ამბოხებას“. ამ მოვლენის აღსანიშნავად ქართველი ისტორიკოსი სრულიად სხვა გამოთქმას გვაწვდის („უკუდგომა“, „უკუდგარი“)¹².

ასე რომ, სეხნია ჩხეიძის თხზულებაში ნათქვამი „უარშიობა“ ნამდვილად არ ნიშნავს „ამბოხებას“, როგორც უთარგმნია მ. ბროსეს და მაშინ ლ. ლოკარტის მსჯელობას ლილზაების ამბოხებაზე (1706 წ.) ნიადაგი ეცლება, მით უმეტეს რომ არც სხვა წყაროები აღასტურებენ ასეთ ვარაუდს.

თადეუმ კრუმინსკის სიტყვით, გიორგი XI დაქვედა მირ-ვეისის ერთგულებაში, გაგზავნა იგი ისპაანს და შეატყობინა შაჰს, რომ ყანდაარის პროვინ-

⁶ M. Brosset. Histoire de la Géorgie. t. II, St.-Petersbourg, 1857, გვ. 26.

⁷ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV—2 (ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ), თბ., 1956, გვ. 152.

⁸ სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I (გამოსაცემად მოამზადა ს. უბანეიშვილმა და რ. ბარამიძემ), თბ., 1959, გვ. 186.

⁹ იქვე, გვ. 238.

¹⁰ იქვე, გვ. 63—64.

¹¹ მაკალთაძე, ბერი ეგნატაშვილი ამგვარად ასახიოებდა ზურაბ არაგვის ერისთავის ძმას: „ესე გიორგი იყო კაცი ამაყი და უარშიო და არა მორჩილებდა მამას თვისსა“. ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი უკვლა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 437. ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტ. VI) გასული საუკუნის მასალების საფუძველზე მოცემულია შემდეგი განმარტება: „უარშიობს“ — არ ეგუებას, არ ემორჩილება, ურჩობს.

¹² უკუდგომით სათანადო მაკალთაძეებს სეხნია ჩხეიძის თხზულებიდან: „იყო აღანთა ქვეყანა უკუდგარი... გაუსია ძმისწული თვისი იესე და აახლო ქართველთ ქარი“ (გვ. 22); „ძმისწული აღესანდრე და ქართველ ქარი გაუსია უკუდგარსა აღანთსა“ (გვ. 26); „... ისპაანის ხალხის უკუდგომა“ (გვ. 23); „უკუდგარი იყო არაგვის ერისთავი იასონ“ (გვ. 5).

ციის უშიშროებისათვის უმჯობესი იყო — არ დაებრუნებინათ მირ-ვეისი ყანდაარში¹³.

„კარმელიტთა ქრონიკაში“ აღნიშნულია, რომ დაეკეებულმა გიორგი XI-მ უბრძანა მირ-ვეისს ყანდაარის მიტოვება და ისპაანს წასვლა¹⁴.

1722 წ. ირანის ელჩად რუსეთში წარგზავნილი ისმაილ-ბეგის რეალაცია მოგვითხრობს, რომ გიორგი XI კარგი თვალთ არ უყურებდა მირ-ვეისს, შეამჩნია რა მისი ურჩობა: ამიტომაც გადააყენა თანამდებობიდან და შაჰს ურჩია, რომ ეს მოუსვენარი პიროვნება დაეკავებინათ ისპაანში, რადგანაც მის ყოფნას ყანდაარში შესაძლოა ცუდი შედეგები მოჰყოლოდა¹⁵. ხოლო ვინმე მამულ-ბეგის რეალაციის მიხედვით, გიორგი XI სამეფო კარზე გაგზავნილ საჩივარში ახასიათებდა მირ-ვეისს, როგორც ირანის მთავრობის ფარულ მტერს და მოსალოდნელი ამბოხების თავიდან ასაცდენად მოითხოვდა მის დატუსაღებას ანდა მოსპობას¹⁶.

სეხნია ჩხეიძის ცნობას საკმაოდ წააგავს ვახუშტი ბატონიშვილის ინფორმაცია. მისი სიტყვით, გიორგი XI-მ შაჰი გაათრთხილა: „რათა არღარა განუტეოს მირვეისი მუნ, ვინათგან ბოროტი მანქანი იყო“¹⁷.

იოსებ ქართველი წერს: „... რაც შეუხება მირ-ვეისს, რომელიც იყო ამბოხების მთავარი წინამძღოლი, გურგინ-ხანი დაკმაყოფილდა იმით, რომ იგი შებოროტილი გაგზავნა ისპაანს და ამავე დროს მისწერა შაჰს, რომ თავიდან მოეშორებინა ეს ავისმზარახველი პიროვნება, მოუსვენარი და შფოთიანი სულისა, რომელსაც შეეძლო ერთ შშვენიერ დღეს საბედისწერო დარტყმა ეგემებინა მონარქიისათვის“¹⁸.

ჩვენთვის საინტერესო ამბავს იოსებ ქართველი ფაქტიურად აშუქებს სეხნია ჩხეიძის მსგავსად. ერთადერთი განსხვავება (მირ-ვეისის მონათვლა „ამბოხების მთავარ წინამძღოლად“) თვით იოსების კალმისმიერი შეცდომა უნდა იყოს, განპირობებული იმით, რომ როდესაც იოსებმა ირანში მყოფ ქართველთაგან შეიტყო ზემოხსენებული ამბავი, მირ-ვეისის ამბოხება (1709 წ.) უკვე მომხდარი იყო და ამ ფაქტთან დაკავშირებული დახასიათება ავლანთა წინამძღოლისა ადრეულ პერიოდზეც გადაუტანია ავტორს.

ამასთან ერთად, თუ ვენდობით იოსებ ქართველის მტკიცებას, რომ მირვეისი 1706 წ. ამბოხების მთავარი წინამძღოლი იყო, გაუგებარი ხდება გიორგი

¹³ T. Krusinski. *Tragica vertentis Belli Persici Historia*. Leopoli, 1740, გვ. 242—243; შდრ. Du Cerceau. *The History of the Revolutions of Persia, taken from the Memoirs of father Krusinski*, vol. I. London, 1728, გვ. 154.

¹⁴ *A Chronicle of the Carmelites in Persia and the Papal Mission of the XVII-th and XVIII-th Centuries*, vol. I. London, 1939, გვ. 563.

¹⁵ Ф. И. Соколов. *Описание Каспийского моря и чиненных на оном российских завоеваний (и с внесенными где потребно было дополнениями проф. Г. Ф. Миллера)*, СПб. 1763, გვ. 135—136.

¹⁶ იქვე, გვ. 152.

¹⁷ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 482.

¹⁸ დამოწმებულია დ. ლენგის მიხედვით. იხ. D. M. Lang. *Georgia and the fall of the Safavi Dynasty*. *Bulletin of the School of Oriental and African Studies, University of London*, vol. XIV, part 3, 1952, გვ. 530.

XI-ის მიერ მის მიმართ მიღებული რბილი ზომები, როდესაც, იმავე იოსების მიხედვით, გიორგი XI-მ სიკვდილით დასაჯა მთავარი დამნაშავენი¹⁹.

კიდევ უფრო გაუგებარი იქნებოდა ფრანგი ისტორიკოსის მამი-კლერაკის სიტყვები, რომ გიორგი XI-ის მოქმედება წარმოადგენს მისი შორსმკვრეტელობის შესანიშნავ მაგალითს²⁰. ამბოხების მთავარი წინამძღოლის დაპატიმრება, რა თქმა უნდა, არ გამოდგება შორსმკვრეტელობის ნიმუშად.

შედარებით გამართული ჩანს იოსებ ქართველის ინფორმაცია თვით მამი-კლერაკის თხზულებაში. იმოწმებს რა იოსების მიერ იტალიურ ენაზე შედგენილ რელაციას, მამი-კლერაკი აღნიშნავს, რომ მირ-ვეისის ერთგულებაში დაეპყებულმა გიორგი XI-მ შეიპყრო იგი და გაგზავნა ისპანს. ამავე დროს ამცნო სამეფო კარს, რომ მირვეისი არის მემამბოხე და განზრახული აქვს ახალი შფოთის გაღვივება, რაც მომავალში სახიფათო იქნებოდა სახელმწიფოსათვის²¹.

ჟ. ჰანვეის კრიტიკულად გაუაზრებია მამი-კლერაკის ტექსტი და მთელი შინაარსის გათვალისწინებით მცირე კორექტივი შეუტანია. ფრანგული „*factieux*“ (მემამბოხე) ჟ. ჰანვეის უთარგმნია ინგლისურად როგორც „*turbulent*“ (ურჩი, დაუმორჩილებელი)²².

ასეა თუ ისე, ყველაზე სანდო ავტორად უნდა მივიჩნიოთ სეხნია ჩხეიძე. რომელიც აღწერილი ეპიზოდის თვითმხილველი იყო ყანდარში. სხვა წყაროებში დაცული ცნობებიც მეტ-ნაკლებად ემთხვევა სეხნიას ჩხეიძის თხრობას და აქარწყლებს ინგლისელი მკვლევრის მტკიცებას 1706 წ. ღილზების ამბოხებაზე.

¹⁹ იქვე.

²⁰ La Mamyé-Claire c. Histoire de Perse, depuis le commencement de ce siècle. vol. I, Paris, 1750, გვ. 25.

²¹ იქვე.

²² J. Hanway. The Revolutions of Persia. London, 1753. გვ. 30.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წევრ-კორესპონდენტმა ე. გაბაშვილმა)

მერი მოღვაძე

ჰინდი ენის ლექსიკოგრაფიის ისტორიისათვის

ჰინდი ენას განსაკუთრებული როლი აკისრია თანამედროვე ინდოეთის პოლიტიკურ თუ კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დაისვა ჰინდი ენის საერთო სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და მისი საშუალებით აქამდე მთელი ინდოეთის მასშტაბით მომქმედი ინგლისური ენის შეცვლის საკითხი. ინგლისელთა ბატონობის პერიოდში ჰინდი ენამ ერთგვარი დაკნინება განიცადა და ახლა აუცილებელი იყო მისი გამდიდრება-სრულყოფა, რათა მას შესძლებოდა თანამედროვე პრაქტიკული ზოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ პრობლემის თეორიული და პრაქტიკული გადაწყვეტისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების შექმნას და ჰინდი ენის ლექსიკოგრაფიის საკითხების დამუშავებას, რომლის განვითარებისა და თანამედროვე მდგომარეობის ზოგად სურათსა და ანალიზს წარმოვადგენთ ქვემოთ.

ინდური ლექსიკოგრაფია უძველესი საისტორიო ტრადიციით ხასიათდება. ჯერ კიდევ სამი ათასი წლის წინ ძველ ინდოეთში ენის გრამატიკის შესწავლასთან ერთად ადგილი ჰქონდა სიტყვების შინაარსის განმარტების და ლექსიკის სისტემაში მოყვანის ცდებსაც. დაახლოებით ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში ვედებისათვის შედგენილი იყო სიტყვათა სიები — ე. წ. ნიგანტუ, რომელიც ითვლება პირველ ინდურ ლექსიკონად. ამ სიებში სინონიმების მეშვეობით განმარტებული იყო ადრეული ვედების ენის სახელები, ზმნები და მეტყველების უცვლელი ნაწილები. საკუთრივ ლექსიკონების წარმოქმნა სანსკრიტული პოეზიის განვითარებასთანაა დაკავშირებული. ცნობილია სინონიმური (ეკართაკოშა) და ომონიმური (ნანართაკოშა) ლექსიკონები, დაწერილი ლექსებით — შლოკებით. უძველესი სანსკრიტული ლექსიკონი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულ ლექსიკონებში ყველაზე მნიშვნელოვნად ითვლება, არის „ამარაკოშა“, შედგენილი მე-6 საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვით ამარასინჰის მიერ. ამ ლექსიკონით ხელმძღვანელობდნენ შემდგომში ინდოელი ლექსიკოლოგები. მე-12 საუკუნეში ის გამოიყენა ჰალის ლექსიკონის შესადგენად („აბჰიდჰანაპარადიპიკა“) მოგალანამ, ხოლო მე-18 საუკუნეში — პოეტმა ბიქარი დასმა თავისი ლექსიკონისათვის „ამარაპარაკაშა“. შემდგომში კი ამ ლექსიკონმა გაუწია უდიდესი სამსახური ლექსიკოგრაფებს ევროპაში და სწორედ იგი იყო გამოყენებული ო. ბოტლინგისა და რ. როტის ცნობილი ლექსიკონისათვის¹. დღესაც კი „ამარაკოშა“ ის ძირითადი წყაროა, რომელსაც მიმართავენ ინდოეთის თანამედროვე ლიტერატურული ენების ყველა განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი.

¹ O. Böhtling und R. Roth, Sanskrit-Wörterbuch. 1-7. St.-Peterburg, 1855-1875.

სხვა ლექსიკონებს შორის გამოირჩევა — დარგობლივი: სამედიცინო, ბოტანიკური, ასტროლოგ-ასტრონომიული, ბუდდოლოგიური და სხვ.

ინდური ენათმეცნიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს პრაკრიტულ ლექსიკონებს, რომლებიც მე-10—12 საუკუნეებშია შედგენილი. აქედან უძველესი პრაკრიტული ლექსიკონია „პაიალაჩჩი ნამამალა“, შედგენილი ღანა-პალის მიერ 972 წელს. მე-12 საუკუნეში ეს ლექსიკონი გამოიყენა ცნობილმა სწავლულმა ჰემანანდრამ. მის პრაკრიტულ ლექსიკონს „დემინამამალას“ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ესაა მდიდარი წყარო პრაკრიტული ლექსიკონის შესასწავლად.

მე-2 ათასწლეულის დასაწყისში ჩრდილოეთ ინდოეთში შუა აზიიდან და ავღანეთიდან უცხოელი დამპყრობლების შექრამ გარკვეული ცვლილებები მოახდინა ადგილობრივი მოსახლეობის ლექსიკაში. ამ პერიოდთან არის დაკავშირებული ინდოეთში თარგმნითი ლექსიკონების წარმოშობა. პირველ თარგმნით ორენოვან ლექსიკონად ითვლება სპარსული ტერმინების ლექსიკონი „პარასი ბჰაშანუშასანა“, შედგენილი მე-16 საუკუნის შუა წლებში. ეს ლექსიკონი გამოიცა 1945 წელს ლაჰორში. აკბარის (1542—1605) მეფობის დროს კრიშნა დასის მიერ შედგენილ იქნა „პარასიპრაკაშა“. 1676 წელს პანდიტმა რაგჰუნატკამ შეადგინა არასანსკრიტული ტერმინების ლექსიკონი — „რაჯავი-ეაჰარა-კოშა“, რომელიც შემდეგ გამოიცა 1880 წელს პუნაში.

მთელი იმ ხნის განმავლობაში, როდესაც ინდოეთის დასაპყრობად ერთმანეთს ეცილებოდნენ ევროპელები (პორტუგალიელები, ფრანგები და ინგლისელები) და შეზღვევ, როდესაც ინდოეთი ბრიტანეთის კოლონიად გადაიქცა, გასაგებია, ფილოლოგიური მუშაობა იქ ძალიან შესუსტებული იყო. მე-19 საუკუნის ბოლოს ნაციონალურ გამოღვიძებასთან დაკავშირებით გამოცოცხლება დაეტყო ინდური ენების შესწავლის საქმესაც. ინდოელი ლექსიკოგრაფებისათვის ამოსავალი იყო ძირითადად ევროპელი ლექსიკოგრაფების მიერ შედგენილი ლექსიკონები, როგორც იყო სანსკრიტის ზემოთ დასახელებული ო. ბოტლინგისა და რ. როტის ლექსიკონი და ჰინდის ს. ფალლონისა² და ჯ. პლატის³ ცნობილი ლექსიკონები.

ახალი ტიპის სანსკრიტული ლექსიკონებიდან სანიმუშოდ ითვლება „ნაია-კოშა“, შედგენილი ბჰიმაჩარია ჯალაკიკარამის მიერ, რომლის პირველი გამოცემა განხორციელდა 1874 წელს, ხოლო მეორე — 1893 წელს ბომბეში. ეს არის ფილოსოფიური ტერმინების ლექსიკონი. ყველა წინა ლექსიკონებისაგან განსხვავებით იგი დალაგებულია ანბანის რიგზე, თითოეულ სიტყვას მიწერილი აქვს რამდენიმე მნიშვნელობა ილუსტრირებული ტექსტით. რაც შეეხება თარგმნით ლექსიკონებს, ამ პერიოდისათვის, ე. ი. მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის, უკვე ჩნდება ახალი ინდური ენებიდან ევროპულ ენებზე (ძირითადად ინგლისურზე) თარგმნითი ლექსიკონები, შედგენილი უმთავრესად ევროპელების მიერ⁴. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ცნობილი ინგლისელი მეცნიერის ჯონს ბიმზის სიტყვები: „ნიშანდობლივია, თუმცა ჩვენ

² S. Fallon, Hindustani Dictionary. London-Baranas, 1879.

³ J. T. Platts, A Dictionary of Urdu, Classical Hindi and English. London, 1884.

⁴ Nyāya kośa or the Dictionary of the Technical Terms of the Nyāya Philosophy. Bombay, 1893.

⁵ იხ. В. М. Бескровный, Современная лексикография Хинди. Вопросы языкознания, 1959, № 1, стр. 105.

ეს მაინცადამაინც დიდ პატივს არ გვდებს, რომ ასწლიანი მმართველობის პერიოდში ჩვენ იქ ასე მცირე რაოდენობით შევექმენით კარგი ლექსიკონები“⁶.

მე-19 საუკუნის ბოლოსათვის და განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისისათვის ლექსიკოგრაფიული მუშაობა ინდოეთში სრულიად სხვა სახეს იღებს. ინდოეთში ამ დროისათვის ეროვნული მოძრაობის აღმავლობასთან დაკავშირებით განვითარებას იწყებენ ეროვნული ენებიც. იქმნება სპეციალური საზოგადოებები — ფილოლოგიური და ლიტერატურული. პირველი ასეთი საზოგადოების, ე. ი. ჰინდი ენის განვითარებისათვის მებრძოლი საზოგადოების, ინიციატორები იყვნენ ბენარესის უნივერსიტეტის სტუდენტები ძმები შომბიჩარ მიშრა და რამნარაიან მიშრა. ეს საზოგადოება დაარსდა ბენარესში 1893 წლის 16 ივლისს. მას ეწოდა „ნაგარი-პრაჩარინი ჰინდი“ — ჰინდი ენის გამავრცელებელი საზოგადოება. ამ საზოგადოების აქტიური მოღვაწეები იყვნენ შიამსუნდარდასი, კიშორილალ გოსვარი, რამნარაიან მიშრა, მაჰვირაბარასად დვივედი, კამტაბარასად გურუ და სხვები. საზოგადოებას თავის ძირითად მოვალეობად ჰინდი ენის სრული გრამატიკის შექმნა მიაჩნდა, ვინაიდან აქამდე არსებული ინგლისელი მისიონერის — ადამის გრამატიკა უკვე მოძველებული იყო, ხოლო ლალლუჩი ლალის გრამატიკა კი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იყო ქცეული. თავდაპირველად გამოიცა განგაბარასად და რამაკარნა შარმას გრამატიკა, ხოლო 1916 წელს — კამტაბარასად გურუს ჰინდი ენის სრული გრამატიკა, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია საერთო აღიარებით სარგებლობს და გაუძლო რამდენიმე სრულ და შემოკლებულ გამოცემას. იგი თარგმნილია რუსულადაც⁷.

საზოგადოებას ევალებოდა აგრეთვე ლექსიკონების შედგენა. 1829 წელს გამოცემული ადამის ლექსიკონი, რასაკვირველია, აღარ იყო საკმარისი, ხოლო ჯონ პლატის ურდუ-ჰინდი-ინგლისური ლექსიკონი ურდუსა და ინგლისურის არმპოდნეთათვის გამოუყენებელი იყო. სხვა ლექსიკონები კი, როგორც იყო პირველი განმარტებითი ლექსიკონი „ვივეკკოშ“ ბაიჯუ დასის მიერ შედგენილი და გამოცემული 1892 წელს ბანკიპურში, ანა „გაური ნაგარი-კოშ“, „მანგალ-კოშ“, გამოცემული ლაკნაუში 1890 წელს, ან „შირდჰარ-კოშ“, „ჰინდი ვაიჯანანი-კოშ“ 1906 წელს გამოცემული ბენარესში და მისთ., ვერ აკმაყოფილებდნენ ახალ მოთხოვნილებებს. აუცილებელი იყო განმარტებითი ლექსიკონის შექმნა. რომელიც ნავარაუდევია იქნებოდა ჰინდიენოვან მკითხველთათვის და მასში მოცემული იქნებოდა როგორც შუა საუკუნეების პოეზიის ისე თანამედროვე ჰინდი ენის ლექსიკაც. 1909 წელს დაიწყო ლექსიკონზე მუშაობა შიამსუნდარდასის ხელმძღვანელობით. მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ცნობილმა სწავლულმა: რამჩანდრა შუკლამ, რამჩადრა ვარმამ, ბალკრიშნა ბჰატიმ, ამირ სინჰიმ, ჯაგანმოჰან ვარმამ და სხვებმა. ამ ლექსიკონის პირველი ტომი გამოვიდა 1916 წელს, ხოლო უკანასკნელი, მერვე — 1929 წელს⁸. ამგვარად, ოცი წლის თავდადებული მუშაობის შედეგად ინდოელმა ხალხმა მიიღო ვრცელი განმარტებითი ლექსიკონი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა როგორც ინდოეთში, ისე მის ფარგლებს გარეთაც⁹. ეს ლექსი-

⁶ J. Beames. A Comparative Grammar of the modern Aryan Languages of India. vol. 1. London. 1872. გვ. 28.

⁷ Камтарабарад Гурю. Грамматика Хинди. ч. I. М., 1957; ч. II. М., 1962.

⁸ Hindi Śabda Śāgar. Arhat Hindi bhāṣā kī bḥat koś. კვჭ. 1916—1929.

⁹ რტლად იხ. П. А. Баранников. Проблемы Хинди как национального языка. Л., 1972. გვ. 142.

კონი დაახლოებით 100 000 სიტყვას შეიცავს; თითოეულ სიტყვას თავისი ეტიმოლოგია ახლავს. სხვადასხვა მნიშვნელობები სიტყვისა გამოყოფილია ციფრებით და თითოეულ მათგანს ერთეის მაგალითები, გამოთქმები, ანდაზები. სწორედ ეს ლექსიკონი დაედო საფუძვლად ჰინდი ენის მეცნიერულ ლექსიკოლოგიას. შემდგომ ლექსიკოგრაფებს გზა უკვე გაკაფული ჰქონდათ და მუშაობა შედარებით გაიოლებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი მათგანი ამ ლექსიკონის მხოლოდ გადაწერით კმაყოფილდებოდა. „მნიშვნელოვანი რაოდენობა ლექსიკონებისა, გამოსული ინდოეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგაც კი, გადაწერილი იყო „ჰინდი-შაბდა-საგარ“-იდან და თითქმის არაფერ ახალს არ შეიცავდა“¹⁰. შესაძლებელია ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ყველა გამომცემლობა კოლონიურ ინდოეთში მხოლოდ კერძო პირებს ეკუთვნოდათ, რომლებსაც არ ჰქონდათ საშუალება ახალი მასალების შეგროვებისა.

1947 წელს, როდესაც ინდოეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა და ჰინდი ენა გამოცხადებულ იქნა სახელმწიფო ენად, ინდოელი ლექსიკოგრაფების წინაშე ძნელი და რთული ამოცანები წამოიჭრა, ეინაიდან ჭერ კიდევ გაურკვეველი იყო საკითხი ინგლისური ენისა — შესაძლებელი იქნებოდა თუ არა მისი შეცვლა მთლიანად ჰინდი ენით. კომპრომისი, რომ ინგლისური დროებით დარჩენილიყო ოფიციალურ ენად, ინდოეთის კონსტიტუციაში ასე გამოისახა: „თხუთმეტი წლის განმავლობაში ინგლისური ენა ხმარებაში ყოფილიყო ყველა ოფიციალური მიზნებისათვის“¹¹. სწორედ ამიტომ ჰინდი ენის მომხრეებმა ყოველგვარ ზომებს მიმართეს ამ ენის სრულყოფისა და მისი ხმარების სფეროების გასაფართოებლად. მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოებების მუშაობა, განსაკუთრებით „ნაგარი პრაჩარინი საბჰასი“. აქ მიმდინარეობს მუშაობა ახალ დიდ მრავალტომიან განმარტებით ლექსიკონზე, რომლის რამდენიმე ტომი უკვე გამოქვეყნდა. ამავე განყოფილებაში დამუშავდა და გამოიცა ენციკლოპედიის ათტომეული ჰინდი ენაზე; ასეთსავე დიდ მუშაობას ეწევა ორგანიზაცია „ჰინდი საპიტია სამმელან“, რომელიც ჰინდი ენის პროპაგანდას ეწევა. ამ ორგანიზაციის ინიციატივით მომზადდა და უკვე 1948 წელს გამოვიდა ჰინდის ადმინისტრაციულ ტერმინთა ლექსიკონი.

ინდოეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა ჰინდის ენის სამეცნიერო და სპეციალური ტერმინოლოგიის შესადგენად. ე. ი. საჭირო იყო ტერმინოლოგიის შექმნა ისეთ სფეროებში, სადაც აქამდე მონაპოლია ინგლისურს ჰქონდა და რის გამოც ჰინდიში აქამდე არ არსებობდა ათასობით სხვადასხვა ტერმინი. ბენარესის უნივერსიტეტის პროფესორმა ჰაზარი პრასად დვივედიმ გამოიანგარიშა: იმისათვის, რომ შეცვლილიყო ინგლისური სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინები სამამულოთი, უახლოესი ათი წლის განმავლობაში ყოველწლიურად უნდა შექმნილიყო 20 ათასი ახალი სიტყვა და გამოთქმა¹². ყოველივე ამისათვის ჩამოყალიბდა კომისიები მეცნიერების ცალკეული დარგებისათვის. მომზადდა და წინასწარ გამოქვეყნდა ტერმინთა სიტყვარი. ამ მუშაობის შედეგი იყო ჰინდი ენის დიდი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომლის გამოცემას დიდი სიძნელეები სდევდა თან. გამომცემლების წინაშე ძალიან რთული ამოცანა იდგა: რა წყაროთი

¹⁰ ამის შესახებ რ. ნ. ჯოჯი, *šabda aur šabdakoṣ*, „Ajkal“. V. 1956, გვ. 24.

¹¹ Конституция Индии, М., 1956, გვ. 230.

¹² „The Hindustan times“. 30. XII. 1955, გვ. 9.

ეხელმძღვანელათ ახალი ლექსიკის შექმნისას — გამოეყენებინათ ისევე ინგლისური ლექსიკა, თუ ეძებნათ სანსკრიტული ეკვივალენტები, ანდა ეხმარათ საკუთრივ ჰინდის, თუ გამოეყენებინათ არაბულ-ირანული წარმოშობის სიტყვები. როგორც ამ საკითხებზე მუშაობამ, ისე პრაქტიკამ სპეციალისტები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ საჭირო იყო ოთხივე წყაროს გამოყენება. გამოკვეყნდა სხვადასხვა ტერმინოლოგიის ოცდაათტომეული. ეს ლექსიკონები მომზადდა ინდოეთის ცენტრალურ მთავრობასთან არსებული სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიის კომისიის მიერ. ლექსიკონებით სარგებლობდა ჰინდიენოვანი შტატების მთავრობის ორგანოები და მათი მუშაობა თანდათან ინგლისურიდან ჰინდიზე გადადიოდა¹³. ამავე კომისიას დაეველა დიდი ენციკლოპედიის გამოცემა ჰინდი ენაზე.

ლექსიკოგრაფიულ მუშაობაში ებმება ინდოეთის პროგრესულად განწყობილი თითქმის ყველა მეცნიერი. „ჰინდი-შაბდა-საგარ“-ის ერთ-ერთმა გამომცემელმა და ცნობილმა ლექსიკოგრაფმა რაჰ ჩანდრა ვარმამ 40-იანი წლებისათვის დაასრულა „შაბდა-საგარ“-ის შემოკლებული ვარიანტის გამოცემა „სანსკრიტა ჰინდი შაბდა საგარ“. ავტორმა მოგვცა ზოგიერთი სიტყვის ეტიმოლოგია და მისი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ძველი ლექსიკონიდან ამოეღო მასალები შუა საუკუნეების პოეზიის ლიტერატურიდან და შეეცო ლექსიკონი მე-20 საუკუნის დასაწყისის მწერალთა ნაწარმოებების ლექსიკით; მოეცა აგრეთვე თანავედროვე ნეოლოგიზმები. ხელმძღვანელობდა რა ამავე პრინციპებით, რამ ჩანდრა ვარმამ გამოაქვეყნა 1950 წელს თავისი „პრამანიკ ჰინდი კოშ“.

ინდოელმა ლექსიკოგრაფებმა 50-იან წლებში დიდი მუშაობა ჩატარეს. 1950 წელს გამოდის ნალანდას ურთომიანი ლექსიკონი — „ნალანდა ვიშალ შაბდა საგარ“ (დელი), რომელიც 150 ათას სიტყვას შეიცავს. შემდგენელმა ნავალჯიმ შეიტანა 18 ათასი ახალი სიტყვა თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურიდან, ვაზეთებიდან, ჟურნალებიდან და ახალი ტერმინოლოგიური ლექსიკონიდან. ასეთივე დიდი მნიშვნელობისა იყო 1952 წელს ბენარესში გამოცემული — „ბრიჰატ ჰინდი კოშ“ (მეორედ გამოცემა 1956 წ.). იგი 136 ათას სიტყვას შეიცავს. გამოცემას ხელმძღვანელობდა ბენარესის ვაზეთის „აჯ“-ის მთავარი რედაქტორი კალიაკარასადი. ლექსიკონის შედგენაში მონაწილეობდნენ რაჯავალაბჰა საპაი, მუკუნდილალ შრივასტავი და სხვები. ხოლო 1954 წელს შრივასტავმა გამოსცა ამ ლექსიკონის შემოკლებული ვარიანტი „ჩინან შაბდა კოშ“, რომელიც 71 ათას სიტყვას შეიცავს. შემოკლება მოხდა ძირითადად ნაკლებად ხმარებადი სანსკრიტის, არაბულისა და სპარსულის ლექსიკის ხარჯზე.

1943—46 წლებში ინდოეთის კულტურის ინტერნაციონალური აკადემიის პრეზიდენტმა პროფესორმა რაჯჰუ ვირამ გამოსცა ადმინისტრაციულ ტერმინთა ლექსიკონი „პრაშასან შაბდა კოშ“, აგრეთვე ქიმიის ტერმინთა ლექსიკონი. ამავე წლებში გამოდის რაჰულ სანკრიტიანის სამოხელეო-ადმინისტრაციულ ტერმინთა ლექსიკონი — „შასან შაბდა კოშ“ და ბჰანდარის ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი. აღსანიშნავია აგრეთვე: დოქტორ სატიაპრაკაშის პრესის ენის ლექსიკონი — „სამაჩარაპატრა შაბდა კოშ“, ალაჰაბადი, 1950; მ. შრივასტავის ტერმინოლოგიური ლექსიკონი — „პარიბჰაშიყ შაბდა კოშ“, ბენარესი, 1953;

¹³ იხ. Daily press circulation over 70 lakhs. Patriot. 20. 12. 1968.

რაჭენდრა დევედის ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი — „საპიტია შას-ტრა კა პარიბჰაშიკ შაბდა კოშ“, დელი, 1955; მუკუნდილალ შრივასტაის რედაქტორობით — სამეცნიერო ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი — „გიან-შაბდაკოშ“, ბენარესი, 1955; ა. ვადას — საერთაშორისო სამეცნიერო ტერმინთა ლექსიკონი — „The future of English in India“, ბომბეი, 1955; მატჰურის — ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1957; ამარნატჰ კაპურის — გეოგრაფიულ ტერმინთა ლექსიკონი — „ბჰაუგოლიკ შაბდ-კოშ აურ პერბჰე-შეიენ“, ალაჰაბადი, 1960; ვარმა გპარაჩანდრასა და სხვების რედაქტორობით — ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი „ჰინდი საპიტია კოშ“, ბენარესი, 1961; „პარიბჰაშიკ შაბდ სანგრაჰ“ — ტექნიკურ ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1962; რაჭენდრა დევედის — ენათმეცნიერულ ტერმინთა ლექსიკონი — „ბჰაშასტრა კა პარიბჰაშიკ შაბდკოშ“, დელი, 1963; „ვიგიან შაბდავლი“ — სამეცნიერო ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1964; ბანდრინატჰ კაპურის — „ვან-გიანიკ პარიბჰაშიკ კოშ“ — სამეცნიერო ტერმინთა ლექსიკონი ინგლისური ეკვივალენტებით, ბენარესი, 1965; „მანეიკი შაბდავლი“ (იტიჰას, პურატატეა აურ რაჭენტიშასტრა) — ისტორიულ, არქეოლოგიურ, დიპლომატიურ ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1966; „მანეიკი შაბდავლი (სამაჯ, ვიგიან, სამაჯიკ მონოვიგიან) — ფილოსოფიურ, საგანმანათლებლო ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1967; „კრიში შაბდავლი“ — სოფლის მეურნეობის ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1967; „მანეიკი შაბდავლი“ (დარშან, მანოვიგიან შიკშა) — სოციოლოგიურ და სოციალური ფსიქოლოგიის ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1967; „სამეიკტ პრაშასან შაბდავლი“ — ადმინისტრაციულ ტერმინთა ლექსიკონი, დელი, 1968; რაი გოპალის — „ჰინდი უნანიას კოშ“ — ჰინდის ლიტერატურულ ტერმინთა ლექსიკონი, 1968.

ყველა ეს ლექსიკონი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, იმავე პრინციპებითა და მეთოდებითაა შედგენილი, რაც საფუძვლად ედო ცნობილ ლექსიკონს „ჰინდი-შაბდა-სავარ“-ს. მაგრამ, სამწუხაროდ, არიან ლექსიკოგრაფები, რომლებიც იბრძვიან ე. წ. „წმინდა ჰინდისათვის“ და შეგნებულად იღებენ ლექსიკონებიდან არაბულ-სპარსულ, ინგლისურ თუ სხვა ნასესხობებს, რითაც უფრო მეტ ხელოვნურ სიძნელეებს ქმნიან. ამის კარგი მაგალითია პატჰაკის „ადარშ ჰინდი შაბდ კოშ“ (ჰინდის სანიმუშო ლექსიკონი), რომელიც რამდენჯერმე გამოიცა ბენარესში (მესამედ — 1950 წელს). მაგრამ პატჰაკმა მაინც ვერ აუარა გვერდი ჰინდი ენაში ისტორიულად დამკვიდრებულ მთელ რიგ ნასესხობებს და დაურთო ისინი ლექსიკონს. ამგვარად, ჩვეულებრივი სიტყვები, როგორცაა: mazdur — „მუშა“, zamin — „მიწა“, bimar — „ავადმყოფი“, javab — „პასუხი“, kursi — „სკამი“, kārkhānā — „ფაბრიკა“ და ბევრი სხვ., ავტორმა დანართში შეიტანა და მათ „სიკვდილი“ უწინასწარმეტყველა. მაგრამ ყოველივე ამით ავტორი მთელ რიგ წინააღმდეგობებს აწყდება. ასე, მაგალითად, არაბულ-სპარსული kabul — „თანხობა“ და აქედან ზმნა kabulinā — „დათანხმება“ (ე. ი. არაბულ-სპარსულ სიტყვას დართული აქვს ჰინდის ზმნის ინფინიტივის მაწარმოებელი ოა სუფიქსი) ავტორმა დანართში შეიტანა, მაგრამ ამავე სიტყვიდან ნაწარმოები კაუზატივები kabulīnā და kabulvārī კი — ლექსიკონში. ლექსიკონშია შეტანილი აგრეთვე მთელი რიგი ჰიბრიდული სიტყვები, რომელთა ერთ-ერთი კომპონენტი ნასესხებია, მაგრამ თვითონ ეს ნასესხები სიტყვა კი დანართშია მოკლებული. ასე, მაგალითად, სპარსული ka-

mar „წელი, ქამარი“ არ არის ლექსიკონში, მაგრამ გვაქვს ka.mar-tūṭā, ka-mar-peta და მისთ. სიტყვა asman — „ცა“ ლექსიკონში არ არის, მაგრამ დანართში მოცემულია მთელი რიგი ფრაზეოლოგიური გამოთქმები, თუ გამოცანები და ანდაზები ამ სიტყვის შემცველნი.

გვხვდება საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როდესაც ზოგიერთი ლექსიკოგრაფი პირიქით ცდილობს ბინდის ლექსიკონში შეიტანოს არაბულ-სპარსული ლექსიკა, — ის, რაც ზედმეტია ბინდისათვის. ასე, მაგალითად, კედარნატჰ ბჰაქტის „ურდუ-ბინდი ლექსიკონი“ (ალაჰაბადი, 1955) ემყარება ურდუს ლიტერატურულ ტექსტებს, რითაც ავტორი ცდილობს ურდუს ლექსიკა დაამკვიდროს ბინდში.

50-იან წლებში გამოდის აგრეთვე შუა საუკუნეების პოეზიისა და პოეტიკლიკოსების ენათა ლექსიკონები. მათ აქვთ შევსებული სამეცნიერო დაწესებულებები, როგორცაა ლაქნაუს უნივერსიტეტი, სადაც დამუშავდა და 1950 წელს გამოვიდა ბრაჯის დიალექტზე დაწერილ ნაწარმოებთა ლექსიკონი „ბრაჯ-ბჰაშა სურ-კომ“; 1954 წელს ალაჰაბადის ბინდუსტანის აკადემიამ გამოსცა ტულსი დასის ნაწარმოებთა ლექსიკონი „ტულსი შაბდა საგარ“, შედგენილი პ. ტივარის მიერ და გამოცემული ბ.პ. ტივარის რედაქტორობით. იგი შეიცავს 22 ათას სიტყვას. 1955 წელს ბინდუსტანის აკადემიამ გამოსცა ავალპის ენის ლექსიკონი „ავალპი კომ“, რომელიც შეადგინა რამაჯან დვივედი სამირმა ხალხური მასალების საფუძველზე.

ბინდი ენის ისტორიულმა ვითარებამ განაპირობა ამ ენაში სხვადასხვა წარმომავლობის სინონიმთა ქარბი არსებობა. სინონიმის პრობლემა ბინდი ენაში ძალიან საინტერესოა როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. იგი მრავალი მეცნიერის კვლევის ყურადღების ცენტრშია¹⁴. ხშირად სხვადასხვა შრომაში დანართის სახით არის მოცემული სინონიმური მწკრივები. ასე, მაგალითად, ბაბურამ საქსენა თავის ცნობილ შრომაში „სემანსილოგია“¹⁵ იძლევა მთელ რიგ სინონიმთა წყვილებსა და მწკრივებს. იგი ინდური წარმომობის სიტყვებს მიუწერს როგორც არაბულ-სპარსულ, ისე ინგლისურ სიტყვებსაც. მაგ., სანსკრიტული pustak, არაბული kitab — „წიგნი“, სანსკრიტული madhur, არაბული šafad (<šahd) — „თაფლი“, სანსკრიტული samay, არაბული vakt და ინგლისური taim — „დრო“ და სხვ. ხოლო ბჰოლანატჰ ტივარი თავის შრომაში „ენათმეცნიერება“¹⁶ სინონიმურ წყვილებს მიუწერს ცალკეული დიალექტებიდან ნასესხებ ეკვივალენტებსაც. ასე, მაგალითად, ბჰოჯპურის დიალექტიდან ბინდში შესულია სიტყვა dānṛ სინონიმში ბინდის jurmana-სი — „ჭარბია“. ანდა ამავე დიალექტიდან ბინდში შესულია სიტყვა māhur (იგი სანსკრიტული წარმომობისაა madhur — „ტკბილი“), სინონიმში ბინდის viṣ — „საწაპლაი“.

ჰობრიდული სინონიმური დვანდვას მაგალითები მოყვანილია კამტაპრასად გურუს ცნობილ გრამატიკაში¹⁷, ვაქების „ბინდის ენის გრამატიკაში“¹⁸

¹⁴ ოცდობდ იბ. А. П. Баранников. Синонимические повторы в индондийских языках. „Зап. коллеги востоковедов“. т. III, а. 1:29; სიტყვ. Словарное повторение в хиндустани. „Восточные Записки“. т. I, а. 1927.

¹⁵ Baburam Saksena. Arthvijñān, Patnā, 1951. გვ. 55—58, 129—148.

¹⁶ Bholanath Tivari. Bhāṣāvijñān, sanśodhit aur parivādhit sanskaran, Ilaḥaba', 1957.

¹⁷ K. Guru. Hindi vyākaran, sanśodhit sanskaran, Kāśī, გვ. 404—405; 495—497.

¹⁸ K. Vajpeyi. Hindi śabāraśasan, Kāśī, 1958., გვ. 511—513.

და უ. ტივარის შრომაში „ჰინდი ენის წარმოშობა და განვითარება“¹⁹. ჰარდუე ბაპრის შრომაში „ჰინდის სემანტიკა“ დაწვრილებითაა დახასიათებული ჰინდის სინონიმთა წყარო. წიგნის ბოლოში მოცემულია სინონიმურ წყვილთა სია, სადაც თითოეულ არაბულ-ირანული წარმოშობის სიტყვას მიწერილი აქვს საკუთრივ ჰინდისა და სანსკრიტიდან ნასესხები შესაბამისი სიტყვა²⁰. „სინონიმური კონკურენციის“ საკითხებზეა საუბარი ტივარის პოპულარულ წიგნში „*Ṣabdon kā jīvan*“ — „სიტყვათა ცხოვრება“²¹.

სინონიმური ლექსიკონებიდან აღსანიშნავია პანდიტ შრიკრიშნა შუკლას ლექსიკონი, რომელიც პირველად 1935 წელს გამოიცა, მეორედ — 1949 წელს. ეს ლექსიკონი პრაქტიკული მნიშვნელობის იყო, გამიზნული მწერლებისათვის და პოეტებისათვის. ავტორმა გამოიყენა ამარას „ამარა-კოშ“²² და სხვათა სანსკრიტული ლექსიკონები და ინდური ტრადიციული სამედიცინო და ასტრონომიული ლიტერატურა. ლექსიკონში მასალა დალაგებულია თემატიკის მიხედვით და არა ანბანზე. იგი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი: 1) მითოლოგია, 2) გეოგრაფია, 3) ადამიანი, 4) ცხოველთა სამყარო. თითოეულ განყოფილებას ქვეგანყოფები აქვს. სულ ლექსიკონში 2251 სიტყვა-სტატიაა. ამ ლექსიკონისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასში უპირატესობა სანსკრიტულ ლექსიკას ენიჭება, თუმცა ავტორს მოჰყავს არაბულ-სპარსული წარმოშობის სიტყვებიც. მაგალითად, სანსკრიტულ *saptah*-ს „კვირა“ მიწერილი აქვს ირანული *hafta*. სანსკრიტულ *sansar*-ს — „ქვეყანა“ არაბული *dunya*. მაგრამ ხშირად არაბულ-ირანული ლექსიკა გამოტოვებულია და, როგორც მოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, საკუთრივ ჰინდის ლექსიკა თითქმის უგულებელყოფილია. ამდენად, ლექსიკონი უფრო სანსკრიტულ სინონიმებს გვაცნობს, ვიდრე ჰინდისას, მაგრამ მიუხედავად ნაკლოვანებებისა ამ პირველი სინონიმური ლექსიკონის გამოცემას ინდოელები დიდი კმაყოფილებით შეხედნენ²³.

მეორე დიდი სინონიმური ლექსიკონია ბჰ. ტივარის მიერ 1954 წელს გამოცემული — „*ვრიპატ პარიიაეაჩი კოშ*“²⁴, მასალა აქაც თემატურადაა განლაგებული: 1) რელიგია, 2) ხელოვნება და მეცნიერება, 3) ცოცხალი არსებები, 4) მცენარეები, ლითონები და მინერალები, 5) ცალკეული საგნები, 6) სივრცე, 7) დრო, 8) აბსტრაქტული სახელები. ეს ლექსიკონი ზემოთ დასახელებულ ლექსიკონთან შედარებით უფრო სრულად გადმოგვცემს თანამედროვე ჰინდი ენის ლექსიკურ სინონიმთა, ე. ი. ჭერ მოცემულია საკუთრივ ჰინდის ლექსიკა, შემდეგ სანსკრიტული, შემდეგ არაბულ-სპარსული და ბოლოს ინგლისური. გარდა ამისა, ეს ლექსიკონი ბევრად უფრო სრულია. მაგალითად, ცნება „წელისათვის“ შუკლას ლექსიკონში ექვსი სინონიმია წარმოდგენილი და ექვსივე სანსკრიტული წარმოშობისაა. ტივარისთან კი ამ სიტყვის სინონიმურ მწკრივში 17 სიტყვაა, რომელთაგანაც ზოგი სანსკრიტულია,

¹⁹ Tivari. Hindi bhāṣā kā udgam aur vikāś. Prayāg, 1956.

²⁰ H. Bahri. Hindi semantics. Allahabad, 1959.

²¹ Bh. Tivari. *Ṣabdon kā jīvan*. Dilli-Bambay-Nai Dilli. Jhahabad, 1955.

²² „*Amarakoṣā*“. With the Commentary of Maheśvara, enlarged by Raghunath Shastri Talekar. Bombay, 1907.

²³ იხ. П. А. Бараников, Лексическая синонимика языка Хинди в освещении индийских лингвистов, «Вопросы Языкознания», 1962, № 2.

²⁴ Bh. Tivari. *Vrohat pariyāyāci koś* Jhahabad, 1954.

ზოგი ჰინდისაა და ზოგი ირანული (sāi). სინონიმებთან ერთად ხშირად ანტონიმებიცაა მოცემული. ტივარის ლექსიკონსაც ის ნაკლი აქვს, რომ სიტყვებს არავითარი განმარტებები არ ახლავს, არ ახლავს საილუსტრაციო მაგალითები.

1950 წელს ალაჰაბადში გამოვიდა „ჰინდი შაბდარტა პარიჭატ“ — სინონიმური ლექსიკონი, ჩატურვედი დვარაკა პრასად შარმას რედაქტორობით. არსებობს აგრეთვე ალიგარჰში მოცემული ჯიბის სინონიმური ლექსიკონი — „ჯიბი ჰინდი კოშ“, რედაქტორია შრიკორნა კაი, და ბოლოს უახლესი გამოცემა ისევ ბჰოლანატჰ ტივარის „ბრიჰატ პარიაივაჯი კოშ“, (ალაჰაბადი, 1962 წელი), რომელიც ზემოთ დასახელებული ლექსიკონის ხელახალი შესწორებული და შევსებული გამოცემაა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სინონიმებს სხვა ტიპის ლექსიკონებშიც ვხვდებით, კერძოდ ორენოვან-თარგმნით ლექსიკონებში. ამ მხრივ საყურადღებოა ვირ რაჯენდრა რიშის „რუსულ-ჰინდი“ ლექსიკონი²⁵, სადაც სიტყვები შემდეგი თანამიმდევრობითაა მოცემული: რუსულ სიტყვას მიწერილი აქვს შესაბამისი ჰინდის სიტყვა, რომელიც ლიტერატურულ სტილს, ე. წ. „მაღალ ჰინდის“ წარმოვადგენს, შემდეგ კი მოცემულია შესაბამისი სინონიმები, რომლებიც ენის ნეიტრალურ სტილს განეკუთვნებიან. ასე, მაგალითად, რუსულ სიტყვას *помощь* მოსდევს ჯერ სანსკრიტული წარმოშობის *sahāyata*, შემდეგ კი არაბული *madad*. რუსული *вопрос*, შემდეგ არის სანსკრიტული წარმოშობის *praṣṅ* და შემდეგ არაბული *savāl*. „მაღალ სტილად“ მიჩნეულია სანსკრიტული წარმოშობის სიტყვები. რასაკვირველია, ჰინდი ენაში უფრო ხშირად ვხვდებით მეორე, ე. წ. ნეიტრალური სტილის ანუ არაბულ-ირანული წარმოშობის სიტყვებს. უფრო მეტიც, ხშირად რუსულ სიტყვას მიწერილი აქვს ინდოელებისათვის სრულიად მივიწყებული სანსკრიტული წარმოშობის სიტყვა, ხოლო უფრო ნაცნობი და ხმარებაში მიღებული არაბულ-ირანული სიტყვა არაა დამოწმებული. ასე, მაგალითად, რუსულ *дружба*-ს მიწერილი აქვს სანსკრიტული *mitrata* და არ არის საყოველთაოდ მიღებული ირანული *došti*; რუსული *возраст* — სანსკრიტული *āyu* და არ არის არაბული *umr*.

ფრაზეოლოგიური ლექსიკონებიდან აღსანიშნავია ისევ ბჰოლანატჰ ტივარის „ჰინდუსტანის აკადემიის“ მიერ ალაჰაბადში 1952 წელს გამოცემული „ჰინდი მეჰავარა კოში“, რომელიც მეორედ შესწორებული სახით გამოვიდა 1964 წელს ალაჰაბადში. როგორც ლექსიკონის წინასიტყვაობაშია ნათქვამი, „წარმოდგენილი იდიომების ლექსიკონი ჰინდიში და ურდუში დღემდე გამოცემულ ამ ტიპის ლექსიკონებში ყველაზე დიდია. მასში იდიომების რიცხვი დაახლოებით 182 ათასამდეა“. ლექსიკონი იპითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მისი ავტორი არ მისდევს პურისტულ ტენდენციებს და მასში ნახსენები ლექსიკა არ არის უგულვებელყოფილი. 1957 წელს დელიში გამოსცეს ბალმუქარ არშ მალასიანის „მეჰავარე აორ კაჰვეტან“ — იდიომებისა და ანდაზების კრებული.

ეტიმოლოგიები და წარმომავლობა არასისტემურად სხვადასხვა ლექსიკონებში მრავლად არის წარმოდგენილი, მაგრამ საკუთრივ ეტიმოლოგიური ლექსიკონი მხოლოდ 1968 წელს გამოვიდა ბენარესში — „ზოგიერთი ჰინდის

²⁵ Vir Rājendra Rīṣī. Rūṣī-Hindī Śabdā koṣ. Nai-Dillī, 1957.

სიტყვების ეტიმოლოგია“, რომელიც საზოგადოება „ნაგარი პრაჩარინი საბ-
ჰა“-მ გამოსცა ვასუდევა სარან აგრაველის რედაქტორობით²⁶.

განსაკუთრებით ბევრია ჰინდი ენაზე თარგმნითი ანუ ორენოვანი და ხში-
რად სამენოვანი ლექსიკონები. ასეთ ლექსიკონებს დიდი პრაქტიკული დანიშ-
ნულება აქვთ და მათი არსებობა ინდოეთში ტრადიციულიცაა. ასე, მაგალი-
თად, 1928 წელს კალკუტაში გამოვიდა დიდი პრაკრიტულ-ჰინდი ლექსიკონი;
1957 წელს ალაჰაბადში სანსკრიტულ-ჰინდი ლექსიკონი; 1953 წელს აგრა-
ში — ჰარიშანკარ შარმას „ჰინდუსტანი კოშ“ — ჰინდუსტანის ლექსიკონი, სა-
დაც მოცემულია ურდუდან ნასესხები ჰინდის სიტყვები. არსებობს დევანაგა-
რის შრიფტით დაბეჭდილი რამჩანდრა ვარმას ლექსიკონი — „დევანაგარი
ურდუ-ჰინდი კოშ“, რომელიც მეოთხედ გამოვიდა ბომბეში 1953 წელს: მუს-
ტაფა მაჰპა მუჰამედის ურდუ-ჰინდი ლექსიკონი, ბენარესი, 1959; კრიშან ვარ-
მას ჰინდი-მარატჰის ლექსიკონი, 1951; 1963 წელს მეორედ გამოიცა ჰინდი-
მარატჰი-ჰინდი განმარტებითი ლექსიკონი — „ატეშ კოშ“, სოლუპურში სუ-
ტარჯისა და ლილევატის მიერ და ჰინდი-მალიალაჰის ლექსიკონი, რომელიც
მეოთხედ გამოვიდა 1952 წელს მადრასში.

უცხო ენებიდან, რასაკვირველია, ყველაზე მეტია ინგლისურ-ჰინდის სხვა-
დასხვა სახის ლექსიკონები. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანია: რაგჰუ ვირას
„The great English-Indian Dictionary, Lahore“, 1944, სადაც ინგლისური
სიტყვები მოცემულია თითქმის ყველა ინდურ ენაზე. 1948 წელს ჰუნაში გა-
მოვიდა „მასტრია პარიბჰაშა კოშ“ ანუ „The English-Indian Dictionary of
scientific terminology“, რომელიც შედგენილი იყო მარატჰელი სწავლულუ-
ბის მიერ (იამვანტ რამკრიშნა დატე და ჩინტამან განეშ კარეე), სადაც ინგლი-
სური ტერმინები თარგმნილი იყო თითქმის ყველა ინდურ ენაზე, ძირითადად
კი სანსკრიტზე. ეს იყო პირველი ლექსიკონი, რომელიც ითვალისწინებდა სხვა-
დასხვა ლექსიკონს — ეკონომიკის, საპარტლის, პოლიტიკის, ფილოსოფიის, რე-
ლიგიის, მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, ასტრონომიის, გეოგრაფია-გეოლო-
გიის, ბიოლოგიის, მედიცინის, ფილოლოგიისა და სხვ. რაგჰუ ვირამ 1955
წელს გამოსცა „A comprehensive English-Hindi Dictionary“, რომელიც
100 ათას სიტყვას შეიცავდა. ამ ლექსიკონის შედგენისას ავტორი ხელმძღვა-
ნელობდა პრინციპით, რომ ახალი ტექნიკური ტერმინოლოგიისათვის სანსკრი-
ტული მასალა ყოფილიყო გამოყენებული. მაგრამ აქაც ბევრი წინააღმდეგობა
შეიქმნა. მთელი რიგი დამკვიდრებული სიტყვები შეიცვალა სანსკრიტული
სიტყვებით, რომლებიც თითოეული ინდოელისათვის უფრო გაუგებარი იყო,
ვიდრე ესა თუ ის ინგლისური ტერმინი. ასე, მაგალითად, ყველა ინდოელისა-
თვის ცნობილი steśan — „სადგური“ ავტორმა შესცვალა სიტყვით sthātra,
რომელიც რიგვედაში გვხვდება. ანდა pensil — „ფანქარი“ შესცვალა სანსკრი-
ტული ankani-თ; ან ირანული mez და ინგლისური tēbul (< table) — „მაგი-
და“ — ძველი სანსკრიტული paṭala-თი, რომლებიც, უნდა ვივარაუდოთ, ვე-
რასოდეს დამკვიდრდებიან ჰინდიში. ამაში თვით ავტორსაც არ ეპარება ეჭვი:
„ახალი ჰინდის სინონიმთაგან ყველამ ვერ პოვა აღიარება და უმეტესი მათ-
განი არასდროს არ დამკვიდრდება ენაში“, — წერს იგი. სიტყვასიტყვითი
თარგმნის პრინციპთან დაკავშირებულია კალკირებაც. კალკირებისას ინგლი-

²⁶ Vasudeva Saran Agrawal. Kuch Hindi Sabdon ki Nirukti. Journal of the Nagari Pracarini sabha, JNPS. 46. 1968, Benares.

სური ტერმინების აფიქსები გადმოიცემიან შესაბამისი სანსკრიტული ფორმანტებით. ხოლო სანსკრიტში არსებული აფიქსების მრავალრიცხოვანობა კი იწვევს კალკირების ფართოდ გამოყენებას. ავტორი წერს, რომ 520 სიტყვის ძირიდან, 20 პრეფიქსისა და 80 სუფიქსის მეშვეობით შეიძლება მილიონობით სიტყვის შექმნა. ამავე ავტორს ეკუთვნის: „An Exhaustive English-Sanskrit-Hindi Dictionary“ (Nagpur, 1951²⁷) და „ენიჩია შაბდკოშ“ (ვარდა, 1948) — სავაჭრო ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონი, საბუღალტრო და ანგარიშსწორების ტერმინების შემცველი; „Consolidated Glossary of Technical Terms English-Hindi“, (ND, 1962²⁸); „სანჰიტი შაბდკოშ“ (ვარდა, 1948) — სტატისტიკურ ტერმინთა ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონი; „Hindi-English Dictionary of Technical Terms“ (Nagpur, 1951²⁹); დააოლოს „The popular English-Hindi Dictionary“ (Allahabad, 1936), რომლის შესახებაც არსებობს ვ. ბესკოვინის საყურადღებო რეცენზია³⁰.

უკანასკნელ წლებში გამოცემულ ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონებიდან აღსანიშნავია აგრეთვე: „The student's home Dictionary containing English-words with English and Hindi meanings“ (ალაჰაბადი, 1947); „შასან შაბდაკოშ“ — პოლიტიკურ ტერმინთა ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონი (ალაჰაბადი, 1948); კანტენეტპ გერგესა და შრინარიან შრივასტაის „ენიჩია შაბდკოშ“ — კომერციულ ტერმინთა ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონი (ალაჰაბადი, 1949); „New Oxford pocket Dictionary of Current English, with English, Urdu, Hindi Meanings (ND, 1950); „The 20-th century Dictionary. Hindi words with Hindi and English meanings“ — მე-20 საუკუნის ლექსიკონი ჰინდის სიტყვები ჰინდისა და ინგლისური მნიშვნელობებით, ჯატინდრა ნატპ სენის (ალიგარჰი, 1951); „სემეჩეჩეჩეჩე შაბდკოშ“ — პრესის ლექსიკონი ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონი (ალაჰაბადი, 1951); პატპაის „The Authentic Senior Dictionary“ (Anglo-Hindi) (ბენარესი, 1958); ვირაჯ პრამსანის „შაბდავალი“ — ადმინისტრაციულ ტერმინთა ლექსიკონი (ინგლისურ-ჰინდი) (დელი, 1958); ბაბურამ პალივატის „კარიალი ნირდუშიკა“ — ადმინისტრაციულ ტერმინთა ინგლისურ-ჰინდი და ჰინდი-ინგლისური ლექსიკონი (დელი, 1959); „პარიბჰა-შიკ შაბდ სანგრაჰ“ — ტექნიკურ ტერმინთა ინგლისურ-ჰინდი ლექსიკონი (დელი, 1959); ინგლისურ-პენჯაბი-ჰინდი განმარტებითი ლექსიკონი (დელი, 1959); პარდევ ბაპრის „ბრიჰატ ანგურუჰი-ჰინდი კოშ“, 1960 წელს ბენარესში გამოცემული.

უკანასკნელი წლების გამოცემებს ეკუთვნის: პატპაის „Bhargava's Standard Illustrated Dictionary of the English Language“ (Anglo-Hindi), Varanasi, 1974; მისივე — „Bhargava's Standard Illustrated Dictionary of the Hindi Language“ (Hindi-Anglo), Varanasi, 1974; პატპაის რედაქტორობითვე გამოვიდა ორივე ლექსიკონის შემოკლებული ვარიანტები 1974 წელს; პატპაის რედაქტორობითაა აგრეთვე „ადარშ ჰინდი შაბდკოშ“, ბენარესი, 1973 და ამავე ლექსიკონის შემოკლებული ვარიანტი, ბენარესი, 1974; დაბოლოს მისივე „Ajanta Standard Dictionary English-English-Hindi“, დელი, 1974.

²⁷ იხ. ან ლექსიკონზე T. Gonda-ს რეცენზია Bigdr JLV. CVIII. 1952.

²⁸ იხ. JnCL, IV. 1965.

²⁹ იხ. Journal Asiatic, CCXL. 1952.

³⁰ იხ. «Советское востоковедение», I, 1940.

საბჭოთა კავშირსა და ინდოეთის რესპუბლიკას შორის დამყარებულ კეთილმეზობლური ურთიერთობა ნაყოფიერ გავლენას ახდენს ამ ორი ქვეყნის მეცნიერულ თანამშრომლობაზე. როგორც ცნობილია, საბჭოთა მეცნიერები ინტენსიურად სწავლობენ ახალ ინდურ ენებს და, რასაკვირველია, პრაქტიკულად დგას ლექსიკოგრაფიული მუშაობის გაშლის აუცილებლობაც.

ჭარ კიდევ რევოლუციამდელ რუსეთში საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი-ინდოლოგები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ინდური ლექსიკოგრაფიის საკითხების დამუშავებასაც. მაგალითად, 1891 წელს გამოცემულ ა. სტარჩევსკის შრომას „Спутник-тоlimач по Индии, Тибету и Японии“ (СПб, 1891) ერთოდა ჰინდუსტანურ-ურდუ-რუსული ლექსიკონი (გვ. 1—80); ასევე ა. გოლფერდინგის შრომას — „Пособие для изучения индустани“, Тотакахани (сказки попугая) с прил. полного индустано-русского словаря, СПб, 1899. მანვე გამოაქვეყნა: „Грамматика индустани (урду), индусский собеседник и русско-индустанский-английский словарь, СПб, 1899. ამავე წელს ტაშკენტში გამოდის ა. ვიგორნიცის „Пособие для изучения языка индустани (урду) и военный словарь русско-индустани“. უფრო სრული გამოცემა ინდურ-რუსული ლექსიკონისა ეკუთვნის იაგელოს — „Индустани-русский словарь“. СПб., 1902.

საბჭოთა კავშირში ინდური ენების ლექსიკონების გამოცემა ა. პ. ბარანიკოვისა³¹ და ვ. მ. ბესკროვნის სახელთანაა დაკავშირებული. პირველი ჰინდურუსული ლექსიკონი გამოვიდა 1953 წელს³², ხელმოწერა — 1959 წელს. 1957 წელს გამოვიდა რუსულ-ჰინდი ლექსიკონი³³. ამავე წელს ბესკროვნის რედაქტორობით გამოდის „რუსი-ჰინდი შაბდკოშ“, 23 000 სიტყვის შემცველი, რომელსაც ახლავს ფონეტიკურ-გრაამატიკული ნარკვევი.

1972—73 წლებში ვ. ბესკროვნის რედაქტორობით გამოცემლობა „საბჭოთა ენციკლოპედიაში“ გამოსცა ორტომიანი დიდი ჰინდი-რუსული ლექსიკონი (75 000 სიტყვა)³⁴. შემდგენელები არიან: ვ. ბესკროვნი, ა. ბარხუდაროვი, გ. ზოგრაფი და ვ. ლიბეროვსკი, გამოცემას ახლავს ვ. ბესკროვნის შესავალი წერილი რუსულ და ჰინდი ენებზე, სადაც ნათქვამია, რომ შემდგენელებს თავის ძირითად ამოცანად მიაჩნდათ — წარმოედგინათ მიმდინარე საუკუნის ლიტერატურული ჰინდი ენის რაც შეიძლება სრული ლექსიკონი. მასში შეტანილია პრესაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სამედიცინო და მხატვრულ ლიტერატურაში ხმარებული ნეოლოგიზმები, რომლებიც შეიცავენ როგორც ახალ სიტყვებს, ისე სიტყვათა და შესიტყვებათა ახალ მნიშვნელობებს. ლექსიკონში საყოფაცხოვრებო-კულტურულ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკასთან ერთად მოცემულია ფართოდ ხმარებული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგიაც. შემდგენელები ცდილობდნენ ლექსიკონში შეეტანათ თავისუფალ და არათავისუფალ შესიტყვებათა რაც შეიძლება მეტი მაგალითები, რომლებიც გამოხატავენ სიტყვათხმარების ნორმებს და აზუსტებენ სიტყვათა მნიშვნელობებს. ადრე გამოცემულ ლექსიკონებთან შედარებით აქ

31 А. П. Бараников, Словарь (урду-русско-английский) к «образцам современной прозы хиндустани», Л., 1930.

32 В. М. Бескровный, Хинди-русский сл., под ред. А. П. Бараникова, М., 1953 (прил. грамм. очерка, сост. А. П. Бараниковым).

33 Русско-хинди словарь, под ред. В. М. Бескровного, М., 1957.

34 Хинди-русский словарь, под ред. В. М. Бескровного, М., 1972—73.

დიდი ადგილი უჭირავს იდიომატურ და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს; შეტანილია დიდი რიცხვი ანდაზებისა და გამოცანების; საილუსტრაციო მასალა დაძებნილია თანამედროვე ავტორების ცნობილი ნაწარმოებებიდან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და პოპულარული ჟურნალებიდან, გაზეთებიდან და სახელმძღვანელოებებიდან.

აღსანიშნავია ო. ულციფეროვის ჰინდი-რუსული სასწავლო ლექსიკონი³⁵ და ო. ულციფეროვისა და ბ. შურშალინის ჰინდი-რუსული ზოგად ეკონომიური და საეკპრო ლექსიკონი (მოსკოვი, 1974). აგრეთვე ნ. სოლნცევის რუსულ-ჰინდი სასწავლო ლექსიკონი (10 000 სიტყვა), კესარა ნარაიან შუკლასა და პურანამ სომასუნდარამის რედაქციით (მოსკოვი, 1963).

სხვა ევროპული ენებიდან შეგვხვდა: უნგრულ-ჰინდი ლექსიკონი, გამოცემული ბუდაპეშტში 1973 წელს. 1963 წელს პრაღაში გამოვიდა: „Vincenc Pofizka, „Hindstina-Hindi Language Course“, პოლონურ და ინგლისურ ენებზე ჰინდის სახელმძღვანელო, რომელსაც ახლავს პატარა ლექსიკონი ჰინდი-პოლონურ-ინგლისური. ამ წიგნის შესავალში ნახსენებია ჰინდი-ჩეხურ-ინგლისური და ჩეხურ-ჰინდი ლექსიკონები (A. Slaby, Hindi-Czech-English vocabulary; M. Bartoňova, Czech-Hindi vocabulary).

სხვა ტიპის ლექსიკონებიდან არაფერი შეგვხვედრია, თუ არ ჩათვლით — A. M. G h a t a g e, Phonemics and Morphemics frequencies in Hindi, Poona, 1964³⁶, სადაც ავტორი, იყენებს რა სტატისტიკური კვლევის მეთოდს, ხმარების სიხშირის მიხედვით შეისწავლის 100 000 სიტყვას და დაადგენს, რომ ამ 100 000 სიტყვა-ხმარებას საფუძვლად უდევს 19 000 ლექსიკური ერთეული. ა. გატატაგმა დაადგინა თითოეული ამ სიტყვა-ფორმის ხმარების სიხშირე და ამდენად მისი შრომა პირველი და ჭერჭერობით ერთადერთია, სადაც სხვა საკითხებთან ერთად მოცემულია სიხშირის ლექსიკონი, რომელიც ძალიან დიდ ფაქტიურ მასალას ეყრდნობა.

ასეთია ძირითადად ჰინდი ენასთან დაკავშირებული დღემდე წარმოებულ ლექსიკოგრაფიული მუშაობა.

³⁵ იხ. მასზე რეცენზია GJS: Хинди-русский учебный словарь, сост. О. Ульциферов, М., 1962.

³⁶ ვრცლად იხ. მ. მოლბაძის რეცენზია, კრებ. „აღმოსავლური ფილოლოგია“, II, 1972, გვ. 269—270.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა)

ნუნუ ბაიოზაშვილი

ევკლიდეს „საწყისების“ არაბული თარგმანები

(ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა)

აკად. გ. წერეთელმა თავის გამოკვლევაში „მეტრი და რითმა“ ეფეხისტყაოსანში¹ გამოთქვა მოსაზრება და დაასაბუთა, რომ ეფეხისტყაოსანის პროსოდია ძირითადად ოქროს კვეთს (sectio aurea) ემყარება². გ. წერეთელი ვარაუდობდა, რომ რუსთველის პოემაში „ოქროს კვეთის“ პროპორცია შეგნებულად იყო შერჩეული³. აღნიშნული პროპორციის თეორიის გაცნობა რუსთველს შეეძლო როგორც პროკლე დიადოხოსის შრომებში, ისე — ევკლიდეს „საწყისების“⁴ არაბულ თარგმანებში⁵. საკითხის ამგვარად დასმა უაღრესად საინტერესოა და შემდგომ შესწავლას მოითხოვს. ამიტომ, ჩვენ საჭიროდ ვცანით, ყურადღება შეგვეჩერებინა იმ არაბ მათემატიკოსებზე, რომლებმაც თარგმნეს ან კომენტარი დაურთეს ევკლიდეს „საწყისებს“. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენი შრომა მიზნად არ ისახავს არაბ მათემატიკოსთა⁶ თარგმანებისა და კომენტარების კვლევასა და შეფასებას. შემოვიფარგლებით მხოლოდ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვით.

ევკლიდეს შრომების მრავალი არაბული თარგმანი თუ კომენტარი არსებობს, რადგან „ელემენტების“ ავტორი მუსლიმი მათემატიკოსების საყოველთაო ყურადღებით სარგებლობდა.

ევკლიდეს „საწყისებს“ არაბერძენთაგან პირველად არაბები ჯერ კიდევ VIII საუკუნეში გაეცნენ. სწორედ ამ დროიდან იწყება ბერძნულ სამეცნიერო თხზულებათა გაცნობა. ელინური წარმოშობის მათემატიკური ნაშრომები თანდათან დევნიან სპარსულსა და ინდურს და შესაბამის დარგში მთავარ ადგილს იკავებენ⁷.

ელინური მემკვიდრეობის გაბატონებას ხელი შეუწყო მისი ათვისების სისტემატიზაციამ: პნარუნ არ-რაშიდმა (766—809 წწ.) ბაღდადში დააარსა

¹ მეტრი და რითმა „ეფეხისტყაოსანში“, რითმათა სიმფონია და სიტყვათა მარცვლობრივი განაწილების ცხრილები, გიორგი წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1973.

² იქვე, გვ. 9.

³ იქვე, გვ. 20.

⁴ ევკლიდეს „საწყისები“ პირველი წერილობითი ძეგლია, რომელშიც „ოქროს კვეთის“ განხილული.

⁵ გ. წერეთელი, დასახ. შრ., გვ. 20.

⁶ არაბ მათემატიკოსებში ევკლისობობთ სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების მათემატიკოსებს, რომლებიც არაბულ ენაზე წერდნენ.

⁷ И. Ю. Крачковский, Избранные сочинения. IV. Москва—Ленинград, 1957. გვ. 75—76.

„ბაათ ალ-ჰიქმა“ ან „ხიზნანთ ალ-ჰიქმა“ (ცოდნის სახლი). ხოლო ალ-მა'მუნმა (813—833 წწ.) შექმნა რა იქვე ბიბლიოთეკა და მოიწვია მთარგმნელები, გააფართოვა მუშაობა ბერძნულ ხელნაწერებზე და უწოდა „დარ ალ-ჰიქმა“ (ცოდნის სახლი). ბაღდადი გახდა მთარგმნელობითი მუშაობის ცენტრი, სადაც მოღვაწეობდნენ სხვადასხვა რელიგიისა და ეროვნების წარმომადგენელი. მეცნიერების წინსვლას მფარველობდნენ სხვა მუსლიმი გამგებლებიც: ფატიმელები, ბუვიჰიდები და სხვ. არაბები შედარებით მოკლე დროში გაეცნენ ჰიპოკრატეს, გალენის, არისტოტელეს, ევკლიდეს, არქიმედეს, აპოლონიუსის, მარინ ტიროსელის შრომებს, — ბერძნული მეცნიერების თითქმის მთელ ფონდს⁸.

ყველაზე დიდი გავლენა არაბული მათემატიკის განვითარებაზე ბერძნულმა მათემატიკამ მოახდინა, მაგრამ არც არაბები დარჩნენ ვალში ბერძნების მიმართ. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბერძნული მეცნიერული ნაშრომი უკუალოდ გაქრებოდა, არაბებს რომ არ ეთარგმნათ და მათი კომენტარი არ გაეყვებინათ.

დიდა არაბების როლი თუნდაც „საწყისების“ პოპულარიზაციის საქმეში. „ელემენტების“ პირველი თარგმანი არაბულ ენაზე შესრულდა და არაბულიდან ნათარგმნი შრომით გაეცნო ევროპა პირველად ევკლიდეს⁹.

ევკლიდე პირველი ბერძენი მათემატიკოსია, რომელმაც არაბები მიიზიდა. მისი „ელემენტები“ გახდა საფუძველი მრავალი არაბი მათემატიკოსის ნაშრომისა. ცნობილია ევკლიდეს არაბულად მთარგმნელთა და კომენტატორთა ორმოცდაათამდე სახელი, რომელთა შესახებ ცნობებს გარტისა¹⁰ და ვენრიხის¹¹ მიერ შედგენილი კატალოგები გვაწვდიან. მათი სია მოგვცეს აგრეთვე ზუტერმა¹², შემდეგ კაპპმა¹³ და უფრო გვიან პლუიქმა¹⁴. გვხვდება როგორც მსგავსი, ისე — მკვეთრად განსხვავებული ტექსტები; ზოგი ავტორი მხოლოდ განმარტებებს წერდა. ზოგი კი — შენიშვნებსა და შესწორებებს. ერთნი რთულ ადგილებს განიხილავდნენ, მეორენი — საექვოს; ერთი ნაწილი მთლიანად ეხებოდა ევკლიდეს „საწყისებს“, ნაწილი კი — ამ შრომის მხოლოდ ცალკეულ წიგნებსა და წინადადებებს იკვლევდა.

პირველი არაბი მთარგმნელი, რომელმაც თავიდან ბოლომდე მოგვცა ევკლიდეს შრომა, არის ალ-ჰაჯაჯ იბნ ჰუსუფ იბნ მატარი (მოღვაწეობდა დაახ-

⁸ C. A. Nallino, *Il valore metrico del grado di meridiano secondo i geografi arabi cosmos, 1892—93*, გვ. 23.

⁹ დაახლოებით 1120 წელს „ელემენტები“ არაბულიდან ლათინურად თარგმნა ინგლისელმა ბერმა ატელჰარ ბათმა.

¹⁰ J. C. Garlitz, *De Interpretibus et explanatoribus Euclidis Arabicis*. Halae ad Salam, 1823.

¹¹ Wenrich, *De auctorum Graecorum versionibus et commentariis Syr., Arab. etc.* Lipsiae, 1842.

¹² H. Suter, *Die Mathematiker und Astronomen der Araber und ihre Werke*. Abh. z. Gesch. d. Math. Wissenschaften mit Einschluss ihrer Anwendungen. X Heft, Leipzig, 1900.

¹³ A. G. Kapp, *Arabische Übersetzer und Kommentatoren Euklids, sowie deren mathematisch—naturwissenschaftliche Werke auf Grund des Ta'rikh al-Hukamā' des Ibn al-Qifti*. Isis, V.

¹⁴ Ed. Plooiij, *Euclid's conception of ratio and his definition of proportional magnitudes as criticized by arabian commentators*, Rotterdam, 1950.

ლოებით 786—833 წწ.). ალ-ჰაჯაჯისეული თარგმანი ევკლიდეს „საწყისებისა“ არა მარტო მათემატიკური ხასიათის უძველესი არაბული შრომაა, არამედ იგი აღბათ ყველაზე პირველი თარგმანია, საერთოდ, ბერძნულიდან არაბულად¹⁵.

ლეიდენის XII საუკუნის ხელნაწერის წინათქმაში მითითებულია, რომ ალ-ჰაჯაჯმა თავისი პირველი თარგმანი შეასრულა აჰმად იბნ ხალიდ იბნ ბარ-მანქის (გარდ. 803—805 წწ.-ს შორის) ბრძანებით¹⁶. თარგმანი შესრულდა იმ ხელნაწერის მიხედვით, რომელიც ჰარუნ არ-რაშიდს ჰქონდა.

შემდეგში, როცა ალ-მა'მუნი გახალიფდა, ალ-ჰაჯაჯს მოსთხოვა, შეესწორებინა და უფრო მოკლედ გადმოეცა ევკლიდესეული შრომა¹⁷. ალ-ჰაჯაჯის ორივე თარგმანს მათი თარგმანის პერიოდის მიხედვით, შესაბამისად, ჰარუნისეული და მამუნისეული ეწოდა¹⁸.

მამუნისეული თარგმანის I—VI წიგნები, რომლებიც გადაწერილია 1144—45 წლებში, დატულია ლეიდენში (cod. Leidensis — 965), ხოლო XI—XIII წიგნები Haun. 81-ში¹⁹.

მეორე სრული თარგმანი ევკლიდეს „საწყისებისა“ ეკუთვნის აბუ აქ'უბ ისჰაკ იბნ ჰუნაინს, IX—X საუკუნეების ექიმსა და მათემატიკოსს. მამამისო ჰუნაინ იბნ ისჰაკი, რომელიც 809—877 წლებში ცხოვრობდა, ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერი მოღვაწე იყო. მისმა ავტორიტეტმა და პოპულარობამ განაპირობა ის ფაქტი, რომ შვილის — ისჰაკ იბნ ჰუნაინის მიერ თარგმნილ ევკლიდეს იბნ ხალიქანი, იბნ ხალდუნი და ჰაჯი ხალფა მამას მიაწერენ²⁰. მაგრამ მრავალი ძველი ხელნაწერი და სხვადასხვა ფაქტი უარყოფს ამ მოსაზრებას. ევკლიდეს თარგმანი შეასრულა ისჰაკ იბნ ჰუნაინმა²¹. მასვე ეკუთვნის ევკლიდეს სხვა შრომების: *Data*, *ოპტიკა*, *Phainomena*... თარგმანები. არის ცნობები, რომ მანვე შექმნა „ელემენტების“ მოკლე წიგნიც²². ისჰაკ იბნ ჰუნაინი პირდაპირ თარგმნიდა ბერძნულიდან, რადგან ამ ენას მამამისივეთ შესანიშნავად ფლობდა²³. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ მან გამოიყენა ალ-ჰაჯაჯის თარგმანიც²⁴. ამაზე მეტყველებს ორივე ავტორთან გაპარული ერთი და იგივე შეცდომები²⁵.

ისჰაკ იბნ ჰუნაინმა განსაზღვრებებსა და პროთაზისში სიტყვა-სიტყვივად დაიცვა ალ-ჰაჯაჯი, მაგრამ მისი „ევკლიდე“ უფრო დიდია, ვიდრე — ალ-ჰაჯა-

¹⁵ T. Heath, The thirteen books of Euclid's Elements, translated from the text of Heiberg. with introduction and commentary, v. 1. Cambridge, 1926, გვ. 75.

¹⁶ იქვე, M. Klamroth, Ueber den arabischen Euklid. ZDMG, Bd. 35, 1881, გვ. 304.

¹⁷ Lexicon Bibliographicum et Encyclopaedicum a Mustafa ben Abdallah Katib Jelebi dicto et nomine Haji Khalfa celebrato Compositum. Ad codicum vindobonensium parisiensium et berolinensis fidem primum edidit latine vertit et commentario indicibusque instruit G. Flügel, I—VII. Lpzg-London, 1838—58, გვ. 309—310.

¹⁸ იქვე გვ. 381.

¹⁹ J. L. Heiberg. Die arabische Tradition der Elemente Euklid's, Z. f. Math. u. Phys., hist.—lit. Abt., Bd. 23, 1884, გვ. 1.

²⁰ Klamroth, დასახ. შრ., გვ. 305.

²¹ T. Heath, The 13 books..., I, გვ. 75.

²² Plooiij, დასახ. შრ., გვ. 5.

²³ T. Heath, A History of greek mathematics, Oxford, 1921, გვ. 362.

²⁴ Klamroth, დასახ. შრ., გვ. 314.

²⁵ Hâçî Chalfa, გვ. 383.

ჯისა. ჰაჯი ხალფა პირველი მთარგმნელისთვის იმოწმებს 468 წინადადებას, ხოლო მეორესათვის — 478-ს, ე. ი. ათი წინადადებით მეტს²⁶.

ისპაქ იბნ ჰუნაინმა უფრო ზუსტი თარგმანი მოგვცა, ვიდრე — ალ-ჰა-ჯაჰმა. მისი არაბული „ევკლიდე“ მათემატიკური ტექსტის თარგმნის ნიმუშია²⁷. მხოლოდ ზოგან გვხვდება აშკარა გადახვევა. აღნიშნული ტექსტი და-ცულია ოქსფორდში (Oxford, 919,958).

ისპაქ იბნ ჰუნაინის თარგმანი IX საუკუნეში შეასწორა და ორი ვარიანტი შექმნა სპაბით იბნ კურამ (826—901), რომელსაც ეკუთვნის აგრეთვე, არქიმედეს, აპოლონიუსისა და სხვათა შრომების თარგმანები²⁸.

იბნ ხალდუნი, ჰაჯი ხალფა და ნასირ ად-დინ ატ-ტუსი სპაბით იბნ კურას საკუთარ თარგმანად თვლიან ევკლიდეს შესწორებულ ვარიანტს. მაგრამ სხვადასხვა წყაროდან და ევკლიდეს შრომის მრავალი ხელნაწერიდან ვგებულობთ, რომ სპაბით იბნ კურამ ისპაქ იბნ ჰუნაინის თარგმანი მხოლოდ შეასწორა, თანაც უკანასკნელის თანხმობით ან შეკვეთით (სპაბით იბნ კურა ისპაქ იბნ ჰუნაინზე ცხრა წლით ადრე გარდაიცვალა)²⁹. არაბი სწავლულის ალ-ნადიმის აზრით კი, სპაბით იბნ კურამ ძველ თარგმანში შეასწორა მთელი წიგნი და შემდეგ იბნ ჰუნაინმა ხელმეორედ თარგმნა³⁰. სპაბით იბნ კურამ შეასწორა ევკლიდეს თხუთმეტივე წიგნი: პირველი ცამეტი — ისპაქ იბნ ჰუნაინთან, ხოლო ბოლო ორი, რომელსაც ჰიპსიკლეს აკუთვნებენ, — კუსტან იბნ ლუქანს³¹ თარგმანში³².

სპაბით იბნ კურას მიერ შესწორებული ცამეტივე წიგნი სრულადაა და-ცული Bodl. 279-ში, ხოლო Hauniae — 81-ში მხოლოდ V—X წიგნებია. რაც შეეხება კუსტან იბნ ლუქანს მიერ თარგმნილ არაუევკლიდესეულ XIV და XV წიგნებს, ისინი ორივეგანაა (Bodl. 279, Haun. 81)³³. არსებობს ორი ვარიანტი. მეორე შესწორებული ვარიანტი პირველზე უკეთესია³⁴ და დაცულია ოქსფორდში (Oxford I, 919, 958).

ევკლიდეს „საწყისების“ კომენტარი აქვს ან-ნაირზინს — IX—X საუკუნეების ასტრონომსა და მათემატიკოსს (გარდ. 922/3 წლებში), მოღვაწეობდა ალ-მუ'თადიდის (892—902) დროს. მისი ტექსტი იმითაა სიანტერესო, რომ მასთან დაცულია დაკარგული ბერძნული ნაწერების 166 ციტატა, მაგ. სიმპლოციუსისა³⁵. არის, აგრეთვე ნაწყვეტები ევკლიდეს „საწყისების“ პერო-

²⁶ იქვე.

²⁷ Klamroth, დასახ. შრ., გვ. 304.

²⁸ H. Suter, Geschichte der mathematischen Wissenschaften. I Theil, von den ältesten Zeiten bis Ende des XVI Jahrhunderts, Zürich, 1873, გვ. 131.

²⁹ Klamroth, დასახ. შრ., გვ. 305.

³⁰ M. Steinschneider, Die arabischen Uebersetzungen aus dem Griechischen, zweiter Abschnitt: Mathematik. ZDMG, Bd. 50, Leipzig, 1896, გვ. 204.

³¹ კუსტა იბნ ლუკა ალ-ბალბაკი ბერძნული წარმოშობის ქრისტიანი იყო. მოღვაწეობდა ბაღდადში და გარდაიცვალა 912 წელს.

³² T. Heath, A history... გვ. 362.

³³ Heiberg, დასახ. შრ., გვ. 1—2.

³⁴ Plooiij, დასახ. შრ., გვ. 5.

³⁵ Steinschneider, დასახ. შრ., გვ. 165.

ნისეული კომენტარისა³⁶. სარწმუნო წყაროები მიუთითებენ, რომ ან-ნაირზმა თავისი შრომისათვის გამოიყენა ალ-ჰაჯაჯის თარგმანი³⁷.

ალ-ნაირზმის კომენტარი დატულია ლეიდენში (Leid. 965) და გამოცემულია³⁸. ამ კომენტარის ლათინური თარგმანი Gerhard von Cremona-ს მიერ შესრულებული, დატულია Krakau 569-ში, რომელიც გამოსცა მ. კურტცემ³⁹.

ევკლიდეს „საწყისებს“ კომენტარი დაურთო ალ-ნაირზმმა ალ-მუჟთაბამმა (ცხოვრობდა ბაღდადში, გარდ. 987 წ.), მაგრამ მხოლოდ II ნაწილია დატული: V—XV წიგნებს შეიცავს ბოდლეს ხელნაწერი⁴⁰.

ევკლიდეს მთარგმნელ-კომენტატორთა რიგს ეკუთვნის ცნობილი იბნ სინა, იგივე — ავიცენა, რომელიც 980—1037 წლებში ცხოვრობდა. იბნ სინა ჭერ კიდევ ბავშვობაში, სხვა შრომებთან ერთად, გაეცნო ევკლიდეს „საწყისებსაც“. თვრამეტი წლისა უკვე განსწავლული იყო იმდროინდელი მათემატიკური მეცნიერების ყველა დარგში. მათემატიკური შრომების წერა ჭერჯანში დაიწყო აბუ მუჰამმად აშ-შირაზის ფინანსური ხელშეწყობით. რეიში მაჟდ ად-დაულას (997—1109) მთარველობის ქვეშ შექმნა მრავალი მათემატიკური ნაწარმოები. ერთ-ერთი იყო *مختصر او قليد* „შემოკლებული ევკლიდე“.

ჰამადანში შეთხზა ცნობილი „ქითაბ აშ-შიფა“⁴¹, რომელშიც განხილულია გეომეტრია, არითმეტიკა, ასტრონომია და მუსიკა. გეომეტრია, როგორც თავად იბნ სინა ამბობს, ევკლიდეს შრომის შემოკლებული ფორმაა. დასაშვებია, რომ რეიში შექმნილი ზემოაღნიშნული მათემატიკური შრომა დაედო ქითაბ აშ-შიფა'ს გეომეტრიულ მონაკვეთს საფუძვლად. ამ მონაკვეთს ჰქვია *الحال* (განთავისუფლება, ხსნა სულთა უვიცობის ბორკილებისგან). ისევე, როგორც სხვა ნაწილები თავისი ფილოსოფიური ნაწარმოებისა, იბნ სინამ მათემატიკური მონაკვეთებიც ძლიერ მოკლე დროში დაწერა.

იბნ სინას ევკლიდეს „საწყისები“ მოცულობით, სხვებთან შედარებით, 5—7-ჯერ ნაკლებია. ქითაბ აშ-შიფა'ს მათემატიკური ნაწილი დატულია (Leiden 1445, India Office 477,1 და Konstantinopol 2720). ბერძნული ტექსტისა და ლეიდენის ხელნაწერის შედარება არსებით სხვადასხვაობასა და გადახვევებს არ გვაძლევს⁴².

ზემოთ ჩამოთვლილი ავტორები ის მთარგმნელ-კომენტატორები არიან, რომელთაც მთლიანი შრომები მოგვცეს და რომელთა საშუალებებითაც შეეძლო რუსთველს გასცნობოდა ევკლიდეს შრომას. ქრონოლოგიურად რუსთველისთვის ცნობილი მთარგმნელები აქ მთავრდება. მაგრამ ევკლიდეს „საწყისების“ მთარგმნელ-კომენტატორთა სია არ იქნებოდა სრული ნასწრ ად-დინ

³⁶ Kapp. დასახ. შრ., გვ. 68.

³⁷ A. A. Björnbo. Gerhard von Cremona's Übersetzung von Alkharismis Algebra und von Euklids Elementen. Bibl. math., F. 3, Bd. VI, 1905, გვ. 247.

³⁸ Euclidis Elementa ex interpretatione al-Hadschschadschii cum commentariis al-Narizii Hauniae, I—III, 1893—1910.

³⁹ Anarithi in decem libros priores elementorum Euclidis commentarii ex interpretatione Gherardi Cremonensis... edidit Max. Curtze, Teubner, Leipzig, 1899.

⁴⁰ Plooi, დასახ. შრ., გვ. 7; Kapp, დასახ. შრ., გვ. 167.

⁴¹ ქითაბ აშ-შიფა' ფილოსოფიური ენციკლოპედიაა, რომელშიც სხვა მეცნიერებებთან ერთად, იბნ სინა მათემატიკურ მეცნიერებებში განიხილავს გეომეტრიას, არითმეტიკას, ასტრონომიასა და მუსიკას. ამ ნაწილს უწოდებენ Quadrivium-ს.

⁴² Avicenna als Mathematiker, besonders die planimetrischen Bücher seiner Euklidübersetzung, von Karl Lokotsch, Erfurt, 1912, გვ. 18.

ატ-ტუსნის გარეშე, თუმცა ეს უკანასკნელი უფრო გვიან, XIII საუკუნეში (1201—1274) მოღვაწეობდა. ის იყო სპარსელი ფილოსოფოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და ექიმი; წერდა არაბულად და სპარსულად. შეადგინა „ელემენტების“ ორი რედაქცია, გრძელი და მოკლე. სწორედ, ნასირ აღ-დინ ატ-ტუსნის მიერ გადამუშავებული შრომა — ცამეტი წიგნი⁴³ (ზოგ ეგზემპლარში — მხოლოდ თორმეტი) დაიბეჭდა 1594 წელს რომში⁴⁴, რომლის ხელნაწერი თურქების მიერ დაპყრობილი კონსტანტინოპოლიდან იტალიაში მოხვდა და დღეს ფლორენციაშია დაცული⁴⁵. არსებობს ორი ვერსია: ცამეტწიგნიანი და თორმეტწიგნიანი, ლათინური ტიტულითა და უტიტულოდ. თხუთმეტწიგნიანი მოკლე ვარიანტის მრავალი ხელნაწერი დაცულია. გამოიცა 1801 წელს კონსტანტინოპოლში, 1—6 წიგნები კი — 1824 წელს კალკუტაში⁴⁶.

ცამეტწიგნიანი გრძელი რედაქცია შედგება 452 წინადადებისაგან. დამატებითი ორი წიგნი Codd Pariss 1129 და 1216-ის მიხედვით, რომელნიც ნასირ აღ-დინ ატ-ტუსნის სრულ გადამუშავებულ ტექსტს წარმოადგენენ, 16 წინადადებიანია⁴⁷. ასე რომ, დღესათვის წინადადებთა საერთო რიცხვი 468-ს უტოლდება; ასეთივე რაოდენობა წინადადებებისა ჰქვია ხალფას დამოწმებული აქვს აღ-ჰაჯაჯისთვის⁴⁸. ეს ფაქტი კლამროთისათვის საკმარისია, რომ დასკვნას: ნასირ აღ-დინ ატ-ტუსნემ თავისი შრომისათვის აღ-ჰაჯაჯი დაიღო საფუძვლად⁴⁹. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აღ-ჰაჯაჯისა და ნასირ აღ-დინ ატ-ტუსნის დამთხვევა ყოველთვის არ ხდება⁵⁰. თუმცა ნასირ აღ-დინისა და აღ-ჰაჯაჯის წინადადებები რაოდენობრივად ერთნაირია, მაინც საფიქრებელია, რომ ატ-ტუსნემ აღ-ჰაჯაჯის თარგმანთან ერთად ისპაჰ იბნ ჰუნაინიც გამოიყენა. იგი ორივე თარგმანში ჩამატებული წინადადებებიდან არჩევდა⁵¹, ასწორებდა და თავის შრომას ქმნიდა.

საეკეოა ის ფაქტიც, რომ ტუსნემ ჰიპსიკლეს წიგნების კუსტა იბნ ლუკასეული თარგმანი გამოიყენა, რადგან რაც ატ-ტუსნის შრომის დაბეჭდილ გამოცემაში XIII წიგნის თეორიებს დამატებებად აქვს, ბერძნულ ორიგინალსა და ჰიპსიკლეს კოსტა იბნ ლუკასეულ თარგმანში II წიგნს ეკუთვნის⁵². ნასირ აღ-დინ ატ-ტუსნემ არაბული თარგმანებიც გამოიყენა და ბერძნული ტექსტიც, მაგრამ რაკი მათემატიკოსი იყო, თითქმის დამოუკიდებელი შრომა შექმნა ეკლიდეს შესახებ. მან თავისი ცოდნა „საწყისების“ შესახებ გაავრცო და განავითარა, სულაც არ უცდია ორიგინალს ფეხდაფეხ მიჰყოლოდა.

⁴³ გრძელი რედაქცია.

⁴⁴ Euclidis elementorum geometricorum Libri Tredecim ex translatione doctissimi Nassiridini Tusini. Nuns primum arabice impressi. Romae, M. D. XCIV.

⁴⁵ Б. А. Розенфельд. О влиянии математики стран Ислама на науку Европы. XIII международный конгресс по истории науки. Москва, 18—24 августа 1971 г. Коллекция: средневековая наука: взаимоотношения Востока и Запада. გვ. 16.

⁴⁶ ستة مقالات من كتاب تحرير اوكليدس الذي ألفه نصير الدين الطوسي طبعت باستعانة المجمع المعين الانتشار كتب الصبيان ببلدة كلكتة، سنة ١٨٢٦

⁴⁷ Heiberg, დასახ. შრ., გვ. 2.

⁴⁸ Haǧī Chalfa, დასახ. შრ., გვ. 383.

⁴⁹ Klamroth, დასახ. შრ. გვ. 280.

⁵⁰ Heiberg, დასახ. შრ., გვ. 2.

⁵¹ Haǧī Chalfa, დასახ. შრ., გვ. 383; Heiberg, დასახ. შრ., გვ. 3.

⁵² Klamroth, დასახ. შრ., გვ. 273.

ნასირ აღ-დინ ატ-ტუსის თარგმან-კომენტარი ევკლიდეს „საწყისებისა“ დატულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტშიც (Ark 26), გადაწერილია XVII—XVIII საუკუნეებში. თავნაკულია, გამოტოვებულია IV წიგნი და წლები XI წიგნის ერთ-ერთ წინადადებაზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, არაბი მათემატიკოსები თარგმნიდნენ და კომენტარს იწყებდნენ თავიდან, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ ასრულებდნენ. ალბათ, ჭერ კიდევ ვერ ერკვეოდნენ კარგად ევკლიდეს შრომაში.

სა'იდ იბნ ჯა'კუბ აღ-დინაშვიმ (908—932) თარგმნა ევკლიდეს „ელემენტების“ რამდენიმე წიგნი მეათეს ჩათვლით და პაპის კომენტარი X წიგნის შესახებ. ეს უკანასკნელი დატულია⁵³.

მოგვიანებით, ერთი საუკუნის შემდეგ, უკვე ჩანს ცალკეული წიგნებისა და წინადადებების კომენტარების ცდა. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს X წიგნს. X საუკუნეში მას ათამდე კომენტატორი გამოუჩნდა.

აბუ ჯა'ფარ აღ-ნაზინის (დაიბადა ხორასანში, გარდ. 961—971 წლებს შორის) ეკუთვნის X წიგნის I ნაწილის კომენტარი, რომლის ცალკეული ხელნაწერები დატულია ლეიდენში (1468, 1469), პარიზსა (2467) და ბერლინში (5924)⁵⁴.

ნაზიფ იბნ აჟმნ აღ-მუთატაბბიმაც, რომელიც 'აღუდ აღ-დავლას (949—983) დროს ცხოვრობდა (გარდ. 990 წ.) თარგმნა, X წიგნი. მისი თარგმანი ბერძნულში დართულ დამატებებშია დატული (ოქსფორდის ვარიანტი).

მუჰამმად იბნ მუჰამმად აღ-ბაღდადი ცხოვრობდა 1100 წელს ან უფრო გვიან. იგი გერჰარდ ფონ კრემონას Liber judei super decimum Euclidis-ში არსებული X წიგნის შესაძლო ავტორია⁵⁵.

არანაკლები ინტერესით ეკიდებიან მეხუთე წიგნსა და შესავლებს. მუჰამმად იბნ 'ისა აღ-მანანის (874—884) ეკუთვნოდა მეხუთე და მეათე წიგნების კომენტარი. ეს უკანასკნელი პარიზშია დატული (2457,39).

მეხუთე წიგნის რთულ ადგილებზე და შესავლებზე დაწერა აღ-ფარაბიმ (871—950), რომელიც დღეს ებრაულადაა დატული⁵⁶.

შეიძლება ჩამოვთვალოთ რამდენიმე კომენტატორი, რომელნიც თავიანთო შრომის თემად ევკლიდეს „საწყისების“ რთულ ადგილებს არჩევდნენ.

აღ-პასან აბუ მუჰამმადმა (გარდ. 900 წელს), აღ-მუ'თალიდის ევზირის 'უბაიდ აღლამ იბნ სულაჰმან იბნ ვაჰბის ვაჟმა, რომელიც საკმაოდ კარგი გეომეტრი იყო, ევკლიდეს შრომის რთული ადგილები განიხილა.

ახსნა-განმარტება ევკლიდეს შრომისა დაწერა აბუ მუჰამმად ჯაბირ იბნ აფლაჰიმ (გარდ. XIII საუკუნის შუა წლებში), რომლის ებრაული ხელნაწერიც დატულია ბერლინში (747 Qu)⁵⁷.

არაბი მთარგმნელ-კომენტატორების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. შეიძლება ერთი დასკვნის გამოტანა, რომ ევკლიდეს შრომებისადმი თითქმის არც ერთი არაბი მათემატიკოსი არ დარჩენილა გულგრილი.

თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რუსთველისდროინდელ განათლებულ ადამიანს უნდა სცოდნოდა გეომეტრია, მათემატიკა, მუსიკა, გრამატიკა, ფი-

⁵³ Plooij, დასახ. შრ., გვ. 6.

⁵⁴ Steinschneider, დასახ. შრ., გვ. 166. Plooij, დასახ. შრ., გვ. 6.

⁵⁵ Plooij, დასახ. შრ., გვ. 10.

⁵⁶ იქვე, გვ. 6.

⁵⁷ იქვე, გვ. 11; Kapp., დასახ. შრ., გვ. 167.

ლოსოფია და ვარსკვლავთმრიცხველობა, ამასთან, რუსთველი პოეზიას ფილოსოფიის დარგად თვლიდა, ხოლო ფილოსოფიის ცოდნა გეომეტრიისა და მათემატიკის გარეშე ძნელად თუ შეიძლებოდა⁵⁸, სავარაუდოა, რომ პოეტს უნდა სცოდნოდა ასე პოპულარული და არაბებთან ესოდენ გავრცელებული შრომა.

მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ის წიგნები, რომლებშიც ოქროს კვეთია განხილულ-გამოყენებული, ცალკე კვლევა-ძიების საგნად არ გამხდარა. როგორც ვიცით, ოქროს კვეთი გვხვდება II, VI და XIII წიგნებში⁵⁹. აღნიშნული წიგნებიდან მხოლოდ ერთი — XIII წიგნით დაინტერესდა ერთადერთი არაბი მათემატიკოსი. ეს იყო ალ-ბირუნის მასწავლებელი და თანამედროვე აბუ ნასრ მანსურ იბნ 'ალī იბნ 'ირაკი (მოღვაწეობდა XI საუკ. პირველ მეოთხედში). რომელმაც ალ-ბირუნისადმი გაგზავნილ წერილში განიხილა ეკლიდეს შრომის XIII წიგნის საეკვი (რთული) ადგილები. ხელნაწერი დაცულია ბერლინში (5925).

ზემოაღნიშნულის მიხედვით ნათელია, რომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის ოქროს კვეთის შესასწავლად ეკლიდეს „საწყისებში“ უნდა შივმართოთ მხოლოდ იმ მთარგმნელ კომენტატორებს, რომლებმაც ხსენებული თხზულება თავიდან ბოლომდე განიხილეს.

⁵⁸ გ. წერეთელი, დასახ. შრ., გვ. 20.—21.

⁵⁹ Начала Евклида. книги I—XV. Перевод с греческого и комментарий Д. Д. Мордухай-Болтовского при редакционном участии И. Н. Веселовского. Москва-Ленинград. 1948—1950.

⁶⁰ Plooi j. დასახ. შრ., გვ. 8—9.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
წერ-კორექსიონდენტმა კ. წერეთელმა)

მეცნიერთა იუბილე

აკად. სიმონ ყაუხჩიშვილი 80 წლისაა

თვალსაჩინო მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პროფესორ სიმონ გიორგის ძე ყაუხჩიშვილს დაბადების 80 და სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 60 წ. შეუსრულდა. ამ ღირსშესანიშნავ თარიღს ღრმა პატივისცემითა და დიდი მადლიერების გრძნობით აღნიშნავს მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა.

სიმონ ყაუხჩიშვილი ქართველ მეცნიერთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული სულიერი კულტურის ტაძარს — ქართულ უნივერსიტეტს.

სახელოვანი მეცნიერი, ბიზანტინოლოგიის, კლასიკური ფილოლოგიის, პალეოგრაფიის, ლექსიკოლოგიის, ქართული და ბერძნული წყაროთმცოდნეობის, ქართველოლოგიის რიგი დარგების ცნობილი სპეციალისტი, უნივერსიტეტის დაარსების პირველი დღიდან დღემდე ეწევა ნაყოფიერსა და დაუღალავ პედაგოგიურ და კვლევით მუშაობას. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აღიზარდა ქართველ მეცნიერთა მრავალი თაობა.

სიმონ ყაუხჩიშვილი დაიბადა 1895 წ. 14 ოქტომბერს ქ. ქუთაისში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ცნობილი პედაგოგის, იოსებ ოცხელის ხელმძღვანელობით არსებულ მოსამზადებელ სასწავლებელში; შემდეგ შევიდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1913 წ. დაამთავრა ვერცხლის მედლით და ამავე წელს გაემგზავრა პეტერბურგში, სადაც შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის კლასიკური ფილოლოგიის განყოფილებაზე. აქ მისი მასწავლებლები იყვნენ გამოჩენილი რუსი მეცნიერები: თ. ზელინსკი, მ. როსტოვეცი, ს. ყებელიოვი, ა. ვასილიევი და ცნობილი ქართველი პაპიროლოგი — ელინისტი გრ. წერეთელი.

პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნისას ს. ყაუხჩიშვილი დაუახლოვდა მაშინ იქ მოღვაწე სახელგანთქმულ მეცნიერებს ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს და მათი ხელმძღვანელობით შეუდგა ქართველოლოგიისა და საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას.

საუნივერსიტეტო კურსის დამთავრების შემდეგ 1917 წ. ს. ყაუხჩიშვილი თბილისში ჩამოდის და იწყებს პედაგოგიურ მუშაობას ანასტასია თუშანიშვილი-წერეთლის ხელმძღვანელობით არსებულ ქალთა სამასწავლებლო სემინარიაში, ანტიკური ქვეყნების ისტორიისა და საქართველოს ისტორიის მასწავლებლად. 1918 წ. დეკემბერში ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ს. ყაუხჩიშვილი ი. ჯავახიშვილის წარდგინებით კლასიკურ ფილოლოგიაში საპროფესოროდ მოსამზადებლად იქნა დატოვებული.

1920 წ. თბილისის უნივერსიტეტში ბერძნული და ლათინური ფილოლოგიის კათედრის გამგელ მოიწვიეს მაშინ უკვე დიდი სახელის მქონე მეცნიერი

გრ. წერეთელი, რომელმაც საქართველოში საფუძველი ჩაუყარა კლასიკურ ფილოლოგიას. ს. ყაუხჩიშვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტი, მხარში ამოუდგა ი. ჭავჭავაძისა და გრ. წერეთელს და მტკიცედ გადაწყვიტა კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტინოლოგია ქართული კულტურის ისტორიის კვლევის სამსახურში ჩაეყენებინა.

1920 წ. ს. ყაუხჩიშვილმა ი. ჭავჭავაძის რჩევით გამოაქვეყნა პირველი კაპიტალური ნაშრომი „ხრონოგრაფი გიორგი მონაზონისა“. ეს არის XI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის გიორგი ამარტოლის თხზულების ქართული თარგმანი შესრულებული არსენ იყალთოელის მიერ XII ს, გამოცემა ითვალისწინებდა ოთხი ხელნაწერის ვარიანტებს. ამ ტექსტის გამოქვეყნებისთანავე ს. ყაუხჩიშვილი თბილისის უნივერსიტეტმა სამეცნიერო მუშაობის გასაღრმავებლად საზღვარგარეთ მიაღწინა, 1920 წლის აგვისტოდან 1921 წლის იანვრამდე იგი იმყოფებოდა ათენში, სადაც მუშაობდა გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ ბერძნულ ხელნაწერებზე, სწავლობდა ახალბერძნულ ენას და ამასთან უცნობოდა ელზნური კულტურის ძეგლებს.

1921 წ. იანვარში სიმონ ყაუხჩიშვილი საბერძნეთიდან გერმანიაში გაემგზავრა, სადაც 1923 წლამდე დაჰყო. ბერლინის უნივერსიტეტში ის მუშაობდა კლასიკური ფილოლოგიის ისეთ გამოჩენილ სპეციალისტებთან, როგორც იყენენ: უ. ვილამოვიც-მელუნდორფი, ედ. მაიერი, პ. დილსი, ვ. შულცი და სხვები. ბიზანტინოლოგიის დარგში მუშაობდა პაულ მასის სემინარებში, ეპიგრაფიკაში და ბერძნულ წყაროთმცოდნეობაში — უ. ვილკენთან, ბერძნული პალეოგრაფიის დასაუფლებლად მუშაობდა ბერლინის მუზეუმში ვ. შუბარტთან.

1923 წ. უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე სიმონ ყაუხჩიშვილი მიიწვიეს თბილისის უნივერსიტეტში სიბრძნისმეტყველებისა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტების გაერთიანების შედეგად შექმნილი პედაგოგიური ფაკულტეტის ლექტორად ლათინურ-ბერძნული ფილოლოგიის დარგში.

1925 წ. ამ ფაკულტეტმა დამატებით მიიღო მას საქართველოს შესახებ არსებული ბერძნულ-ლათინური ტექსტების ინტერპრეტაცია, 1926 წლიდან კი სალექციო კურსის კითხვა ბიზანტიის ისტორიაში.

1924—1925 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ს. ყაუხჩიშვილმა ჩააბარა სადოქტორო გამოცდები ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის სპეციალობით,

1926 წ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა ვრცელი გამოკვლევა ზემოხსენებული ბიზანტიელი ისტორიკოსის — გიორგი ამარტოლის „ქრონოგრაფის“ შესახებ (ხრონოგრაფის ქართული თარგმანი, ნაწილი II, თბილისი, 1926). ეს შრომა წარადგინა მან უნივერსიტეტის საბჭოს სხდომაზე, სადოქტორო ხარისხის მოპოვების მიზნით.

დაცვა შედგა 1927 წ. 20 მარტს უნივერსიტეტის საბჭოს საჯარო სხდომაზე. მისი ოპონენტები იყენენ: ი. ჭავჭავაძი, გრ. წერეთელი და კ. კეკელიძე. გამართული პაექრობის შედეგად სიმონ ყაუხჩიშვილს ერთხმად მიენიჭა ბიზანტინოლოგიის დოქტორის ხარისხი, ხოლო 1930 წ. 28 მარტს აირჩიეს პროფესორად ბერძნულ-ბიზანტიური ფილოლოგიის დარგში.

აქად. ს. ყაუხჩიშვილი 1926 წლიდან ხელმძღვანელობდა კლასიკური ფილოლოგიის კათედრას, ხოლო 1938 წლიდან კლასიკური ფილოლოგიის კათედრასა და იმავე დროს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიზან-

ტინოლოგიის განყოფილებას. ამჟამად იგი არის გამვე ბიზანტინოლოგიის განყოფილებისა, რომელიც ჩამოყალიბდა 1960 წ. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში.

აკად. ს. ყაუხჩიშვილი მრავალი ძველი თუ ახალი ენის მცოდნე მეცნიერია, იგი არის საუკეთესო ფილოლოგი, წყაროთმცოდნე, ისტორიკოსი, ლექსიკოლოგი, ბერძნული და ქართული პალეოგრაფიის სპეციალისტი, ქართული და ბერძნული ფილოსოფიის საკითხების მკვლევარი.

ამ პატარა ნარკვევში ძნელია აკად. ს. ყაუხჩიშვილის მრავალმხრივი ღვაწლის უბრალო აღნუსხვაეც კი. მისი კალამი 1914 წლიდან დღემდე შეუსვენებელიე მუშაობს და ემსახურება მეცნიერების წინსვლის საქმეს.

ს. ყაუხჩიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება იმ ღვაწლს, რომელიც მან დასდო ბერძნული და ქართული წყაროთა პუბლიკაციას, რომელსაც ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში. ამ გამოცემებიდან მნიშვნელოვანია:

1) გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფის ქართული თარგმანი. ტექსტი გამოცემა, როგორც აღნიშნული იყო 1926 წ. ოთხი ხელნაწერის ვარიანტების გათვალისწინებით. გიორგი ამარტოლის თხზულება ეს არის ქრონოგრაფია, რომელიც ავტორმა მიხეილ III (842—867) მეფობის დროს დაწერა და წარმოადგენს მსოფლიო ისტორიას ადამიდან კეისარ თეოფილეს გარდაცვალებამდე (842 წ.). იგი მსოფლიო და ბიზანტიის ისტორიის ფართოდ გავრცელებულ სახელმძღვანელოს წარმოადგენდა არა მარტო ბიზანტიაში, არამედ მეზობელ ქვეყნებში. ცნობილია ამ თხზულების სხვადასხვა ენაზე არსებული რედაქციები ქართულად XII ს. ითარგმნა არსენ იყალთოელის მიერ.

2) საყურადღებოა ს. ყაუხჩიშვილის მიერ აკად. შ. ნუცუბიძესთან ერთად გამოცემული იოანე პეტრიწის შრომების ორტომეული 10 ხელნაწერის გათვალისწინებით.

ს. ყაუხჩიშვილმა მონაწილეობა მიიღო აგრეთვე პროკლე დიადოხოსის „ფილოსოფიის ელემენტების“ ბერძნული ტექსტის გამოცემაში, რომელიც მოამზადა ინგლისელმა მეცნიერმა ე. დოდსმა 1933 წ. და 1963 წ. ოქსფორდში.

3) ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული ქართლის ცხოვრების ტექსტი, რომლის პირველი გამოცემა გამოვიდა 1942 წ. („ანასეული ქართლის ცხოვრება“), ხოლო 1955—1959 ქართლის ცხოვრების I და II ტომები ქართლის ცხოვრების ტექსტთა ყველა ვარიანტის გათვალისწინებით. ქართლის ცხოვრების I და II ტ. ს. ჭანაშიას სახელობის პრემიით დაჯილდოვდა.

„ქართლის ცხოვრების“ I ტომში დაბეჭდილია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში შეტანილი ის საისტორიო ძეგლები, რომლებიც ეხება საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან XII ს-მდე. „ქართლის ცხოვრების“ II ტომში წარმოდგენილია ის საისტორიო თხზულებები, რომლებიც ეხება XII—XVII სს. საქართველოს ისტორიას გიორგი II დროიდან დაწყებული XVII ს. დასასრულამდე.

1974 წ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოაქვეყნა „ქართლის ცხოვრების“ IV ტომი შეიცავს XVIII ს. სახელგანთქმული ქართველი ისტორიკოსისა და მოღვაწის ბატონიშვილი ვახუშტის შრომას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც მოიცავს საქართველოს მთლიან ისტორიას დასაბამიდან XVIII ს. შუა

წლებამდე, ტექსტი გამოცემულია ორი ათეულზე მეტი ხელნაწერის გათვალისწინებით და წარმოადგენს ვახუშტის მთლიანი თხზულების პირველ გამოცემას. გამოყენებული ხელნაწერებიდან 9 ხელნაწერია ძირითადი; აქედან ერთი ვახუშტის ავტოგრაფიაა. აღსანიშნავია, რომ ს. ყაუხჩიშვილის გამოცემის ვარიანტებში ივანე ჭავჭავაძის კონიექტურებიც არის გათვალისწინებული.

ვახუშტის თხზულების გამოქვეყნებამდე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა აზრი, რომ ვახუშტის ეკუთვნის 2 თხზულება საქართველოს ისტორია და ცალკე საქართველოს გეოგრაფია. ს. ყაუხჩიშვილმა ამ გამოცემით დაამტკიცა, რომ ვახუშტი ბატონიშვილის კალამს ეკუთვნის ერთიანი თხზულება „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რაც თანამედროვე ქართულით ნიშნავს „ისტორია საქართველოს სამეფოსი“. ვახუშტი საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის შემდეგ იხილავს ცალკე სამეფოებისა და სამთავროების ისტორიას, ხოლო წინ უმძღვარებს ხოლმე ამა თუ იმ სამეფოს ან სამთავროს გეოგრაფიულ აღწერას, ვინაიდან ვახუშტის ისტორია გეოგრაფიის გარეშე ვერ წარმოედგინა. ვახუშტის ამ გამოცემას მიენიჭა აკად. ი. ჭავჭავაძის სახელობის პრემია.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ დასაბუქდად არის გადაცემული ქართლის ცხოვრების III ტომიც, რომელიც შეიცავს საქართველოს XVIII ს. ისტორიის მასალებს.

ქართლის ცხოვრების ყველა ტომს ახლავს შესავალი ნარკვევი, ლექსიკონი, საძიებელი, შედგენილი გამომცემლის მიერ.

4) განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მონუმენტური კორპუსის „გეორგიკის“ მნიშვნელობა საქართველოსა და ბიზანტიის ისტორიის შესასწავლად და აგრეთვე ბიზანტია საქართველოს პოლიტიკურ-კულტურულ ურთიერთობათა მთელი რიგი მომენტების გარკვევისათვის. ეს კორპუსი შეიცავს ბიზანტიელ ავტორთა ცნობებს საქართველოს შესახებ IV საუკუნიდან ბიზანტიური სამყაროს დასასრულამდე, მე-15 ს. ნახევრამდე. ეს სერია, რომელიც უკვე 8 წიგნს ითვლის, ს. ყაუხჩიშვილის მიერ 1934 წ. არის დაარსებული. ამ წიგნებში ბერძნული ტექსტის პარალელურად დაბეჭდილია შესანიშნავი ქართული თარგმანი. ამ პუბლიკაციებს ერთვის გამომცემლის ვრცელი გამოკვლევები, რომელნიც საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, რადგანაც ისინი ნათელს ჰფენენ ბიზანტიისა და საქართველოს ისტორიის მრავალ საკითხს და ააშკარავენ ამ ორი ქვეყნის ურთიერთობათა მრავალ მხარეს.

5) საინტერესოა, რომ ბოლო ხანებში ს. ყაუხჩიშვილმა წამოიწყო წყაროთა ახალი სერია ე. წ. *Georgica-Byzantina*. ძველ ქართულ წყაროებში, ისევე როგორც დოკუმენტებსა და საბუთებში, მრავალი ისეთი ცნობაა მოთავსებული, რომლებიც ბიზანტიის ისტორიის რიგ საკითხებს ახალ შუქს ჰფენენ. ამ სერიის პირველ ნაკვეთში, რომელიც 1974 წ. გამოქვეყნდა, გათვალისწინებულია ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება ლეონტი მროველის, ჭუანშერისა და მათი მომდევნო XI—XII სს. ისტორიკოსთა თხზულებებში. აღნიშნულ გამოცემაში ბიზანტიის შესახებ არსებული ქართული წყაროსთან მოცემულია ამ ტექსტის რუსული თარგმანი. *Byzantina-Georgica*-ს II ნაკვეთი, გამოსაცემად არის გადაცემული.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ს. ყაუხჩიშვილის „ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან“, რომელიც 1948 წ. გამოვიდა. ამ წიგნში ბიზანტიის IV—VII საუ-

კუნთა ისტორიასთან ერთად განხილულია ამ პერიოდის ბიზანტია-საქართველოს ისტორიის ურთიერთობათა საკითხები.

აკად. ს. ყაუხჩიშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ლიტერატურათმცოდნეობის წინაშე. ლიტერატურის ისტორიის სხვადასხვა პრობლემათა დასმა და კვლევა მოცემულია „ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში“ და „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ I, II და III ნაწილებში. აქ მოცემულია ბერძნული ლიტერატურის ისტორიის ელინური ხანა, გამოკვლევები ეპოსის, ლირიკის, დრამისა და პროზის საკითხებზე. წინა პლანზე წამოწეულია ბერძნულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობები და მათი სპეციალური კვლევა. ყურადღებას იპყრობს საბერძნეთის წინამოსახლეობისა და ბერძნული მოსახლეობის ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხთა გარკვევა. აქ ახლებურადაა გაშუქებული წინაბერძნული მოსახლეობის — პელასგების საკითხი.

ლიტერატურათმცოდნეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიის“, რომლის პირველი გამოცემა 1963 წ. გამოვიდა, ხოლო 1974 წ. კი — მეორე შეესებული გამოცემა. ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ამ წიგნს ანალოგია არა აქვს, ხოლო დასავლეთ ევროპაში გამოსული ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიები (კ. კრუმბახერის, კ. დიტერიხის, ფრ. დელაგერის), მართალია, მაღალი დონის გამოკვლევებია, მაგრამ ავტორები ვერ იძლევიან მხატვრული ლიტერატურისათვის სპეციფიკურად დამახასიათებელ თვისებათა განხილვას. ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ ფაქტების მშრალი ჩამოთვლით, გვერდს უვლიან მათს ანალიზს. მათს წიგნებში ის აზრია გატარებული, რომ ბიზანტიური ლიტერატურა არის ძველი ბერძნული მწერლობის გადამღერება, რომ მას აკლია ფორმათა ორიგინალურობა. აკად. ს. ყაუხჩიშვილი არ იზიარებს მათს აზრს და თვლის, რომ ბიზანტიური ლიტერატურას აქვს საკუთარი ხასიათი და ორიგინალური ფორმების შემცველი პოეზია და პროზა. ავტორი იცავს დებულებას ბერძნული ლიტერატურის უწყვეტი ხასიათის შესახებ და, განსხვავებით ყველა დანარჩენი „ბერძნული ლიტერატურის ისტორიის“ ავტორებისაგან, ბიზანტიური ლიტერატურა მიაჩნია ძველი ბერძნული ლიტერატურის უშუალო გაგრძელებად ახალ ვითარებაში.

აღნიშნულ წიგნში ავტორი იმ აზრს ატარებს, რომ ბიზანტიის ლიტერატურის და საერთოდ ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებაში დიდი როლი განეკუთვნება აღმოსავლეთის ხალხებს, კერძოდ ქართველებს. აქ აღსანიშნავია მისი კვლევა ქართული და ბერძნული „ბალავარიანის“ ურთიერთობათა შესახებ; ექვთიმე ათონელის ღვაწლის ლირსეული შეფასება ამ იშვიათი ძეგლის ბერძნულად თარგმნის საქმეში; მისი მსჯელობა ფოთის რიტორიკულ სკოლაზე, თემისტოქოსის, ბაკურის შესახებ; მისი განსაკუთრებული ინტერესი პეტრე იბერის პრობლემისადმი; იოანე პეტრიწისა და იოანე იტალოსის ურთიერთობა და სხვა.

დიდი შრომა აქვს გაწეული ს. ყაუხჩიშვილს ლექსიკოლოგიაში. მას ეკუთვნის რამდენიმე ლათინური და რუსულ-ქართული ლექსიკონები. ახლო მომავალში გამოქვეყნდება ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის პირველი ნაწილი, რომელიც ს. ყაუხჩიშვილისა და მისი მოწაფეების 50-წლიანი მუშაობის შედეგია. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილებაში ახლა მიმდინარეობს ლექსიკონის დასკვნითი სამუშაოები. ამ ლექსიკონის

პირველი ნიმუშები გამოქვეყნებულია „გეორგიის“ VII და VIII წიგნებში. ბერძნულ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი ასახავს ბიზანტია-საქართველოს ენობრივი და ლიტერატურული პარალელების შესასწავლად საჭირო მასალას, რამდენადაც იგი ეყრდნობა ძველი ქართული მწიგნობრების მიერ თარგმნილ ძეგლთა მასალებს. ბერძნულ-ქართული ლექსიკურ შესატყვისობათა სწორად დადგენა საშუალებას იძლევა გაირკვეს ამა თუ იმ ბერძნული სიტყვის ძირითადი მნიშვნელობები დღევანდელი ქართულის თვალსაზრისით.

საყურადღებოა აკად. ს. ყაუხჩიშვილის დამსახურება პალეოგრაფიასა და ეპიგრაფიკაში. ესენია „კორიდეთის ბერძნული სახარების ქართული მინაწერები“ (გამოქვეყნდა 1924 წ.), „ნოსიონის ბერძნული წარწერა“ (1941 წ.), „არმაზის ბერძნული წარწერა“ (1941 წ.), „მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა“ (1943 წ.).

აკად. ს. ყაუხჩიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე გამოკვლევები ენათმეცნიერების ცალკეულ საკითხებზე, აი ზოგიერთი მათგანი: „მამაკაცთა ბერძნული სახელების გადმოცემისათვის ძველ ქართულში“ (1925), „იაფეტური თეორია და ბერძნული ეტიმოლოგიები“ (1925), „ადიშის ხელნაწერის ბერძნულნიშები“ (1944), „საბერძნეთის უძველესი მოსახლეობისა და ბერძნული ენის შექმნის საკითხები“ (1953), „ბერძნულ-ქართული სემასური პარალელები“ (1946—1947) და სხვა.

ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობასთან ერთად აკად. ს. ყაუხჩიშვილი დიდ პედაგოგიურ მუშაობასაც ეწევა. იგი არის შესანიშნავი პედაგოგი და ლექტორი 1923 წლიდან დღემდე კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში (1933—1954); სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, ფარმაცევტულ ინსტიტუტში, ბათუმისა და უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტებში. დღესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები ისმენენ მეცნიერების ამ ქურუმის შემოქმედებითს ლექციებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობისათვის ს. ყაუხჩიშვილის ლექციებს ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში და სემინარებს ბერძნულ-ბიზანტიურ პალეოგრაფიაში.

აკად. ს. ყაუხჩიშვილის ღვაწლი პარტიისა და მთავრობის მიერ ჭეროვნად იქნა შეფასებული. 1950 წ. დეკემბერში იგი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1961 წ. 4 მაისს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო 1969 წელს ის არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ვუსურვოთ ღვაწლმოსილ მეცნიერს ხანგრძლივი სიცოცხლე ჩვენი ეროვნული კულტურის სადიდებლად.

ქ რ ი ტ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

ს ა ყ უ რ ა დ ლ ე ბ ო ნ ა შ რ ო მ ე ბ ი თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ბ რ ა ტ ი ო ნ ე ზ

ვიდრე სარეცენზიო ნაშრომების მიმოხილვა-შეფასებას შევუდგებით, წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფრიად შნიშვნელოვანი და უაღრესად სასიხარულო ფაქტი: უკანასკნელ წლებში ძველი ქართული ლიტერატურის შემსწავლელ მკვლევართა ჯგუფს შემოემატენ ახალგაზრდა მუშაეები, რომელთა საქმიანობა უკვე ამთავითვე მოწონებას და მალალ შეფასებას იმსახურებს. ვინც თვალს ადევნებს ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერულ შესწავლა-დამუშავებას და ეცნობა სპეციალურ ლიტერატურას, უთუოდ კარგად იცის, რომ ახალგაზრდა მეცნიერებმა — მანანა გიგინეიშვილმა, ლაურა გრიგოლაშვილმა, ელგუჯა ხინთიბიძემ, რევაზ სირაძემ, გრივერ ფარულავამ, გენრიეტა რაფეამ, ბორის დარჩიამ და სხვებმა — უკვე შესამჩნევი წვლილი შეიტანეს ძველი ქართული ლიტერატურის პრობლემათიკის დამუშავებაში. ეს უცილობელი ფაქტია და ამის შეუმჩნელობა არავის ეპატიება. ახალგაზრდა მეცნიერთა ამ ჯგუფს ეკუთვნის ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ შარაძე, რომელმაც უკვე რამდენიმე წიგნითა და მრავალი საყურადღებო წერილით გაამდიდრა ჩვენი საშეცნიერო ლიტერატურა. ამჟერად სწორედ მის უკანასკნელ ნაშრომებზე გვსურს გავამახვილოთ ყურადღება, სახელდობრ მონოგრაფიაზე: „თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრება და შემოქმედება“, რომელიც წარმოდგენილია სამი წიგნის სახით: 1. თეიმურაზ ბაგრატიონი, I. ცხოვრება, თბილისი, 1972, 225 გვ.; 2. თეიმურაზ ბაგრატიონი, II. შემოქმედება, თბილისი, 1974, 276 გვ.; 3. თეიმურაზ ბაგრატიონი — ბიბლიოგრაფი და კოლექციონერი (გამოკვლევა და ტექსტები), თბილისი, 1974, 179 გვ. თავისთავად ეს ფაქტიც მრავლისმეტყველია.

მთავარია ხარისხი და არა რაოდენობა, მაგრამ როდესაც მალაზხარისხოვანი მეცნიერული ნაშრომი გამოცემულია რამდენიმე წიგნის სახით (ამასთანავე, გამოცემულია მალალ პოლიგრაფიულ დონეზე) ამან არ შეიძლება ობიექტურ მკითხველს (მით უფრო სპეციალისტს) სიამოვნება არ აგარძნობინოს.

არის კიდევ ერთი გარემოება (ეს უკვე შესაშე), რომელზეც ორიოდ სიტყვა უნდა ვთქვათ. ქართული ლიტერატურის გარდამავალ ხანაში ბევრი გამოჩენილი მწერალი თუ მეცნიერი მოღვაწეობდა (საქმარისია დავით, იოანე, თეიმურაზ და სხვა ბაგრატიონთა თუ მათ თანამოღვაწეთა მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მოგონება). ჩვენი უროვნული მეცნიერება დიდ ვალშია ამ სახელოვან წინამორბედთა წინაშე. ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს თანამედროვე მეცნიერების დონეზე დაწერილი მონოგრაფიები მათ შესახებ (რასაკვირველია, ზოგიერთი ნარკვევი თუ წერილი მდგომარეობას ვერ ცვლის). გ. შარაძემ ნავსი გატეხა. დღეს ჩვენ კმაყოფილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ თეიმურაზ ბაგრატიონზე გვაქვს ასეთი მონოგრაფია. რაოდენ სასიხარულო იქნება, მომდევნო წლებში

რომ მივიღოთ მონოგრაფიები დავით ბაგრატიონზე, იოანე ბაგრატიონზე და ა. შ.

უკანასკნელად კიდევ ერთი ფაქტი უნდა აღვნიშნოთ. თეიმურაზ ბაგრატიონის რამდენჯერმე მიეძღვნა წერილი თუ სპეციალური გამოკვლევა (1916 წ., 1939 წ., 1954 წ. და სხვა). გ. შარაძე, რასაკვირველია, მათ იცნობს და კრიტიკულ-შემოქმედებითად იყენებს. ჩვენ საგანგებოდ შეუუღარეთ ეს აღრინდელი ნაშრომები გ. შარაძის მონოგრაფიას და ძალზე დიდი წინსვლა შევნიშნეთ. რაოდენ წინ წავიდა, რაოდენ განვითარდა ჩვენი საისტორიო მეცნიერება თუ ფილოლოგია ამ პერიოდში, რაოდენ ამაღლდა ჩვენი მეცნიერული აზროვნების დონე. მაგრამ რამდენი რამ კიდევ მოსაგვარებელი გვაქვს...

გ. შარაძის პირველ წიგნში ვრცლადაა მიმოხილული თეიმურაზ ბაგრატიონის ცხოვრების გზა. იგი შემდეგი ნაკვეთებისაგან შედგება: შესავალი (გვ. 5—7), აღზრდა (გვ. 8—18), სპარსეთში გაქცევა (გვ. 18—38), საქართველოში დაბრუნება (გვ. 39—46), „მოგზაურობა ტფილისიდან პეტერბურგამდის“ (გვ. 46—54), პეტერბურგში (გვ. 55—127), თეიმურაზ ბაგრატიონი ევროპაში (გვ. 127—136), მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა პეტერბურგში (გვ. 136—141), ცხოვრების დასასრული (გვ. 141—147). შემდეგ მოდის: თეიმურაზ ბაგრატიონის იკონოგრაფიისათვის (გვ. 147—152) და თეიმურაზ ბაგრატიონის ნაწერების ბიბლიოგრაფია (გვ. 152—175), რომელიც დანაწევრებულია: გამოქვეყნებული (გვ. 152—159), ხელნაწერები (გვ. 159—169), თეიმურაზის ნაქონი და მის მიერ გადაწერილი ხელნაწერები (გვ. 169—175), კრიპტოგრამები (გვ. 175). ბოლოს წარმოდგენილია რეზიუმე რუსულ (გვ. 175—178) და გერმანულ (გვ. 178—182) ენებზე, დანართი: თეიმურაზ ბაგრატიონის „სპარსული დღიურები“ ანუ „სისხლით ნაწერი ფიქრები“ (გვ. 183—211), ტაბულები და სხვა. ტექსტში ჩართულია რუკებიც.

თითოეული თავი (თუ ნაკვეთი) დაწერილია მასალის საფუძვლიანი ცოდნითა და მოსაწონი გულმოდგინებით. მოხმობილია დიდძალი საარქივო მასალა, დეტალურადაა განხილული მრავალი საკითხი, ახლებურადაა გაშუქებული თეიმურაზის ცხოვრების არაერთი მხარე.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავი „პეტერბურგში“, რომელშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხია განხილული: თ. ბაგრატიონი და რუსეთის საზოგადოებრიობა, თ. ბაგრატიონი და ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა, ურთიერთობა მ. ბროსესთან და სხვ. არსებითად მასთანაა დაკავშირებული თავები: „მეცნიერულ-ლიტერატურული მუშაობა პეტერბურგში“ და „ცხოვრების დასასრული“.

თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ საარცენზიო წიგნის ავტორის მიზანი მიღწეულია, თეიმურაზის ცხოვრების სურათი აღდგენილია.

აღრე შეიძლება გვეთქვა (როგორც გ. შარაძე ამბობს), რომ „ახალი მასალების მოპოვებითა და ანალიზით თეიმურაზის ცხოვრების მთლიანი სურათი ჭერ კიდევ არაა სასურველი სისრულით წარმოდგენილი“ (I, გვ. 7). ამიერიდან ამის თქმა აღარ შეიძლება! ჩვენ უკვე გვაქვს თეიმურაზის ცხოვრების მთლიანი სურათი! შეიძლება ზოგიერთი ახალი ცნობა მოვიპოვოთ, შეიძლება ზოგი რამ დავაზუსტოთ, მაგრამ ძირითადი სამუშაო შესრულებულია და შესრულებულია კეთილსინდისიერად, სოლიდურად, საფუძვლიანად.

მეორე წიგნი, რომელშიც თ. ბაგრატიონის შემოქმედებაა მიმოხილული, შედგება ოთხი თავისაგან: თ. ბაგრატიონი და ძველი ქართული მწერლობის ის-

ტორიის საკითხები (გვ. 5—146), თ. ბაგრატიონის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან (გვ. 147—192), თ. ბაგრატიონის მხატვრული მემკვიდრეობა (გვ. 193—210), თ. ბაგრატიონი როგორც ლექსიკოგრაფი (გვ. 211—256). ერთვის ბოლოსიტყვა (გვ. 257) და რეზიუმე რუსულ ენაზე (გვ. 259—268).

აღნიშნული წიგნი ავსებს ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ხარვეზს, სრულ წარმოდგენას გვიქმნის გამოჩენილ ქართველ შემოქმედზე, ნათლად გვაცნობს იმ მეცნიერულ-ლიტერატურულ საქმიანობას, რომელსაც თ. ბაგრატიონი ეწეოდა გასულ საუკუნეში. ჩვენი წარმოდგენა თეიმურაზზე გაცილებით გაიზარდა და ჩვენ უყოყმანოდ შეგვიძლია გავიმეოროთ გ. შარაძის სიტყვები: „ქველმა საქართველომ, ვახუშტის შემდეგ, ახალ ეპოქაში არ იცის თეიმურაზ ბაგრატიონზე უფრო დიდი მეცნიერის სახელი; თეიმურაზი, ამასთან, პირველი ქართველი ევროპული ტიპის მეცნიერიცაა — პეტერბურგის ქართველოლოგიური სკოლის შემქმნელი, პირველი ქართველი აკადემიკოსი და ჩვენს დროში აღორძინებული ახალი ქართული მეცნიერების ერთ-ერთი წინამორბედი“ (I, გვ. 5).

მესამე წიგნში წარმოდგენილია თ. ბაგრატიონის „წიგნნი საღმრთონი და საერონი ქართულისა ენისანი“ (ორი რედაქცია) და დ. ჩუბინაშვილის „რეესტრი...“ უძღვის მოზრდილი გამოკვლევა. რომელშიც ასეთი თავებია: თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის მ. ბროსესეული ფრანგული თარგმანი (1838 წ.), თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგი, თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგის ა. ცაგარლისეული პუბლიკაცია (1849 წ.) და მისი ღედნის საკითხი, (ერთხელ კიდევ!) თ. ბაგრატიონის წიგნთსაცავის კატალოგი და სხვა.

სარეცენზიო წიგნებში ძნელია დაეძებნოთ თავი (ან ნაკვეთი), რომელზეც შეიძლება ვთქვათ, რომ მისი დამუშავებისას ავტორი მასალის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენდა. თამამად შეიძლება განვაცხადოთ, რომ იგი არც ერთ საკითხს არ აკლებს ყურადღებას და ცდილობს ყოველივეს ნათელი მოჰფინოს. რასაკვირველია, ყველა თავი ერთნაირი სიძლიერით არაა დაწერილი და კვლევის შედეგებიც ყოველთვის ერთნაირი არაა, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია.

თითოეული თავი (თუ ნაკვეთი) ისეთი გულმოდგინებითაა დამუშავებული, რომ ძნელიც კია რომელიმეს საგანგებოდ გამოყოფა. ჩვენ მანც შევჩერდებით ზოგიერთზე.

ყურადღებას იმსახურებს ქვეთავი: „თ. ბაგრატიონი და ქართველი ინტელიგენციის ახალი თაობა“ (I, გვ. 91—103), რომელშიც თეიმურაზი წარმოდგენილია არა მხოლოდ როგორც ძველი საქართველოს მოპიკანი და წარსული კულტურის მკვლევარი, არამედ როგორც ახალი თაობის (ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, დ. ჩუბინაშვილი და სხვა) მოძღვარი; საინტერესოა ქვეთავი: „ურთიერთობა მ. ბროსესთან“ (I, გვ. 104—118), რომელიც, — წინამორბედ მკვლევართა ანალოგიური ხასიათის შრომებთან შედარებით, — გამოიდრებულია ახალი საარქივო მასალით; სკრუპულოზური ანალიზით გამოირჩევა „არგონავტების თქმულება და მედეას პრობლემა“ (II, გვ. 19—34), რომელსაც მოზრდილი დანართიც (II, გვ. 34—55) ახლავს; ალტაეების მომგვრელია მსჯელობა ჭემს მორიერის „მაჭი-ბაბა ისპანელის თავგადასავალზე“ (II, გვ. 149—159) და ინგლისურ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის სრულიად უცნობი ფაქტის გამოვლენა — თ. ბაგრატიონის მიერ ინგლისურიდან თარგმნის დადასტურება; მოსაწონია თ. ბაგრატიონის პორტრეტების, ორღუნების, ღიპლომების, საბეჭდავების ძიება და ნაბეჭდი თუ

ხელნაწერი მემკვიდრეობის ვრცელი ბიბლიოგრაფიის შედგენა (აბა რომელი ძველი მწერლისა თუ მეცნიერის მემკვიდრეობა გვაქვს ასე შექამბულ-აღსუსხული?!).

ასეთი საკითხების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ჩვენთვის, — გასაგები მიზეზების გამო, — ყველაზე საინტერესო აღმოჩნდა თავი: „თ. ბაგრატიონი და ძველი ქართული მწერლობის ისტორიის საკითხები“, მეტწილად ქვეთაეები: „უცხო ავტორები და ქართველი მთარგმნელები“ (II, გვ. 55—62) და „ორიგინალური მწერლობა“ (II, გვ. 62—135). საქმე ისაა, რომ თ. ბაგრატიონს არა აქვს „ერთიანი განმაზოგადებელი შრომა“ ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე (ასეთი შრომა მას არ დაუწერია, ან — ყოველ შემთხვევაში — ჩვენთვის ცნობილი არაა). საჭირო იყო „თეიმურაზის სხვადასხვა ხასიათის შრომებში გაბნეული ჩვენთვის საინტერესო ცნობების ამოკება, გარკვეული თანამიმდევრობით დალაგება და მათი ავკარგიანობის გარკვევა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე მიღწევათა გათვალისწინებით“ (II, გვ. 5). გ. შარაძემ ჩაატარა ასეთი სამუშაო. მან თეიმურაზის ნაწერებში დაძებნა სათანადო ცნობები, შეკრიბა, სისტემის ხასიათი მისცა და მეტად საინტერესო ზურათი წარმოგვიდგინა. ვინც შეისწავლის სარეცენზიო ნაშრომში წარმოდგენილ თეიმურაზისეულ ცნობებს ექვთიმე მთაწმიდელზე, მოსე ხონელზე, სარგის თმოგველზე, იოანე შავეთელზე, შოთა რუსთველზე, ვახტანგ მეუქესეზე და ა. შ., არ შეიძლება არ შეიწყნაროს მონოგრაფიის ავტორის დასკვნა, რომ „თ. ბაგრატიონი ძველი ქართული ლიტერატურის ავტორიტეტული მკვლევარია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა როგორც სასულიერო, ისე საერო მწერლობის საკვანძო საკითხების გადასაწყვეტად“ (II, გვ. 257).

გ. შარაძემ კრიტიკულად განიხილა და ჩეროვნად გამოიყენა თითქმის მთელი არსებული ლიტერატურა (თ. ბაგრატიონზე), გულდასმით შეისწავლა თბილისის, ლენინგრადის, ზუგდიდისა და სხვა სიძველეთსაცავები, დაძებნა და გამოავლინა ბევრი უცნობი თუ ნაკლებცნობილი ხელნაწერი, მეცნიერულ მომჭკეპვაში შემოიტანა არაერთი უცნობი ფაქტი, გაასწორა წინამორბედ მკვლევართა ზოგიერთი მცდარი მოსაზრება. უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ხელთაა მრავალმხრივ საყურადღებო მონოგრაფია თ. ბაგრატიონის ცხოვრება-შემოქმედებაზე.

გვაქვს ზოგიერთი შენიშვნა.

კარგია, როდესაც მკვლევარი ბოლომდე ყოველმხრივ სწავლობს საცილობელ საკითხს, სრულად იხილავს საპირისპირო შეხედულებებს, უყურადღებოდ არ ტოვებს მოსალოდნელ შეკითხვებს თუ მოწინააღმდეგეთა შენიშვნებს, ეძებს მეცნიერულად დამოწმებულსა და დადასტურებულ, ამომწურავ პასუხს. ეს გ. შარაძის სასახელო ჩვევაა და მისი დაუცხრომელი ძიება (არა მხოლოდ სარეცენზიო ნაშრომის) პრობლემის სფეროში, არამედ ყველგან და ყოველთვის) მოწონებას იმსახურებს. მაგრამ ის, რაც სასურველი და გამართლებულია (ცალკე წერილში, ეტიუდში, გამოკვლევაში მონოგრაფიისათვის ყოველთვის აუცილებელი არ უნდა იყოს. სარეცენზიო ნაშრომში გვხვდება მსჯელობა ზოგიერთ ისეთ საკითხზე, რომლის ასე სრულად წარმოდგენა გამართლებულად არ გვეჩვენება. მაგალითად, ჩვენი აზრით, ზედმეტად დამძიმებული და გაკვიანურებულია მსჯელობა თეიმურაზის საცხოვრებელი სახლისა და კარის ეკლესიის შესახებ. თავისთავად შესაბამის ქვეთაეში წამოკრილი საკითხები ინტერესს მოკლებული არაა, იქ გ. შარაძის მიგნებებსაც ვეცნობით,

მაგრამ პეტერბურგისადმი მიძღვნილ თავში 36 ფურცლიდან აღნიშნული ქვე-თავისათვის 15 ფურცლის დათმობა უკმაყოფილების გრძნობას იწვევს. სამ-წუხაროდ, ასეთი გაკვიანურებული ადგილები სხვაგანაც გვხვდება.

სარეცენზიო ნაშრომები ჩვენ რამდენადმე გადატვირთულად გვეჩვენება და არა მხოლოდ ზემოსხენებული ზოგიერთი გაკვიანურებული ადგილის გამო, მათში შეინიშნება ციტატების სიუხვე (არ შევცდებით, თუ ვიტყვი: სიჭარბე). ზოგჯერ ცალკეული გვერდების კითხვაც კი ჭირს (იხ., მაგალითად, I, გვ. 19, 23, 27, 85—86 და სხვ.). განსაკუთრებით შესამჩნევია რუსული ციტატების სიმ-რავლე (I, გვ. 40—42, 45—46, 51—55 და სხვ.). რუსულ ციტატებს ავტორი ჩვეულებრივ არ თარგმნის. მით უფრო გაუგებარია მე-12 გვერდზე (I) და-მოწმებული რუსული ტექსტის თარგმნის საჭიროება (იხ. აგრეთვე I, გვ. 69). ასევე გაუგებარია თეიმურაზის ერთი წერილის ორ ენაზე გამოქვეყნება (II, გვ. 165—167).

გ. შარაძე კარგად ფლობს ძველ ხელნაწერებზე მუშაობის ტექნიკას. მას ხელეწიფება ტექსტის კრიტიკულად დადგენა და მეცნიერულად გამოცემა (ამის ილუსტრაციაა პირველი წიგნის დანართი — თეიმურაზ ბაგრატიონის „სპარსული დღიურები“ ანუ „სისხლით ნაწერი ფიქრები“ და მესამე წიგნში გა-მოქვეყნებული თ. ბაგრატიონის „წიგნნი საღმრთონი და საერონი ქართული-სა უნისანი“). მონოგრაფიაში ბევრ ადგილას გვხვდება (თავისთავად საინტე-რესო) მასალების პუბლიკაცია (I, გვ. 60—61, 72—74, 122—127, 134—136, 143—145; II, გვ. 12—19, 34—55, 80—89 და სხვ.). ეს ცუდი არაა, მაგრამ არ გვესმის, რატომ არ შეიძლებოდა წიგნის დანართად წარმოგედგინა, მაგალი-თად, თ. ბაგრატიონის წერილი მ. ბროსესადმი (I, გვ. 122—127) ან მისივე „მოგ-ზაურობის“ ფრაგმენტი (I, გვ. 134—136), მისი ფოლკლორული ჩანაწერები გ. შარაძის კომენტარებით (II, გვ. 12—19) ან მოზრდილი ტექსტი: „ფრიკსა და ელეია და ოქროს მატყლოვანისათჳს ვერძისა“ (II, გვ. 34—35). რა აუცილებ-ლობითაა გამოწვეული „აბღულმესიანის“ თეიმურაზისეული კომენტარების ტექსტის საკუთრივ მონოგრაფიაში (II, გვ. 80—89) დაბეჭდვა?

ბარემ აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. შარაძის მეცნიერული აკრიბია მოწონე-ბას იმსახურებს და ზოგიერთ შემთხვევაში პირდაპირ მისაბძია. მიუხედავად ამისა, მის წიგნებში აქა-იქ გვხვდება არასრული (I, გვ. 52—54, შენ. 168, 170—171, 173, 175—180 და სხვ.) და რამდენადმე გაუგებარი (I, გვ. 146, შენ. 408) დამოწმება, ძირითადი ლიტერატურის ნაწილობრივი უგულვებლყოფა (I, გვ. 104, შენ. 313), ლექსის პროზაული სახით დაბეჭდვა (I, გვ. 22), თ. ბაგ-რატიონის ხელნაწერებში დაცული ტექსტების გაუგებრად, ყოველგვარი გან-მარტების გარეშე, დასახელება (I, გვ. 160, № 17; გვ. 161, № 22 და სხვა) და ა. შ.

სარეცენზიო ნაშრომებს ერთგვარ ჩრდილს აყენებს ფაქტების გამოვრებით აღნიშვნა და ცნობების ორ-ორჯერ მოწოდება. მაგალითად, ორჯერაა საუბარი თ. ბაგრატიონის პოლიგლოტობაზე (I, გვ. 136; II, გვ. 147), ს. იორდანიშვი-ლის მიერ ზუგდიდის მუზეუმში თეიმურაზის უცნობი თხზულების („სამსა-ხეობა რაინდისა“) აღმოჩენაზე (II, გვ. 196, 198) და სხვ. ორჯერაა დასახელე-ბული ის მეცნიერები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს კენჭისყრაში თ. ბაგ-რატიონის აკადემიაში არჩევისას (I, გვ. 91, 139), ორჯერაა დაბეჭდილი თეი-მურაზის თარგმანების სია (I, გვ. 165—166; II, გვ. 147—149) და სხვ. საგუ-ლისხმოა, რომ ვარაუდი — „დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თეიმურაზ

ბაგრატიონის „სპარსული დღიურები“ ღირსეულ ადგილს დაიჭერს დავით ბატონიშვილის „ახალი ისტორიის“, ბაგრატ ბატონიშვილის „ახალი მოთხრობისა“ და „აქტებში“ გამოქვეყნებულ პირველხარისხოვან ისტორიულ დოკუმენტთა გვერდით — თითქმის უცვლელად მეორდება ორჯერ (I, გვ. 38, 186).

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ დასაძინია, რომ თეიმურაზის ორიგინალურ თხზულებათა მხატვრულ ანალიზს ერთობ მცირე ადგილი ეთმობა. ეს კი, მიუხედავად თეიმურაზის თხზულებათა მხატვრული ღონისა, სასურველი იყო ავტორს ისე საფუძვლიანად და სრულად წარმოედგინა, როგორც ეს მას საერთოდ სჩვევია.

შენიშვნას იწვევს ზოგიერთი კერძო საკითხიც. მაგალითად, გ. შარაძის ვარაუდი დიდი რუსი მხატვრის ვ. ტროპინინის მიერ თეიმურაზის მეუღლის — ელენე ამილახერის პორტრეტის დახატვის შესახებ სარეცენზიო ნაშრომში — ტომლაც მიჩნეულია დადგენილ ფაქტად (I, გვ. 15, 89, 148; II, გვ. 189, 226); თ. ბაგრატიონის ცნობა „ზრონოგრაფის“ ქართულ თარგმანზე გამოცხადებულია „პირველ ისტორიულ-ლიტერატურულ“ და „უნიკალურ“ ცნობად (II, გვ. 60—61), სინამდვილეში არც პირველია და არც უნიკალური; კითხვები: „ვინ იყო ეფთვიმე გენათული და რა ბედი ეწვია მას?“ (I, გვ. 76), „მაინც რომელი თეოფილეა ეს?“ (II, გვ. 68) ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიან, თითქოს ახლა იწყებოდეს ამ პირთა ვინაობის დადგენა. სინამდვილეში (და ეს სარეცენზიო ნაშრომიდანაც კარგად ჩანს) ეს პირები არც ისე უცნობი მოღვაწენი არიან; ისეთი ზუსტი მკვლევრისაგან, როგორც გ. შარაძეა, მოულოდნელი და გაუგებარია ერთი ცნობილი ინსტიტუტის (რომლის სწორი სახელწოდება მან კარგად იცის — I, გვ. 11, შენ. 17; II, გვ. 100) დამახინჩებული (I, გვ. 90, შენ. 259; გვ. 122; II, გვ. 31, 213) ან მოძველებული (II, გვ. 99, შენ. 36) სახელით მოხსენიება; საწყენია, რომ გ. შარაძეს აქა-იქ გაუპარა ენობრივი თუ კორექტურული შეცდომა (I, გვ. 5, 77, 84, 137, 159; II, გვ. 130 და სხვ.) და დაავიწყდა ტაბულების სიის დაბეჭდვა.

**KITA TSCHENKELI, GEORGISCH-DEUTSCHES WÖRTERBUCH
(FASZ. 1—26), 1960—1974**

Amirani-Verlag, Zürich, I—XXXVIII+1—2470 გვ.

ქართული ენა ბოლო დროს მკვლევართა სულ მეტსა და მეტ ინტერესს აღძრავს. შვეიცარიაშიც დაინტერესებულან მისი შესწავლით. 1958 წელს ქ. ციურიხში, გამომცემლობა „ამირანის“ (Amirani-Verlag) გამოცემით გამოვიდა კიტა ჩხენკელის ორტომიანი ნაშრომი „ქართული ენის შესავალი“ („Einführung in die georgische Sprache“). პირველ ტომში წარმოდგენილია ქართული ენის თეორიული საფუძვლები, მეორე ტომი შეიცავს პრაქტიკულ ნაწილს: მოცემულია მრავალრიცხოვანი სავარჯიშოები და ქრესტომათია. ამავე ავტორმა დაიწყო შედგენა ვრცელი ქართულ-გერმანული ლექსიკონისა (Georgisch-Deutsches Wörterbuch), რომლის პირველი ნაკვეთი (ა და ბ-ს ნაწილი) 1960 წელს გამოსცა ზემოდასახელებულმა გამომცემლობამ. უკანასკნელი, 26-ე ნაკვეთი გამოვიდა 1974 წელს.

წელიწადში დაახლოებით 2 ნაკვეთი გამოდიოდა. დასრულდა მრავალი წლის თავდადებული შრომა და ხელთა გვაქვს მეცნიერების თანამედროვე დონეზე შესრულებული მაღალკვალიფიციური ლექსიკოგრაფიული ნაშრომი.

კიტა ჩხენკელი გარდაიცვალა 1963 წელს და მის დაწყებულ საქმეს წარმატებით გაუძღვნენ მისი მოწაფეები, შვეიცარიელი ქართველოლოგები იოლანდა მარშევი (Iolanda Marchev), ლეა ფლური (Lea Flury) და რუთ ნოიკომი (Ruth Neukomm). 1964 წელს გამოსულ მე-7 ნაკვეთს — და შემდგომ ყველას — აწერია, რომ დამუშავებულია იოლანდა მარშევის მიერ, ავტორად კი ისევ კ. ჩხენკელი მოიხსენიება¹. ლექსიკონი გამოვიდა ციურიხის უნივერსიტეტისა და შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდის² ხელის შეწყობითა და დახმარებით. შვეიცარიელი ენათმეცნიერები გულსუსუტის არ აკლებდნენ ამ საქმეს და 1964 წელს შვეიცარიული საენათმეცნიერო საზოგადოების წინადადებით შეიქმნა მზრუნველთა საბჭო (კურატორიუმი), რომელშიც შედიოდნენ მეცნიერები ციურიხიდან და ბერნიდან.

¹ 1964 წელს გამოსულ მე-7 ნაკვეთში ჩართულია შენიშვნა, სადაც ნათქვამია, რომ კინ-მონაკვეთზე მუშაობისას გარდაიცვალა კიტა ჩხენკელი. მას არ დასცალდა ამ დიდი სამუშაოს დასრულება, მაგრამ რადგან გზა გაკვლეულია, მასალა ძირითადად თავმოყრილი, მის საბოლოო დამუშავებას კისრულობს ჩხენკელის მეცნიერ-ასისტენტი იოლანდა მარშევი განსვენებულის სხვა ასისტენტებთან თანამშრომლობით. ლექსიკონის ბოლო, 26-ე ნაკვეთს ახლავს ბოლოსიტყვაობა, რომელსაც ხელს აწერს მზრუნველთა საბჭოს წევრი ერნსტ რიში (Ernst Risch). იგი აღნიშნავს იოლანდა მარშევის, ლეა ფლურისა და რუთ ნოიკომის ღვაწლს, მათი კეთილი თანამშრომლობის მნიშვნელობას დიდი საქმის დასრულებაში.

² Die Stiftung für wissenschaftliche Forschung an der Universität Zürich და Der Schweizerische Nationalfond zur Förderung der wissenschaftlichen Forschung.

თავდაპირველი ვარაუდით ლექსიკონი ათასგვერდიანი უნდა ყოფილიყო და უნდა გამოსულიყო 10—12 ნაკვეთად, თითო ნაკვეთი 100-მდე გვერდი. სინამდვილეში შთელი ლექსიკონი (26 ნაკვეთი) გამოვიდა 2463 გვერდი. წინასიტყვაობაში ავტორი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ ლექსიკონი ნაკვეთებად გამოდის და თანაც დიდი დროის მანძილზე. ამის მიზეზად დასახელებულია, ერთი მხრივ, უსახსრობა და, მეორე მხრივ, ის, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რომელიც მოიცავს ქართული სალიტერატურო ენის ძირითად ლექსიკურ მარაგს, ბოლომდე არაა მოყვანილი (1960 წლისათვის, როდესაც ქართულ-გერმანული ლექსიკონის პირველი ნაკვეთი გამოვიდა, გამოცემული იყო განმარტებითი ლექსიკონის მხოლოდ 5 ტომი). „ეს ლექსიკონი კი არის ფუძემდებელი ნაშრომი, რომელიც ასახავს ქართული ენის კვლევის დღევანდელ ვითარებას“, — წერდა კ. ჩხენკელი თავისი შრომის წინასიტყვაობაში და მას მიაჩნდა, რომ უცხოეთში მარტო მომუშავესათვის დიდი უპასუხისმგებლობა იქნებოდა ლექსიკონის შედგენისას არ გამოყენებინა ასეთი ავტორიტეტული წყარო.

ავტორი წინასიტყვაობაში გამოთქვამს იმედს, რომ მისი ქართულ-გერმანული ლექსიკონი ადრე გამოსულ „შესავალთან“ ერთად მისაწვდომს გახდის ევროპელთათვის ქართული ხალხის მდიდარ კულტურას, მის ისტორიას, ლიტერატურას.

წინასიტყვაობის შემდეგ მოცემულია გამოყენებული ლექსიკონების სია, რომელიც 28 დასახელებას შეიცავს.

კ. ჩხენკელის ლექსიკონს წინასიტყვაობის გარდა ახლავს დანართიც, სადაც ვრცელი მსჯელობაა ამ ლექსიკონის თეორიული საფუძვლების შესახებ,

სიტყვანის საკითხში ძირითადად გაზიარებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პრინციპები (დამუშავებული მისი მთავარი რედაქტორის არნ. ჩიქობავას მიერ). ქართულ-გერმანული ლექსიკონი ცდაა შეძლებისდაგვარად სრული წარმოდგენა მოგვეცეს თანამედროვე ქართულ სამწერლო და სასაუბრო ენაზე. გარდა ამისა, ლექსიკონში მოცემულია საკმაო რაოდენობით მოძველებული სიტყვები, რათა ამ ენობრივ განმს ისევ დაუბრუნდეს სი-ცოცხლე. გათვალისწინებულია ისეთი დიალექტური მასალაც, რომელიც გზას იკაფავს სალიტერატურო ენაში. ავტორს მიაჩნია, რომ ბოლო ხანებში გაჩენილი ახალი ცნებების აღმნიშვნელი უცხო სიტყვების ბაღალად უნდა შეიქმნას ქართული ტერმინები. ადვილად საცნობი უცხო სიტყვები კ. ჩხენკელს ლექსიკონში არ შეუტანია; საერთო ფუძიდან ნაწარმოები რამდენიმე უცხო სიტყვიდან შეტანილია მხოლოდ ერთი — ძირითადად მიჩნეული. მაგ., ჰაგიოგრაფი და ჰაგიოგრაფია არაა შესული, ჰაგიოგრაფიული კი შეუტანიათ; ჰარმონია, ჰარმონიული შეტანილია, ჰარმონ- ფუძის სხვა სიტყვები კი (ჰარმონიზაცია, ჰარმონიულობა) — არა ჰიპერ- თავსართის შემცველი სიტყვებიდან მხოლოდ ჰიპერბოლაა შესული. ოღონდ ამ თვალსაზრისით ნაკვეთებში არ არის ერთგვარობა. დასაწყისში უფრო მეტი შექმნიდათ უცხო მასალა. მაგ., შესულია ემპირია, ემპირიზმი, ემპირიკონი, ემპირისტი, ემპირიული, მაგრამ არ შეუტანიათ არც ჰეგელიანული და არც ჰეგელიანელობა, ჰელიო- და ჰიდრო-თი დაწყებული არც ერთი სიტყვა არაა, მაშინ როდესაც შესულია ელექტრო-ს შემცველი თითქმის ყველა ერთეული, რომელიც ქეგლ-ის მესამე ტომშია დადა-

სტურებული. გეოგრაფიული და პირთა სახელებიდან ლექსიკონში ადგილი პოვა მხოლოდ ისეთებშია, რომლებიც ხშირად იხმარება, ან რომელთა ფორმა ქართულსა და გერმანულში დიდად განსხვავდება.

ავტორი საგანგებოდ მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს წარმოდგენილი ლექსიკონში ქართული ზმნა. ევროპული ენების ლექსიკონებისათვის ტრადიციული ინფინიტივის³ ფორმას კ. ჩხენკელი ქართული ლექსიკონისათვის მიუღებლად თვლის. ინფინიტივის ფორმა, თუნდაც მას ძირითად დროთა ფორმებზე მითითება ახლდეს, საკმარისი არაა, ზმნის სახეთა მრავალფეროვნება ამით ამოწურული არ იქნებაო, ინფინიტივში (მასდარში) არ აისახება ქართული ზმნისათვის ნიშანდობლივი ქცევითა ფორმები, არ აისახება აგრეთვე განსხვავება გვარებს შორის. გარდა ამისა, მაგ. წერა და დაწერა სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდება და მხედველობის გარეშე დარჩება ამ ფორმებს შორის არსებული მიმართებები. იქვე ნათქვამია, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ინფინიტივის გარდა წარმოდგენილია ქართული ზმნისათვის ნიშანდობლივი ყველა ფორმა. ეს წესი მისაღებად არის მიჩნეული ქართულ-გერმანული ლექსიკონისთვისაც. ოღონდ ავტორი ეძებს ახალ გზებს, რათა ქართული ზმნა, როგორც თვითონ ამბობს, ლექსიკონში წარმოდგენილი იყოს უფრო რაციონალურად. კ. ჩხენკელს ქართული ზმნის ნეიტრალურ ფორმად მიაჩნია ზმნური ძირი (ფუძე)⁴, რომლისგანაც სხვადასხვა ელემენტების (პრეფერების, პირის ნიშნების და ზმნური სუფიქსების) დართვით მიიღება ზმნური ერთეულები. ლექსიკონში ამოსავლად ძირის (ფუძის) ჩათვლა იმის საშუალებას იძლევა, რომ მის გარშემო მოხდეს ყველა შესაძლო ერთეულის თავმოყრა.

ლექსიკონში შესული ზმნური ფუძეების ნიმუშებად შეიძლება დაგვესახელებინა მაგ.: ტენ-, წერ-, წეს-, ჭაობ-, ჭარმაგ-, ჭრიჭინ-, ჭრიალ-, ხახუნ-. ცალკეა გამოყოფილი, მაგ., ზმნური ფუძე ხალის- (ხალისობა, გაახალისებს... ზმნებისათვის) და ცალკე — ხალისიან- (ვახალისიანებ, გავახალისიანებ... ზმნებისათვის); ასევე ცალ-ცალკეა ხან- (ახანებს, დაახანებს... ზმნებისათვის) და ხანიერ- (ხანიერდება, განხანიერდება ზმნებისათვის).

ლექსიკონში ზმნა პირველი პირის ფორმით შედის. მაგ., ჭამ/ჭმ/ჭმე/(ვ) ჭმი- ბუდეში სალექსიკონო ერთეულებად შეტანილია ვჭამ, ვიჭამ, მიჭამს, ვაჭამ, ვსჭამ, მეჭამება, ვუჭამე, ვაჭამე, ვაჭამეინებ. პირველი პირის ფორმას ის უპირატესობა აქვს, რომ ნამყო ძირითადში ხშირად პირველსა და მეორე პირში ხმოვანი არაა დაკარგული და ზმნური ფუძე შეუკუმშავადაა წარმოდგენილი (მაგ., დაჭრა და დაჭკურ). მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია მოცემული მესამე პირის ფორმა; მაგ., პირნაკლ ზმნებში (ჭექს, იჭექებს). ასევე ზოგი ზმნა წარმოდგენილია ობიექტის პირველ პირში, მაგ., მრცხვნია.

ლექსიკონში ზმნის ფუძესთან მოცემულია მისგან ნაწარმოები ქცევისა და გვარის ყველა ფორმა აწმყოში, იქვე ნაჩვენებია მყოფადის, ნამყო ძირითადისა და თურმეობითის ფორმები. მაგალითად: ხსნ/ ხსენ⁵; ხსნა, ვხსნი (ა~.

³ ინფინიტივის ბადად მიჩნეულია მასდარი და ყველგან, სადაც ინფინიტივის ფორმაზეა მსჯელობა, მასდარი იგულისხმება.

⁴ ამ ცნების გადმოსაცემად კ. ჩხენკელი die Wurzel-ს ხმარობს, რომელიც ჩვეულებრივ ძირს აღნიშნავს, მაგრამ ქართულ-გერმანულ ლექსიკონში ამ სიტყვაში უფრო ხშირად ფუძე იყარალება.

ამო~, გა~, გამო~, გადა~, გადმო~, და~, მო~, შე~, ჩა~, ჩამო~), უხსენი, მიხსნია; ვიხსნი (ა~, გა~, გადა~, გამო~, და~, მო~, შე~, შემო~, ჩა~, ჩამო~, წა~.) ვიხსენი, მიხსნია; ვუხსნი (ა~, ამო~, გა~, გადა~, და~, მო~, შე~, ჩა~, ჩამო~) ვუხსენი, მიხსნია; ვახსნი (წა~); ვ(3)ხსნი (ა~, გადა-მო~, მო~, შე~, შემო~, წა~) ვ(3)ხსენი, მიხსნია; ვახსნევენიებ (ა~, გა~, გამო~, გადა~, და~, მო~) ვახსნევენიე, მიხსნევენიებია; იხსნება (ა~, ამო~, გა~, გამო~, გადა~, გადმო~, და~, მო~, შე~, ჩა~, ჩამო~) იხსნა, ხსნი-ლა; ვეხსნები (და~, მო~, ჩამო~) ვეხსენი, ვჰხსნივარ; შეხსნება (ა~, გა~, გადა~, და~, მო~, შე~, შემო~, ჩამო~) შეხსნა, მხსნია. წერს ზმნის სქემა ასეთია: წერ: წერა (ინფ.), ვწერ, ვიწერ, ეწერ ვაწერ, ვსწერ, ვაწერინებ, ვიწერე-ბი, ეწერება, სწერია, უწერია, აწერია.

ლექსიკონში შესულია მასდარის ფორმა, თუ იგი თავისებური წარმოები-საა (მაგ., -ომა, -ოლა, -ილ დაბოლოების მქონე) და აგრეთვე მაშინ, როცა მას სუბსტანტივის შინაარსი აქვს (მაგ. აღწერა). შემდგომში ლექსიკონის ავტო-რებს ეს წესი შეუცვლიათ და ხშირად ცალკე ერთეულადაა შეტანილი მასდა-რის ჩვეულებრივი ფორმები: მაგ., პულეზა, წაბურვა, წაბურტყუნება, წაძლოლა და სხვა. წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ლექსიკონში ყველა მიმღობა არ შეაქვთ, მათი შეტანა მიზანშეწონილად მაშინაა მიჩნეული, თუ იგი მიმ-ღობურის გარდა სხვა მნიშვნელობასაც უჩვენებს და, გარდა ამისა, განსა-კუთრებით საჭიროდაა ჩათვლილი გერმანულისათვის უჩვეულო მყოფადის მიმღობების შეტანა, სადაც ჩვეულებრივ ასახულია ორი მნიშვნელობა: 1. რა-საც გააკეთებენ. 2. რითაც გააკეთებენ (იარალი).

ყოველი ასოს ბოლოს მოცემულია ამ ასოზე დაწყებული ფუძეების სია: მაგ., აბუზარ, აბუჩხრ, აბრაგ, ადამიან, ადგილ, აჯვილ, ავ, ავად, ავადმოფ, ავაზაკ, და ა. შ. ან ტაბაკ, ტალახ, ტალახიან, ტან, ტანტალ, ტანჯ, ტარ, ტარო(ვ), ტარ-ტალ და ა. შ.

ნაწარმოები სახელები, როგორც წესი, ცალკე სტატიებადაა შეტანილი: მაგ., ტიპი, ტიპიური, ტიპობრივი, ტიპური; მშა, მშობა, მშური; მნელი, მნელობა; მშარი, მშრიანი; წითელი, წითური, წითელ-კაბა, წითელკაბიანი, წაწითლო და სხვ.

არსებითი და ზედსართავი სახელებისაგან მიღებული ზმნისართები (ისე-თები, როგორცაა: მაგ. ძირს, მნელად, წერილად, წითლად...) ქართულ-გერმა-ნულ ლექსიკონში, ყოველთვის დამოუკიდებელ ერთეულებადაა.

ქართულ-გერმანული ლექსიკონის სიტყვანი ძირითადად ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის სიტყვანს მისდევს. შემცირება ხდება, ჩვეულებ-რივ, ნაკლებადგაერკელებული კომპოზიტებისა და, უფრო იშვიათად, კუთხუ-რი სიტყვების ხარჯზე. ქველ-ში დადასტურებული წითლის 70 კომპოზიტიდან არ შესულა 24, მაგ. წითელარშიებიანი, წითელდროშოვანი, წითელკოპლებიანი, წითელმანისურიანი, წითელქველსახვევიანი, წითელხალათიანი და სხვ. ძირ-ის კომპო-ზიტებიდან—11; მაგ., ძირაქანი, ძირგამომხრელი, ძირ-წვერით და სხვ.

ზმნის ბუდეებში თავმოყრილი ფორმებიც ძირითადად ქველ-ში დამოწმე-ბულ ფორმებს წარმოგვიდგენს; მაგ., წერს ზმნის ბუდე არც ერთ განსხვავე-ბულ ფორმას არ იძლევა. მაგრამ ეს ზმნური ფორმები მექანიკურად თავმოყ-რილი და გადმოღებული არაა. ცვლილებები, ეტყობა, უპირატესად მოცულო-ბის შემცირებას ისახავს მიზნად. ქართულ-გერმანულ ლექსიკონში არ შეუ-

ტანით წვაგ- ბუღისა: აწვევინებს, ასწავებს, ამოიწვავს, გადაწვავს, დაწვევინებს, შეაწვევინებს, შემოსწავს, შემოეწვება. ბამ- ბუღისა აკლია: აბმევინებს, აიბამს, აიბმება, ააბმევინებს, ამოიბმება, ამოებმება, გააბმევინებს, გადაბამს, გადაიბმება, გადააბმევინებს, დაიბმება, დააბმევინებს, მიიბამს, მიუბამს, მიებმება, მიაბმევინებს, მოუბამს, შეიბამს, შეუბამს, შეაბმევინებს, ჩაიბამს, ჩაუბამს, ჩააბმევინებს, ჩამოიბამს, ჩამოიბმება, წაიბამს, წაებმება (ზოგჯერ ამ განსხვავების მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ ქებლ-ის სათანადო ტომი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული). სამაგიეროდ, ქართულ-გერმანულ ლექსიკონში მეტია: დაიბამს, შემოიბამს, წამაბამს, წამოებმება; უაგება, უტუსაღებს, გაწვრილიანდება, ინსპექტორობს და სხვ.

ლექსიკონში შესული სიტყვების თარგმანი კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. ხშირად ქართულ სიტყვას რამდენიმე გერმანული სინონიმი აქვს მიწერილი. მაგ.: აზრიანი sinnvoll, klug, vernünftig. ჭირი die Seuche, das Unglück, das Ungemach, das Elend. ხობა¹ Trocknen, Dörren, Backen, Rösten. გამოთქმებიც შეძლებისდაგვარად ბუნებრივი გამოთქმებით არის თარგმნილი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ლექსიკონი პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც მაღალ დონეზე დგას; დაბეჭდილია კარგი ხარისხის ქაღალდზე, ადვილად საკითხავი ღამაში შრიფტით.

ყველათრიდან ჩანს, რომ ქართული ენის შესანიშნავი მცოდნეები — ქ-ნი ი. მარშვეი, ქ-ნი ლ. ფლური და ქ-ნი რ. ნოიკომი დიდი სიყვარულით აკრძელებდნენ კ. ჩხენკელის დაწყებულ კეთილშობილურ საქმეს და მიიყვანეს კიდევ იგი ბოლომდე.

ქართულ-გერმანული ლექსიკონის პირველი ნაკვეთების გამოსვლისთანავე მას ფართოდ გამოეხმაურნენ დაინტერესებული სამეცნიერო წრეები. უცხოელმა ქართველოლოგებმა რ. ლაფონმა, პ. ფოტმა, კ. ბოლდამ, კ. შმიდტმა, დ. ლენგმა, ი. იელიჩკამ, ი. მოლიტორმა, ე. გარტიმა და სხვებმა საგანგებო რეცენზიები მიუძღვნეს კ. ჩხენკელის „შესავალსა“ და ქართულ-გერმანულ ლექსიკონს. „მნათობში“ (1971 წლის № 7) გამოქვეყნდა ა. ლონტის სტატია ამ ლექსიკონის შესახებ. „წიგნის სამყაროში“ 1969 წელს დაიბეჭდა მ. მამულაშვილის წერილი ციურიხელ ქართველოლოგებზე და მათს მოღვაწეობაზე, „ლიტერატურულ საქართველოში“ ამავე ხანებში იყო ცნობა ქართულ-გერმანული ლექსიკონის შესახებ. ასევე 1972 წლის ივნისის ნომერში გაზეთმა „სამშობლომ“ გამოაქვეყნა წერილი ამ ლექსიკონზე.

მიუხედავად იმისა, რომ ძნელია ლექსიკონის საფუძვლად აღებული ყველა პრინციპის უყოყმანოდ გაზიარება, ექვს არ იწვევს მისი დიდი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ამ ლექსიკონში საკმაო სისრულითაა წარმოდგენილი თანამედროვე ქართული ენის ლექსიკა და, როგორც კ. ჩხენკელი იმედოვნებდა, იგი ხელს შეუწყობს ქართული ენის, ქართული კულტურის პოპულარიზაციას უცხოეთში.

ქართველი საზოგადოებრიობა შეუწელებელი ინტერესით ადევნებდა თვალყურს შვეიცარიელი მეგობრების უანგარო შრომას და გულწრფელად ულოცავს მათ ამ დიდი საქმის წარმატებით დასრულებას.

ქ რ მ ნ ი ა ლ ა ო ნ გ მ ო რ მ ა ტ ი ა

ТРИ НЕЗАБВЕННЫХ ДНЯ...

Имя Пушкинского Дома
В Академии наук!
Звук понятный и знакомый,
Не пустой для сердца звук!

Так начинается одно из последних стихотворений Александра Блока. И хотя мне не раз приходилось бывать в прекрасном Ленинграде, имя Пушкинского Дома, так уж случилось, звучало для меня лишь в стихах А. Блока, да в изящных очертах бывшей Петербургской таможни. Поэтому понятно, с какой радостью встретил я предложение принять участие в работе симпозиума «Три дня древнегрузинской литературы в Пушкинском Доме». Инициатором этой встречи был известный специалист древнерусской литературы и культуры, глава русских медиевистов акад. Д. С. Лихачев. Инициатива была всемерно поддержана ректоратом Тбилисского университета и в конце января в Ленинград была направлена делегация сотрудников университета, специалистов по древнегрузинской литературе и литературным связям: акад. АН СССР А. Г. Барамидзе, профессора Л. В. Менабде (руководитель делегации), Т. П. Буачидзе, О. А. Бакаидзе, А. А. Гвахария, доценты Л. М. Григолашвили, Р. Г. Сирадзе и Г. Г. Парулава.

Прилетев в Ленинград и пройдя новое роскошное здание аэропорта, мы обратили внимание на человека, державшего в руках красиво оформленный пригласительный билет с надписью: «Три дня древнегрузинской литературы в Пушкинском Доме». Там же был изображен столик древнего писца с перекинутым свитком, на котором читалось: «Медиевисты-литературоведы обмениваются опытом исследований». Так нас встретили сотрудники Сектора древнерусской литературы. С той минуты мы были окружены такой необычайной теплотой и вниманием, что даже двадцатиградусный мороз стал нам не страшен.

На симпозиуме, проходившем в Большом конференц-зале Института русской литературы 27—29 января 1976 г., присутствовали сотрудники Пушкинского Дома, гости из различных научных учреждений Ленинграда, Москвы, Киева, Тбилиси. Вступительное слово акад. Д. С. Лихачева придало тон всей работе симпозиума. Он сердечно приветствовал грузинских гостей и выразил глубокую уверенность в том, что подобные встречи всемерно будут содействовать дальнейшему развитию отечественной науки. Акад. Д. С. Лихачев выделил те проблемы, которые входят в круг общих интересов ленинградских и тбилисских коллег. Именно в этом плане и были представлены доклады: Основные проблемы изучения древнегрузинской литературы (Л. В. Менабде); Изучение грузинской гимнографии (Л. М. Григолашвили); Руствелология на современном этапе ее развития (А. Г. Барамидзе); Литературные связи древней Грузии (Э. Г. Хингибидзе, А. А. Гвахария); Изучение русско-грузинских литературных связей древнего периода (О. А. Бакаидзе); Проблемы изучения древнегрузинской литературно-эстетической мысли (Р. Г. Сирадзе); Изучение поэтики древнегрузинской литературы (Г. Г. Парулава); Некоторые вопросы перевода древнерусских текстов на грузинский язык (Т. П. Буачидзе).

Доклады вызвали оживленные прения. Выступившие в обсуждениях Д. Лихачев, И. Дмитриев, Г. Прохоров, О. Творогов, Я. Лурье, А. Папченко, О. Белоброва,

В. Лихачева, И. Лебедева, К. Григорьян, М. Таган-Тарковская, Н. Демкова и др. широко осветили те проблемы, которые наиболее близки и интересны для специалистов древнерусской литературы: общие вопросы текстологии и публикации древних текстов; состав и характер гимнографических сборников; происхождение грузинских версий «Романа об Александре», «Калилы и Димны» («Стефанит и Икхилат»), «Мудрости Балавара» («Душеполезной повести о Варлааме и Иоасафе»); проблема восточного Ренессанса; проблема ареопагитики; средневековые хроники; составление корпуса грузинских переводов древнерусских памятников; русские переводы «Витязя в барсовой шкуре» Руставели и т. д. Деловая и вместе с тем дружеская обстановка прений дала возможность как докладчикам, так и слушателям уяснить ряд актуальных и спорных вопросов, заметить дальнейшие возможности их совместных исследований.

К сожалению, из-за болезни на последних заседаниях не смог присутствовать акад. Д. С. Лихачев. В заключительный день было зачитано его письмо: «Дорогие грузинские коллеги! Ваши доклады, которые мы слушали, Ваши фильмы, которые мы смотрели, глубоко патриотичны. Мы в секторе патриоты древней Руси и для нас Ваша любовь к своей стране и ее древней культуре глубоко понятна и свята. Ваш патриотизм и наш патриотизм объединяет общая любовь к нашей великой единой стране. С Вашим приездом мы еще больше полюбили Вашу прекрасную страну с ее древней культурой. Передайте, пожалуйста, о нашей горячей любви к грузинской культуре всем, кто ее изучает, хранит, ценит, Ваш Д. Лихачев». Участники симпозиума в ответном послании пожелали Дмитрию Сергеевичу скорейшего выздоровления и выразили сердечную благодарность за энергичную инициативу в деле организации симпозиума.

Итоги трехдневных заседаний подвели проф. Л. Дмитриев, акад. А. Г. Барамидзе, проф. Л. В. Менабде. Было подчеркнуто большое значение симпозиума в деле дальнейших успешных исследований важнейших проблем древнерусской и древнегрузинской литератур. На последнем заседании было принято постановление провести в Тбилиси в 1977 г. ответный симпозиум, посвященный вопросам изучения древнерусской литературы. Решено также опубликовать совместный сборник докладов.

Конечно, многие из нас были знакомы с трудами ленинградских коллег, исследования акад. Д. С. Лихачева являются настольными книгами каждого медиовиста-литературоведа и текстолога, однако личное знакомство, атмосфера дружбы и понимания, несомненно, будут способствовать упрочению и углублению научных контактов. В этом отношении для нас, представителей нового поколения, являются образцом, то уважение, сердечность и теплота, с которыми встретились и общались наши учителя Д. С. Лихачев и А. Г. Барамидзе.

Прекрасным дополнением к заседаниям явилось наше знакомство с различными отделами Пушкинского Дома, особенно, с рукописным отделом. С какой любовью и энтузиазмом ведется тут собирание и хранение древних русских рукописей, с каким благоговением показывали нам рукописные тетради А. С. Пушкина, знакомые по фотокопиям, но вызывающие особый трепет при знакомстве в оригинале...

А. А. ГВАХАРИЯ